გუგული მაღრაძე
ვახტანგ მაისაია

# 21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა – რეგიონული და გლობალური ასპექტები

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 20

კავკასიის საერთაშორისო
უნივერსიტეტის
ბიბლიოთეკა

© ვ. მაისაია, გ. მაღრაძე, 2017

გამომცემლობა „ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲐᲚᲘ", 2017

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 0179, Ი. ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲖ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge; universal505@ymail.com

ISBN 978-9941-26-069-8

# ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

*ავტორებისგან* ........ 5
*რედაქტორისგან* ........ 7
*Annotation* ........ 12
*შესავალი* ........ 14

*პირველი თავი: საერთაშორისო უსაფრთხოების რაობა „დემოკრატიული მშვიდობის“ პირობებში: უსაფრთხოების თეორია და მსოფლიო წესრიგის ტრანზიციულობა* ........ 32
*1.1. უსაფრთხოების თეორიის თავისებურებანი ახალ ეპოქაში* ........ 39
*1.2. ეროვნული უსაფრთხოება და საფრთხეების კლასიფიკაციის იდენტიფიკაცია 21-ე საუკუნეში* ........ 70
*1.3. „თანამშრომლობითი უსაფრთხოება“ – თეორიიდან პრაქტიკამდე: ნატოს შემთხვევის გარჩევა (NATO case-study)* ........ 85

*მეორე თავი: საერთაშორისო უსაფრთხოების სამი განზომილება: პოლიტიკური, ეკონომიკური და საინფორმაციო ფორმატი – "რბილი ძალის“ თეორიის შემთხვევის გარჩევა (Soft Power Case-Study)* ........ 105
*2.1. მსოფლიო წესრიგის გეოპოლიტიკური მეტამორფოზები პოსტ-ბიპოლარულ პერიოდში: გლობალური უსაფრთხოების პოლიტიკური ასპექტები* ........ 113
*2.2. ეკონომიკური უსაფრთხოების ენერგეტიკული ასპექტები: ენერგოგეოპოლიტიკა* ........ 126
*2.3. საინფორმაციო უსაფრთხოება და კიბერომი: 21-ე საუკუნის გეოპოლიტიკის ფუტუროლოგია (შემთვევის გარჩევა: რუსეთ-უკრაიანის საინფორმაციო ომი)* ........ 148

*დასკვნა* ........ 193
*ლექსიკონი* ........ 194
*გამოყენებული ლიტერატურა* ........ 197

## CONTENTS

Preface by Authors ........ 5
Foreword ........ 7
Annotation ........ 12
Introduction ........ 14

**FIRST CHAPTER: Meaning of International Security in aegis of the "Democratic Peace" Conditions: Security Theory and World Order Transition** ........ **32**

1.1. Security Theory Peculiarities in New Era ........ 39
1.2. National Security and Identification of Threat Classification ........ 70
1.3. "Cooperative Security": From Theory into Practice: NATO Case-Study ........ 85

**SECOND CHAPTER: „Tripolar" Dimension of International Security: Political, Economic and Information Foras: "Soft Power" Case-Study** ........ **105**

2.1. World Power Geopolitics in Post-Bipolar Period: Political Aspects of Global Security ........ 113
2.2. Energy Aspects of Economic Security: Energy Geopolitics ........ 126
2.3. Information Security and Cyberwar: 21st Century Geopolitics Future (Case-Study: Russia-Ukraine Information War) ........ 148

Summary ........ 193
Glossary ........ 194
Bibliography ........ 197



## ავტორებისგან

წინამდებარე წიგნი საერთაშორისო ურთიერთობების ყველაზე აქტუალურ პრობლემატიკას მიეძღვნა, რომელიც დაკავშირებულია უსაფრთხოების თემატიკის მნიშვნელობასა და რაობასთან გლობალური და რეგიონული პოლიტიკის პროცესებთან მიმართებაში. თვით წიგნის სათაურიდან გამომდინარე ყურადღება გამახვილებულია უსაფრთხოების თეორიის მნიშვნელობაზე, როგორც სამეცნიერო-კვლევითი, ისე პრაქტიკული ადაპტაციის კუთხით. საქართველოში თანდათანობით მკვიდრდება ტენდენცია უსაფრთხოების ფენომენის, როგორც გლობალური, რეგიონული და ლოკალური ანალიზის დონეებზე, შესწავლისა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში, სადაც გახსნილია და მოქმედებს სპეციალიზირებული საბაკალავრო, სამაგისტრო და ზოგიერთ შემთხვევებში, სადოქტორო პროგრამები, სადაც კვლევის ობიექტად და შესწავლის საგნად გვევლინება უსაფრთხოების თეორია და მისი გავლენა ქვეყნის შიდა და საგარეო პოლიტიკურ გარემოებაზე. ამასთან ერთად, უსაფრთხოების თეორია გადაიქცა ინტედისციპლინარულ სამეცნიერო მიმართულებად და მისი შემდგომი აკადემიური განვითარება საქართველოში, ხელს შეუწყობს საერთაშორისო და რეგიონული უსაფრთხოების პრობლემატიკის სწორად აღქმას და ანალიტიკური უნარების გაუმჯობესებას, არა მარტო სამეცნიერო-სასწავლო, არასამთავრობო ანალიტიკურ (think-tanks), არამედ სამთავრობო სტრუქტურების დონეზე.

აღნიშნული კვლევა წარმოადგენს პირველ გამოცემას და მასში ძირითადად დესკიპციული სახით მიმოხილულია უსაფრთხოების თეორიის ძირითადი მიმართულებები და გაანალიზებულია მსოფლიო პოლიტიკურ დონეზე არსებული პროცესები გლობალური და რეგიონული უსაფრთხოების ფარგლებში. მეორე გამოცემაში ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ისეთ თემებზე, რომლებიც განიხილება როგორც რეგიონული უსაფრთხოების კონკრეტული გამოვლინებები, როგორრებიცაა: *„დემოკრატიული მშვიდობის" ცივილიზაცი-*

*ური მოდელის რეგიონული მიდგომები – გეოპოლიტიკური ფუტუროლოგიის სცენარი კავკასიის და ახლო აღმოსავლეთის მაგალითებზე, საერთაშორისო უსაფრთხოების ტრანსფორმაცია თანამედროვე მსოფლიო წესრიგის პირობებში: კოლექტიური უსაფრთხოებიდან „თანამშრომლობითი უსაფრთხოებამდე“* და ა.შ.

აქვე აღნიშვნის ღირსია ის გარემოებაც, რომ მონოგრაფიაში, რომელიც შეიძლება განხილული იქნას როგორც *„უსაფრთხოების თეორიის“* სახელმძღვანელო ნაშრომი და დაინერგოს როგორც ამ თემატიკასათან დაკავშირებული ახალი სასწავლო კურსის კურიკულუმის შემუშავების შემცველი დოკუმენტიც კი, წარმოჩენილია ავტორების მიერ ახალი დეფინიციების (მაგალითად, ტერმინი *„ეროვნული უსაფრთხოების ჩიხი“*, ისევე როგორც თვით *„ეროვნული უსაფრთხოების“* ავტორისეული ვარიანტიც კი) და ახალი ხედვების მთელი სპექტრი, რომელიც ასახავს უსაფრთხოების კვლევებს. ამასთან ერთად, მისი ერთ-ერთი ღირებულებითი შემადგენელი ელემენტი გამოიხატება იმითაც რომ, მონოგრაფია იქნება ერთ-ერთი ინსტრუმენტული კონცეფტუალური ნაშრომი, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში უსაფრთხოების და სტრატეგიული კვლევებისა და შესაბამისი მეთოდოლოგიის დამკვირდებას და განვითარებას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ რათქმა უნდა ამ ერთი წიგნის ფარგლებით ვერ მოხერხდება უსაფრთხოების ფენომენის განხილვა და განმარტება არა მარტო თეორიული კვლევის ფორმატში, არამედ პრაქტიკული დანიშნულების კუთხითაც, მაგრამ გარკვეული წვლილის შეტანა მას შეეძლება ამ მხრივ.

პატივისცემით,

გუგული მაღრაძე
ვახტანგ მაისაია



## რედაქტორისგან

საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემატიკა დღევანდელ ეტაპზე გახდა მთვარი ქვაკუთხედი მსოფლიო პოლიტიკური სისტემისთვის და საერთაშორისო პროცესების გეოპოლიტიკური ანალიზის კუთხით განხილვის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მოდის სწორედ უსაფრთხოების პრობლემების განხილვაზე. აღნიშნული ფაქტორი ძალიან იოლად არის ასახსნელი, რადგან უსაფრთხოება გლობალიზირებული სამყაროში გახდა ძალიან კომპლექსური, მრავალწახნაგიანი და მრავალფეროვანი. თვით პოლიტიკურ ლექსიკონში შემოვიდა ისეთი ტერმინი, როგორიცაა „უსაფრთხოების კომპლექსი“, რომლის თაობაზე წიგნის ავტორები საუბრობენ შესავალ ნაწილში და კარგად ხსნიან მის არსს და რაობას. პოსტ-ბიპოლარულ ეპოქაში კარდინალურად შეიცვალა არა მარტო საერთაშორისო პოლიტიკური, არამედ საერთაშორისო უსაფრთხოების ვითარება და დღის წესრიგში ახალი გეოპოლიტიკური წესრიგის წარმოჩენა. ამიტომაც საკმაოდ რთული გეოსტრატეგიული პრობლემის წინაშე დადგნენ ის საერთაშორისო ორგანიზაციები და გეოპოლიტიკური აქტორები, რომლებიც ჩამოყალიბდნენ „ცივი ომის“ პირობებში და მთლიანად მისადაგებულნი იყვნენ მის „სტრუქტურირებულ წესრიგის“ პირობებთან.

21-ე საუკუნეში სამეცნიერო-ტექნიკურ და ინტელექტუალურ პროგრესს განაპირობებს ის თუ რამდენად ძლიერია სახელმწიფო ტექნოლოგიური კუთხით, ქვეყნები კი რომლებიც ამას ვერ ახერხებენ მოწინავე პოზიციებს ვერასდროს დაიკავებენ. საინფორმაციო ომში დამარცხებული მხარე საბოლოო ომშიც ადვილად მარცხდება. ინფორმაციის მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია ეკონომიკური და სოციალური პროგრესისათვისაც. კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე ინფორმაციის გავრცელებას სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭებოდა. თუმცა

თანამედროვე მსოფლიოში საინფორმაციო საშუალებებმა და ინფორმაციის გავრცელების წყაროებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. სახელმწიფოთა შორის დაპირისპირებებისას ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ზემოქმედების საშუალება სწორედ ინფორმაციაა და როგორც წესი გამარჯვებულიც ის არის, ვინც ამ იარაღს ფლობს.

როგორც ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, უსაფრთხოება ჩვენს დინამიურ ეპოქაში გახდა უფრო მეტად „ტექნოფიცირებული“ და ნებისმიერი დონის ტექნოლოგიები, მათ შორის პოლიტიკური, სამხედრო, სამრეწველო-ეკონომიკური და განსაკუთრებით საინფორმაციო, გახდა საერთაშორისო პოლიტიკური მოვლენების განსაზღვრელი და უმნიშვნელოვანესი ფაქტორები და მათი სწორად აღქმის გარეშე, საერთაშორისო პოლიტიკური მოვლენების სწორი ანალიზი და პროგნოზირება იქნება რთული.

21–ე საუკუნის საერთაშორისო მდგომარეობით, უსაფრთხოების სფერო ხასიათდება მუქარით, რომელიც არ შეიძლება იქნეს მოგვარებული მხოლოდ უსაფრთხოების ტრადიციული ნიშნის გამოყენებით. კიბერ-თავდასხმა, საერთაშორისო ტერორიზმი, მეკობრეობა, თავდასხმა ენერგო მიწოდებაზე და ასევე ტექნოგენური და ბუნებრივი კატასტროფები წარმოადგენს სერიოზულ პრობლემას და უგულებელყოფს ეროვნულ საზღვრებს.

ამერიკელმა პოლიტოლოგმა და საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარმა, პროფესორმა არიელ კოენმა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს ჰიბრიდული ომის მსხვერპლი უწოდა და მასთან ბრძოლის გზებზე ისაუბრა: „ჰიბრიდული ომის საფრთხე ისტორიული გამოწვევაა, რომელიც ათასობით წელია არსებობს, როდესაც ხშირ შემთხვევაში დაძაბულობა სრულმასშტაბიან ომში არ გადაიზრდება. საჭიროა ვისწავლოთ, თუ როგორ გავუმკლავდეთ მსგავს კრიზისებს. ეს არის გამოწვევა, რომელიც არა მხოლოდ თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული



ძალების წინაშე დგას, არამედ მოიცავს მთელ საზოგადოებას – პოლიციას, უსაფრთხოების სამსახურს, ეკონომიკურ მარეგულირებლებსა და აქტორებს. მნიშვნელოვანია, რომ ყველა, გადაწყვეტილების მიმღები თუ ოფიციალური სახელისუფლებო პირები, მაღალი რანგის სამხედრო ოფიცრები და მაღალი დონის დიპლომატები კარგად უნდა იყვნენ ინფორმირებული და არსებობდეს უწყებათაშორისი კოორდინაცია. ფინანსთა სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, პოლიცია და უსაფრთხოების სამსახური შეიარაღებულ ძალებთან ერთად უნდა შეებრძოლონ ამ საფრთხეს. ამიტომაც საჭიროა კარგად გვესმოდეს, რომ ეს არის მრავალმხრივი საფრთხე და უნდა შევიმუშაოთ მასთან ბრძოლის პროცედურები. საჭიროა საზოგადოება იყოს ინფორმირებული, რათა კარგად ესმოდეს, რომ ქვეყნის ხელისუფლება და განსაკუთრებით მთავრობა, მას და მის უფლებებს არ ზღუდავს. ამ გამოწვევის დამარცხება შესაძლებელია ძლიერი, ღია და თავისუფალი საზოგადოების მეშვეობით, რომელსაც შესწევს უნარი დაიცვას საკუთარი თავი.

წიგნი ეხება საერთაშორისო ურთიერთობათა ისეთ მნიშვნელოვან მოვლენას, როგორიც არის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის მნიშვნელობა საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტში. აქვე ყურადღება გამახვილებულია „ცივი ომის“ შემდეგ აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ფორმულირების გეოპოლიტიკურ ასპექტებზე. მასში განხილული პრობლემა ასახულია მაღალ მეცნიერულ დონეზე და კარგად არის გარჩეული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა ქვეყნის ეროვნული ინტერესების ჩამოყალიბებისა და კონცეფტუალიზაციის აქტუალობა საერთაშორისო ურთიერთობების პროცესებში, აშშ-ს და საქართველოს მაგალითებზე. აღნიშნული კვლევითი ნაშრომი ძალიან ინფორმაციულია და განკუთვნილია საზოგადოების ფართო ფენებისთვის.

წიგნის ავტორები სათანადო დონეზე იყენებენ პოლი-

ტიკური ანალიზის კვლევის მეთოდებს, მოჰყავთ არგუმენტირებული ფაქტები და შესაბამის ლიტერატურაზე დაყრდნობით ასაბუთებენ ეროვნული უსაფრთხოების პრობლემატიკის მნიშვნელობას საერთაშორისო უსაფრთხოების პროცესებისთვის და ამის მაგალითად, მოჰყავთ რამოდენიმე საყურადღებო კონცეფციის ანალიზი და ტერმინების განმარტებანი – მაგალითად: „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია და „უსაფრთხოების დილემის“ და „უსაფრთხოების ჩიხის“ დეფინიციების მაგალითები.

მსოფლიო პოლიტიკურ სისტემაში მშვიდობისა და სტაბილურობის მიღწევის მიზნით, რომელშიც აქტიურ როლს თამაშობს საქართველო, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთო გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ (გეოპოლიტიკური პროცესების შეფასება სამხედრო-პოლიტიკური ანალიზის კონტექსტში) პროცესების წარმართვის ტენდეციებს. ამ პროცესებში ღირსეული ადგილის დამკვიდრებისთვის საჭიროა შესაბამისი სტრატეგიული მიდგომების შემუშავება და განვითარების მოვლენების განჭვრეტა საქართველოს ეროვნული ინტერესების (სასიცოცხლო, მნიშვნელოვანი, მთავარი და პერიფერიული) გამომდინარე. ამის პარალელურად უნდა დაიწყოს არსებული საკითხების მოგვარება, რომელთა გადაწყვეტაც დღესვეა შესაძლებელი. აღნიშნული კუთხით უპრიანია განიხილებოდეს პრობლემები, რომელთა გადაჭრაც უახლოესი მომავლის ამოცანას წარმოადგენს, გამოიკვეთოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის და გეოპოლიტიკური განვითარების სტრატეგიული მიმართულებები. ამის შესაბამისად შემუშავდეს პრობლემათა მოგვარების ეტაპობრივი გეგმა, დაიწყოს საქმიანობა მისი პრაქტიკული განხორციელებისთვის, რისთვისაც უნდა ამოქმედდეს სახელმწიფოს და საზოგადოების განკარგულებაში არსებული ყველა მექანიზმი. ამისთვის კი აუცილებელია ამოივსოს ის „დეფიციტი“, რომელიც არსებობს საქართველოში ასეთი სპეციფიკური ლიტერატურის და კვლევითი



ნაშრომების სახით, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანასაც ასრულებს აღნიშნული წიგნი. სწორედ ასეთი სახის ნაშრომების და წიგნების რაც შეიძლება მეტი გამოცემა მისცემს საშუალებას საქართველოს სახელისუფლო, აკადემიურ, საექსპერტო, არასამთავრობო და სტუდენტ-მოსწავლეთა წრის წარმომადგენლებს ჰქონდეთ უკეთესი წარმოდგენა საერთშორისო და ეროვნული უსაფრთხოების მოვლენებსა და პროცესებზე და სწორად გამოიტანონ სათანადო დასკვნები.

პატივისცემით,

ზურაბ აბაშიძე
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს
ასოცირებული პროფესორი

### *Annotation*

The monograph analyzes impact of concept of security on realities of 21st century of International Politics and being transition adapted World Order polarity. The international relations system is changing and due to Globalization process has been converting into new modalities, labeled as "Global Security". In aegis of the modality, the states, main actors of the international politics, were not exposed to specific types of threats become more vulnerable and the states are becoming vulnerable too. The main purpose of the international society at time being is to eliminate the threats already have been transformed into as "asymmetric" dimension and with this pattern is being formed new dimension of international politics – international security and international security regime. The new identification of security and international security in form of systemic approach is based on the international security in form of systemic approach is based on concept of "Cooperative Security" where the threats could be viewed from non-military dimension that is very close to the Copenhagen School approaches stemming from the international relations theoretical background. As it is known the security studies cover the agenda that has been modified more dynamically especially over two recent decades. The research of security concept and studies is linked to analyze and review these type of threats. Hence, having considered the security concept from human collectivities standpoint that is affected by factors in five major sectors (*military, political, economic, societal* and *environmental*), at time being, is possible to identify and analyzes the processes of contemporary international security from three major sector frame:

- ✓ ***Political security sector*** – *concerns the organizational stability of states, systems of government and the ideologies that give them legitimacy with focused on case-study in what polarity implies ongoing World Order;*
- ✓ ***Economic security sector*** – *concerns access to the resources, finance and markets necessary to sustain acceptable levels of welfare and state power with focused on case-study of energy security and energy geopolitics;*
- ✓ ***Information security sector*** (*new one identified by the authors of the book*) – *concerns the dependence of international society on technological infrastructure development complexity that is linked with global information network – internet, social media, telecommunication network which vulnerability could cause international major crisis at global level. The sector survey is focused on case-study's methodology on* hybrid war between Russia and Ukraine and on how "Daesh" uses of social media for promoting is agenda.



The aim of this book is not to dispute the ultimate primacy of states as key actors of the international political system but to set them into much broader context of security theory more affected on Global Security – "cooperative security" concept in order to analyze and review the modality upon to which is possible to evade consequences of asymmetric threats at international and regional levels.

# შესავალი

უსაფრთხოების თემა ყოველთვის წარმოადგენდა საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი კვლევის ობიექტს სულ მცირე 60 წლის განმავლობაში, განსაკუთრებით „ცივი ომის“ დაწყებისთანავე. ამავე დროს არის მოსაზრება, რომ საერთაშორისო ურთიერთობები წარმოადგენს მსოფლიოს გადარჩენის ხელოვნების შესწავლის მეცნიერებას, სადაც უსაფრთხოების ასპექტი წარმოადგენს მის მაღალი დონის ანალიზის საფეხურს და კვლევის უფრო ფართო მოდელს[1] (პრინციპში სტრატეგიული კვლევების მიმართულება, რომელიც მოიცავს მასობრივი განადგურების შეიარაღების და მისი გავრცელების თემას, ასეთნაირად შეიძლება იქნეს წარმოჩენილი). თუმცალა უსაფრთხოების პრობლემატიკა გახდა აქტუალური საკითხი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც კაცობრიობა დაფიქრდა, თუ რა ტრაგიკული შედეგები მოიტანა მთლიანად კაცობრიობისთვის ამ ომმა. ამიტომაც საერთაშორისო პოლიტიკური სისტემის ახლებურად ჩამოყალიბების პირობებში კიდევ უფრო მეტად იზრდება უსაფრთხოების როლი და ადგილი ამ სისტემის შემდგომი განვითარების საქმეში. უკვე შემოვიდა სპეციალური ტერმინი, ***გლობალური უსაფრთხოება***[2]. ასეთი „გლობალიზაციის“

[1] Karl Deutsch “The Analysis of International Relations”, Englewood Cliffs, N.J.: Princeton University, USA, 1968, ix

[2] ***გლობალური** (ისევე როგორც **რეგიონული**) **უსაფრთხოება** – არის უსაფრთხოების ისეთი მოდელი, რომელიც ხორციელდება საერთაშორისო და სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციების მეშვეობით, რომელიც დაფუძნებულია საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და ნორმებზე, რომელთა განხორციელება აიძულებს სახელმწიფოებს, როგორც საერთასორისო პოლიტიკის აქტორებს, უფრო მეტად გაუფრთხილდნენ სუვერენიტეტს ან მის უხეშ დარღვევაზე პასუხი აგონ.* სწორედ საერთაშორისო სამართლი პრინციპები, ნორმები, ისევე როგორც საერთაშორისო საქნციები განკუთვნილია აქტორებისთვის. თუმცალა, რეალურ სივრცეში, გლო-



პირობებში გარკვეულწილად შეიცვალა მსოფლიო პოლიტიკური სისტემა და მისი შემადგენელი ელემენტები. ასეთი გაფართოებული ფორმატის ფარგლებში კიდევ უფრო ფართო ხდება მასში მონიწილე აქტორების რაოდენობა, რომელთა შორის მოაზრებიან – სახელმწიფოები, საერთაშორისო ორგანიზაციები და არა-სამთავრობო ორგანიზაციები. ამასთან ერთად, ზოგიერთი მკვლევარის მიერ ასეთი სახის სისტემაში შეყვანილი არიან ისეთი ტიპის აქტორები, როგორებიცაა: მრავალეროვნული კორპორაციები (როგორც არა-სამთავრობო ორგანიზაციების ნაირსახეობა მოქმედნი მაღალი დონის პოლიტიკურ არენაზე)[1], ასევე მოგვიანებით გამოჩნდნენ თვისობრივად ახალი სახის აქტორები, რომლებსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ „ჰიბრიდული აქტორები“, რომლებსაც გააჩნიათ საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის აქტორებისთვის დამახასიათებელი კომბინერებული ნიშან-თვისებები (ამაზე ქვემოთ ვისაუბებთ). ამ კონტექსტში აღსანიშნავია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ 21-ე საუკუნეში საერთაშორისო პოლიტიკური და საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემებისთვის დამახასიათებელია ახალი ტიპის აქტორთა და მოვლენების შემდეგი სახის ერთობლიობა: გლობალური ვაჭრობა და ფინანსები, საკომუნიკაციო და საინფორმაციო ქსელები (ვირტუალური გარემო და კიბერუსაფრთხოება, სადაც არ არსებობს არავითარი რეგულაცია), სოციალური და რელიგიური მოძრაობები, კულტურული ტრანსფორმაცია, ისევე როგორც სიღარიბე, სიდუხჭირე და მათთან დაკავშირებული პრობლემები („სამხრეთ-სამხრეთ“

ბალური უსაფრთხოება შეიძლება აღმოჩნდეს კონკრეტული საფრთხეების წინაშე, რომელიც არ გამომდინარეობენ სახელმწიფოებისგან და საერთაშორისო სამართალიც კი უძლურია რაიმე ფორმით აღკვეთოს ისინი – მაგალითად, „ისლამური სახალიფოს-დაიშის“ ფენომენი.

[1] O. Kreijci “Mezinarodni politika”, EKOPRESS, Praha, Czech Republic, 2007

გეოპოლიტიკური მოდელი)[1]. უსაფრთხოება, მეორეს მხრივ, როგორც ტერმინი გამოიყენება საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზისა და პრაქტიკული გამოყენების მოდელირებისას. აღნიშნული გარემოება გასაკვირი არ უნდა იყოს, რადგანაც საერთაშორისო უსაფრთხოება და საერთაშორისო ურთიერთობები, როგორც სამეცნიერო მიმართულებები ჩამოყალიბდნენ ერთდროულად და მათი დაფუძნების პერიოდად ითვლება გასული საუკუნის დასაწყისი (უფრო კონკრეტულად 1916-1919 წლები) და ორივე მიმართულებას გააჩნია ინტერდისციპლინარული წარმომავლობა. დიდ ბრიტანეთში ჯერ კიდევ 1916 წელს გამოცემული „საერთაშორისო ურთიერთობათა შესწავლის შესავალი" დაწერილი იყო რამდენიმე ავტორის მიერ, რომლებიც წარმოადგენდნენ სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინას (ისტორია, სამართალი, ეკონომიკა, ფილოსოფია), ანუ იყო ერთგვარი „სინთეზი" ან კვინტესენცია სხვადასხვა სამეცნიერო დარგის[2]. საერთაშორისო ურთიერთობები, როგორც სამეცნიერო ტერმინი, პირველად გამოიყენა, თითქმის ორასი წლის წინ ბრიტანელმა ფილოსოფოსმა ჯერემი ბენთამმა[3]. მოგვაინებით კი ქუინსი რაიტის ნაშრომში „საერთაშორისო ურთიერთობათა შესწავლა" აღნიშნულია, რომ საერთაშორისო ურთიერთობათა დისციპლინა თორმეტი სხვადასხვა დარგიდან ლებულობს „შევსებას"[4]. ამავე დროს, საერთაშორისო ურთიერთობები ასევე განიხილებოდა ისეთ სამეცნიერო და უკვე აკადემიურ დარგად, რომლის მეოხებითაც და რომლის მეთოდოლოგიის

---

[1] R.J. Barnet and J. Cavangh "Global Dreams: Imperial Corporations and the New World Order", Simon and Schuster, New York, 1994, pp.50-51

[2] ალექსანდრე რონდელი „საერთაშორისო ურთიერთობები", მესამე განახლებული გამოცემა, გამომცემლობა „ნეკერი", თბილისი, 2006 წელი, გვ.9

[3] იქვე, გვ.10

[4] Q. Wright "The Study of International Relations", New-York, Appleton Century-Crofts, 1955



საშუალებითაც, შეიძლებოდა ახალი გლობალური პრობლემების დაძლევა და ძველი პრობლემების უკეთ აღქმა[1]. ამ მოსაზრებას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ დღევანდელ პირობებში, ხორციელდება რევოლუციური გარდაქმნები, როგორც თვისობრივი, ისე ხარისხობრივი ხასიათის, რომლებიც ცვლიან უშუალოდ საერთაშორისო ურთიერთობების არსსაც. საქმე იმაშია, რომ მიმდინარე საერთაშორისო პოლიტიკური მოვლენები გლობალიზაციის პროცესში იმ ფარგლებშია, სადაც წინა საუკუნეებში ჩამოყალიბებული პოლარულობის საერთაშორისო რეჟიმი ნიველირდება[2]. უკვე გაჩნდა ისეთი ცნებები, როგორებიცაა: „ასიმეტრიული საფრთხეები", „გამოწვევები", „გლობალისტიკა", „კიბერომი", „ენერგოუსაფრთხოება", „თანამშრომლობითი უსაფრთხოების პრინციპი", „პიროვნების უსაფრთხოება", „ეთნიკური წმენდა", „გლობალიზმი" და ა.შ. ფაქტიურად თვისობრივად იცვლება ის საერთაშორისო ურთიერთობების გარემო, სადაც მოქმედებს საქართველო და ჩვენი ქვეყანა უკვე გახდა მონდიალისტური სამყაროს განუყოფელი ნევრი. რაც შეეხება საერთაშორისო უსაფრთხოებას, ისიც წარმოადგენს მრავალდარგობრივ და ინტერდისციპლინარულ მიმდინარეობას, რომელიც თავის თავში აერთიანებს ისეთ სამეცნიერო დარგებს, როგორებიცაა – გეოპოლიტიკა, სამხედრო მეცნიერება, სტრატეგიული კვლევები, გეოეკონომიკა, ენერგეტიკული უსაფრთხოება, კონფლიქტოლოგია, პოლიტილოგია

-23399-

---

[1] F.S. Dunn "The Scope of International Relations", World Politics, 1 October, 1948, p.142

[2] **პოლარობა** – *განსაზღვრულ სისტემაში გარკვეული მნიშვნელოვანი აქტორების ქმედება, რომლებიც განსაზღვრავენ მის არსს და თვით ამ აქტორების წყობას, რომლის მიმართაც სხვა აქტორებს უწევთ გამოხმაურება (კოალიციების შექმნის ან მიუმხრობლობის დეკლარაციის გზით). პოლარობას გააჩნია რამოდენიმე ნაირსახეობა: უნიპოლარობა – ერთი სუპერ-სახელმწიფოს სრული ჰეგემონობა, ბიპოლარობა, ტრიპოლარობა და ა.შ.*



კავკასიის საერთაშორისო
უნივერსიტეტის
ბიბლიოთეკა

და ა.შ. საერთაშორისო უსაფრთხოების კუთხით კი განვითარდა და გამოჩნდა ისეთი ახალი ტერმინები, როგორებიცაა: *ომი და მშვიდობა, ძალთა ბალანსის კონცეფცია, შეიარაღების რბოლა*[i], *შეიარაღებაზე კონტროლი*[ii] და *განიარაღება*[iii], რომლებიც გადაიქცნენ 1919 წელს ჩანასახში მყოფი საერთაშორისო ურთიერთობების სამეცნიერო დისციპლინის განუყოფელ ნაწილებად (აბერისვიტის უნივერსიტეტი). სწორედ საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემატიკის და თემატიკის ურთიერთგადაკვეთა მოხდა 21-ე საუკუნეში, როდესაც საერთაშორისო პოლიტიკის[1] პრაქტიკულ არენაზე გამოვიდა ისეთი საინტერესო კონცეფცია, რომელსაც წარმოადგენს ურთიერთდამოკიდებულების თეორია. ურთიერთდამოკიდებულება ყველაზე მეტად უსაფრთხოებაზე ახდენს გავლენას, კერძოდ – სახელმწიფოების მიერ თავიანთ ტერიტორიების დასაცავად მიღებული ზომებზე. სხვა საგარეო პოლიტიკური მიზნების მსგავსად, ერთი სახელმწიფოს უსაფრთხოება სხვა სახელმწიფოების ქცევაზეა დამოკიდებული. სწორედ ეს წარმოშობს უსაფრთხოების დილემას, რომლის წინაშეც ყოველი სახელმწიფო დგას, ანუ საკუთარი უსაფრთხოების დაცვის ან განმტკიცების მიზნით სახელმწიფომ უნდა მიიღოს ისეთი სახის ზომები, რომლებიც სხვა სახელმწიფოთა უსაფრთხოებას ამცირებს. ამის გამო, ამ სახელმწიფოებმა შეიძლება საპასუხო ზომებს მიმართონ, რომლებიც პირველი სახელმწიფოს ქმედებების გაუვნებელყოფას ემსახურება და შეიძლება მას საფრთხეც კი შეუქმნას. ამას შეიძლება მოყ-

---

[1] **საერთაშორისო პოლიტიკა** – *ტერმინი, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობებში ხშირად გამოიყენება როგორც სინონიმი მსოფლიო პოლიტიკის, გლობალური პოლიტიკის ან საერთაშორისო ურთიერთობებისა. ზოგად კუთხით, საერთაშორისო პოლიტიკა არის ყველა სახის პოლიტიკური პროცესების აკუმულირება, რომელიც არსებობს მსოფლიოში მოქმედი აქტორებს-სახელმწიფოებს შორის.*



ვეს საპასუხო რეაქცია და ეს შეიძლება გაგრძელდეს უსასრულოდ[1].

ზოგად კონტექსტში აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ *ტერმინი* ***„საერთაშორისო უსაფრთხოება“*** შემოვიდა ხმარებაში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც მისი გამოყენება განხორციელდა ერთა ლიგის ფორმატში და ასოცირდებოდა კოლექტიურ უსაფრთხოების კონცეფციასთან ევროპაში ანუ ვუდრო ვილსონის იდეასთან. *ამ იდეის ფარგლებში იგულისხმებოდა ერთის მხრივ მუდმივი მშვიდობის დამყარება და ომის გამოცხადება უკანონო ქმედებად, რაც განხორციელდა კიდევაც ე.წ. „კელოგ-ბრიანის“ პაქტის მიღებით 1928 წელს.* ერთა ლიგის წარუმატებელი მოდელის შემდეგ, 1945 წელს დაარსდა ახალი მოდელი საერთაშორისო კოლექტიური უსაფრთხოების სისტემისა. მის წესდებაში აისახა „საერთაშორისო უსაფრთხოების“ ზუსტი დეფინიცია, ხოლო მისი აკადემიურ წრეებში განხორციელება მოხდა მე-20 საუკუნის 40-50 წლებში აშშ-ში. თვით ტერმინი უკვე გახდა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის განუყოფელი ნაწილი.

საინტერესო ფაქტორს შეადგენს ასევე რეგიონული უსაფრთხოების რაობის გარკვევა და მისი ბმულობა გლობალური უსაფრთხოების პირობებთან. 21-ე საუკუნის დასაწყისში, გეოპოლიტიკურმა ფრაგმენტაციის საკითხმა, მსოფლიო პოლიტიკური სისტემის „სპეციალური ზონების“ (რეგიონალიზაციის ფენომენმა) დანაწილების კონტექსტში, მიიღო ძალიან მნიშვნელოვანი ტენდენცია. „ცივი ომის“ დასასრულს, კავკასიის რეგიონმა მიიღო განსაკუთრებული გეოპოლიტიკური სივრცის სტატუსი და გარდაიქმნა ე.წ. „გეოპოლიტიკურ კარიბჭედ“ – როგორ რეგიონებადაც თავის

---

[1] არტი ჯერვისი „საერთაშორისო პოლიტიკა: მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსი გამომცემლობა, თბილისი, 2011 წელი, გვ.3

დროზე მოიაზრებოდა ცენტრალური ევროპა ან კარიბის ზღვის არეალი. მას შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა შავი ზღვის აუზის ბასეინის ადგილი მსოფლიო პოლიტიკაში – კავკასიის რეგიონი გარდაიქმნა ისეთივე განსაკუთრებული მნიშვნელობის სივრცედ, როგორიც მისი „სარკისებური“ სივრცე – ბალკანეთის რეგიონი 1990 წლის დასაწყისში. განსაკუთრებული გეოგრაფიული პირობების გათვალისწინებით კავკასიის რეგიონმა შეიძლება ითამაშოს ე.წ. „მშვიდობიანი ბუფერის“ როლი დასავლეთის, ისლამური და სლავური ცივილიზაციებს შორის (ჰანტიგტონისეული „ცივილიზაციათა დაპირისპირების“ გეოპოლიტიკურ მოდელირების მიხედვით) და განსაზღვროს ქრისტიანული, კონფუციური, ბუდისტური და ისლამური კონფესიებს შორის მშვიდობიანი თანაარსებობის „კუნძულის“ ფუნქცია. ამ ეტაპზე, კავკასიის რეგიონი უკვე შეიქმნა ე.წ. „ახალი ცივი ომის“ გეოსტრატეგიული დაპისპირების ეპიცენტრი, რომელიც მოგვიანებით გარდაიქმნება უკვე „მშვიდობიანი თანაარსებობის“ ცენტრად – კავკასიის გეოსტრატად[1].

საერთაშორისო სისტემა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა, თითქმის მთლიანად შეიცვალა, რაც გამოწვეულია ახალი დიდი სახელმწიფოების წარმოქმნით, ეკონომიკის გლობალიზაციით, შედარებითი სიმდიდრისა და ეკონომიკური ძალის დასავლეთიდან აღმოსავლეთით ისტორიული გადანაცვლებითა და არასახელმწიფო აქტორების მზარდი გავლენით. თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში გლობალური მრავალპოლუსიანი სისტემა არსებობს, რომელშიც განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების სახელმწიფო ძლიერებას შორის განსხვავება სულ უფრო და

[1] Ernst M. Felberbaure, Frederic Labarre and George Niculescu (Eds.) “Apprehending Shifts in Status over Time” The Quest for Strategic Patience in the South Caucasus”, Band 22/2015, 11$^{th}$ Workshop of the PfP Consortium Study Group “Regional Stability in the South Caucasus”, Vienna, May 2015, p.77



უფრო შემცირდება. აუცილებლობა იმისა, რომ სახელმწიფოებმა გააკონტროლონ ესა თუ ის სივრცე განაპირობებს მსოფლიოში ერთგვარ წონასწორობას, რათა შენარჩუნებული იქნეს მსოფლიო სტაბილურობა და წესრიგი სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებსა და საერთაშორისო ეკონომიკური კონტაქტების დამყარების დროს.

საერთაშორისო ურთიერთობების ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრებით, ტერორიზმი, ბირთვული იარაღის გავრცელება და კონფლიქტები დღემდე რჩება საერთაშორისო უსაფრთხოების ძირითად პრობლემად. ნაკლებად სავარაუდოა, რომ 2030 წლისთვის ტერორიზმი გაქრება, მაგრამ შეიძლება შემცირდეს თუ ახლო აღმოსავლეთში ეკონომიკური ზრდა გაგრძელდება და ახალგაზრდებს შორის უმუშევრობა შემცირდება .შესაძლოა განახლდეს კონფლიქტის ისეთი სახეობები, როგორიცაა მაგალითად, დაპირისპირება რესურსების გამო. ენერგიის ნავარაუდევი დეფიციტი ქვეყნებს უბიძგებს იმოქმედონ ენერგეტიკული მარაგის უზრუნველყოფად. თუმცალა ასეთი მოსაზრებები წარმოადგენს ძალიან მარტივ დებულებებს და პირიქით გლობალიზაციის ფაქტორი, ბირთვული ტექნოლოგიებისა და ექსპერტული ცოდნის კიდევ უფრო გავრცელება შეშფოთებას იწვევს ახალი ბირთვული სახელმწიფოების შესაძლო წარმოქმნისა და ტერიტორიული ჯგუფების მიერ ბირთვული მასალების ხელში ჩაგდების გამო. მომავალში ბირთვული იარაღის გამოყენება სავარაუდოდ მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ ცვლილებებს გამოიწვევს, რადგან ზოგიერთი სახელმწიფო ეცდება დაამყაროს ან გააძლიეროს კავშირები ბირთვული იარაღის მფლობელ სახელმწიფოებთან, ხოლო სხვები გლობალური ბირთვული განიარაღებისთვის ბრძოლას დაიწყებენ[1]. თანა-

[1] თათია ჯოლოხავა „ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობები თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენების ფონზე“ (სამაგისტრო ნაშრომი), კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,

მედროვე პერიოდში ყველამ გააცნობიერა, რომ მსოფლიო, მარშალ მაკლუენის თქმით ერთ დიდ „გლობალურ სოფლად“ იქცა. გლობალიზაციის ფენომენმა შეცვალა პოლიტიკის არსებული გაგება და ჩვენი წარმოდგენა პოლიტიკური ურთიერთობების თაობაზე. მაგალითად, კლასიკური შეხედულებები ყველაფერში სახელმწიფოს დომინირებას გულისხმობდა და არსებობდა დიდი ზღვარი საშინაო და საგარეოს პოლიტიკას შორის. გლობალიზაციამ კი არათუ შეამცირა არამედ შეგვიძლია თქვათ, რომ თითქმის გააქრო კიდეც ეს სხვაობა. რა თქმა უნდა, მართალია, რომ ჯერჯერობით ეროვნული სახელმწიფოები მაინც ინარჩუნებენ წამყვან როლს მსოფლიო პოლიტიკაზე, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს საერთაშორისო ორგანიზაციების და ზეეროვნული სტრუქტურების მზარდი გავლენა.

უსაფრთხოება განსაკუთრებით აქტუალურია გლობალიზაციის ეპოქაში, როცა ეკონომიზაცია, დემოკრატიზაცია, ინფორმატიზაცია ქმნის განვითარებისათვის უპრეცედენტო შესაძლებლობებს, მაგრამ ამავე დროს აქცევს საერთაშორისო ურთიერთობების სისტემას უფრო დაუცველად ისეთი გამოწვევებისათვის როგორიცაა ტერორიზმი, მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენება. როგორც უკვე ვნახეთ ამერიკა – ჩინეთის ურთიერთობებში ტერორიზმის საფრთხეა დიალოგის მასტიმულირებელი მთავარი ფაქტორი. ეს ორი ქვეყანა ასევე აქტიურად თანამშრომლობს თანამედროვე პერიოდის ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორიცაა მაგალითად, მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელობა, კლიმატური ცვლილებები და ა.შ აღსანიშნავია, რომ ბოლო ბერიოდში შეერთებულმა შტატებმა და ჩინეთმა ჩრდილოეთ კორეისთვის ახალი სანქციების დაწესების შესახებ შეთანხმებას მიაღწიეს. გაეროს სანქციები ჩრდილოეთ

საერთაშრისო ურთიერთობების და საერთშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა, თბილისი, 2017 წელი,.გვ.64-65



კორეას ახლახან ჩატარებული ბირთვული იარაღის და შორი რადიუსის ბალისტიკური რაკეტების გამოცდისთვის დაუწესდება.

გლობალური გამოწვევების ერთ-ერთ კომპონენტად განიხილება გლობალური ქსელი – ინტერნეტი და კიბერსივრციდან მომდინარე საფრთხეები: კიბერომი, კიბერშეტევა, ან სხვადასხვა სახის კიბერდანაშაულები, რომლებმაც შესაძლოა სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენოს საერთაშორისო უსაფრთხოება და ქვეყნის სტრატეგიული ინტერესები. ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები გარკვეულ შესაძლებლობებს აძლევს ავტორიტარულ რეჟიმებს, რეპრესიულ ხელისუფლებას, ტერორისტულ ორგანიზაციებს, კრიმინალურ სამყაროს, მით უფრო დღეს, როცა კიბერ და საინფორმაციო უსაფრთხოების საკითხებმა სპეცილიზირებული კონფერენციებიდან საჯარო პოლიტიკის სფეროში გადაინაცვლა.

განსაკუთრებით აქტუალური საკითხი შეიძინა სწორედ გლობალური უსაფრთხოების კონტექსტში, კიბერუსაფრთხოების მიმართულებამ. კიბერუსაფრთხოება გადაიქცა იმ „უხილავ ხელად“, როგორც თავის დროზე წარმოადგენდა საერთაშორისო ეკონომიკური პრობლემატიკა, რასაც თავის დროზე აფიქსირებდა ადამ სმიტი. კიბერუსაფრთხოების სფეროში არსებული სამი უდიდესი მოთამაშისგან აშშ, რუსეთი, ჩინეთი კიბერთავდასხმებზე ბრალდება რუსეთის ან ჩინეთის მისამართით ისმის, მაშინ როდესაც ამ ორ სახელმწიფოს შორის კიბერსაფრთხეების სფეროში, რაიმე ხმაურიან ინციდენტს ადგილი არ ჰქონია, რაც ლოგიკურს ხდის მათ ალიანსს. ჩინეთის მხრიდან ორგანიზებული კიბერთავდასხმების სამიზნეს ძირითადად კომერციული საიდუმლო ინფორმაცია წარმოადგენს, ხოლო რუსეთი აქტიურად იყენებს კიბერელემენტს სამხედრო და გეოპოლიტიკური უპირატესობის მოსაპოვებლად. კიბერსივრციდან მომდინარე საფრთხეებს შეუძლიათ სერიოზული ზიანი მიაყენონ ცივილიზებულ სამყაროს, ეროვნულ თუ საერთაშორისო უსაფ-

რთხოებას: ბოლო პერიოდის საბრძოლო დაპირისპირებების უმრავლესობას, ლიბიის ომს, ნაწილობრივ სირიის კონფლიქტს ახასიათებდათ კიბერდაპირისპირება, ხოლო კიბერშპიონაჟი და კიბერდივერსიები საერთაშორისო ურთიერთობებს მუდმივ ფონად გასდევს.

ამრიგად, უსაფრთხოების ცნება ოცდამეერთე საუკუნეში მნიშვნელოვნად იცვლება, რაც დაკავშირებულია თანამედროვე გამოწვევების, რისკებისა და საფრთხეების მრავალფეროვნების ზრდასთან. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილებები. კლიმატის ცვლილებები გლობალური პრობლემაა და ამ პრობლემის მოგვარებაში ყველა სახელმწიფომ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს. ქვეყნებმა უნდა იზრუნონ სწორი გარემოსდაცვითი პოლიტიკის შემუშავებასა და დანერგვაზე, სათბურის გაზის შემცირებასა და ეფექტური საადაპტაციო ღონისძიებების გატარებაზე. მსოფლი ქვეყნების უმრავლესობა თანხვდება, რომ კაცობრიობას მნიშვნელოვანი დამატებითი ძალისხმევა ესაჭიროება იმისათვის, რომ შეინარჩუნოს მდგრადი განვითარების პერსპექტივები.

გლობალური დათბობა უმნიშვნელოვანესი საკითხი და უმთავრესი პრობლემაა დღევანდელი მსოფლიოსათვის. მიუხედავად იმისა, რომ გლობალური დათბობის შესახებ ჯერ კიდევ 1895 წელს, ცნობილმა ალქიმიკოსმა ს.არენიუსმა იწინასწარმეტყველა, ამ საკითხმა აქტუალობა მხოლოდ თანამედროვე პერიოდში მოიპოვა. გლობალური დათბობა გლობალიზაციის ნამდვილ გამოწვევად გადაიქცა. განვითარების წარმატებებმა, განსაკუთრებით ინდოეთსა და ჩინეთში, უზრუნველყო ეს ქვეყნები ენერგიის მოხმარების გასაზრდელად აუცილებელი ეკონომიკური საშუალებებით. მაგრამ მსოფლიო გარემო ვერ უმკლავდება ასეთ შემოტევას. მაგ.მსოფლიოს ათი ყველაზე დაბინძურებული ქალაქიდან



ექვსი ჩინეთში მდებარეობს.[1]

უსაფრთხოების თეორიის შემადგენელ აუცილებელ „შიგთავს" წარმოადგენს საფრთხეების რაობა, მათი კლასიფიკაცია და ტიპოლოგია. განსაკუთრებით 21-ე საუკუნეში, გლობალური უსაფრთხოების პირობებში, გამოიკვეთა ახალი, მანამდე (მხედველობაშია 20-ე საუკუნეში არსებული საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემა) უცნობი მოვლენა, ასიმეტრიულობა. ამ შემთხვევაში, ტერმინი ***ასიმეტრიულობა*** *– არის საერთო შედარებითობის საფუძვლის არარსებობა, შესაძლებლობათა ასპექტი, რომელთა შედარება წარსულის გამოცდილებასთან შეუძლებელია*[2]. ასიმეტრიულობის ცნება უსაფრთხოების თეორიის ფარგლებში, რათქმაუნდა, დაკავშირებულია ისეთ ფენომენთან, რასაც წარმოადგენს *ასიმეტრიული საფრთხეები.* ***ასიმეტრიული საფრთხე*** *– ისეთი სახის საფრთხეა, რომელიც მიმართულია მოწყვლადი ადგილებისკენ, რომლებიც დარჩენილი არიან ყურადღების მიღმა თავდასხმის მიზნით ან მიმართული არიან უპირატესობის მოტანისთვის, როდესაც დარტყმის მიზანს შეზღუდული აქვს უნარი თავი დაიცვას*[3]". ამგვარი ფილოსოფიური განმარტება ისედაც წარმოაჩენს თუ რამდენად რთულად არიან ისინი აღსაქმელად და გასაანალიზებლად. უფრო მარტივად რომ ჩამოვაყალიბოთ, უფრო მარტივ ენაზე და უფრო მისადაგებულად საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემატიკასთან: ***ასიმეტრიული საფრთხე*** *– საფრთხის მასშტაბები, რომლის შედეგები უცნობია* (ავტორების პირადი დეფინიცია). მათ რიცხვში მოიაზრება სახელდობრ: ტერორიზმი, ბუნებრივი კატაკლიზმები, ჰიბრიდული ომი. ასიმეტრიუ-

---

[1] ჯ.სტიგლიცი, „როგორ ვამუშაოთ გლობალიზაცია", „რადარამი", თბილისი, 2013 წელი, გვ,738

[2] М.Мейгз «Эпоха стратегической асимметричности»/»Независимая газета», 18 октября, 2002 год,

[3] "New Challenges, New Tools for Defense Decisionmaking" Johnson S., Libicki M, Treverton G, editors, RAND, 2003, p.33

ლი საფრთხეებს გააჩნიათ სპეციფიკური სახის თავისებურებანი, რომელთაგანაც გამოსაყოფია შემდეგი ძირითადი:

- *ისინი უცნაურია ჩვენი ხედვით*
- *ისინი არასტანდარტულნი არიან, იგულისხმება რომ კლასიკური კონვენციური ომის კანონების მიხედვით მათი მიღებულობა შეუძლებელია*
- *ისინი რთულად აღიქმებიან ანალოგიური დარტყმის მიყენების მიზნით*
- *ისინი იქმნებიან არა მარტო მოწინააღმდეგის ობიექტების წინააღმდეგ, არამედ უნდა მოახდინონ კომპენსირება ან დაიყვანონ ნულამდე მოწინააღმდეგის უპირატესობანი*

რეალურად ასიმეტრიული საფრთხეების გამოყენება, როგორც სამხედრო და პოლიტიკური, ისევე ინფორმაციული ხასიათის, დაკავშირებულია საინტერესო ფორმულირებასთან, რომელიც შეიძლება გამოიხატოს შემდეგნაირად: „სუსტი მხარის დომინანტობა ან გამარჯვება ძლიერ მხარეზე". ფაქტიურად საუბარია ე.წ. „ლევიაფანისა და დავითის" გეოპოლიტიკურ მოდელზე, რომელსაც დიდი ხანია ისტორიულ მითოლოგიაში დაკავებული ჰქონდა დიდი ადგილი. უსაფრთხოების სფეროში მოღვაწე ზოგიერთი წამყვანი მკვლევარი თვლის, რომ ასიმეტრიული სახის სტრატეგიებს, სადაც მოიაზრება საფრთხეების გამოყენებაც, როგორც ბრძოლის მეთოდები, იყენებენ არა მხოლოდ „სუსტი" აქტორები, არამედ ისეთი სახის აქტორებიც, რომლებსაც გააჩნიათ გარკვეული სახის ძლიერება, მაგრამ არ შეუძლიათ რომ გაიღონ დიდი რაოდენობის მსხვერპლი, ისევე როგორც „სუსტი" აქტორები[1]. ამაში არის გარკვეული სახის ლოგიკაც, აშშ-ს ინტერვენცია სამხრეთ ვიეტნამში 1964 წელს და 8 წლიანი ე.წ. „ვიეტნამის" ომი აშშ-ს დაუჯდა 58220 სამხედრო მოსამსახურის სიცოცხლედ

[1] А. Кокошин «О стратегическом планировании в политике», М.: КомКнига, 2007, с.29



(47434 დაიღუპა უშუალოდ საბრძოლო მოქმედებისას, ხოლო 10786 კი ჭრილობებსი შედეგად)[1]. აღნიშნულმა მაღალი რაოდენობის მსხვერპლმა გამოიწვია მასობრივი ანტი-საომარი და პაციფისტური მოძრაობის განვითარება, რომლის შედეგიც გახდა აშშ-ს გეოპოლიტიკური პოზიციების დათმობა არა მარტო ვიეტნამში, არამედ მთელ ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე. ამავე კუთხით შეიძლება ხაზი გაესვას იმ ფაქტორს, რომ ასიმეტრიული სამხედრო მოქმედებები ხორციელდება შედარებით მცირე ტაქტიკური ძალებისა და საშუალებების განოყენებით მოწინააღმდეგის მოწყვლად ადგილებზე არაპროპორციული გავლენის მოხდენის მიზნით. მთავარი პოლიტიკური ამოცანა, იგივე გეოსტრატეგიულ დონეზე, არის მოწინააღმდეგის პოლიტიკური ნების შებღალვა და ასიმეტრიული სტრატეგიული მიზნების მიღწევა. აქედან გამომდინარე, ასიმეტრიულ სამხედრო მოქმედებებში გამოიყოფა ორი კომპონენტი: გამოყენებული ძალის არაპროპორციული ეფექტი და სტრატეგიულ გადაწყვეტილებების მიღების დონეზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების ან ზეწოლის მოხდენა[2].

რაც შეეხება „ასიმეტრიულობის" და კონკრეტულად, ასიმეტრიული საფრთხეების ტიპოლოგიას, გამოიყოფა შემდეგი ორი მიდგომა:

**პოლიტიკური ასიმეტრია:** *საუბარია როდესაც „სუსტი" აქტორი იყენებს „ძლიერის" წინააღმდეგ ისეთი სახის საინფორმაციო ტექნოლოგიებს და ახორციელებს იმ პოლიტიკურ ქმედებებს იმ გავლენის ზონებში, რომ დაიყვანოს მინიმუმამდე „ძლიერის" პოზიციები ამ ზონებში;*

**დროებითი ასიმეტრია:** *„სუსტი" აქტორი პოულობს სა-*

[1] Tom Valentine "How Many People Died in the Vietnam War", April 11, 2014 – see at: http://thevietnamwar.info/how-many-people-died-in-the-vietnam-war/

[2] K. McKenzie "The Revenge of the Melians: Asymmetric Threats and the next QDR", McNair Paper62. Washington Institute for National Strategic Studies, 2000, p.2

*შუალებას, რომ ისეთ დონეზე გაახანგრძლივოს კონფლიქტი, რომ „ძლიერ" აქტორს აღარ უღირდეს მისი არსებობა და აქცენტი გადატანილია „ძლიერი" აქტორის საზოგადოებრივი აზრის სათანადო მიმართულებით ფორმულირებაზე („ისლამური სახალიფოს" მასობრივი ტერორისტული თავდასხმები ევროკავშირის წამყვან ქვეყნებზე – საფრანგეთსა და გერმანიაზე);*

ამ შემთხვევაში უკვე საუბარია თვისობრივად ახალი სახის საფრთხეზე, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ იდიოსინკრეტიზმი. ***იდეოსინკრეტიზმი*** – *ახალი საშუალებათა გამოყენება შეიარაღებული ბრძოლის ახალი ან ძველი ხერხების სახით (იგულისხმება სამხედრო ტაქტიკური და ოპერატიულ-ტაქტიკური ამოცანები)*[1]. ამ შემთხვევაში მაგალითის მოსაყვანად შორს წასვლა არ დაგვჭირდება, რადგანაც ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში განხორციელებული 2001 წლის 11 სექტემბრის საშინელი ტერაქტები წარმოადგენენ იდიოსინკრეტიზმის გამოყენების ნათელ ფაქტს, ისევე როგორც „ისლამური სახალიფო-დაიშის" მიერ განხორციელებული საშინელი ტერაქტები ნიცასა და ბერლინში 2015-2016 წლებში. ასევე არსებობს ე.წ. „გაფართოებული უსაფრთხოების" კვლევის ფორმატიც, რომლის წარმომადგენლების მიხედვითაც გამოსაყოფია ორი სახის საფრთხეები:

- ✓ ***აქტორ-ცენტრული საფრთხეები:*** *მათ გამომწევ სუბიექტებს მიეკუთვნებიან უშუალოდ საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში მონაწილე აქტორები – სახელმწიფოები და ახალი ტიპის ისეთი აქტორებიც, როგორებიც არიან საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციები და ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებები, რომელთა ორივეს ინტერესებიც შეიძლება იყოს თანხვედრი;*

[1] О. Иванов «Военная сила в глобальной стратегии США», монография, «Восток-Запад», М., 2008 год, с.27



- ✓ ***ტრენდ-ცენტრული აქტორები:*** *მათი გამომწვევი მიზეზებს წარმოადგენენ გლობალური მასშტაბის ტენდენციები მაგალითად: მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება და მათი მომზადების და გადატანის არალეგალური ტექნოლოგიები, ეკოლოგიური კატასტროფები, არაკანონიერი არაკონტროლირებადი მიგრაცია, ე.წ. „გლობალური დათბობის ეფექტი" და ა.შ.*[1]

სწორედ ე.წ. „გაფართოებული უსაფრთხოების" თეორიის მომხრე მკვლევარების მიერ წამოყენებულია ახალი უსაფრთხოების მოდელი – „რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსის" სახით. მისი სათავე მოაზრება რეგიონული უსაფრთხოების სისტემაზე აგებულ ურთიერთობებზე. ამ მოდელის პოლსტულატები ეფუძნება სამხედრო-პოლიტიკურ თემატიკას და მისი კვლევის ფოკუსირება გადის პოსტ-ბიპოლარული მოვლენების ანალიზზე. მისი მიმართულება ემყარება რეგიონული მოდალობების ავტონომიურობის პრინციპს და პრიმატს ანიჭებს რეგიონის გეოპოლიტიკური სტატუსს. ამის საფუძველს წარმოადგენს უსაფრთხოების ურთიერთდამოკიდებულების პრინციპი, რომელიც ხასიათდება უშუალოდ ამ სივრცეში მოქმედი ქვეყნების ინტენსიური ურთიერთობებით, ვიდრე სივრცის გარეთ მოქმედ ქვეყნებს შორის. ამის მაგალითს შეიძლება წარმოადგენდეს ჩრდილოეთ ამერიკის რეგიონი, სადაც მექსიკა, კანადა და აშშ გაერთიანებულნი არიან ასეთი სახის „რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსის" ფორმატში, რომელსაც ეწოდება „ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება" (NAFTA – North American Free Trade Agreement). საერთო ჯამში, ***რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსი –*** *ქვეყნების ისეთი სახის გაერთიანება, რომელთა მთავარი უსაფრთხოების შესახებ ხედვები და შეშფოთებები, იმდენად*

[1] იქვე, გვ.28

*მჭიდროა და ურთიერთდამოკიდებულნი, რომ მათი ეროვნული უსაფრთხოების პრობლემები არ შეიძლება განიხილებოდეს და გაანალიზდეს ერთმანეთისგან ცალკე და განსხვავებულად*[1]. ამიტომაც უსაფრთხოების შესახებ კვლევების ჩატარება მართლაც რომ კომპლექსურ საკითხს შეადგენს და მისი გაანალიზება ცალკე სამეცნიერო რომელი სეგმენტში პრაქტიკულად წარმოუდგენელია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევის მთავარ საჰიპოთეზო საკითხად რჩება კითხვა: *რამდენადაა 21-ე საუკუნის საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემა, რომელიც უკვე დამოუკიებლად მოქმედებს საერთაშორისო პოლიტიკის პარალელურად, უფრო სტაბილური და პროგნოზირებადი გლობალიზაციის პირობებში, ვიდრე ეს იყო 20-ე საუკუნეში?* ამ კითხვის პასუხის გაცემისას გასარკვევია თუ როგორ მოქმედებენ დღევანდელ ეპოქაში აქტორები და როგორია მათ შორის არსებული ურთიერთობების იერარქია – ანარქიული თუ სისტემური. როგორ შეიძლება მისი ტრანსფორმაცია უფრო მოქნილ ერთიან ერთეულად, რომელიც ეფექტურად შესძლებს ასიმეტრიული საფრთხეების ნიველირებას და თავიდან ააცილებს საერთაშორისო საზოგადოებას[2] იმ გლობალურ პრობლემებს, რომლებსაც ისინი წარმოშობენ. რაც მთავარია მიმდინარე საერთაშორისო უსაფრთხოების პირობები იგება ისეთი სახის პრინციპებზე, როგორიცაა – ***საერთაშორისო სტრატეგიული სტაბილურობა***, რომელიც წარმოადგენს სისტემის ახალ ელემენტს და მოიცავს გარანტირებული მშვიდობის მიღწევას ხანგრძლივ პე-

[1] Barry Buzan “Regional Security Complex Theory in the Post-Cold War World” in International Political Economic Book Series of “Theories of New Regionalism”, Palgrave Macmillan UK, 2003, p.141

[2] ***საერთაშორისო საზოგადოება*** *– საერთაშორისო ურთიერთობების დონეზე მონაწილე ყველა სახის აქტორის ურთიერთქმედება და მათი კულტურების კონტაქტი, მათი თანაარსებობა და სინთეზი, რომელიც აყალიბებს ერთგვარი წესრიგის პირობებს.*



რიოდში. აქვე დგება საკითხი თუ როგორ უნდა აღესრულოს ასეთი სტაბილურობა და როგორი იქნება საერთაშორისო დონეზე ძალის ფაქტორი[1]. როგორც ცნობილია ამ ეტაპზე აქტიურად განიხილება „რბილი ძალის“ კონცეფცია, როგორც ამგვარი სტაბილურობის მიღწევის ერთ-ერთ განმსაზღვრელი ფაქტორი და არა „ხისტი“ ძალის, რომელმაც გლობალიზებული სამყაროს ფარგლებში შეიძლება გამოიწვიოს ტრაგიკული შედეგები (თუნდაც, „ბირთვული ზამთრის“ ეფექტის სახით).

[1] ***ძალა*** *– საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი საკვანძო კონცეფცია, რომელიც მოიცავს აქტორის საერთაშორისო შესაძლებლობებს, რომლებიც განისაზღვარებიან ეროვნული, სინტაქსური და სოციალ-ფსიქოლოგიური კომპონენტებით. დღესდღეობით საერთაშორისო უსაფრთხოების ფორმატში მოიაზრება ძალის სამი კონცეფცია:*

- *„ხისტი“ ძალა*
- *„რბილი“ ძალა*
- *„ჭკვიანი“ ძალა*

## პირველი თავი:
## საერთაშორისო უსაფრთხოების რაობა „დემოკრატიული მშვიდობის“ პირობებში: უსაფრთხოების თეორია და მსოფლიო წესრიგის ტრანზიციულობა

უსაფრთხოების თეორიის ეგიდით განხორციელებული კვლევების ძირითადი მიზანია განისაზღვროს თუ როგორ უზრუნველყოფს სტაბილურ გარემოს და განვითარების მდგრად ტემპებს თითოეული აქტორი"[iv], როგორც შიდა, ისე გლობალურ დონეზე საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში. თუმცაღა იმ პირობებში, როდესაც თვით სისტემა არის ანარქიული, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს ანუ არ არსებობს ე.წ. „ერთიანი მთავრობა ან ხელისუფლება“ გლობალურ დონეზე, რომელიც დაარეგულირებს აქტორებს შორის ურთიერთობებს, უსაფრთხოების პირობების შენარჩუნება წარმოადგენს ურთულეს ამოცანას. სწორედ ამ დილემის ახსნის, ანალიზის და რაციონალური მიდგომების შესწავლას თავის თავზე იღებს უსაფრთხოების თეორია. მის ფარგლებში შესაძლებელია რამდენიმე რთული სამეცნიერო-კვლევითი პრობლემის „გახსნა“ და განსაზღვრა (მაგალითად, „ტერორის ბალანსის“ თეორია[v]). 21-ე საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობების ლექსიკონში უკვე დაფიქსირდა ისეთი სპეციალური ტერმინიც კი, როგორიცაა ***უსაფრთხოების თანამეგობრობა (Security Community)***. ბუნებრივია, რომ უსაფრთხოება და თანამეგობრობა წარმოადგენს ერთმანეთისთვის მედალის ორ მხარეს: თითქოსდა მათი არსებობა ერთმანეთის გარეშე სავსებით დასაშვებია, მაგრამ ამავე დროს სწორედ გლობალური უსაფრთხოების პირობებში ისინი ერთმანეთთზე არიან ურთიერთდამოკიდებულნი. ფაქტიურად, უსაფრთხოების თანამეგობრობა არის რეალური ურთიერთგაგება, რომ მოცემული თანამეგობრობის წევრები არ იბრძოლებენ ერთმანეთის წინააღ-



მდეგ ფიზიკურად და მოაგვარებენ ყველა მათ წინაშე არსებულ პრობლემებს მშვიდობიანად[1]. აქ უკვე საუბარია ერთიან პოლიტიკურ სისტემაზე, რომელსაც ენიჭება იერარქიული ხასიათი და ურთიერთშეთანხმებული წესებით მოხდება მისი რეგულაცია. ანალოგიური მიდგომა შეიძლება არსებობდეს ინდივიდიალურ დონეზეც, რომელიც წარმოჩინდება როგორც ჯგუფი, რომლის თითოეული წევრს გააჩნია შეგრძნება, რომ იგი უნდა დაემორჩილოს გარკვეული სახის ინსტიტუტებს და კარგად ადაპტირებულ პრაქტიკას, რომელიც მისცემს მათ საშუალებას სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებების და გამოწვევების ფონზე იცხოვრონ მშვიდობიანად. დღევანდელი მსოფლიო წესრიგის კონტურები აგებულია სწორედ მშვიდობიანი თანაარსებობის პირობების განმტკიცებაზე და ფაქტიურად ეფუძნება „დემოკრატიული მშვიდობის“ თანამედროვე მოდელს გლობალური უსაფრთხოების პირობებში (*მასზედ უფრო დეტალურად იხილეთ ამავე თავის მესამე ქვეთავში*).

ამის ფონზე აქტუალური ხდება თემა, თუ როგორ უნდა მიესადაგოს აღნიშნული თეორიის ფორმატში საინფორმაციო-ანალიტიკური მეთოდოლოგიის შემუშავება, რომელსაც ექნება არა მარტო წმინდა კონცეფტუალურ-თეორიული, არამედ პრაქტიკულ-რეალური გამოყენების ასპექტები. ასეთი სახის ანალიტიკური მიდგომები დაეხმარება ნებისმიერი ქვეყნის საექსპერტო საზოგადოებას გამონახოს ის რაციონალური პარამეტრები, რომლებიც მიმართული იქნება შესაბამისი სამთავრობო სტრუქტურების მიერ, მათ შორის მაღალ პოლიტიკურ დონეზე, მიიღონ სწორი და ადექვატური გადაწყვეტილებები. ამგვარ მიდგომების შემუშავების და განხილვის პესპექტივებს იძლევა უსაფრთხოების თეორიის კონცეფტი და მასთან ასოცირებული საკვლევი მოდულები.

---

1 Karl Deutsch “Political Community and the North Atlantic Area”, Princeton University Press, USA, 1957, p.5

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საინფორმაციო-ანალიტიკური მიდგომებიდან გამომდინარე, პირობითად შეიძლება გამოიყოს ოთხი სავარაუდო ფორმატი კონცეფტუალური ანალიზის პარადიგმის ფარგლებში, სადაც უსაფრთხოების პრობლემატიკა წარმოადგენს საკვანძო ერთეულს და ჰიპოთეზის ახსნის შედარებით ზუსტ იდენტურობაზე გაყავს მკვლევარი. ასეთი ოთხი ფორმატი მოიცავს:

- ✓ ***კონცეფტუალური ფორმატი***
- ✓ ***ინტერდისციპლინური ფორმატი***
- ✓ ***ინდივიდუალური ფორმატი***
- ✓ ***პოლიტოლოგიური (პოლიტიკური) ფორმატი***

სწორედ აღნიშნული ფორმატების გამოყენებით შესაძლებელია კონკრეტული პროგნოზების მომზადება თუ როგორ განვითარდება საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის ფარგლებში მიმდინარე პროცესები. თითოეულ მათგანს გააჩნია საკუთარი „შიგთავსი“ და როგორც პირობითი სამეცნიერო „პანდორას ყუთი“, ძალუძს მოახდინოს გარკვეული გავლენა ასეთ პროცესებზე. მათი განხილვისას გამოსაყოფია შემდეგი კონკრეტული სახის ტენენციები. ***კონცეფტუალურ ფორმატში*** მოიაზრება საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული სკოლების: პოლიტიკური რეალიზმი, ნეორეალიზმი, პოლიტიკური იდეალიზმი, ნეოიდეალიზმი და მათ წიაღში წარმოშობილი ქვე-მიმდინარეობების (მაგალითად, „კოპენჰაგენის სკოლა“, სოციალური კონსტრუქტივიზმი, კრიტიკული თეორია და ა.შ.) თეორიული მიდგომები და სამეცნიერო-კვლევითი პლატფორმები, რომლებიც კარგად ხსნიან და უკეთებენ მოდელირებას იმას, თუ როგორ მიესადაგება უსაფრთხოების ასპექტი საერთაშორისო პროცესების დინამიკას. ამავე დროს, სწორედ ამ ფორმატში გამოიყენება ის ტერმინოლოგიური ფორმილირებანი, რომლის მეშვეობითაც პროფესიონალური კვლევის დონეზე ხორციელდება ახსნა უშუალოდ ამ პროცესების რაობის. ამ ფორმატში ასახული მიდგომების შესახებ უფრო დეტალურად ვისაუბ-



რებთ ამავე თავის პირველ ქვეთავში. ***ინტერდისციპლინური ფორმატი*** განსაზღრავს თვით სამეცნიერო დისციპლინების შიგნით წარმოჩენილ მიმართულებების (მაგალითად სტრატეგიული კვლევები, უსაფრთხოების კვლევები) მიდგომებს და მათ წიაღში შექმნილ ანალიტიკური პლატფორმების გამოყენების პერსპექტივებს საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო უსაფრთხოების მოვლენების მიმოხილვისას (სხვათაშორის საერთაშორისო ურთიერთობები და საერთაშორისო უსაფრთხოების როგორც სამეცნიერო დისციპლინების სპეციალური დარგი უკვე კარგად არის დაპტირებული სასწავლო-აკადემიურ დონეზე – მაგალითისთვის მოსაყვანია საქართველოში მოქმედი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში მოქმედი საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა, რომელიც მოქმედებს 2014 წლიდან და რომელიც უშვებს საერთაშორისო უსაფრთხოების დარგის ექსპერტებს მაგისტრის სამეცნიერო ხარისხით). ამ ორი მიმართულების ფორმატით საშუალება იქნება ჩატარდეს სპეციალიზირებული და მიკრო-მასშტაბის კვლევები უსაფრთხოების სფეროში (*ამ ფორმატის შესახებ დეტალურად იქნება საუბარი ამ თავის პირველ ქვეთავში*). ***ინდივიდუალური ფორმატი*** გულისხმობს კონკრეტულად იმ პერსონალურ მკვლევარებს და მეცნიერებს, რომლებიც შეიძლება მიეკუთვნონ კონცეფტუალურ ფორმატში მოქმედ სამეცნიერო სკოლებს. მაგრამ მათ გააჩნიათ საკუთარი პერსონალური მიდგომები და სამეცნიერო-პრაქტიკული სახის ანალიტიკური მეთოდები, რომლებსაც გავლენა ჰქონდათ საერთაშორისო ურთიერთობების პროცესების გაანალიზება-პროგნოზირებაში და რომელთა მიერ სამეცნიერო დასკვნები და ტერმინები ადაპტირებულნი იქნენ რეალურად. ამგვარ ინდივიდების სახით, ამ წიგნში განხილული არიან – პოლიტიკური რეალიზმის ერთ-ერთი დამფუძნებელი ჰანს მორგენთაუ და ნეოლიბერალური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი –

რიჩარდ კოენი თავისი **„თანამშრომლობითი უსაფრთხოების“** კონცეფციით (*მასზე გვექნება დეტალურად საუბარი ამ თავის მესამე ქვეთავში*). რაც შეეხება ***პოლიტოლოგიურ ფორმატს,*** მისი განხილვა შეიძლება აქვე და მისი მთავარი მიღწევები შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ძირითად კომპონენტები, რომელსაც იყენებს საერთაშორისო საექსპერტო საზოგადოება საკუთარ კვლევების დამუშავებისას. ამ ფორმატში ძირითადში შეიძლება მოვიყვანოთ, როგორც ფორმატის შემადგენელი კომპონენტები, ორი მთავარი ელემენტი: გეოპოლიტიკური კვლევები (*მასზე საუბარია დანართი 1-ში*) და პოლიტიკის კვლევის ანალიზი. მათ ინტენსიურად იყენებენ საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო უსაფრთხოების დარგის სპეციალისტები და ისინი უკვე გადაიქცნენ კლასიკურ ელემენტებად და კვლევის ინტრუმენტებად სტრატეგიული ანალიზისა და დაზვერვის სფეროებში. მანამდე აღსანიშნავია გამოიყოს ის გარემოება, რომ პოლიტოლოგიური კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება სპეციფიკური ტიპის მომენტს. ამ ფორმატში ჩატარებული კვლევები შეიძლება ნიშნავდეს:

1) სემანტიკა – რას ნიშნავს მოვლენა, როგორია მისი კონსტიტუციის ფორმა
2) სინტაქტიკა – რა სახის კაუზალურ მიმართებებში შეიძლება შევიდეს სხვა მოვლენებთან, რომელ „სინტაქტიკურ სივრცეს“ განეკუთვნება ის
3) პრაგმატიკა – როგორია მოცემული მოვლენების გამოვლენის პირობები? რა მატერიალური მახასიათებლებით შეიძლება მისი აღწერა?

სწორედ მესამე ნაწილი არის საინტერესო, რადგანაც ინფორმაციული უზრუნველყოფის ხარისხზე პირდაპირაა გადანასკვნული პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერი ასპექტი. საქართველოში დღეისათვის შექმნილი პოლიტიკური და გეოპოლიტიკური ვითარება საკვლევ-პროგნოსტიკური მეთოდების ფართოდ გამოყენების აუცი-



ლებლობას ბადებს[1]. საერთაშორისო პოლიტიკის მოვლენების მოდელირებისას ფართოდ იყენებენ *პოლიტიკის ანალიზის დონის* მეთოდს[vi]. თუმცაღა ამ მეთოდის მოდერნიზებულ ვერსიაში, რომელიც უფრო მეტად მიესადაგება ამჟამინდელი გლობალური უსაფრთხოების პირობებს და მთლიანად საერთაშორისო პოლიტიკის რეალიებს, გამოკვეთილია შემდეგის სახის ანალიზის დონეები, სადაც აქტორები ურთიერთობენ ერთმანეთთან, უსაფრთხოების გარემოს გაუმჯობესების მიზნით:

- ***საერთაშორისო სისტემები (გლობალური დონე):*** *მოცემული შედგება ურთიერთკავშირში მყოფი და ურთიერთდამოკიდებულ ერთეულებისგან, რომლებსაც არ გაჩნიათ ზემდგომი ძალაუფლება და თვით სისტემების რაობა განისაზღვრება მთავარი პროცესებით: მათ შორის გლობალიზაცია, დემოგრაფიული ფაქტორები, საფრთხეების და საშიშროებების ახალი გენერაცია (განსაკუთრებით ასიმეტრიული საფრთხეები – ტერორიზმი, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება, საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები, ნარკოკატელები და ა.შ.);*
- ***საერთაშორისო სუბ-სისტემები (კონტინენტალური):*** *მოცემული შედგება იმ ქვე-სისტემებისგან, რომლებსაც გააჩნიათ სპეციფიკური ურთიერთობების ხასიათი და ურთიერთკავშირი. ამ ქვესისტემებს შეიძლება ჰქონდეთ ტერიტორიულად კოჰერენტული კავშირები (აფრიკის ერთიანობის ორგანიზაცია, ევროგაერთიანება), ტერიტორიულად დამოკიდებული კავშირები (ნატო, ეუთო) ან*

[1] „სტრატეგიული კვლევები“№1, 1999, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, სამხედრო პოლიტიკის და სტრატეგიული კვლევების მთავარი სამმართველოს დოქტრინებისა და სტრატეგიული კვლევების სამმართველო, რედაქტორები: დავით თევზაძე და კახა კაციტაძე, თბილისი, გვ.38

*სტრუქტურირებული კავშირები (ოპეკი, ეკონომიკური განვითარების და თანამშრომლობის ორგანიზაცია);*

- ***რეგიონული სისტემები:*** *აღნიშნული ეხება ისეთ აქტორებს, რომლებიც შედგება სხვადასხვა ქვეჯგუფებისგან, ორგანიზაციების, ასოციაციებისგან და ა.შ. ამგვარი „სისტემური“ ვარიანტი მოიცავს ერ-სახელმწიფოებს თავიანთი ეროვნულობის ისტორიული ცნობიერებით, ასევე ტრანსეროვნული კომპანიებს და ტრანს-რეგიონული ჯგუფებს, რომლებიც მოქმედებენ სპეციალური მიმართულებებით, ოღონდ მათ არ გააჩნიათ საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის განკუთვნილი სტატუსი;*
- ***ლოკალური სისტემები:*** *მოცემული სისტემები მოიცავენ ორგანიზებულ ჯგუფებს, რომლებიც მოქმედებენ ამ სისტემების ფარგლებში და რომლებიც ურთიერთქმედებენ უფრო მაღალი დონის სტრუქტურებით ანუ ლობისტურ ჯგუფებთან, ბიუროკრატიული აპარატის წარმომადგენლებთან, სხვადასხვა პოლიტიკურ და სამოქალაქო მოძრაობის წარმომადგენლებთან (Greenpeace, Amnesty International), რომლებიც ასეთი ურთიერთქმედებით ზრდიან საკუთარ გავლენას ლოკალურ დონეზე;*
- ***ინდივიდუალური დონე:*** *ამ დონეზე მოქმედებენ პიროვნებები, რომელთა მოქმედების არეალი არ სცილდება პიროვნების უსაფრთხოების სფეროს და რომელთა შებღალვაც იწვევს სიცოცხლის ხელყოფას, თავისუფალი აზრის გამოხატვის უფლებას და ინდივიდის ხარისხობრივი მოღვაწეობის ხასიათს.*

თითოეულ ამ დონეზე ურთიერთობები ატარებენ როგორც ინდუქციურ, ისე დედუქციურ ხასიათს და განსაზღვრავენ მისი არსის იდენტურობას[1].

---

[1] J. Lasicova “Bezpecnost-Bezpecnosta agenda sucasnosti”, Banska Bystrica, Univerzita Mateja Bela, 2006



## 1.1. უსაფრთხოების თეორიის თავისებურებანი ახალ ეპოქაში

უსაფრთხოება, როგორც არსებობის სუბლიმაციური ფორმა და მისი არსი, როგორც წმინდა კონცეფტუალური, ისე პრაგმატული მომენტებიდან გამომდინარე, წარმოადგენს საინტერესო ფენომენს და უკვე ამ ეტაპზე განსაზღვრავს საერთაშორისო სისტემის ეგზისტენციალურ მდგომარეობას. ამიტომაც სასურველია გაირკვეს თუ რას წარმოადგენს დეფინიცია „უსაფრთხოების“ შინაარსი და რა პარამეტრებით გამოიხატება მისი არსი. ზოგადად უსაფრთხოება ასოცირდება უშუალოდ ადამიანთა ჯგუფის ბედთან, სადაც განისაზღვრება ინდივიდუალურ დონეზე პიროვნების უსაფრთხოება, რაც შეეხება თანამედროვე საერთაშორისო სისტემურ დონეზე უსაფრთხოება განისაზღვრება ქვეყნის ტერიტორიული სუვერენიტეტის დაცვით. სამწუხაროდ, აკადემიურ დონეზე არ არსებობს მისი დეფინიციის რაიმე ერთი ვარიანტი და მას გააჩნია რამოდენიმე განსხვავებული რაკურსი. ამიტომაც საჭიროა მისი რამოდენიმე კონცეფტუალური დეფინიციის მიმოხილვა და შეძლებისდაგვარად განხილული იყოს მისი ახლებური შინაარსის განსაზღვრა, რომელიც მეტნაკლებად იქნება მისადაგებული მიმდინარე საერთაშორისო ურთიერთობების რეალიებთან. ამ კონტექსტში საინტერესოა მოყვანილი იყოს უცხოელი და ქართველი მკვლევარების ვარიანტი უსაფრთხოების არსის შესახებ, რომელიც უკავშირდება სისტემურ მიდგომას ანუ იგულისხმება საერთაშორისო პოლიტიკის სისტემა:

***უსაფრთხოება*** – *არის ქვეყნის ისეთი მდგომარეობა, როდესაც უზრუნველყოფილია ერის (მოსახლეობის) ფიზიკური არსებობა, თვიმყოფადობა და განვითარება და აღნიშნული წარმოადგენს სახელმწიფოს უზენაესს ინტერესს[1] (ნიკა ჩიტაძე);*

---

[1] ნიკა ჩიტაძე „პოლიტილოგია“, შ.პ.ს. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, დეკემბერი, 2016, გვ.436

***უსაფრთხოება*** *– ქვეყნების და სოციუმების უნარი შეინარჩუნონ თავიანთი მოღვაწეობის დამოუკიდებლობა და იდენტურობა (საერთაშორისო სისტემის კონტექსტი)*[1]

***უსაფრთხოება*** *– ფუნდამენტურ ღირებულებების გათავისუფლება საფრთხეებისგან (კოლინ გრეის დეფინიცია)*

ზემოთმოყვანილი მაგალითებიდან გამომდიმარეობს, რომ უსაფრთხოების განხილვა მოხდა მხოლოდ და მხოლოდ სისტემური მიდგომის დონეზე, თუმცალა მისი განხილვა სასურველია მომხდარიყო ლოკალურ და რეგიონულ დონეებზეც, რომელიც სრულად გამოხატავდნენ მის არსს. ამგვარად, აღნიშნული „ლაფსუსის“ აღმოხვრის მიზნით შეიძლება წარმოდგენილი იქნას ტერმინ „უსაფრთხოების“ კიდევ ორი ვარიანტი (წიგნის ავტორების მხრიდან), რომლებსაც შეუძლიათ მოახდინონ ერთგვარი „კომპენსაცია“ ამ მიმართულებებით. ამიტომაც ქვემოთ-მოყვანილი დეფინიციები წარმოადგენს ერთ-ერთ სავარაუდო მომენტებს, რომელიც გამოხატავს ტერმინის კონცეფტუალურ-ფილოსოფიურ და მარტივ შინაარს:

***უსაფრთხოება*** *– რისკების, საფრთხეების, გამოწვევების და საშიშროებებისგან თავდაცვისუნარიანობა*

***უსაფრთხოება*** *– ობიექტის მდგრადი არსებობის მდგომარეობა, რომლის პირობებში მისი სიცოცხლისუნარიანობისთვის რომელიმე პარამეტრის (თავისებურების) არასასურველი მიმართულებით ცვალებადობის ინვარიანტობა არის უმნიშვნელო*

უსაფრთხოების პრობლემატიკის ანალიტიკური კუთხით განხილვა შესაძლებელია ასევე თვით უკვე ნახსენები ანალიტიკური მეთოდების ფარგლებში. უსაფრთხოების კლასიფიკაცია შესაძლებელია მოხდეს ნეორეალიზმის სკოლის მეთოდოლოგიითაც. ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ასეთ მიდგომას:

[1] Barry Buzzan, Morten Kelstrup, Pierre Lemaitre, Elzbieta Tromer and Ole Waever "The European Security Order Recast: Scenarios for the Post-Cold War Era", Centre for Peace and Conflict Research, , London, 1991, p.3



*ცხრილი№1:* **უსაფრთხოების კლასიფიკაცია (პოლიტიკური ანალიზის ფორმატში)**




უსაფრთხოების კლასიფიკაციის ასეთი მოდელი ეფუძნება ნეორეალიზმის ცნობილი მკვლევარი კენეთ უოლცის მიერ წამოყენებულ ე.წ. „ტრიპოლარულ“ სქემას: ადამიანი-საზოგადოება-სახელმწიფო, რომელიც მან აღწერა თავისცნობილ შრომაში „ადამიანი, სახელმწიფო და ომი“. მან თავის ნაშრომში მოახდინა პოლიტიკური რეალიზმის რევიზია და განაცხადა, რომ სახელმწიფოთაშორის მეტოქეობას და კონკურენციას, ადამიანის ბუნება კი არ განსაზღვრავს, არამედ – ანარქიული საერთაშორისო სისტემა. მასში „ყოველი სახელმწიფო იცავს საკუთარ ეროვნულ ინტერესებს, რომლებსაც იგი შეძლებისდაგვარად განსაზღვრავს ძალის მეშვეობით. ძალა რჩება სახელმწიფოს საგარეო მიზნების მიღწევის საშუალებად, რადგან დაპირისპირებული ინტერესების მოგვარების შედეგიანი, სანდო პროცესი არ არსებობს, ხოლო კონფლიქტები აუცილებლად წარმოიქმნება მსგავს ერთეულთა შორის ანარქიის პირობებში“[1]. სხვათაშორის უსაფრთხოების კლასიფიკაციის მოდელის საფუძველზე, კანადამ

[1] K.N. Waltz "Man, the State and War", Columbia University Press, New York, 1959, p.238

მოახდინა საკუთარი უსაფრთხოების კონცეფციის აგება და პრაქტიკულად მოახდინა მისი რეალიზაცია. კანადის უსაფრთოების მოდელის სქემა შეგვიძლია მოვიყვანოთ ამ ცხრილის მეშვეობით:

### *ცხრილი№2: უსაფრთხოების სამი განზომილება (კანადის უსაფრთხოების სისტემა)*




უსაფრთხოების ფართოდ განხილვისას ***ინტერდისციპლინური ფორმატი*** განიხილება ორი მთავარი ანალიტიკური კვლევითი მეთოდოლოგიის ფორმატში, რომლებსაც წარმოადგენენ: *სტრატეგიული კვლევები* და *უსაფრთხოების კვლევები.* ამ ორმა მოდელმა, როგორც მთლიანმა სამეცნიერო ერთეულმა, დიდი წვლილი შეიტანა თვით უსაფრთხოების თეორიის პოპულარიზაციაში მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში. სტრატეგიული კვლევები მართლაც უნიკალური ანალიტიკური მოდელია, რომლის კვლევის ფოკუსია სტრატეგიის არსზე და მის მიმართებაზე საერთაშორისო პოლი-



ტიკურ სისტემასთან. სტრატეგია თავის არსით კი უკავშირდებოდა სამხედრო ძალაუფლების როლს და ომის ფენომის მნიშვნელობას საერთაშორისო ურთიერთობებში[1]. როდესაც ფიქსირებდა სიტყვა „*სტრატეგიული*“, ის ასოცირდება პირველ რიგში სამხედრო სტრატეგიასთან, თუ სხვანაიარად არ არის განმარტებული შემდგომში[2].მეთოდოლოგიის კუთხით, სტრატეგიული კვლევები დაეფუძნა ბიჰევიორიზმის პრინციპს. თავის მხრივ მისი დაინტერესების თვალხედვა შემოიფარგლებოდა ქვეყნის სამხედრო მზადყიფნის დონეზე, შეიარაღებაზე გაწეულ ხარჯებზე და სხვა ემპირიულ მონაცემების ანალიზზე,რაც უკავშირდებოდა სამხედრო სტრატეგიის პოსტულატებს. ამით გამოიკვეთა უსაფრთხოების ფენომენის სამხედრო ასპექტებით შესწავლა, რაც დაკავშირებული იყო სპიციფიკური სახელმწიფოს ეროვნულ ინეტერსებთან, ასევე ქვეყნი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკასთან, ისევე როგორც ბლოკურ პოლიტიკასთან[vii], სადაც მონაწილეობდა მოცემული ქვეყანა და რომელიც ასევე წარმოადგენდა სტრატეგიული კვლევების მთავარ ამოცანასაც. ამას გარდა, სამხედრო და თავდაცვის პოლიტიკა არის მთავარი ქვაკუთხედი სამხედრო ალიანსების შესწავლასა და ანალიზის საქმეში. ასეთი კუთხით მოქმედებდა სტრატეგიული კვლევების პარადიგმა, როგორც სამეცნიერო-ანალიტიკური მეთოდოლოგია „ცივი ომის[viii]“ პერიოდში. თუმცაღა პოსტბიპოლარულ პერიოდში, სამხედრო უსაფრთხოების თემა თითქოს გაქრა დღის წესრიგიდან და გახდა ნაკლებად აქტუალური, მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიული კვლევები დარჩა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ანალიტიკურ მეთოდოლოგიის კომპონენტად. მისი მიდგომები ტრანსფორმირდა უფ-

---

[1] Colin S. Gray and Eliot Cohen "Strategy in the Contemporary World", Second Edition, Oxford University Press, New York, 2007, p.9

[2] Colin S. Gray "War, Peace and International Relations: An Introduction to Strategic History", second edition, Taylor and Francis Group, New York, 2012, pp.1-2

რო სპეციფიკური უსაფრთხოების პრობლემატიკის შესწავლაზე. იგი გახდა უფრო მეტად სახელწიფო-ცენტრიზმზე ორიენტირებული და ყურადღებას ამახვილებს ქვეყნის-შიგნით არსებული კონფლიქტებზე, ისევე როგორც გლობალური უსაფრთხოების საფრთხეებზე, მათ შორის ასიმეტრიული შინაარსის[1]. რაც შეეხება უსაფრთხოების კვლევებს, მოცემული მეცნიერული მიმდინარეობა შედარებით „ახალგაზრდაა" და მისი წარმომავლობა იწყება გასული საუკუნის 60-იან წლებიდან. ზოგადად, უსაფრთხოების კვლევების მიზანი დაკავშირებული იყო უსაფრთხოების არა-სამხედრო ასპექტებით შესწავლასთან. ამასთან ერთად სამხედრო ასპექტების შესწავლა, რომელიც საერთაშორისო პოლიტიკურ მოვლენებს უკავშირდება, კვლავ ძალაში რჩება. უკვე ამ ეტაპზე, უსაფრთხოების კვლევების ამოცანები კიდევ უფრო გაფართოვდა და მოიცავს უკვე ყველა დონის ანალიტიკურ დონეს და გადავიდა უფრო პრაგმატული პრობლემების მოგვარებაზე, რომელიც მოიცავს შემდეგის სახის თემატიკას: საზოგადოების და მთავრობის ყურადღების გამახვილება ტერორიზმის, სახელმწიფო ტერორიზმის, გარემოსდაცვითი უსაფრთხოების, კერძო არმიების და ა.შ. საკითხებზე[2]. ორივე ქვე-დისციპლინა: სტრატეგიული და უსაფრთხოების კვლევები გამომდინარეობენ სხვა უფრო „მაღალი" დისციპლინების კონცეფციებიდან, როგორიცაა პოლიტოლოგია და საერთაშორისო ურთიერთობები და ამჟამად ვითარდებიან, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებები და დარგები. თუ როგორ არიან ისინი „მიბმულნი" ერთმანეთთან ამაზე მეტყველებს ცხრილი №3.

***სქემა №1: სტრატეგიული და უსაფრთხოების კვლევების***

[1] იქვე, p.12
[2] Robert Ondrejcsak "Introduction to Security Studies",, Centre for European and North Atlantic Affairs (CENAA), Bratislava, 2014, p.24



***როლი და ადგილი სამეცნიერო დისციპლინების ფარგლებში***



უშუალოდ რომ მიმოვიხილოთ თუ როგორ განიხილება უსაფრთხოების თეორია საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი სკოლების თანახმად და მოვარგოთ აღნიშნული მიმოხილვა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო უსაფრთხოების რეალიებთან და ერთგვარი „მოდერნიზაცია" გავაკეთოთ, სასურველია რამოდენიმე მათგანის (და არა სრულად ყველა ძირითადი თეორიის განხილვა, მოცემული ნაშრომის მოცულობის შეზღუდულობის გათვალისწინებით) განხილვა. ყველაზე მნიშვნელოვან და აქტუალურ პრობლემას მიმდინარე მსოფლიო წესრიგის პირობებში და საერთაშორისო ურთიერთობების პროცესებში კვლავ რჩება – მშვიდობის დამკვიდრება გლობალური დონეზე და ამას მოიცავს გლობალური უსაფრთხოების არსი. ამიტომაც საინტერესოა ***კონცეფტუალური ფორმატის*** ანალიზის მოდელირებისას დავიწყოთ განხილვა ორი საერ-

თაშორისო ურთიერთობების სკოლის – *ლიბერალური* და *ნეოლიბერალური* მიმდინარეობების, რომელთა პოსტულატებზეც არის აგებული ამჟამინდელი საერთაშორისო უსაფრთხოების პირობები. ნეოლიბერალური სკოლის მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს ტერმინ ***უსაფრთხოების საზოგადოების*** შემოტანა. რადგანაც ამ თეორიის წიაღში წარმოქნილი „გეოპოლიტიკური დიალექტიკის" საფუძველი გახდა, რეალიზმის და მისი პოსტულატების დომინირების დასასრულის მომასწავებელი და საერთაშორისო ანარქიული წესრიგის საპირწონედ იერარქიული წესრიგის ამოქმედების და განხილვის დასაწყისი. მოცემულმა თეორიულმა დისკურსმა გამოიწვია ახალი საერთაშორისო საზოგადოებისთვის პლატფორმების შემუშავების პროცესის აუცილებლობა, განსაკუთრებით ასეთი ტენდენცია გახდა თვალსაჩინო „ცივი ომის" დასრულების და აშშ-ს გლობალური ჰეგემონობის დაწყვების შედეგად. ასეთი გეოპოლიტიკურ ეიფორიას ხელი შეუწყო 1989 წელს ამერიკელი საერთაშორისო ურთიერთობების და ნეოიდეალიზმის წარმომადგენლის ფრენსის ფუკუიამას ნაშრომმა „ისტორიის დასასრული" ("The End of History and Last Man"), სადაც მან ახსნა თანამედროვე საზოგადოების ლოგიკა. მისი მოსაზრებით კაცობრიობის განვითარების გარკვეულ ეტაპზე გამოჩნდა ორი ძლიერი ძალა. პირველს მან უწოდა „თანამედროვე მეცნიერების ლოგიკა" (logic for moderns science) და მეორეს – „ბრძოლა აღიარებისთვის" (struggle for recognition). პირველს მიყავს კაცობრიობა ყოვლად გაფართოებული თვითკმაყოფილების ჰორიზონტებამდე, რაციონალური ეკონომიკური პროცესის მეშვეობით, ხოლო მეორე კი წარმოადგენს თვით „ისტორიის მამოძრავებელ მოტორს". ფუკუიამა ავითარებდა იდეა, რომლის თანახმადაც, დროთა განმავლობაში, თანამედროვე მეცნიერების ეკონომიკური ლოგიკა და მოტივაცია, გამოიწვევს ტირანიაზე საბოლოო გამარჯვებას. ასეთი მოვლენათა ტენდენცია, რომელიც იწვევს გაუბედურებული საზოგადოების გადაქ-



ცევას კაპიტალისტურ ლიბერალური ტიპის საზოგადოებად, ქმნის ისტორიული პროცესის დასასრულს. ამის ფონზე ისმის კითხვა – „ისტორიის დასასრულის" მდგომარეობაში მყოფ სტაბილურ საზოგადოებას შეუძლია თუ არა აღიაროს რომ მან მიაღწია სრულ განცხრომას და ამ სულისკვეთებით განსჭვალულ „უკანასკნელ ადამიანს" შეუძლია თუ არა მიატოვოს ასეთი მიღწევები და ჩაეფლოს სისხლისღვრისა და უბედურების მორევში[1]. ასეთი იდიალისტური მიდგომები არსებობდა „ცივი ომის" დასრულებისთანავე, მაგრამ შემდგომში, გეოპოლიტიკურმა მოვლენებმა აჩვენა მათი სრული სიმცდარე, თუმცაღა ამ ინტელექტუალურმა ნაშრომა თავისი პოზიტიური „დაღი" დაასვა თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის ლოგიკას და გამოიწვია მასში პოზიტივისტური ცვლილებებიც კი. ჯერ 1994 წელს აშშ-ს მაშინდელმა პრეზიდენტმა ბილ ქლინთონმა ამერიკელ ხალხისადმი გამოთქმულ მიმართვაში პირდაპირ განაცხადა: „მთლიანობაში, ყველაზე საუკეთესო სტრატეგია, იმისთვის რომ ხელი შეეწყოს ჩვენი უსაფრთხოების განტკიცებას და დამყარდეს სასურველი მშვიდობა არის ჩვენი მხარდაჭერა დემოკრატიული პროცესების ყველგან. დემოკრატიები ერთმანეთთან არ ომობენ"[2]. ამ განცხადებით ფაქტიურად ბილ ქლინთონმა დაანანონსა ***„დემოკრატიული მშვიდობის" თეორიის*** რეალიზაციის შესახებ გლობალურ უსაფრთხოების და გეოპოლიტიკური ტრანზიციის პირობებში, რომლის სათავეებიც იწყებენ ათვლას 1795 წლიდან მოყოლებული. უფრო მეტიც, იმავე წელსვე, უფრო სწორად, 1994 წლის 10-11 იანვარს ნატოს ბრიუსელის სამიტზე, ბილ ქლინთონმა შეიმუშავა და დაიწყო ასეთი სახის მშვიდობის აღსრულება, საგარეო-პოლიტიკური ერთ-ერთი ინსტრუმენტის სახით, რომელსაც

---

[1] Frencis Fukuyama "The End of History and The Last Man", The Free Press, New York, 1992

[2] Michael Sheehan "International Security: An Analytical Survey", Lynne Reinner Publishers, USA, 2005, p.32

ეწოდა „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ პროგრამა (Partnership for Peace Program-PfP) და ამის წარმართველი ინსტიტუტად გამოცხადდა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია[1]. თავის დროზე „დემოკრატიული მშვიდობის“ თეორიის თანამედროვე კონცეფცია დაეფუძნა ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსის იმანეულ კანტის ნაშრომს „მარადიული მშვიდობა“, სადაც მან გამოთქვა მოსაზრება, რომ ლიბერალური სახელმწიფოების მშვიდობიანი კავშირი კიდევ უფრო გაფართოვდებოდა. კანტმა შესანიშნავად ახსნა ასეთი მშვიდობის მიზეზები და დაასაბუთა, რატომ არ არიან ლიბერალური სახელმწიფოები მშვიდობისმოყვარენი არალიბერალური სახელმწიფოებთან ურთიერთობისას. მან დაასაბუთა ასევე, საერთაშორისო არენაზე რესპუბლიკური მმართველობის ქვეყნები უფრო მეტად შეეცდებიან სწრაფვას მშვიდობიანი ურთიერთობებისკენ. მისი მტკიცებით, მას შემდეგ, რაც აბსოლუტური მონარქიების აგრესიული ინტერესები შეიზღუდება, ხოლო პიროვნების უფლებების პატივისცემა რესპუბლიკური მთავრობის შექმნაში აისახება, ომი განხილული იქნება უბედურებად ხალხის კეთილდღეობისთვის და მეორეს ერთიც, „მოქალაქეები ძალზე ფრთხილად მოეკიდებიან ამ სახიფათო თამაშს, რადგან საკუთარ თავზე უნდა გამოსცადონ ომის ყველა უბედურება“[2]. ამასთან ერთად, კანტმა წამოაყენა სამი აუცილებელი პირობა „მარადიული მშვიდობის“ დასამყარებლად:

1) *ყოველი სახელმწიფო რესპუბლიკა უნდა იყოს*
2) *საერთაშორისო სამართალი თავისუფალი სახელმწიფოების ფედერალურ კავშირს უნდა ეფუძნებოდეს*

[1] Special Report “Beyond the Partnership for Peace: An Action Plan for the NATO, Prague, and Moscow Summits”, The Heritage Foundation, 7 January 1994, see: http://www.heritage.org/europe/report/beyond-the-partnership-peace-action-plan-the-natoprague-and-moscow-summits
[2] Immanuel Kant “Perpetual Peace”, in The Enligthment”, ed. Peter Gay, Simon and Schuster, New York, 1974, pp.790-792



3) *საერთაშორისო სამართალი უნდა გახდეს მსოფლიოს მოქალაქეობის სამართალი, რომელიც საყოველთაო სტუმართმოყვარეობის პირობებით შემოიფარგლება*[1].

მეტად საინტერესო გარემოებას წარმოადგენს ისიც, რომ „დემოკრატიული მშვიდობის“ თეორიის რეალიზაციის ჭეშმარიტ პერსპექტივებს აფიქსირებს ზოგიერთი მკვლევარი, რომლებიც ამტკიცებენ, რომ დღევანდელი საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა მოქმედებს და განსაზღვრავს მის არქიტექტურას. უკვე ნახსენები დებულება ეფუძნება ორ პოსტულატს:

1) *ფაქტიურად არ არსებობს განსხვავება დემოკრატიულ და არადემოკრატიულ აქტორებს შორის მათი დამოკიდებულების მიმართ ომთან დაკავშირებით, ანუ იმასთან დაკავშირებით, თუ რა ვითარებში და როგორ უნდა დაიწყოს ომი და როგორ შეიძლება შეფასდეს ომი. ფაქტიურად, როგორც პოსტ-ბიპოლარული ეპოქა ადასტურებს, თვით არადემოკრატიული ქვეყნებიც კი ცდილობენ ომის დაწყების შემთხვევაში საკუთარი თავი წარმოაჩინონ როგორც „მსხვერპლად“ და არ აღიარებენ ცოცხალი თავით, ომის მათი მხრიდან დაწყების ფაქტს (ამის მაგალითად, შეიძლება მოვიყვანოთ 2008 წლის აგვისტოს საქართველო-რუსეთის ომი, სადაც რუსეთის ფედერაციის არადემოკრატიული და ავტორიტარული რეჟიმის მიერ გაჩაღებული ომის „კამფულიაჟად“ გამოყენებული იქნა თეზისი „რუსი მოქალაქეების სიცოცხლის დაცვის“ პრინციპი და რუსეთის ფედერაციის შეირაღებული ძალების პირდაპირ აგრესიას სუვერენული საქართველოს წინააღმდეგ დაერქვა „იძულებითი მშვიდობის“ ოპერაცია);*

[1] Трактаты о вечном мире. Издательство Соц-Экономической литературы. Москва, 1963, стр.157-165

2) *მთლიანობაში ომები დემოკრატიებს შორის არის შემთხვევითობა ან სავსებით შესაძლებელია არც არსებობს*[1].

როგორც ცნობილია, მშვიდობიანი საერთაშორისო პოლიტიკა განსაკუთრებით აძლევს ხელს პატარ, სუსტ ქვეყნებს, რომლებსაც ძალის პოლიტიკის ვითარებაში თითქმის მუდმივად საფრთხე ემუქრებათა და დღენიადაგ გადარჩენაზე უწევთ ფიქრი (ამის მაგალითიც შეიძლება იყოს საქართველოს ადგილი და როლი მიმდინარე გლობალურ უსაფრთხოებაში)[2]. ამის ახსნა არ წარმოადგენს სირთულეს, რადგანაც „დემოკრატიული მშვიდობის“ თეორიის მთავარ საფუძველს წარმოადგენს პრინციპი *კოლექტიური უსაფრთხოების* შესახებ. თანამშრომლობა სახელმწიფოებს შორის, რომელიც გამოიხატება საერთაშორისო საზოგადოების ნაბიჯებიდან შემცირდეს საშიშროების მასშტაბები და მოხდეს სამხედრო კონფლიქტების პრევენტირება. სწორედ ასეთი თანამშრომლობა, კანტის სულისკვეთების ეგიდით, გამოიხატება აქტორების ბუნებრივი ჰარმონია პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში[3]. „დემოკრატიული მშვიდობის“ თეორიის კუთხით და საერთოდ ზოგად კონტექსტში, ალბათ საინტერესოა განისაზღვროს თვით „კოლექტიური უსაფრთხოების“ დეფინიცია და მისი რაობა. ამ შემთხვევაშიც არ არსებობს ერთიანი მიდგომა თვით დეფინიციოლოგიურ არსთან და მოიაზრება საკმაოდ ბევრი განმარტება. ამ შემთხვევაში შეიძლება მოყვანილ იქნას სავარაუდოდ სამი დეფინიცია:

[1]Michael Sheehan “International Security: An Analytical Survey”, Lynne Reinner Publishers, USA, 2005, p.34

[2] ალექსანდრე რონდელი „საერთაშორისო ურთიერთობები“, მესამე განახლებული გამოცემა, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2006 წელი, გვ.186-187

[3] K. Krokosaova “Problematika kolektivnej bezpecnosti: teoria a realizovatel’nost” in “Bezpecnostne forum 2014”, Banska Bystrica, Univerzita Mateja Bela, 2014, pp.257-265



***კოლექტიური უსაფრთხოება*** – *მსოფლიო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების სისტემა, რომელიც მიიღწევა საერთაშორისო აქტორების ერთობლივი ძალისხმევის საფუძველზე (ზოგადი დეფინიცია);*

***კოლექტიური უსაფრთხოება*** – *სტრატეგია, რომლის საფუძველზე ქვეყნები თანხმდებიან არ დაესხნენ ერთმანეთს და გაერთიანდნენ აგრესორისაგან თავდაცვის მიზნით (პოლიტიკური მეცნიერების დეფინიცია);*

***კოლექტიური უსაფრთხოება*** – *სისტემა, რომლის ფარგლებში, ქვეყნები ცდილობენ პრევენტირებას ან მოახდინონ ომების შეჩერება (საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერების დეფინიცია).*

ამ სამი დეფინიციიდან გამომდინარე, ნათლად მოჩანს, თუ რა მისიას ემსახურება კოლექტიური უსაფრთხოების კონცეფცია და როგორ უწყობს ხელს ის მშვიდობის დამყარებას გლობალურ დონეზე. ქვემოთ-ცხრილში ასახულია მოკლედ საიდან და ვის მიერ იქნა გაჟღერებული კოლექტიური უსაფრთხოების კონცეფცია.

***ცხრილი№3: კოლექტიური უსაფრთხოების ისტორიული ასპექტები***



მე-20 საუკუნის განმავლობაში პოლიტიკურ რეალიზმის სკოლას ეკავა ჰეგემონური პოზიციები საერთაშორისო ურთიერთობების სამეცნიერო კვლევებში, ისევე როგორც საუნივერსიტეტო დონეზე უსაფრთხოების თემების სწავლებისა და ანალიზის სფეროში დომინანტური ადგილი. თითქოსდა რეალიზმის შემცვლელი მიმართულებები არსებობდნენ მხოლოდ და მხოლოდ თეორიული დამუშავების სფეროში. ასეთი იყო მდგომარეობა „ცივი ომის“ პერიოდში. უფრო მეტად, უსაფრთხოების კვლევების დარგი, ჯერ რეალიზმის და შემდეგ ნეორეალიზმის სკოლების ფარგლებში განიხილებოდა როგორც „მაკიაველისა და ჰობსის რეალიმზის პირმშო“[1]. რათქმა უნდა რეალიზმის და ნეორეალიზმის სკოლების ეგიდით შემუშავებული იქნა არაერთი საგულისხმო და მნიშვნელოვანი თეორიული კონცეფციები და ანალიტიკური მიდგომები, რომელთა რაოდენობა საკმაოდ დიდ ციფრსაც უახლოვდება. მაგრამ ყველა ეს კვლევები ეკუთვნოდა გასული საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობების სისტემას და იგებოდა ბიპოლარული მსოფლიო წესრიგის პირობების გათვალისწინებით. ამიტომაც დღევანდელი თვალთხედვიდან გამომდინარე, თანამედროვე პერიოდში, მათი მნიშვნელობა მხოლოდ ისტორიულ და წმინდა თეორიული კვლევების ინტერესს წარმოადგენს. 21-ე საუკუნის გეოპოლიტიკური დიალექტიკის კანონების და პოლიტიკური რეალიზმის ჟანრის თანახმად, განხრციელდა კარდინალური ცვლილებები საერთაშორისო სისტემაში. ამიტომაც ნეორეალიზმის და რეალიზმის სკოლების თეორიული კვლევების მოდელებიდან, დღევანდელი საერთაშორისო უსაფრთხოების პირობებს მიესადაგება რამოდენიმე ვარიანტი, რომელთა აქტუალურობა არის მაღალი. კლასიკური რეალიზმს და ნეორალიზმს შორის განსხვავება საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკური სისტემების განსხვავებულ

[1] Neta Crawford "Once and Future Security Studies", *Security Studies№1*, 1991, p.292



წარმოდგენებშია. საშინაო პოლიტიკის პირობებში არსებობს რამდენიმე ფორმის გავლენის ინსტრუმენტები, ხოლო საერთაშორისო პოლიტიკაში კი ძალის გამოყენების ყველაზე ეფექტური საშუალება და ინსტრუმენტია. მათგან გამოსაყოფია ოთხი მათგანი (ერთ-ერთი სემუელ ჰანტინგტონის „ცივილიზაციათა შეჯახება“ თეორია განხილულია წიგნის ***დანართ№1-ში***). ნეორეალიზმის სკოლის მიმდევრები, განსაკუთრებით მისი ახალი თაობის წარმომადგენლები, ფართოდ იყენებენ ისეთ ანალიტიკურ მეთოდებს და ტექნოლოგიებს, რომლებიც ამჟამინდელ რეალიებს შეესაბამება. მაგალითისთვის მოსაყვანია, ხაიმ კაუფმანის საინტერესო თეორია ე.წ. „ეთნიკურ-სამოქალაქო კონფლიქტებზე“ ანუ ეთნიკურ ომებზე, რომელიც მან გამოხატა თავის ნაშრომში: „ეთნიკური სამოქალაქო კონფლიქტების მოგვარების გამოსადეგი და გამოუსადეგარი საშუალებები“. იგი გამოდის პოლიტიკური კონფლიქტის თეორიიდან და ურგებს მას საერთაშორისო უსაფრთხოების გარემოს. როგორც ცნობილია, პოლიტიკური კონფლიქტი სოციალური კონფლიქტის ერთ-ერთი სახეა, ამიტომაც მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ პოლიტიკისადმი რა სფეროს ასახავს კონფლიქტი. ძირითადა მიჩნეულია, რომ პოლიტიკური კონფლიქტების საგანია ძალადობა და მისი გამოყენება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. კონფლიქტი პოლიტიკური ცხოვრების ნაწილია და არა მხოლოდ საზოგადოების არსის ამსახველი. პოლიტიკურ ცხოვრებაში კონფლიქტების მართვა გულისხმობს სპეციფიკური რესურსების გამოყენებას, ღირებულებების, სტილების, ძალაუფლების ინსტიტუტების მოწყობასა და წარმართვას. ***პოლიტიკური კონფლიქტი –*** *არის დაპირისპირება, შეჯახება პოლიტიკური სუბიექტების (ინდივიდი, ჯგუფი, ქვეყანა და ა.შ.), რომლებსაც სხვადასხვა ინტერესები, ღირებულებები და შეხედულებანი გააჩნიათ. ისინი ახდენენ ერთმანეთზე ზემოქმედებას, რათა მიაღწიონ საკუთარი გადაწყვეტილების შესრულებას და საკუთარი ინ-*

*ტერესების მონოპოლიზაცია მოახდინონ*[1]. პოლიტიკური კონფლიქტის ასეთი განმარტება უკვე ვრცელდება არა მარტო საშინაო პოლიტიკურ არენაზე განვითარებულ კონფლიქტებზე, არამედ საერთაშორისო დონეზე წარმოშობილ კონფლიქტურ კერებზეც. საერთაშორისო უსაფრთხოების დღევანდელი ალგორითმი იგება იმაზეც, რომ შიდა-პოლიტიკური ან საშინაო პოლიტიკური ცვლადების ექსტრაპოლარობა ხორციელდება საერთაშორისო პოლიტიკურ სივრცეზეც. აღნიშნული კანონზომიერება საკმაოდ კარგად დააფიქსირა კაუფმანმაც და მან შემოიტანა „*ეთნიკური ომის*“ თეორია, რომელიც დომინანტური კვანძი გახდა მიმდინარე საერთაშორისო ურთიერთობებშიც. აღნიშნული თეორია ეფუძნება ორ პოსტულატს:

1. ეთნიკური ომების მიმდინარეობისას, ჰიპერნაციონალისტური სამობილიზაციო რიტორიკაც და სისასტიკის რეალური გამოვლინებებიც ეთნიკურ იდენტობებს იმდენად ხისტს ხდის, რომ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის კომუნიკაცია იშვიათად ხდება და კიდევ უფრო მცირეა ალბათობა იმისა, რომ ასეთ კომუნიკაციას ვინმე შეისმენს;
2. ეთნიკური ჯგუფების შერეული განსახლება უსაფრთხოების რეალურ დილემებს წარმოშობს, რომლებიც ძალადობას უფრო ინტესიურს ხდის, ეთნიკური „წმენდის“ მოტივაციას ქმნის და ხელს უშლის დეესკალაციას, სანამ ჯგუფების სეპარაცია არ მოხდება[2].

პოლიტიკური კონფლიქტის ერთ-ერთ ნაირსახეობას

---

[1] რევაზ ჯორბენაძე „პოლიტიკური კონფლიქტების მართვა“, სალექციო კურსი, სოციალურ მეცნიერებათა სერია, „ფონდი ღია საზოგადოება-საქართველო“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 2001, გვ.6-8

[2] Chaim Kaufmann "Possible and Impossible Solutions to Ethnic Civil Wars" at "International Politics" ed. Robert J.Art and Robert Jervis,eighth edition, Pearson International Edition, New York, 2007, p.459



წარმოადგენს ეთნიკური ომი, რომელიც უსაფრთხოების თეორიის მოდელში კონფლიქტის ახალ ცნების სახით არის შემოტანილი. ***ეთნიკური ომი*** *– ეთნიკური კონფლიქტი, რომელიც სამხედრო დაპირისპირების სახეს ატარებს და სადაც ერთი მხარის გამარჯვება გამოიხატება მეორე მხარესთან სადავო ტერიტორიაზე ფიზიკური კონტროლის მოპოვებით და არა მოლაპარაკების დაწყებით მეორე მხარესთან.* აქედან გამომდინარე, ეთნიკურ ომებში უმთავრეს გარემოებას წარმოადგენენ სამხედრო ოპერაციები და სამხედრო გზით მთლიანი ტერიტორიაზე კონტროლის დაწესება არის უმთავრესი ამოცანა. როდესაც იწყება ეთნიკური ომი, ის არ წყდება მანამ უსაფრთხოების დილემა არ მცირდება მოწინააღმდეგ მხარეების ფიზიკური ურთიერთდაშორების შედეგად. ეთნიკური ომების სტაბილური გადაწყვეტა შესაძლებელია, თუკი მოხდება დაპირისპირებული ჯგუფების დემოგრაფიულად განცალკევება თავდაცვით ანკლავებში. ასევე ეთნიკური დაპირისპირების შეჩერება შესაძლებელია საერთაშორისო ძალების მხრიდან იძულებითი მშვიდობის სამხედრო ოპერაციის მეშვეობით ან მეორეს მხრივ, იმპერიის მიერ მოცემული ტერიტორიის დაპყრობით და მშვიდობის შენარჩუნება ხორციელდება მანამდე სანამ იარსებებს ძალის აღმასრულებელი ხელისუფლება (მაგალითად, საბჭოთა კავშირის არსებობის ფაქტი). საერთო ჯამში, ეთნიკური ომები შეიძლება დაიძლიოს ან შეჩერდეს სამი გზით: ერთ-ერთი მხარის სრული გამარჯვებით; მესამე მხარის მიერ სამხედრო ოკუპაციის მეშვეობით ჩარევით; ერთად მცხოვრები თანამეგობრობის თვით-დაცილების ან თვითმმართველობის მეშვეობით. ეთნიკური ომების კონცეფციაში ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური ფაქტორია – იდენტურობა. განსხვავებული იდენტურობის კატეგორიები მოიცავენ თავიანთ ეთნიკურ წარმომავლობის ტრადიციულ წესებს. სხვათაშორის იდენტურობის მნიშვნელობაზე პოლიტიკური კონფლიქტების განვითარების საქმეში მეტყველებს შემდეგი სახის

მოკლე აღსარება, რომელიც ეკუთვნის ბოსნიელ მუსულმანს: „*ჩვენ არასოდეს გვიფიქრია იმასთან დაკავშირებით, რომ ვიყავით მუსულმანები. ჩვენ ვიყავით იუგოსლავები. მაგრამ როდესაც დაიწყო ჩვენი განადგურება, იმის გამო, რომ ვიყავით მუსულმანები, ვითარება შეიცვალა. ამიტომაც დღევანდელ დღეს ჩვენი იდენტურობა განსაზღვრეს ჩვენმა მკვლელებმა*“[1]. იდეოლოგიური იდენტურობა არის შედარებით რბილი გამოვლენა, რადგანაც ის უკავშირდება ინდივიდუალურ რწმენას ან პოლიტიკურ ქცევას. რელიგიური იდენტურობა უფრო ხისტია, რადგან ის ეფუძნება რწმენას, რომლის ცვლილება ახალი რწმენაზე გადასვლის ფორმალურ თანხმობას მოითხოვს ხოლმე, რაც გარანტირებული სულაც არ არის. ეთნიკური იდენტურობა უფრო მეტად ხისტია, რადგანაც ემყარება ენას, კულტურას და რელიგიას (რომელთა შეცვლა ძნელია), ასევე წარმომავლობას, რომლის შეცვლაც არავის ძალუძს[2]. ამ კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ საქართველოში არსებული ეთნიკურ ნიადაგზე წარმოქნილი პოლიტიკური კონფლიქტი, რომელიც უკავშირდება ქართული საზოგადოების ერთი ჯგუფის წარმომადგენლების იდეოლოგიურ იდენტურობის ასოცირებას *ნეოლიბერტარიანულ*[ix] დოქტინაზე და მეორე, უფრო მრავალრიცხოვანის კი ეფუძნება ეთნიკურ იდენტურობის შენარჩუნებას. რაც შეეხება ისევ და ისევ ეთნიკურ ნიადაგზე აღმოცენებულ კონფლიქტს, თუნდაც ეთნიკური ომის სახით, ის უკავშირდება უსაფრთხოების დილემას. ეთნიკური დაპირისპირების აღმოცენების შინაარსის მიუხედავად, როდესაც იწყება დაპირისპირება და ის აღწევს პიკს, რომლის დროსაც ეთნიკური ჯგუფს არ ძალუძს იყოს სახელმწიფოს დაცვის

---

[1] Mikica Babic quoted in Chris Hedges “War Turns Sarajevo Away from Europe”, New York Times (July 28, 1995)

[2] Chaim Kaufmann “Possible and Impossible Solutions to Ethnic Civil Wars” at “International Politics” ed. Robert J.Art and Robert Jervis,eighth edition, Pearson International Edition, New York, 2007, გვ.460



გარანტიაზე, მაშინ თითოეული ჯგუფი ახორციელებს მობილიზაციას რათა თვითონ უზრუნველყოს საკუთარი უსაფრთხოება. ამავე კუთხით განიხილება *ეთნიკური სეპარატიზმის პრობლემა*, რომელიც დღეს პოსტ-საბჭოთა სივრცეში რეგიონული უსაფრთხოების ერთ-ერთი უმწვავესი გამოწვევა შეიქმნა (საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მაგალითზეც). ***ეთნიკური სეპარატიზმი*** – *შეიარაღებული დაპირისპირების ფორმა, როდესაც ერთი ეთნიკური ჯგუფი მობილიზებულია საომარი მოქმედებისთვის მეორე მხარის წინააღმდეგ ერთიანი ერი-ქვეყნის ფარგლებში, და დაპირისპირება არ წყდება მანამდე სანამ ორივე მხარე არ განცალკევდება უფრო დაცულ და უფრო მეტად ჰომოგენურ რეგიონებში.*

ნეორეალიზმის სკოლის კიდევ ერთ საინტერესო თეორიას, რომელსაც პირდიპირი კავშირი გააჩნია თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების გარემოსთან, წარმოადგენს რობერტ არტის „*შეიარაღებული ძალების ოთხი ამოცანის*“ შესახებ თეორია. ქვეყნების უმრავლესობას მიაჩნია საკუთარი ეროვნული ინტერესების მაქსიმალურად მიღწევისთვის უფრო მეტად დაეყრდნოს სამხედრო ძალაუფლებას. თანამედროვე ეპოქაში, სამხედრო-ტექნიკური პროგრესის და სამხედრო სფეროში რევოლუციის პირობებში, საერთაშორისო პოლიტიკის აქტორების, რათქმაუნდა იგულისხმება სახელმწიფოები, შეიარაღებულ ძალებს გაუჩნდათ ოთხი კონკრეტული ამოცანა: *თავდაცვა, შეკავება, იძულება* და *ტრაბახი.*

*თავდაცვა (defense)* გულისხმობს შეიარაღებული ძალების განთავსებას ორი სამხედრო ამოცანის მიზნით: სამხედრო თავდასხმის მოგერიება და თავდასხმის შემთხვევაში ზარალის მინიმიზირება. თავდაცვის მიზნით, ქვეყანა ახორციელებს საკუთარი შეიარაღებული ძალების გამოყენებას პოტენციური ან რეალური თავდასხმელი-ქვეყნის ანალოგიური ძალების საწინააღმდეგოდ, მაგრამ არა მისი მშვიდობიანი

მოსახლეობის წინააღმდეგ. ამავე მიზნით, მოცემულმა ქვეყანამ შეიძლება ასევე განათავსოს შეირაღებული ძალები მოსალოდნელი შეტევის უშუალო ხაზის წინ, რომ მოიგერიოს ის, მით უფრო თუ მან ზუსტად იცის რომ ასეთ შეტევას ნამდვილად ექნება ადგილი (მაგალითისთვის, შეიძლება მოყვანილი იქნა 1941 წლის მაისი-ივნისის თვეებში საბჭოთა კავშირის პოლიტბიუროს გადაწყვეტილება განეთავსებინა შეიარაღებული ძალების დამატებითი ძალები და შექმნა ამ მიზნით დასავლეთის განსაკუთრებული სამხედრო ოლქი, შტაბ-ბინით კიევში, უახლესი შეიარაღების განთავსებით, იმ იმედით რომ მოეგერიებინა მესამე რაიხის ვერმახტის შეტევა. თუმცა უშედეგოდ);

*შეკავება (deterrence)* გულისხმობს სახელმწიფოს მიერ შეიარაღებული ძალების საშუალებით იმის უზრუნველყოფას, რომ მოწინააღმდეგემ არ მიმართოს რაიმე არასასურველ ქმედებას, რომლის განხორციელების ცდუნებაც მას, სხვა შემთხვევაში, შეიძლებოდა ჰქონოდა. ამ მიზნით სახელმწიფო ემუქრება მოწინააღმდეგეს ამ უკანასკნელისთვის მიუღებელი სასჯელით, ან სამხედრო შურისძიებით, თუ ის ხსნებულ ქმედებას განახორციელებს. ამრიგად, დაშინება შურისძიების მუქარაა. მისი მიზანია რაიმე არასასურველი მოვლენის არდაშვება. სასჯელის მუქარა მიმართულია მოწინააღმდეგის მოსახლეობის და სამრეწველო პოტენციალის წინააღმდეგ. მუქარის შედეგიანობა დამოკიდებულია სახელმწიფოს უნარზე, დაარწმუნოს პოტენციური მოწინააღმდეგე, რომ საკმარისი ნება და ძალა აქვს, რათა სასტიკად დასაჯოს ის ხსნებული არასასურველი ქმედების შემთხვევაში. შეკავების სტრატეგიას შეიარაღებული ძალები იყენებენ მშვიდობიანი ფორმებით. ეს არის სამხედრო მუქარის სახით გამოყენება, რათა დაისაჯოს პოტენციური მოწინააღმდეგე და ამით გამოიყენება ამ სტრატეგიის არსი (მაგალითად შეიძლება მოყვანილი იქნას სამხრეთ კორეაში აშშ-ს სამხედრო კონტინგენტის განთავსება და ერთობლივი სამხედრო წვრთნების გამართვა 38-ე პარა-



ლელის გასწვრივ ჩრდილოეთ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ);

*იძულება (compellence)* გულისხმობს შეირაღებული ძალების ისეთი სახის განთავსება, რომ მათ შესძლონ აიძულონ მოწინააღმდეგე შეაჩერონ იმ ქმედებისაგან, რომელსაც ის ახორციელებს ან სურს რომ განახორციელოს. იძულების სახის სამხედრო ოპერაცია შეიძლება განხორციელდეს უშუალდო ფიზიკურად ან მშვიადობიანად (სამხედრო ძალის დემონსტრირება). ერთმა სახელწმიფომ შეიძლება მეორისთვის ფიზიკური ზიანის მიყენება დაიწყოს და მანამ გააგრძელოს, ვიდრე ეს უკანასკნელი მის ნებას არ დაემორჩილოს. ასევე შესაძლებელია, რომ ერთმა სახელმწიფომ მეორის მიმართ ისეთი მოქმედება დაიწყოს, რომელიც ამ უკანასკნელს ფიზიკურ ზიანს არ აყენებს, მაგრამ რაიმე ტიპის დანაკარგს გულისხმობს და ასე განაგრძოს, ვიდრე მოწინააღმდეგის ქცევის სასურველ ცვლილებას არ მიაღწევს. ამის ნათელი მაგალითია აშშ-ს სამხედრო-საჰაერო ძალების მიერ ჩრდილოეთ ვიეტნამის ინტენსიური დაბომბვები, რომელიც დაიწყო 1965 წელს, რომელიც წარმოადგენს ფიზიკური იძულების ფაქტს.

*ტრაბახი (swaggering)* წარმოადგენს მართლაც უჩვეულო და უცნაურ მოვლენას და შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული არის 21-ე საუკუნის მოვლენა. ტრაბახის სტრატეგიის ფარგლებში შეიარაღებული ძალების სამხედრო ამოცანა აღემატება იძულების, თავდაცვის და შეკავების მისიებს. შეიარაღებული ძალების ამოცანას არ შეადგენს პოტენციურად აგრესორი-ქვეყნის თავდასხმის გეგმის გადაფიქრებას, არც შეტევის მოგერიებას და არც იძულების სტრატეგიის თავის მოხვევას. მას გააჩნია სპეციფიკური მისია. ტრაბახის სტრატეგიის მიზნები უფრო მეტად არის პრობლემური, არასრულად ჩამოყალიბებული და ნაკლებად შეჯერებული. ტრაბახის სტრატეგია მოიცავს შეიარაღებული ძალების მშვიდობიანი ფორმით გამოყენებას და გამოიხატება ორი ფორმით: სამხედრო შენა-

ერთების ოპერატიული გაშლა სამხედრო მანევრების პირო-
ბებში ან საერთაშორისო სამხედრო მისიებში და ეროვნული
სიძლიერის ნიშნების დემონსტრირება უახლოესი და თანამ-
დეროვე ტიპის შეიარაღების კომპონენტების შეძენა. ტრაბა-
ხის მოდელი წარმოადგენს ეგოისტურ პოლიტიკურ ქცევას
და მისი პოლიტიკური მიზანია ეროვნული ღირსების რაიმე
ფორმით დემონსტრირება ან ეროვნული ლიდერის პერსონა-
ლური ამბიციების დაკმაყოფილება და საკუთარი ფსევდო-
ძლიერების წარმოდგენა საერთაშორისო არენაზე. ტრაბახის
სტრატეგიის მაგალითად შეიძლება მოყვანილ იქნას საუდის
არაბეთის სამხედრო პოტენციალი და მისი სურვილი თავი
წარმოაჩინოს ახლო აღმოსავლეთში რეგიონულ ჰეგემონ ძა-
ლად, მაგრამ მისი შეიარაღებული ძალების საბრძოლო მომ-
ზადება და ბრძოლისუნარიანობის სულისკვეთება ძალიან და-
ბალ დონეზეა, როგორც ამას მოწმობს იემენის ეთნიკურ ომ-
ში, მათი მონაწილეობა. საუდის არაბეთის პოლიტიკური ხელ-
მძღვანელობა ცდილობს აღნიშნული „თეთრი ლაქა“ ამოავ-
სოს თანამედროვე შეიარაღების დიდი რაოდენობით შეძენის
საშუალებით – აშშ-ს პრეზიდენტ ტრამპის საუდის არაბეთში
ოფიციალური ვიზიტისას გაფორმებული 109 მლრდ. ამერი-
კული დოლარის შეიარაღების საუდის არაბეთისთვის შეთან-
ხმების გადაცემა[1].

ზემოთმოყვანილ შეირაღებული ძალების გამოყენების
ოთხი ვარიანტიდან შესაძლებელია საქართველოსთვის სამ-
ხედრო უსაფრთხოების პირობებიდან გამომდინარე შეირჩეს
ოპტიმალური ვარიანტი და ანალიტიკურ დონეზე განისაზ-
ღვროს, სულ მცირე, რომელი ვარიანტი შეესაბამება დროის
ამა თუ იმ მონაკვეთს ჩვენი შეიარაღებული ძალები რომელი
სახის ვარიანტის ფარგლებში ვითარდებიან და როგორ შეიძ-

[1] „ამერიკა საუდის არაბეთს 109.7 მლრდ. დოლარის ღირებულების შეიარაღებას მიჰყიდის“, 21 მაისი, 2017 წელი, იხილეთ: http://agora.ge/new/13516-amerika-saudis-arabets-1097-miliardi-dolaris-ghirebulebis-sheiaraghebas-mihyidis



ლება ოპტიმალური მოდელი შეირჩეს სათანადო საერთშორისო უსაფრთხოების რეალიების გათვალისწინებით.

კიდევ ერთ საინტერესო კონცეფტუალურ ვარიანტს 21-ე საუკუნის საერთაშორისო უსაფრთხოების რეალიების გათვალისწინებით წარმოადგენს ამერიკელი მკვლევარის სტეფან უოლტის „*ბალანსირებისა და მიტმასნის ალიანსების*“ თეორია. როდესაც აქტორი უპირისპირდება მის წინაშე მდგარ საგარეო საფრთხეს, მან შეიძლება აირჩიოს ან ბალანსირების ან მიტმასნის პოლიტიკა. ***ბალანსირების პოლიტიკა*** *განისაზღვრება როგორც ალიანსში შესვლა სხვა აქტორებთან პრევალირებული საფრთხის თავიდან აცილების მიზნით.* ***მიტმასნის პოლიტიკა*** *განისაზღვრება ალიანსში*[x] *შესვლით საფრთხის წყაროსთან.* ამიტომაც არსებობს ორი განსახვავებული ჰიპოთეზა თუ როგორ არჩევენ ქვეყნები ალიანსის პარტნიორებს, როდესაც მათ წინაშე არსებობს არჩევანი – ან შეუერთდნენ ერთმანეთს საგარეო საფრთხის წინააღმდეგ ან მიებან უშუალო მას[1]. "*ბალანსირების პოლიტიკის*" შემთხვევაში ხორციელდება მოსაზრება, რომ ქვეყნები ქმნიან ალიანსებს უფრო ძლიერი ქვეყნების დომინანტობის პრევენციის მიზნით, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს „*ძალთა ბალანსის*“ *თეორია (იხილეთ ქვემოთ უფრო დეტალურად).* ამგვარი შეხედულების თანახმად, ქვეყნები აყალიბებენ ალიანსებს საკუთარი თავის გადარჩენისთვის უფრო ძლიერი ქვეყნებისა და მათი ალიანსებისაგან, რომელთა სამხედრო ძლიერება ბევრად აღემატება მათ ძალებს და უქმნის რეალურ საფრთხეს. ქვეყნები ირჩევენ ასეთ სტრატეგიულ პოლიტიკას ორი მიზეზით:

*1.* ქვეყნებს ამოძრავებთ თვით-გადარჩენის სურვილი და არსებობის რისკის ფაქტორი და მათი მიზანია შეაჩერონ პოტენციური ჰეგემონი, სანამ ის არ გაძლი-

[1] Arnold Wolfers "The Balance of Power in Theory and Practice", in Collaboration: "Essays on International Politics", Md, Baltimore, 1962, pp. 122-124

ერდება. ამისთვის ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია შეეკრა უფრო სუსტ ძალას იმისთვის, რომ აიცილო დომინანტობა მომავალში იმათ მხრიდან, ვისაც შეუძლია ასეთი დომინანტობის მიღწევა. ამ მხრივ საყურადღებოა უისტონ ჩერჩილის შემდეგი სიტყვების მოყვანა: *„ჩვენ ყოველთვის ვარჩევდით რთულ ვარიანტს, როდესაც ვერთიანდებოდით შედარებით ნაკლებ ძლიერ ძალასთან და ამით ვამარცხებდით კონტინენტალურ სამხედრო ტირანს, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი*[1]“;

2. როდესაც სუსტი ქვეყანა უერთდება ალიანსს, ამით, როგორც ახალ წევრს, მას გავლენა ეზრდება, რადგან სწორედ სუსტ ქვეყანას სჭირდება დახმარება. ამისგან განსხვავებით, ძლიერ მხარესთან ალიანსის შექმნის შემთხვევაში, ახალი მოკავშირის გავლენა მცირდება (რადგან ის კოალიციას შედარებით ნაკლებს ჰმატებს), რის შედეგადაც ის პარტნიორების კაპრიზზე ხდება დამოკიდებელი. ამრიგად, უფრო სუსტ მხარესთან კავშირი უფრო სასურველი უნდა იყოს[2].

*“მიტმასნის პოლიტიკის“* პირობებში კი სახელმწიფოები ძლიერის დაბალანსებას ეცდებიან, გასაკვირი არ არის, თუ გავითვალისწინებთ მრავალ ცნობილ მაგალითს, როდესაც სახელმწიფოები ერთიანდებიან იმ სახელმწიფოსა თუ კოალიციასთვის წინააღმდეგობის გასაწევად, რომელიც მათ ემუქრება. ამის მიუხედავად, ფართოდაა გავრცელებული მოსაზრება, რომ საპირისპირო ტიპის მოქმედების ალბათო-

[1] Winston Churchill “The Second War”, vol.№1: “The Gathering Storm”, Boston, 1948, pp.207-208

[2] სტივენ უოლტი „ალიანსები: დაბალანსება და მიტმასნება“, არტი ჯერვისის რედაქტორობით გამოსულ წიგნში „საერთაშორისო პოლიტიკა“, ქართულ ენაზე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2001 წელი, გვ.131-132



ბა უფრო დიდია. როგორც ერთ-ერთი მკვლევარი აღნიშნავს: „საერთაშორისო პოლიტიკაში არაფერია ისეთი წარმატებული, როგორც თვით წარმატება. გამარჯვებულ ძალის წინსვლას ინერცია აჩქარებს. მისი წარმატებების შეუქცევადობის განცდა ერთ მხარეს კიდევ უფრო ასუსტებს, ხოლო მეორეს უფრო დიდ სტიმულს აძლევს. პერიფერიული მოთამაშეები გამარჯვებულის მხარეს იჭერენ[1]“. “მიტმასნის პოლიტიკა“ ძალიან პოპულრულია ისეთ შემთხვევების დროს, როდესაც ძლიერი ჰეგემონი თვლის რომ მას ძალუძს განახორციელოს საერთაშორისო ინტერვენცია და გაზარდოს სამხედრო ასიგნებანი. მეორე შემთხვევაშია, როდესაც ძლიერ ჰეგემონს ილუზორული წარმოდგენა აქვს იმასთან დაკავშირებით, რომ რაც მეტად შეუქმნის ის სამხედრო საფრთხეს ან მუქარას რომელიმე სუსტ სახელმწიფოზე, აიძულებს შევიდეს მასთან ალიანსში. ამის მაგალითია, საქართველოს მიერ იძულებით „მიტმასნის პოლიტიკაზე“ დათანხმება 1993 წელს, როდესაც საქართველოს მოუწია აფხაზეთის კონფლიქტში დამარცხების შემდეგ შესულიყო რუსული გავლენის ქვეშ მყოფ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ) და უფრო მეტიც გამხდარიყო 1995 წლის თებერვლიდან დსთ-ს ეგიდით მოქმედ პრორუსული სამხედრო ბლოკის – კოლექტური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრიც კი. მაგრამ როგორც საქართველოს მიეცა შანსი, 1998 წლიდან აშშ-ს გეოპოლიტიკური გავლენის გაძლიერებისას კავკასიის რეგიონში, 1999 წელს მან დატოვა ეს სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი და მას შემდეგ გადავიდა პროდასავლურ საგარეო-პოლიტიკურ კურსზე, რაც მიზნად ისახავს საქართველოს გაწევრიანებას ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში და საქართველოს სტრა-

[1] W. Scott Thompson “The Communist International System”, *OrbisNº20, No.4, 1977*

ტეგიულ პარტნიორობას აშშ-თან[1]. ამით განისაზღვრა საქართველოს გეოპოლიტიკური კოდი[2], რომელიც გადაიქმნა „პრო-რუსული" ორიენტაციიდან „პროდასავლურ" ორიენტაციად.

ზოგადად უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ სუსტი ქვეყნისთვის უფრო მისდაგებულია „მიტმასნის პოლიტიკის" წარმოება ვიდრე „ბალანსირების". „ბალანსირების პოლიტიკის" შემთხვევაში, კი ქვეყნები არჩევენ მშვიდობიან დროს ან ომის დაწყების საწყისს ეტაპს, იმ მიზნით, რომ თავიდან აიცილონ ძლიერი ქვეყნისგან წამოსულ საფრთხე. ამ ორი პოლიტიკის გავლენა საერთაშორისო პოლიტიკისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემებზე შეიძლება განიხილოს მათემტიკური მოდელირებით და მისი სავარაუდო იკონოგრაფია შეიძლება გამოისახოს შემდეგნაირად ცხრილი№5-ის სახით.

[1] ვახტანგ მაისაია „საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები და დეტერმინანტები „ცივი ომის" შემდეგ (1991-2004)", სახელმძღვანელო, სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი, თბილისი, 2013, გვ.150-151

[2] ალექსანდრე წურწუმია „გეოპოლიტიკური ცვლილებები დროსა და სივრცეში", მეორე გამოცემა, გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი, 2016 წელი, გვ.26



*სქემა№2: საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის მათემატიკური მოდელი „ბალანსირების" და „მიტმასნის" პოლიტიკის მიხედვით:*




რეალიზმის სკოლის მიხედვით, საერთაშორისო ურთიერთობები, არსებითად კონფლიქტურია.სოციალური სინამდვილის არსს წარმოადგენს ჯგუფი, უფრო მეტად, კონფლიქტური ჯგუფი (ტომი, ქალაქი, სახელმწიფო, სამეფო, იმპერია, ერი-სახელმწიფო) და არა ცალკეული პიროვნება, ხოლო მთელი პოლიტიკური ცხოვრების წამყვანი მოტივაციაა ძალაუფლება და უსაფრთხოება. მათემატიკური მოდელირების ჩარჩოში რეალისტური თეორიის განხილვისას შეგვიძლია გამოვიყენოთ ე.წ. „ბილიარდის ბურთის" მიდგომა. საერთაშორისო ურთიერთობათა მოდული ემყარება ცენტრისტული სახელმწიფოს კონცეფციას, სადაც სრული სუვერენიტეტის მქონე სახელმწიფოები მოქმედებს დეცენტრალიზებულ სისტემაში. სისტემის მახასიათებლებია ენდემური კონფლიქტი და თვითგადარჩენაზე დამკვიდრებული უსაფრთხოების გარემო. თითოეული აქტორი ვალდებულია თვითონვე უზრუნველყოს

თავისი უსაფრთხოება და იძულებულია ესწრაფვოს გამალებულ შეიარაღებას. ეკონომიკური მოსაზრებები ექვემდებარება უსაფრთხოების მოსაზრებას, შედარებით უპირატესობა დაიყვანება აბსოლუტური უსაფრთხოების პრინციპზე, „პატიმრის დილემა“ წარმოადგენს საერთაშორისო ცხოვრების არსს, სადაც ოპტიმალურ გადაწყვეტათა ვარიანტია – „საერთაშორისო ძალის წესდება“. მოცემულ სისტემაში მუდმივი მშვიდობის არსებობა შეუძლებელია და გარკვეული სახის სტაბილურობა შეიძლება მიღწეულ იქნას პირდაპირი ალიანსების მეშვეობით განხორციელებული მართვით, როგორც პოტენციური ჰეგემონების საწინააღმდეგო ბალანსი.

სწორედ „ძალთა ბალანსის“ თეორია წარმოადგენს რეალისტური სკოლის ძირითად და შემადგენელ ნაწილს. ამ ცნებაზე დაყრდნობით რეალისტები განმარტავენ საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის სხვადასხვა ციკლის თავისებურებებს. ამასთან ერთად, „რეალისტები“ გარკვეულწილად ეყრდნობიან ინგლისელი ისტორიკოსისა და ფილოსოფოსის არნოლდ ტოინბის ჩაკეტილი ცივილიზაციის კონცეფციის ლოგიკას. ამავე სკოლის მკვლევარების თანახმად, სახელმწიფოთა სამხედრო დიპლომატიური მეტოქეობის ხარჯზე, ფუნქციონირებს ძალთა ბალანსის საერთაშორისო მექანიზმი, რომლის ძირითად მიზანს „ეროვნული ინტერესების“ უზრუნველყოფა შეადგენს (ტერმინის შინაარსის დადგენა ასევე წარმოადგენს რეალიზმის კვლევის უმთავრეს მიმართულებას).

„ძალთა ბალანსის“ კონცეფციის, როგორც ტერმინის და თვით „თეორიის“ განმსაზღვრელი ბევრი დეფინიცია არსებობს, რომელთაგანაც ზოგად პლანში შეიძლება შემდეგი სამი გამოიყოს:

1) ძალთა ბალანსი არის პოლიტიკური სტაბილურობის საფუძველი, რომელიც ეფუძნება წამყვან ქვეყნებს შორის ძალაუფლების განაწილების პრინციპს;
2) ინგლისელი ისტორიკოსის ტოინბის განმარტებით:



„ძალთა ბალანსი არის პოლიტიკური დინამიკის სისტემა, რომელიც თამაშში შედის ყველგან, სადაც საზოგადოებებია (ამ შემთხვევაში საერთაშორისო) გამოყოფილი რამდენიმე დამოუკიდებელ ლოკალურ სახელმწიფოდ;
3) ფრანგი საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი გატელი ამ ცნების საზღვრებში გულისხმობს შემდეგს: „ძალთა ბალანსი წარმოადგენს სახელმწიფოთაშორის ურთიერთობების ისეთ სახეს, სადაც არცერთი მათგანი არ არის იმდენად ძლიერი, რომ სხვებს მოახვიოს თავისი კანონები“[1].

მაგრამ მისი უფრო სრული და დეტალური დეფინიცია აღწერა საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერებათა ქართველმა მკვლევარმა ალექსანდრე რონდელმა. მისი სიტყვებით: „ძალთა წონასწორობის კონცეფცია გულისხმობს ისეთი საგარეო პოლიტიკის გატარებას, რომელიც მიზნად ისახავს რეგიონში ან გლობალურ მასშტაბში ძალთა (პირველ ყოვლისა – სამხედრო ძალა) წონასწორობის დამყარებას და შენარჩუნებას“[2]. მისივე განმარტებით, ანარქიული საერთაშორისო სისტემაში მოქმედი აქტორების მიზნების დიაპაზონი ამგვარია: გადარჩენიდან-მსოფლიო ბატონობამდე. საერთაშორისო სისტემის ყოველი აქტორი ცდილობს საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გამოიყენოს ძალთა წონასწორობის პრინციპი და კავშირებისა და კოალიციების შექმნის გზით გაანეიტრალოს ობიექტურად არსებული ან სუბიექტურად აღქმული საფრთხე. საგულისხმოა ის მომენტიც, რომ ძალთა

[1] „სტრატეგიული კვლევები“№1, 1999, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, სამხედრო პოლიტიკის და სტრატეგიული კვლევების მთავარი სამმართველოს დოქტრინებისა და სტრატეგიული კვლევების სამმართველო, რედაქტორები: დავით თევზაძე და კახა კაციტაძე, თბილისი, გვ.74-75

[2] ალექსანდრე რონდელი „საერთაშორისო ურთიერთობები“, გვ.144-145

წონასწორობის პრინციპის გამოყენება სტაბილურს ხდის რეგიონულ და გლობალურ საერთაშორისო სისტემას. მისი განმასხვავებლი ფაქტორია, ის რომ ძალთა წონასწორობა გლობალურ დონეზე მყარდება მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოების მეშვეობით და იგი მათ სურვილსა და შესაძლებლობებზეა დამოკიდებული. ძალთა ბალანსის თეორიის რეალურად ასახვა საერთაშორისო პოლიტიკურ გარემოში გამოიხატა „ცივი ომის" დაწყებით და დასრულებით, რომელიც თითქმის 45 წლის მანძილზე მიმდინარეობდა და ტრაგიკული დაღი დაასვა ცალკეულ ქვეყნებსა და ერებს[1].

საერთო ჯამში, ძალთა ბალანსის თეორია სწავლობს და იკვლევს ომის პრობლემის და მისი განსამზღვრელი ფაქტორი ძალის ანუ სამხედრო პოტენციალის გამოყენების ან დემონსტრირების პოლიტიკური ასპექტს. მიუხედავად იმისა, რომ მე-20 საუკუნეში მომხდარმა მნიშვნელოვანმა ძვრებმა, ძირითადად, სამეცნიერო- ტექნიკური ხასიათისამ, სამხედრო ხელოვნების სტრატეგიასა და ტაქტიკაში (პირველყოვლისა გასული საუკუნის 40-იან წლებში ბირთვული იარაღის გამოგონებამ) აქტუალური გახადა საერთაშორისო სისტემაში ძალის გაწონასწორების (ანუ ეკვილიბრიუმის) ტრადიციული მიდგომის შეცვლა უფრო თანამედროვე ხედვით. ახალი მიდგომისას წესრიგი არა მხოლოდ საერთაშორისო პოლიტიკის ვითარების მახასიათებელია, არამედ ფასეულობაა. ძალთა ბალანსის თეორია, პირველ რიგში, ემყარება სახელმწიფოთა გარეგან მოქმედებებს და მოიცავს მხოლოდ მათ საგარეო ურთიერთობათა სფეროს, რისი აუცილებელი გამოვლინებაცაა აქტორთა გაერთიანება სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებსა და ალიანსებში. ეს ვითარება აშკარად გამოიკვეთა ბოლო ოთხი საუკუნის განმავლობაში, მოყოლებული ვესტფალიის 1648 და ვენის კონგრესის 1814-15 წლების ხელშეკ-

[1] ზურაბ აბაშიძე „ცივი ომი: წარსული თუ დღევანდელობა", თბილისი, 2009, გვ.7



რულებებიდან[1]. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ძალთა ბალანსს ახასიათებს, როგორც ალიანსთა სისტემას. მეორეს მხრივ, ტერმინი, ძალთა ბალანსის თეორია, გულისხმობს, რომ სამხედრო-პოლიტიკური ძალაუფლების თანაბარი განაწილება თავის გამოხატულებას ჰპოვებს მშვიდობაში, როდესაც ძალაუფლების არათანაბარი მდგომარეობა აუცილებლად შეიცავს კონფლიქტის საფრთხეს. თეორიის განმსაზღვრელ ფაქტორს შეადგენს ის გარემოება, რომ ერები არსებობენ ანარქიულ გარემოში, სადაც „ძალის განაწილება, უფრო მეტად იწვევს ომებს, ვიდრე პარიტეტი".

საერთო ჯამში უნდა აღინიშნოს, რომ უსაფრთხოების თეორიის განხილვისას და მისი მისადაგების ფორმატის შერჩევისას გლობალური უსაფრთხოების ეგიდით არის საკმაოდ რთული მოვლენა. რადგანაც გლობალიზირებულ სამყაროში ხორციელდება ყველა მიმართულების, მათ შორის საფრთხეების, სერიოზული ტრანსფორმაცია და უსაფრთხოება „პოლიტილიზაციის" მდგომარეობიდან, რითაც გამოირჩეოდა გასული საუკუნის გეოპოლიტიკური წესრიგი, გადადის „ტექნოკრატიზაციის" ფენომენამდე, რითაც ხასიათდება მიმდინარე წესრიგის პირობები. ამის მიუხედავად, სავსებით შესაძლებელია „ძველი" ანალიტიკური მოდელების მორგება კვლევით სისტემებზე და მათი განხილვა უსაფრთხოების თეორიის ფორმატში.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს თეზისი, რომ უსაფრთხოების სეგმენტი დიდი ხანია არ არის „მიბმული" სამხედრო თემატიკასთან და სამხედრო სტრატეგიის[xi] პარამეტრებთან, არამედ უფრო ფართო ჰორიზონტს მოიცავს და სადაც „სამგანზომილებიან" კოორდინატთა სისტემაში (ხმელეთი-ჰაერი-ზღვა) შემოდის მეოთხე კომპონენტი – ვირტუალური სივცრე – კიბერუსაფრთხოება.

[1] Henry Kissinger "World Order", Penguian Books, UK, 2015, pp.24-25

## 1.2. ეროვნული უსაფრთხოება და საფრთხეების კლასიფიკაციის იდენტიფიკაცია 21-ე საუკუნეში

ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში საერთაშორისო ურთიერთობების აკადემიურ წრეებში რეალიზმის სკოლის დომნინატობის პირობებში (დაახლოებით 1930-1970 წლები), უსაფრთხოების სამუშაო დეფინიცია მკვეთრად ლიმიტირებული იყო და შემოიფარგლებოდა მხოლოდ სამხედრო ძალის და გეოსტრატეგიული კვლევების ფორმატით. რათქმა უნდა „ცივი ომის“ პერიოდში დომინანტ აქტორებად ითვლებოდნენ ერი-სახელმწიფოები (nation-states), ამიტომაც უსაფრთხოების ალგორითმი დაუკავშირდა პოლიტიკურ ტერმინ "***ეროვნულ უსაფრთხოებას***"[1]. პოლიტიკრუ ლექსიკონებში ტერმინი „*ეროვნული უსაფრთხოება*" 1901-1909 წლებში აშშ-ის პრეზიდენტის თეოდორ რუზველტის დამსახურებით აღმოჩნდა. მან 1904 წელს აშშ-ს კონგრესს გაუგზავნა მიმართვა, რომელშიც პანამის იმ ტერიტორიების ოკუპირებას, სადაც მომავალში არხი უნდა აშენებულიყო, ასაბუთებდა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებით ინტერესებით. სწორედ თეოდორ რუზველტის დამსახურებაა ის, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისიდან აშშ-ის საგარეო პოლიტკამ უფრო აქტიური ხასიათი მიიღო და გავიდა გლობალური პოლიტიკის დონეზე. მოგვიანებით ეროვნულ უსაფრთხოების კონცეფტს მიენიჭა პრაქტიკული პოლიტიკის მნიშვნელობა, როდესაც აშშ-ს კონგრესმა მიიღო კანონი „ეროვნული უსაფრთხოების“ შესახებ 1947 წელს და იმავე წელსვე დაარსდა მნიშვნელოვანი ორგანო, რომელიც 20-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკის ყველა აქტორმა გადაიღო და დანერგა საკუთარ

[1]Michael Sheehan "International Security: An Analytical Survey", Lynne Reinner Publishers, USA, 2005, p.5



პოლიტიკურ სისტემაში – „*ეროვნული უშიშროების საბჭო*"[1]. როგორც პოლიტიკური მოვლენა ეროვნულ უსაფრთხოებას გააჩნია სამი განზომილება: დიპლომატიური, ეკონომიკური და სამხედრო. სწორედ ეროვნული უსაფრთხოების განზომილებაში სამივე კომპონენტი განიხილება, როგორც ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში მყოფი გეოპოლიტიკური „კოჰორტა“. დიპლომატიური პოლიტიკის სფეროა სხვა ქვეყნებთან პოლიტიკური ურთიერთობები, ეკონომიკური პოლიტიკა საზოგადოების შიგნით რესურსები განაწილება და სხვა ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობებია. სამხედრო პოლიტიკა[xii] კი არის ყველაფერი ის რაც ეხება შეიარაღებულ ძალებს და სამხედრო ძალის გამოყენებას[2]. ზოგადად, უსაფრთხოება არის როგორც ცვლადი, რომლის ფუნქციის განსაზღვრა არის არც თუ ისე იოლი საქმე, ხოლო ეროვნული უსაფრთხოება კი არის ორმაგი ცვლადი და მისი ამოხსნა ჯერაც არ განხორციელებულა. ამიტომაც ეროვნული უსაფრთხოების განსაზღვრისას არ არის ერთიანი მიდგომა და არსებობს მის აკადემიური დეფნიციის რამოდენიმე ვარიანტი, რომელთა შინაარსი ზოგიერთ შემთხვევაში არის განსხვავებული და ურთიერთსაწინააღმდეგოც კი. სხვადასხვა დეფინიციებიდან სასურველია განვიხილოთ ორი ვარიანტი:

***ეროვნული უსაფრთხოება*** *– ეს გახლავთ სახელმწიფოს მიერ თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში სახელმწიფოს მიერ მიღებული (ან მისაღები) ზომების სხვადასხვა დონის სისტემა, რომელიც საფრთხეების განეიტრალებისა და პიროვნების, საზოგადოების, ეკონომიკის და სახელმწიფო*

[1] ზესიკ ალადაშვილი „ეკონომიკური უსაფრთხოება: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა“, სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოების ცოდნა“, თბილისი, 2011 წელი, გვ.50

[2] ალექსანდრე რონდელი „„საერთაშორისო ურთიერთობები“, მესამე განახლებული გამოცემა, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2006 წელი, გვ.136

*ინსტიტუტების მდგრადი განვითრებისაკენაა მიმართული, რომელსაც გააჩნია ორი საგარეო და შიდა მიმართულებები*[1];

***ეროვნული უსაფრთხოება*** *– სახელმწიფოს ფსიქოლოგიური თავისუფლება იმ საშიში განცდისგან, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ ქვეყანას არ ძალუძს აღკვეთოს ის საფრთხეები, რომელიც სიცოცხლისუნარიანობას და ეროვნულ ღირებულებებს ეხება და რომელიც მომდინარეობენ მის გარედან და შიგნიდანაც*[2].

ამგვარი ზოგადი და ფილოსფიური შინაარსის განსაზღვრებისა, საუსრველია ჩამოყალიბდეს ახალი ვარიანტი მისი დეფინიციის და ავტორების მიერ მოყვანილია შენდეგი სახის განმარტება:

***ეროვნული უსაფრთხოება*** *– საერთო ეროვნულ ფასეულობათა სისტემა, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს (ან სოციუმის) წარმოდგენას სხვა სახელმწიფოებთან (ან სოციუმებთან) ურთიერთობების წარმართვის პროცესს, კონკრეტული საშიშროებისა თანამშრომლობის სათანადო ფორმით განვითარების კუთხით.*

რათქმა უნდა მოცემული განმარტება არ არის იდეალური, მაგრამ ერთგვარად გამოხატავს ცნება „ეროვნული უსაფრთხოების“ არსს, განსაკუთრებით 21-ე საუკუნეში, რადგანაც გლობალიზებულ სამყაროში თანდათანობით სახელმწიფოებთან ერთად საერთაშორისო არენაზე გამოდიან ასევე სოციუმის ფართო მასებიც (მაგალითად, ანტი-გლობალისტები, ნეოლიბერტარინული მოძრაობები, ტრანს-ეროვნული კორპორაციები და კრიმინალური სინდიკატები და ა.შ.). ამასთან ერთად, სახელმწიფოს წინაშე, როგორც ეროვნული სოციუმის გარანტორ პოლიტიკურ სისტემას, ევალება

[1] მ. მაცაბერიძე „ეროვნული უსაფრთხოება: ცნება და შინაარსი", პოლიტოლოგიის საკითხები№1, თბილისი, 1992 წელი, გვ.17-29

[2] Cahrles W. Kegley and Eugene R. Wittfopf "World Politics: Trend and Transforation", eighth edition, Bedforrd/St. Martin's, Boston-New York, 2001



არამარტო საშიშროებების პრევენციტირება და ნიველირება, არამედ კონკრეტული სახის თანამშრომლობის ფორმების გამოძებნა და მათი პედალირების მეშვეობით სტრატეგიული სტაბილური გარემოს წინაპირობების შექმნა. თავისთავად ცხადია, რომ ნებისმიერი სოციუმი და მის უმეტეს, მისი პოლიტიკური ინსტიტუტი- სახელმწიფო წარმოუდგენელია ფასეულობების გარეშე, რომელიც განსაზღვრავს მის ექზისტენციანალურ მდგომარეობას. ეროვნული უსაფრთხოებს, როგორც გეოპოლიტიკურ ფენომენს, გააჩნია თავისებურებანიც, რომელიც განსაზღვრავენ მის ბუნებას და ახდენენ მასზე უშუალო ზეგავლენა. ერთ-ერთ ასეთ საინტერესო თავისებურებად წარმოდგება – მისი გარემო. სტრატეგიული ანუ ***ეროვნული უსაფრთხოების გარემო,*** ამ შემთხვევაში ის რეალობაა, რომელშიც ხელისუფლებას უწევს ურთიერთქმედება სხვა სახელმწიფოებთან, სხვა აქტორებთან ან/და მომავალ შესაძლებლობებთან, რათა განამტკიცოს სახელმწიფოს კეთილდღეობა. ეს გარემო რთულია და მოიცავს ფაქტებს, კონტექსტს, პირობებს, ურთიერთობებს, კავშირებს, პრობლემებს, ტენდენციებს, საფრთხეებს, შესაძლებლობებს, ურთიერთქმედებებს, რაც გავლენას ახდენს სახელმწიფოს წარმატებაზე მსოფლიო პოლიტიკური სისტემაში მონაწილე სხვა აქტორებთან, შესაძლებლობებთან, სავარაუდო მომავალთან მიმართებაში[1]. ამასთან ერთად, *ეროვნული უსაფთხოების გარემოს* გააცნია პირველ რიგში სივრცული განზომილება და მისი დეტერმინენატები განისაზღვრებიან გეოპოლიტიკური ფაქტორებით. ამ კონტექსტში შესაძლებელია გამოიკვეთოს ასეთი გარემოს ოთხი გეოპოლიტიკური კომპონენტი:

[1] გიორგი გოგაშვილი „ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის ფორმულირების დასავლური გამოცდილება და ქართული რეალობა", გამოქვეყნებული „სტრატეგიულ კვლევებში"№2, აიბი ევროკავკასიური უნივერსიტეტი, თბილისი, 2009, გვ.88

❖ *რეგიონული*
❖ *პანრეგიონული*
❖ *ტრანსრეგიონული*
❖ *კონტინენტალური*

კონკრეტული მაგალითის ფონზე შეიძლება გრაფიკულად გამოხატოს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების გარემო 1990-2013 წლებში:

***გრაფიკი№1: საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების გარემო** (სავარაუდო მოდელი)*




ეროვნული უსაფრთხოების ფენომენს გააჩნია თავისი შემადგენელი ანალიტიკურ-სამეცნიერო „შიგთავსი", რომელსაც ძალუძს რეალურ ვითარებაში განსაზღვროს სახელმწიფოს განვითარების ეტაპები საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების მიმართულებით. ასეთ ე.წ. „შიგთავსებს" შეადგენს სამი კონცეფტუალური კომპონენტი, რომლის მეშვეობითაც ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვნელობამ უნდა გაითვალისწინოს „მაღალი დონის" პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში. ასეთ კომპონენტებს წარმოადგენენ:

- ***ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია*** *(ლოკალური დონე)*



- ***ეროვნული უსაფრთხოების დილემა*** *(რეგიონული დონე)*
- ***ეროვნული უსაფრთხოების ჩიხი*** *(ტრანსრეგიონული დონე)*

*ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია* არის დოკუმენტი (ზოგიერთი ავტორი იყენებს ტერმინ „სტრატეგიას'), რომელშიც მოცემულია ის საპროგრამო თეზისები, რომელთა ცხოვრებაში გატარება, ე.ი. მათი სხვადასხვა სფეროში პროგრამად ქცევა, უზრუნველყოფს სახელმწიფოს უსაფრთხო არსებობასა და სტაბილურ გარემოში განვითარება[1]. მას გააჩნია ლოკალური დონე, რადგანაც მის ჩამოყალიბებაში მონაწილეობას ღებულობს ქვეყნის პოლიტიკური ლიდერშიპი და ზოგიერთ სახელმწიფოში, ამ დოკუმენტს ქვეყნის უმაღლესი საკანონდმებლო ორგანო – პარლამენტი ამტკიცებს და ზოგიერთში კი ქვეყნის უმაღლესი პოლიტიკური ხელმზღვანელი – პრეზიდენტი ან პრემიერ-მინისტრი. თუმცალა მას გააჩნია კონკრეტული სახის დეფინიცია, რომელიც ავტორების მიერ არის შემოთავაზებული. ***ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია*** *– ქვეყნის პრიორიტეტული მიმართულებების, კომპლექსთა ღონისძიებების და საშუალებათა განსაზღვრა და შემუშავება საგარეო და საშინაო საფრთხეების ალკვეთის მიზნით – სხვა ქვეყნებთან ომი ან სამოქალაქო ომი.* ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციია შემუშავებას დიდი მნიშვნელობა გააჩნია აქტორის საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის და მისი გეოპოლიტიკური როლის და მისიის განსაზღვრაში ნებისმიერ დონეზე, რომელსაც ზოგიერთ შემთვევაში შეიძლება ჰქონდეს კონსტიტუციური რანგის დებულების შინაარსიც კი, თუნდაც დე-ფაქტოდ. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავებას სჭირდება საერთო ეროვნული კონსენსუსი.

*ეროვნულ უსაფრთხოების დილემას* კი გააჩნია უფრო

---

[1] იქვე, გვ.109

მეტად რეგიონული დონის მასშტაბები, რადგანაც მისი ფენომენი განისაზღვრება რეგიონული ურთიერთობებით და გამოიხატება სამეზობლო პოლიტიკის სწორი წარმართვაში. მას გააჩნია თავისი განსაკუთრებული იდენტიფიკაციის „ფორმულა“, რომელიც პირობითად შეიძლება გამოისახოს შემდეგნაირად: ***ეროვნული უსაფრთხოების დილემა*** – *მზარდი გამალებული შეიარაღების რბოლის განვითარება, რომლის პირობებში ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების პირობებიდა ფაქტორები მცირდება შეიარაღების და მთლიანად სამხედრო ასიგნებათა გაზრდის ხარჯზე.*

რაც შეეხება ამ ჩამონათვალში მესამე კომპონენტს – *ეროვნული უსაფრთხოების ჩიხს*, ის უკავშირდება სახელმწიფოების მიერ სუვერენიტეტის დაკარგვის ტენდენციას. ბევრი მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ თანამედროვე სახელმწიფოებს, როგორც გლობალური უსაფრთხოების აქტორებს, არ ძალუძთ იმოქმედონ ეფექტურად გარემოს დაცვის, ეკონომიკური განვითარების და სხვ სფეროებში. სახელმწიფოების პარალელურად ასეთ პროცესებში აქტიურად არიან ჩართულნი სახელმწიფოთაშორისი და არასამთავრობო ორგანიზაციები, სხვადასხვა სახის მოძრაობები და ა.შ. თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის პირობებში, სახელმწიფოებს უწევთ ანგარიში გაუწიონ ერთის მხრივ საერთაშორისო ორგანიზაციებს, ინსტიტუტებს და სუპერ-სახელმწიფოებს, მეორეს მხრივ კი – თავისივე შიდასახელმწიფოებრივი სუბ-აქტორებთანაც: რეგიონებთან (იგულისხმება მათ შორის სეპარატისტული რეგიონებიც), მეგაპოლისებთან, რომლებიც აქტიურად გამოდიან საერთაშორისო არენაზე და ავითარებენ სავაჭრო, კულტურულ და სხვა სახის ურთიერთობებს (ამის შედეგად კი ხდება ქვეყნის სუვერენიტეტის შეზღუდვა „ქვემოდან“)[1]. სამწუხაროდ ასეთივე ტენდენცია შეიმჩნევა სახელმწიფოებრივი სუვერინტეტის დაკნინებისა თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაშიც და ზოგიერთ შემთხვევაში, ქვეყნები ხდებიან ერთგვარად „მძევლებიც“ კი სისტემის შიგნით განვითარებული სიმეტრიული, თუ ასიმეტრიული გამოწვევების და სხვა მათთან დაკავშირებული მოვლენების. გეოპოლიტიკურ ლექსიკონში შემოვიდა ისეთი სახის ტერმინები, როგორებიცაა: „არშემდგარი ქვეყანა[xiii]“, „ქვაზი-სახელმწიფოებრივი გაერთიანება“, „სუსტი სახელმწიფო“ და ა.შ. ამიტომაც მათ წინაშე წამოიჭრება და ჩნდება ერთგვარი პოლიტიკური ჩიხი. ***ეროვნული უსაფრთხოების ჩიხი*** – *ქვეყნის პოლიტიკური მართვის ისეთი მდგომარეობა, რომლის შედეგადაც ნებისმიერი სახის მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელსაც ღებულობს ქვეყნის ხელმძღვანელობა, კიდევ უფრო ზრდის საფრთხეების მასშტაბებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებში გარეთაც.* ასეთ მაგალითად, დღევანდელ დღეს შეიძლება მოყვანილი იქნას საქართველოს წინაშე არსებული ასიმეტრიული სამხედრო საფრთხე ე.წ. „მცოცავი ოკუპაცია“ და მისი დამღუპველი შედეგები ქვეყნის სუვერინიტეტის შებღალვის კუთხით, როდესაც ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინებით, მათ შორის გეოპოლიტიკური შინაარსის (მხედველობაშია საერთაშორისო ორგანიზაციების და ინსტიტუტების ძალიან პასიური დამოკიდებულება ამ პროცესისადმი) ვერ ხორციელდება მისი შეჩერება, რომელიც თანდათანობით გადადის უსაფრთხოების „წითელ ზღვარსაც“ კი.

ზუსტად ზემოთმოყვანილ თემატიკას ეხება და ლოგიკურად ებმება, საკითხი სახელმწიფოს, როგორც საერთშორისო პოლიტიკის მთავარი აქტორის, ეროვნული ძლიერების და შესაძლებლობების განსაზღვრაც. თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების პირობებში გამოიყოფა ხოლმე სახელმწიფოების დაყოფა: სუპერ, დიდ, პატარა და საშუალო სახელმწიფოებად, თუმცა ესეც პირობითი აღნიშვნაა და დღე-

[1] М.М. Лебедева «Мировая Политика», учебник, третье издание, КНОРУС, Москва, 2014, стр.46

საც რთულია განისაზღვროს ნებისმიერი სახელმწიფოს სიძლიერის ამპლიტუდა და ცვლადობის ინვარიანტობა. უფრო მეტად დამკვიდრდა ტერმინი „სუპერ-სახელმწიფოსი[xiv]", თუმცა ესეც კი პირობით ერთეულებში გამოისახება ხოლმე. ამგვარი „გაზომვის" საშუალება სავსებით შესაძლებელია ანალიზის ***ინდივიდუალური ფორმატის*** ფარგლებშიც. მხედველობაშია პოლიტიკური რეალიზმის მამა-მთავრის ჰანს მორგენთაუს მიერ შემუშავებულ ცხრა კატეგორიას, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია „ეროვნული სიძლიერის" განსაზღვრა. მან გამოყო შემდეგი კატეგორია:

*გეოგრაფიული მდებარეობა:* მაგალითად ალპების გეოგრაფიულმა მდებარეობამ განსაზღვრა იტალიიდან ცენტრალურ ევროპაში შეჭრის სირთულე, მაშინ როდესაც უფრო იოლია იტალიაში ჩრდილოეთიდან შემოჭრა. ამ ფაქტორმა განაპირობა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში იტალიის უცხოელი დაპმყრობლების თარეში;

*ბუნებრივი რესურსი:* ქვეყნებს, რომლებსაც თვითონვე იკმაყოფილებენ თავიანთ მოთხოვნილებებს, არ სჭირდებათ გადართონ „ენერგია" სხვა მხრიდან მათ მისაღებად. მათ ძალუძთ მეტი ეფექტიანობით მიაღწიონ ომიანობის პერიოდში საკუთარ ეროვნულ მიზნებს;

*სამრეწველო შესაძლობები:* დიდი რესურსების ქონა (მათ შორის სასარგებლო წიაღისეულის) არ არის საკმარისი, სანამ ისინი არ გარდაიქმნებიან სამრეწველო პროდუქციად;

*სამხედრო მზაობა:* სამხედრო ტექნოლოგიები, ხელმძღვანელობის ხარისხი, შეიარაღებული ძალების რაოდენობა წარმოადგენენ სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს აქტიური საგარეო პოლიტიკური კურსის წარმოებისთვის;

*მოსახლეობა:* თანამედროვე ომის წაროება მოითხოვს დიდ მოსახლეობას აუცილებელი ფუნქციების შესრულებისთვის;



*ეროვნული ხასიათი:* მოსახლეობის კულტურული მიდრეკილებანი და ანტიპატიები გავლენას ახდენენ ქვეყნის შესაძლებლობებზე მოდერნიზაცია გაუკეთოს სამხედრო ძალებს და შეინარჩუნოს მათში ბრძოლისუნარიანობა, მონაწილეობა მიიღოს შეთქმულებებში, შეინარჩუნოს მთავრობის მდგრადობა და შეასრულოს ყველა სახის მოქმედებანი, რომლებიც მიმართულია „ეროვნული ძალის" სრულად გამოყენებისაკენ;

*ეროვნული მორალი:* მისი დონე განსაზღვრავს ერისაგან თავისი სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკის მხარდაჭერას ომისა და მშვიდობისა პირობებში;

*დიპლომატიის ხარისხი:* დიპლომატია წარმოადგენს ხელოვნებას გააერთიანოს „ეროვნული ძალის" სხვადასხვა ელემენტი საგარეო პოლიტიკის მიზნების მისაღწევად;

*მთავრობის ხარისხი ანუ დონე:* მთავრობა ვალდებულია გონიერად მართოს ქვეყნის საზოგადოებრივი აზრი, რითაც ის უზრუნველყოფს თავის პოლიტიკის მხარდაჭერას[1].

ამის ფონზე დგება გაირკვას, ეროვნული სიძლიერის გამოხატულების და მისი პოლიტიკური სუბსტრატის შემცველი რას წარმოადგენს. აქ სწორად შემოდის *ეროვნული ინტერესის კონცეფცია,* რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს რეალურ მიდგომებს საგარეო პოლიტიკის ღირებულებების და მიზნების აღსრულების წარმოდგენების შესახებ. როგორც ტერმინ „ეროვნული უსაფრთხოების" არსთან იყო, ასევე „ეროვნული ინტერესის" დეფინიციასთანაც მიმართებაში არ არის ერთიანი ჰომოგენური განმარტება, თუმცა აქ საქმე უფრო იოლად არის წარმოჩენილი. ერთ-ერთი განსაზღვრის თანახმად, რომელიც ავტორების მიერ არის შემუშავებული – ***ეროვნული ინტერესი:*** *სახელმწიფოს მიზნები მაქსიმალურად შეასრულოს ის, რაც ყველაზე მეტად შეესებამება მის ეგოცენტრისტულ ეროვნულ მისწრაფებებს.* ეროვნული ინ-

[1] H. Morgenthau "Politics Among Nations: The Struggle for Peace and Power", N.Y.4th Edition, 1948, pp.106-144

ტერესის კონცეფცია, ისევე როგორც ეროვნული უსაფრთხოება პოლიტიკური რეალიზმია, პირმშოა და ასევე ამერიკის პოლისმეიკერების მიერ არის შემოტანილი. აღნიშნული შეიძლება დავუკავშირო აშშ-ს ყველაზე წონიანი და გავლენიანი პოლიტოკოსის, აშშ-ს ყოფილმა სახელმწიფო მდივანის ჰენრი კისინჯერის სახელს. 1974 წელს ვაშინგტონში მან განაცხადა, რომ აშშ-ს საგარეო პოლიტიკა არის პრაგმატული და იგი ნაკარნახევია ქვეყნის ინტერესებით[1]. ამიტომაც სწორად ამერიკელ მკვ;ევარებს ეკუთვნით ეროვნული ინტერესების კლასიფიკაცია და თეორიული მოდელის ჩამოყალიბება, რომელიც მოგვიანებით აშშ-ს ხელისუფლებამ გამოიყენა რეალპოლიტიკის აღსრულებისას და ეფექტურად გამოიყენა საგარეო პოლიტიკის უკეთ კონცეფტუალიზაციისთვის (*ამაზე ცოტა მოგვიანებით*). საერთაშორის უსაფრთხოების ამერიკელმა მკვლევარმა თავის წიგნში „ეროვნული უსაფრთხოება ახალ ეპოქაში: გლობალიზაცია და გეოპოლიტიკა“ (“National Securityb For A New Era: Globalization and Geopolitics”) მოახდინა ეროვნული ინტერესების შემდეგი სახით კლასიფიკაცია:

✓ ***სასიცოცხლო ეროვნული ინტერესი (survival national interests)*** – *ამ შემთხვევაში, ის წარმოადგენს ისეთი სახის ინტერესს, რომლის შეუსრულებლობა იწვევს ქვეყნისთვის ექზისტენციულ საფრთხეს, ანუ მისი შეუსრულებლობას მოაქვს უშუალო კრიტიკულად საშიში გავლენა ქვეყნის სიცოცხლისუნარიანობაზე სახელმწიფოებრივი განვითარების ფარგლებში (მაგალითად, ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვა, სუვერენიტეტის ფიზიკური შებღალვა. ქვეყნის ოკუპაცია და ანექსია);*

✓ ***უმნიშვნელოვანესი ეროვნული ინტერესი (vital national interests)*** – *ქვეყნისთვის ისეთი მდგომარეობის*

1 ალექსანდრე .რონდელი, „საერთაშორისო ურთიერთობები“, გვ.113



*არსებობა, სადაც შეუძლებელია კომპრომისის მოძიება და მისი შეუსრულებლობა მისული ზღვარზე კრიტიკულ გავლენასთან ქვეყნის სიცოცხლისუნარიანობის კუთხით. ამ შემთხვევაში გამორიცხული არ არის სამხედრო ძალის გამოყენებაც კი (მაგალითად, ქვეყნის მოწყვლადობა ენერგოუსაფრთხოების კონტექსტში და მისი შესაძლებლობების შეფერხება ენერგორესურსების წვდომასთან მიმართებაში – აშშ-სთვის „პირველი ენერგეტიკული შოკის ეფექტი“ 1973 წელს და 1989 წელს აშშ-ს სამხედრო ინტერვენცია პანამაში დიქტატორ ნორიეგას დამხობის მიზნით);*

✓ ***მთავარი ეროვნული ინტერესი (major national interests)*** *– ქვეყნის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ეროვნული ინტერესის შეუსრულებლობასაც ექნება სერიოზული გავლენა ქვეყნის სიცოცხლისუნარიანობაზე, მაგრამ ეს გავლენას ვერ მოახდენს მის კრიტიკულ არსებობაზე და შეიძლება კონსენსუსის მიღწევა (მაგალითად, ქვეყნის გეოპოლიტიკური სტატუს-ქვოს დაქვეითება, ქვეყნის მოქალაქეების საერთაშორისო ტერორისტების მიერ მძევლად აყვანა, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენას ჰქონდეს ქვეყნის ეკონომიკაზე და ა.შ.);*

✓ ***პერიფერიული ეროვნული ინტერესები (peripheral national interests)*** – *ამ შემთხვევაში, ასეთი სახის ინტერესების შეუსრულებლობა, სავარაუდოდ არ მოახდენს კრიტიკულ გავლენას ქვეყნის არსებობაზე და მას შეიძლება ჰქონდეს „პრესტიჟის“ საგარეო პოლიტიკის შებღალვის მცდელობა (მაგალითად, აშშ-ს მაგალითზე შეიძლება იყოს დემოკრატიული ღირებულებების გავრცელება მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში)*[1].

1 Donald M. Snow “National Security For A New Era: Globalization and Geopolitics”, Pearson Longman Education, USA, 2004, pp.52-53

სხვათაშორის ასეთი კლასიფიკაცია აშშ-ს ეროვნული ინტერესების იმპლემენტაციის სფეროში და თეორიულ-სამეცნიერო ანუ ე.წ. „სნოუს მოდელის“ პოსტულატების რეალური გამოყენება საერთაშორისო პოლიტიკის არენაზე მოახდინა აშშ-ს პრეზიდენტმა ბილ ქლინთონმა 1999 წელს, იმ დროს შემუშავებულ „ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია ახალ საუკუნეში“ ("A National Security Strategy For A New Era"), სადაც ქვეყნის ეროვნული ინტერესები შემდეგნაირად განისაზღვრა ამ დოკუმენტის თანახმად, სახელდობრ:

- ***სასიცოცხლო ეროვნული ინტერესები* (vital interests)** *– ყურადღება გამახვილდა ისეთ უსაფრთხოების თემებზე, როგორიცაა ქვეყნის და მოკავშირეები ფიზიკური დაცვა, აშშ-ს მოქალაქეების დაცვა, საზოგადოების კეთილდღეობის პირობების დაცვა და კრიტიკურლი ინფრასტრუქტურების დაცვა, პირველ რიგში ენერგეტიკის, საბანკო და ა.შ.;*
- ***მთავარი ეროვნული ინტერესები* (important national interests)** *– ამ ბლოკში განისაზღვრა ისეთი მიმართულებები, როგორებიცაა: რეგიონები, სადაც აშშ-ს და მის მოკავშირეებს გააჩნიათ დიდი ეკონომიკური ინტერესები, გლობალური გარემოს პირობების დაცვა დიდი მასშტაბების კატასტროფებისაგან, კრიზისები რაც უკავშირდება დესტაბილიზირებული სახის კრიზისებს უკანონო მიგრაციის სახით;*
- ***ჰუმანიტარული და სხვა ინტერესები* (humanitarian and other interests)** *– აქ შედის ბუნებრივი კატასტროფები და ტრენდ-ცენტრული სხვა სახის საფრთხეები, ადამიანის უფლებათა დაცვა და მათი მასშტაბური ფორმით დარღვევა, დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობა და ა.შ*[1].

[1] "A National Security Strategy For A New Century" – The White House, December 1999, pp.1-3



ამერიკული ასეთი „მეთოდოლოგიით“ შეიძლება შემუშავებული იქნას საქართველოს ეროვნული ინტერესების კლასიფიკაცია, რომელიც შეიძლება განხილულ იქნას ამ ცხრილში:

***ცხრილი№5: საქართველოს ეროვნული ინტერესების კლასიფიკაცია 2014 წლისთვის:***




რაც შეეხება საფრთხეების იდენტიფიცირებას სწორედ ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის ჩარჩოში, განსაკუთრებით მისი პოლიტიკური ანალიზის ნაწილში, აქაც სასურველია შეირჩეს მარტივი მიდგომა და კლასიფიკაციის იგივე სქემა, რაც გამოყენებული იყო ეროვნული ინტერესების მოდელირებისას. საფრთხეების პოზიციონირება წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან გარემოებას ეროვნული ინტერესების განსაზღვრების საკითხში. ამიტომაც მისი ოდნავ გამარტივებით შესაძლებელია წარმოდგენილი იქნას ამ შემთხვევაში ე.წ. „საშიშროებათა“ სამგანზომილებიანი ვარიანტი: *საფრთხე-გამოწვევა-რისკი.*

***საფრთხე*** *– კანონით დაცული ღირებულებების, ფასეუ-*

ლობების, ინტერესების უშუალო შებღალვის მცდელობა ან მათი ნიველირება;

***გამოწვევა*** *– ერთი ქვეყნის ქმედება მიმართული სხვა ქვეყნის საწინააღმდეგოდ ეროვნული ინტერესების რეალიზაციის საქმეში;*

***რისკი*** *– ქვეყნის ხელმძღვანელობის ან პოლიტიკური მართვის უმაღლესი სხვა ინსტიტუტის უმოქმედება გამოწვევის ან საფრთხის პრევენციის საქმეში.*

მოცემული „ტრიპოლარული" საშიშროებათა მოდელში შესაძლებელია საქართველოს მიმართ მათი ექსტრაპოლირების სავარაუდო სქემის გამოსახვა შემდეგნაირად:

*ცხრილი№6: საქართველოს საფრთხეების მოდელირების მატრიცა*

| პოლიტიკური საფრთხეები და საქართველო | საფრთხე | გამოწვევა | რისკი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| სიმეტრიული საფრთხე | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| ასიმეტრიული საფრთხე | [illegible] • ჰიბრიდული ომი | [illegible] | [illegible] | [illegible] |



## 1.3. „თანამშრომლობითი უსაფრთხოება" – თეორიიდან პრაქტიკამდე: ნატოს შემთხვევის გარჩევა (NATO case-study)

ტერმინი „*თანამშრომლობითი უსაფრთხოება*" გახდა პოპულარული, როგორც მიმზიდველი გეოპოლიტიკური ფრაზა „ცივი ომის" დასრულებისთანავე. აღნიშნული ტერმინი გამოიყენებოდა უფრო მშვიდობიანი, ვიდრე იდეალისტური საერთაშორისო უსაფრთხოების პირობების უზრუნველყოფის მიზნით, საერთაშორისო არენაზე მზარდი ჰარმონიისა თანამშრომლობის განვითარების ფონზე[1]. თუკი „ცივი ომის" პერიოდში გეოსტრატეგიული წესი იგებოდა ჰიპოთეტური „თამაშით" „მოგება-წაგების" პრინციპით (zero-sum), პოსტ-ბიპოლარული წესრიგის მოწყობის ტენდენცია გამოიკვეთა „მოგება-მოგება" თამაშის (sum-sum) ფორმატში. "თანამშრომლობითი უსაფრთხოების" თეორია უკავშირდება საერთაშორისო უსაფრთხოების ცნობილი ამერიკელ მკვლევარის რიჩარდ კოენის სახელს.

ტერმინმა „უსაფრთხოება თანამშრომლობის საფუძველზე" პოპულარობა ცივი ომის დასრულების შემდეგ მოიპოვა. როგორც წესი, მსგავსი ტერმინი გამოყენება ისეთი იდეალური ურთიერთობების აღსაწერად, რომელიც ჰარმონიაზე და ღრმა საერთაშორისო თანამშრომლობაზეა დაფუძნებული. თუმცა, დღესდღეისობით ეს ტერმინი დაცლილია პრაგმატული და რეალისტური მოდელისაგან. რიჩარდ კოენი გვთავაზობს უსაფრთხოების ისეთ მოდელს, რომელიც იდეალიზირებული ქვაკუთხედიდან პრაქტიკულად აღსრულებადი ხდება. მისი თეორიის მიხედვით, გავრცელებულ საერთაშორისო უსაფრთხოების ორ კონცეფციას – კოლექტიური

---

[1] Richard Cohen and Michael Mihalka "Cooperative Security: New Horizons for International Order" in The Marshall Center Papers, No.3, Germany, April, 2001, p.1

უსაფრთხოება და კოლექტიური თავდაცვა – ემატება კიდევ ორი მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელიც მოიცავს ინდივიდუალურ უსაფრთხოებას და სტაბილურობის შენარჩუნებას. მოცემული კომპონენტების დამატების აუცილებლობა განაპირობა მსოფლიო წესრიგში ახალი საფრთხეების გაჩენის პროცესმა. მაგალითად, ტერორიზმის გლობალიზაცია,კრიმინალი, ავადმყოფობა, კიბერტერორიზმი, მოსახლეობის ზრდა, ლტოლვილთა და ეკონომიკური მიგრაცია, ბუნებრივი გარემოს კატასტროფები და სხვა.

„თანამშრომლობითი უსაფრთხოების" კოენისეული კონცეფცია მოიცავს შემდეგ ინსტრუმენტებს:

- საერთო საფრთხეების აღიარება;

როგორც რიჩარდ კოენი განმარტავს, ქვეყნების კოალიციაში გაწევრიანება, ან თანამშროლობითი კავშირების შექმნა დანარჩენ ქვეყნებთან, სხვადასხვა მიზეზით შეიძლება აიხსნას. თუმცა, მისი აზრით, ყველაზე მტკიცე განმაპირობებელ ფაქტორად საერთო საფრთხის აღქმა უნდა ჩაითვალოს. საერთო საფრთხის აღქმის შემდეგ, თანამშრომლობით კავშირში შესაძლებელია გაერთიანდნენ ისეთი ქვეყნებიც კი, რომლებსაც განსხვავებული იდეოლოგიური პრინციპები გააჩნიათ.ამის მიზეზია ქვეყნის უუნარობა, საკუთარივ ძალებით გაუმკლავდეს მის წინაშე არსებულ რისკებს. ქვეყნის უსაფრთხოება არ არის იმდნად დამოკიდებული მხოლოდ სამხედრო ძლიერებაზე. მიუხედავად იმისა, რომ კავშირში გაწევრიანებით, ზოგიერთი ქვეყანა სხვებთან შედარებით უფრო მეტ რესურსს ხარჯავს, ზოგიერთი უფრო მეტად ღებულობს სარგებელს, საბოლოო ჯამში ისინი აცნობიერებენ, რომ ერთმანეთის გარეშე საერთო საფრთხეს ვერ გაუმკლავდებიან. მაგალითად, აშშ-ში 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული თავდასხმების შემდეგ, მოხდა კოლექტიური თავდაცვის პრინციპის ამოქმედება. პირველად თავის ისტორიაში ნატო-მ გამოიყენა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლი, რომლის მიხედვითაც თავდასხმა რომელიმე ერთ მოკავშირეზე, ითვლება თავდასხმად ყველა მოკავშირეზე.



გლობალიზაციის მზარდმა პროცესმა უსაფრთხოების ერთიანი სისტემის აუცილებლობა შექმნა. საერთო საფრთხეების, რომლებიც ზემოთ უკვე აღვწერეთ, გაამწვავებამ, სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის და პოლიტიკის საფუძველად კავშირების შექმნა კიდევ უფრო გაამყარა.

- მზარდი ურთიერთგაგება საერთო ფასეულობებზე;

საერთო საფრთხის აღქმის შემდეგ, თანამშრომლობითი უსაფრთხოების ერთ-ერთი ძლიერი ინსტრუმენტია კავშირში მოაზრებული წევრების საერთო ფასეულებათა კონტექსტი. როგორც რიჩარდ კოენი აღნიშნავს, თუ კავშირი არ არის დაფუძნებული მზარდ ურთიერთგაგებაზე, მაშინ ეს კავშირი განწირულია წარუმატებლობისაკენ ან დაშლისაკენ. ალიანსის შექმნის შემდეგ, სხვადასხვა მოვლენების დროს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ნატო-ს ევროპელ მოკავშირეებს შორის არსებობდა გარკვეული უთანხმოებები, იყო განხეთქილების შემთხვევები მათ ურთიერთობებში. მარტივად რომ ვთქვათ, თუ არ არსებობს საერთო ფასეულობა, მაშინ სავსებით შესაძლებელია, რომ სტრატეგიის შექმნის პროცესში ქვეყნებმა რადიკალური პოზიციები დაიკავონ და ამით შეაფერხონ საერთო უსაფრთხოების უზრუნველყოფა. პირველ რიგში, კავშირი დაფუძნებული უნდა იყოს საერთო ღირებულებებზე და ფასეულობებზე. გუნდის წევრებს შორის უნდა იყოს მეტი იდეოლოგიური თანხვედრა, ვიდრე დაპირისპირება. „ყველაზე უკეთ ადამიანთა უფლებების დაცვა შეუძლია ლიბერალურ-დემოკრატიულ სახელმწიფოს[1]", ინდივიდუალური უსაფრთხოების უზრუნველყოფა კი, თანამშრომლობითი უსაფრთხოების მთავარი ქვაკუთხე-

[1] იქვე, გვ.16

დია. აქედან გამომდინარე, კოენი ხაზს უსვამს, რომ თუ კავშირის წევრები არა ლუბერალურ-დემოკრატიული ფასეულობის ქვეყნები არიან, მაშინ უსაფრთხოების დამყარებასთან ფუნდამენტური არათავსებადობა იქმნება.

- ინსტიტუციონალური ფორმატი

საერთო საფრთხის აღქმისა და საერთო ღირებულებების შეჯერების შემდეგ, კოენი მიიჩნევს, რომ ლოგიკური ჯაჭვის გასაგრძელებლად, უნდა მოხდეს თანამშრომლობისათვის ინსტიტუციონალური ფორმის მიცემა. ქვეყნებს შორის, ურთიერთობების ინსტიტუციური ჩარჩოს შექმნა, თანამშრომლობითი უსაფრთხოების დამყარების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ხელშემწყობი მექანიზმია. ის აყალიბებს მტკიცე პლატფორმას საერთო პრობლემის გარშემო და თანამშრომლობის შემდგომ განვითარების და დახვეწას ითვალისწინებს.

მსოფლიო ისტორიის განმავლობაში სხვადასხვა სახელმწიფოთა მიერ მათი ეროვნული უსაფრთხოებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცების მიზნით მრავალი ალიანსი თუ კოალიცია იქნა შექმნილი. მსგავსი ტიპის კავშირები იქმნებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც ქვეყნების ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა და როცა მათ წინაშე საერთო საფრთხე არსებობდა. სხვადასხვა ალიანსებისა თუ კოალიციების შექმნით კავშირში შემავალი სახელმწიფოები ერთად აწონასწორებდნენ მეტოქის რეალურად თუ სუბიექტურად აღთქმულ ძლიერებას. კავშირის წევრები მიიჩნევდნენ, რომ პოტენციური აგრესორი საკმაოდ ძლიერი კავშირის წინააღმდეგ ბრძოლას მოერიდებოდა[1].

მნიშვნელოვანია, რომ ინსტისტუციური ფორმა კავშირს

[1] ნიკა ჩიტაძე „ნატო ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი“, საქართველო-საერთაშორისო და უსაფრთხოების საკითხების კვლევის ცენტრი, 2006 წელი, გვ.21



აძლევს გრძელვადიან პერსპექტივაში ერთობლივი მოქმედების სტრატეგიის შექმნის შესაძლებლობას, რაც მიუღწევადია მოკლევადიანი კავშირების შექმნაში. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდში კავშირების შექმნის იდეებმა და კოლექტიური უსაფრთხოების ცნებამ თავისი სამართლებრივი ასახვა ჰპოვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლის სახით – „სახელმწიფოს ინდივიდუალური და კოლექტიური თავდაცვის უფლების შესახებ". სწორედ ამ მუხლზე დაყდნობით იქნა შექმნილი ნატო, რომლის მთავარ, მე-5 მუხლში აღნიშნულია: „ხელშეკრულების მონაწილე მხარეები იზიარებენ იმ აზრს, რომ შეიარაღებული თავდასხმა ერთ-ერთ ან რამდენიმე მხარეზე ევროპასა და ჩრდილო ამერიკაში განიხილება როგორც აგრესია ყველას წინააღმდეგ. შესაბამისად, ასეთი თავდასხმის დროს, თითოეული მათგანი გაეროს წესდების 51-ე მუხლით აღიარებული ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის უფლების გამოყენებით უნდა დაეხმაროს დაზარალებულ მხარეს.."[1].

საბოლოო ჯამში, „უსაფრთხოება თანამშრომლობის“ საფუძველზე, თავის მხრივ წარმოადგენს სტრატეგიულ სისტემას, რომელიც იქმნება ლებერალურ-დემოკრატიული სახელმწიფოების გარშემო, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან ოფიცალური და არაოფიციალური კავშირებითა და ინსტიტუტებით, რომლებსაც გააჩნიათ საერთო ფასეულობები, ამასთანავე ახორციელებენ პრაქტიკულ და გამჭვირვალე თანამშრომლობას სამხედრო სფეროში. უსაფრთხოება, რომელიც დაფუძნებულია თანამშრომლობაზე, თავის თავში მოიაზრებს ისეთ სისტემას, სადაც ცალკეული სახელმწიფოების ეროვნული ინტერესების განხორციელება, დამოკიდებულია უსაფრთხოების ოთხ რგოლთან, რომლის თავსებადობა მთლიანობაში აძლიერებს სისტემას.

[1] იქვე, გვ.23

**რგოლი 1**: *ადამიანის უფლებების დაცვა საკუთარ ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ (ინდივიდუალური უსაფრთხოება – იგულისხმება სახელმწიფოს უსაფრთხოება)*

**რგოლი 2**: *მშვიდობისა და სტაბილურობის მხარდაჭერა საერთო სივრცეში (კოლექტიური უსაფრთხოება)*

**რგოლი 3:** *საერთო თავდაცვა გარე აგრესორისგან (კოლექტიური თავდაცვა)*[xv]

**რგოლი 4:** *აქტიური სტაბილურობის უზრუნველყოფა სხვა რეგიონებში, სადაც არსებული პრობლემები შეიძლება საფრთხეს უქმნიდეს საერთო უსაფრთხოებას; ურთიერთდახმარება მოკავშირეებს შორის – პოლიტიკური, ინფორმაციული, ეკონომიკური და აუცილებელი შემთხვევების დროს – სამხედრო რესურსების გამოყენებით. (სტაბილურობის შენარჩუნება)*[1].

აქედან გამომდინარე, მტკიცე კავშირისა და უსაფრთხოების მიღწევის მიზნით, აუცილებელია სისტემაში ჩართული იყოს ოთხივე რგოლი. რომელიმე ერთი რგოლის უგულვებელყოფა სასურველ შედეგს ვერ მოიტანს (იხ. გრაფიკი№2).

[1] სალომე ქარელი „მასობრივი განადგურების იარაღი და ეროვნული უსაფრთხოების საკითხები: ბიოლოგიური იარაღის გავრცელების რისკი საქართველოში“ (სამაგისტრო ნაშრომი), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინტერდისციპლინარული მიმართულება, თბილისი, 2017 წელი, გვ.19-24



*სქემა№3: „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ კოენის მოდელი*




აქვე შეიძლება განვიხილოთ „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ კონცეფციის ერთ-ერთ შემადგენელი რგოლის – კოლექტიური თავდაცვის საერთაშორისო ინსტიტუტის მაგალითი, რომ წარმოვიდგინოთ ამ კონცეფციის რეალური წვლილი გლობალური უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში.

***ნატოს შემთხვევის გარჩევა (NATO Case-study) – ნატოს უელსის სამიტი და მისი შედეგები:*** ისტორია მეორდება – ასეთი პასაუხი შეიძლება ეწოდოს ნატოს უელსის სამიტის მიმდინარეობას, რომელიც გაიმართა 2014 წლის 4-5 სექტემბერს. მართლაც გავიდა სულ რაღაც 24 წელი და ნატო უბრუნდება იმ ათვლის წერტილს, რომელიც მან განვლო 20-ე საუკუნის „ცივი ომის“ დამთავრებიდან 21-ე საუკუნის „ცივი

ომის“ დაწყებამდე. 24 წლის წინ ნატოს ლონდონის 1990 წლის სამიტზე, როდესაც უკვე დაიშალა ალიანსის მოწინააღმდეგ – ვარშავის პაქტი, ხოლო საბჭოთა კავშირი „სულს ღაფავდა“, დღის წესრიგზე დადგა თუ როგორი იქნებოდა ალიანსის როლი პოსტ-საბჭოთა გეოპოლიტიკური წესრიგი პირობებში და გამოიკვეთა ორი მთავარი გეოსტრატეგიული საფრთხე. აღნიშნული საფრთხეებად გამოვლინდა – ის სამხედრო გამოწვევები (გამოწვევა – ისეთი ტიპის საფრთხის წარმოჩენა, რომლის პროგნოზირება რთულია ან შეუძლებელი), რომლებიც მართლაც იყო იმდროინდელი საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის მართლაც მოწყვლადი. გამოიკვეთა არასტაბილურობის არეალის გაჩენა ნატოს აღმოსავლეთის საზღვებთან, მომდინარე ახლად წარმოჩენილი არასტაბილური რუსეთისაგან, რომელიც ფლობდა მასობრივი განადგურების იარაღს და უცნობი იყო მისი პოლიტიკური განვითარების პერსპექტივები, ხოლო მეორე საფრთხედ წარმოჩინდა ახლო აღმოსავლეთისა და მაღრიბიდან (ჩრდილოეთ აფრიკის „არაბული“ სეგმენტი). „სამხრეთის“ საფრთხე წარმოსდგებოდა რადიკალური ისლამის განვრცობით მაღრიბის ქვეყნებში (ალჟირი, მაროკო, ტუნისი, ეგვიპტე) და ახლო აღმოსავლეთიდან („ჰეზბოლაჰი“, „ჰამასი“, „მუსულმანი-ძმები“, სალაფიტური იატაკქვეშეთი და ა.შ.). სხვათაშორის ლონდონის სამიტის შედეგები, საფრთხეების გამოვლენის კუთხით, დაფიქსირდა 1991 წლის რომის ნატოს სამიტის ფარგლებში მიღებული „ახალი სტრატეგიული კონცეფციის“ ფორმატში (1991 წლის კონცეფცია – 45-ე პარაგრაფი)[1].

გავიდა 24 წელი და უელსის ნიუპორტის ნატოს სამიტი კვლავ უბრუნდება „საწყის წერტილს“ – უელსის სამიტმა კვლავ გამოყო ორი საფრთხე, მომდინარე როგორც ალიან-

[1] „ნატოს უელსის სამიტი – საფრთხეების გამოვლენა და ახალი გეოსტრატეგიის შემუშავება – ომი გლობალურ ჯიჰადს“, საინფორმაციო პორტალი კვირა, 15.09.2014, ნახეთ: http://kvira.ge/89448



სის „აღმოსავლეთის“ საზღვრებიდან, ასევე „სამხრეთიდანაც“. „აღმოსავლური“ საფრთხედ გამოჩნდა – რუსეთის ფედერაცია და მისი „ხისტი“ ავტორიტარული რეჟიმის ვლადიმერ პუტინის მეთაურობით. რუსეთის აგრესიული ქმედებები გადადგმული ყირიმის მიმართულებით და ასევე უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებში აგრესიული სეპარატიზმის წახალისება და მხარდაჭერა, ნატო აღიქვამს როგორც ახალი ტიპის სამხედრო-სტრატეგიული საფრთხეს და აპირებს გადადგას შესაბამისი კონტრზომები. მაგალითად, სწრაფი რეაგირების ძალების წინსმსწრები ოპერატიული რაზმების განთავსება, სათანადო ალიანსის ეგიდით სამხედრო ბაზების ფარგლებში – 5 ათასი მებრძოლის (600 ადამიანი კადრირებული შემადგენლობით განთავსდება ბალტიის ქვეყნებში, პოლონეთსა და რუმინეთში), ხოლო 2 ათასი საბრძოლო ოპერატიული რეაგირების რეზერვი იქნება განთავსებული სავარაუდოდ გერმანიის ტერიტორიაზე) ოდენობით და შესაბამისი საბრძოლო შეიარაღებებით. აღნიშნული საფრთხის სრული დესკრიფცია და მისი სავარაუდო პრევენციის ზომები ასახულია სამიტის საბოლოო დეკლარაციის 28, 29, 30, 31 და 49-ე პარაგრაფებში (49-ე პარაგრაფში ლონდონის სამიტის შემდგომ პერიოდიდან მოყოლებული პირველად კვლავ წამოიწია ბირთვული შეკავების სტრატეგიის აუცილებლობის დაფიქსირება, რამაც ასევე ასახვა ჰპოვა ალიანსის სტრატეგიული დოკუმენტებში, რომელიც მიიღეს 2016 წლის ვარშავის სამიტზე[1]).

ამავე დროს ალიანსის ხელმძღვანელობამ გამოყო ოთხი კონკრეტული სამხედრო გამოწვევა ანუ ასიმეტრიული საფრთხის კონტექსტში, რომელიც წარმოდგენილია შემდეგი სახით:

[1] NATO Press Release: “Commitment to Enhance Resilience – Issued by the Head of State and Governme participating in the meeting of the North Atlantic Council in Warsaw, 8-9 July 2016”, 8 July 2016, paragraph№5

- **კიბერომი ან კიბერთავდასხმა** – *აღნიშნული სახის ასიმეტრიული საფრთხე უკვე გათანაბრდა ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული რეაგირების ფაქტამდე და მას გაეცემა სათანადო პასუხი;*
- **ენერგეტიკული უსაფრთხოება** – *ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ენერგომატარებლების სტაბილური მიწოდება, კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცულობა და ენერგეტიკული სარეზერვო პოტენციალის უსაფრთხოება წარმოადგენს მთავარ სატკივარს ალიანსის წევრ-ქვეყნებისთვის და ამ მიმართულებით მისი სამხედრო პოტენციალის სათანადო დონეზე გამოყენება;*
- **ტერორიზმი** – *დეკლარაციის დოკუმენტში ტერორიზმის ასიმეტრიული საფრთხე საკმაოდ ფართოდ არის წარმოდგენილი და მას გააჩნია კონკრეტული გეოგრაფიული არეალი (ავღანეთი და ახლო აღმოსავლეთი) და ასევე ორგანიზაციებიც;*
- **ჰიბრიდული ომი** – *აღნიშნული საფრთხის იდენტიფიკაცია ახალია და ის პირველად გაჩნდა ნატოს ლექსიკონში. აღნიშნული ასიმეტრიული საფრთხის ქვეშ იგულისხმება ის რაც ამჟამად მიმდინარეობს უკრაინაში – ანუ სამხედრო სეპარატიზმთან ბრძოლა, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს გლობალური მასშტაბები.*

აქვე ცალკე აღვნიშვნის ღირსია მეორე გეოპოლიტიკური საფრთხის აღნიშვნა, რაც დაფიქსირდა სამიტის დეკლარაციის 32, 33 პარაგრაფებში[1]. ნატომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს „ისლამური სახალიფოსაგან“ წამოსულ რეალურ სამხედრო სახის საფრთხეს, რომელსაც მიენიჭა

[1] Wales Summit Declaration, issued on 5 September 2016, updated 26 September, 2016 – see: http://www.nato.int/cps/ic/natohq/official_texts_112964.htm



გლობალური ხასიათის კლასიფიკაცია. სწორედ „ისლამური სახალიფოს“ ფაქტორი არის წარმოუდგენლად ფართომასშტაბიანი და უფრო მეტი საფრთხის შემცველელი ვიდრე ავღანური „თალიბანი“. ასეთი მიდგომის გამომხატველი ნატოსეული ფაქტორების შეიძლება გამოიხატოს შემდეგნაირად:

1) *ნატოს ხელმძღვანელობამ და წევრ-ქვეყნებმა ოფიციალურად აღიარეს „ისლამური სახალიფო“ თანასწორ სამხედრო ძალად და ალიანსის ეგიდით მაშინდელმა აშშ-ს პრეზიდენტ ბარაქ ობამამ ოფიციალურად გამოაცხადა „ანტი-ისლამისტური ხალიფატის კოალიციის“ შექმნა – ჯერ ნაგულისხმევი იყო სახმელეთო ფართომასშტაბიანი ოპერაციის დაგეგმვა მაგრამ რეალური სიტუაციის შეფასების შემდეგ – სახალიფოს რეალური სამხედრო პოტენციალის გათვალისწინებით (**იხილეთ ცხრილი№2**) კოლაიცია შემოიფარგლა „ჰაერი-ხმელეთის“ და „ზღვა-ხმელეთის“ ოპერატიულ-სტრატეგიული ოპერაციების წარმოებით, სპეცოპერაციების დაწყებით და სადაზვერვო-დივერსიული გეგმების შემუშავებით და უკვე მიმდინარეობს კოალიციის წევრების გაფართოება არა მარტო ნატოს წევრ-ქვეყნების, არამედ პარტნიორი-სახელმწიფოების, პირველ რიგში, სტრატეგიული პარტნიორების მონაწილეობით* **(იხილეთ ნატოს კოალიციის საბრძოლო ოპერაციების წარმოების სავარაუდო რუკა#1)**;
2) *ალიანსმა უელსის სამიტის ფარგლებში შეიმუშავა ე.წ „ახლო აღმოსავლეთის პარტნიორობის 28+3“ ახალი ფორმატი, ისევე როგორც სტრატეგიული პარტნიორობის „28+5“ ფორმატი და ასევე „ალიანსის წევრობის ასპირანტთა 28+4“ ფორმატი (სადაც ბალკანეთის სამ ქვეყნებთან ერთად შევიდა საქართველოც). სწორედ ამ „ისლამური ხალიფატის“ მხრიდან წამოსული საფრთხის კონტექსტში საინტერესოა განიხი-*

ლოს „28+3“ ახლო აღმოსავლური ფორმატი, სადაც ნატომ შეიყვანა იორდანია, **მოლდოვის რესპუბლიკა და საქართველო.** ამ ფორმატის ქვეყნებისთვის შემუშავებული იქნა და გავრცელდა ე.წ „გაფართოებული უსაფრთხოების და თავდაცვის მშენებლობის განვითარების ინიციატივა“ (**Defence Capacity Building Initiative**), რომლის ფარგლებში გათვალისწინებულია ინტენსიური სადაზვერვო ინფორმაციების გაცვლა და სადაზვერვო გეგმების შემუშავება. საქართველოსთვის ე.წ. „ოქროს ბარათის“ მიცემა და გაფართოებული პარტნიორობის პაკეტის მონიჭება (პმპ სამხედრო-საწვრთნელი ცენტრის დაარსება, ნატოს სამხედრო მრჩეველთა ჯგუფის გამოყოფა, ნატო-ს წევრი-ქვეყნების მხრიდან დე-ფაქტო სანქციების მოხსნა შეიარაღების მიწოდების თაობაზე (აღნიშნული სანქციები დაწესებული იყო მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებისთვის 2009 წლიდან დღემდე), ერთობლივი წვრთნების ჩატარება და ა.შ.) განპირობებულია ჩვენი ქვეყნის გეოსტრატეგიული მდებარეობით (ერაყისა და სირიის საზღვრებიდან 2000 კმ-ის დისტანცია, აშშ-სთან სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ამოქმედება და „ისლამურ სახალიფოს“ ხელმძღვანელობაში „ქართული კვალის“ არსებობა). რაც შეეხება რატომ შეირჩა მოლდოვა აქ აღნიშნული პასაჟი აიხსნება იმ ფაქტორით, რომ მოლდოვა გეოგრაფიულად მდებარეობს ე.წ „აქტიურ სატრანზიტო ზონაში“, რომლის მიხედვითაც მაღალი ალბათობაა ხალიფატის მხარეს მებრძოლი დასავლეთ ევროპისა და აშშ-ს მოქალაქეების **(იხილეთ ცხრილი№1)** ანუ ე.წ. „მეოთხე თაობის ჯიჰადისტების“ ინფილტრაცია უკან ევროკავშირის წევრ-ქვეყნებში, განსაკუთრებით მას შემდეგ რაც მოლდოვაზე გავრცელებული უვიზო მიმოსვლის რეჟიმი ევროკავშირის ქვეყნებთან



და ამ ქვეყანამ (ისევე როგორც საქართველო) ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას. ამას გარდა, მოლდოვის მეშვეობით შეიძლება ამოქმედდეს ე.წ. „შავი სატრანზიტო კორიდორი“ – დნესტრისპირეთი-ოდესა-აფხაზეთი-ჩრდილოეთ კავკასია, რომლის მეშვეობითაც პირველი და მეორე ე.წ. „ჩეჩნური ომების“ პერიოდში საველე მეთაურების შამილ ბასაევის და ხატაბის მეშვეობით ხორციელდებოდა იარაღის უკანონო ტრანზიტი, ნარკოტიკების უკანონო გადაზიდვა და მებრძოლების და ფინანსური საშუალებათა გადაადგილება. აღნიშნული თემა აღინიშნა სამიტის დეკლარაციაში შემდეგი კონტექსტით: **„დამატებით, მოკავშირეები კიდევ უფრო გააუმჯობესებენ თავიანთ თანამშრომლობას ინფორმაციების გაცვლის კუთხით, რომელიც შეეხება უცხოელი მებრძოლების დაბრუნების თაობაზე“** (***“Additionally, Allies will seek to enhance their cooperation in exchanging information on returning foreign fighters***)[1]. რათქმაუნდა აქ იგულისხმება მეოთხე თაობის ჯიჰადისტები ევროკავშირისა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოებიდან. სხვათაშორის დე-ფაქტო აფხაზეთის ტერიტორიაზე უკვე ამოქმედდნენ „ისლამური სახალიფოს“ ემისრები და შეიქმნა დაახლოებით 50-კაციანი იატაკქვეშა ვაჰაბიტური დაჯგუფება (სწორედ „ისლამური სახალიფოს“ და არა სხვა ჯიჰადისტური დაჯგუფების).

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტორი, თუ რატომ შეირჩა ამ კომპონენტით საქართველო „ახლო აღმოსავლურ კალათაში“ და რატომ შეიძლება გახდეს ჩვენი ქვეყანა კოალიციის ერთ-ერთ დასაყრდენ ბასტიონად „ისლამური სახალიფოს-

[1] ნახეთ ნატოს უელსის სამიტის დეკლარაცია: http://www.nato.int/cps/ic/natohq/official_texts_112964.htm

თან“ ბრძოლაში. საქართველოს ამ ამხრივ გააჩნია უნიკალური მდებარეობა, როგორც სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო სივრცეები. შავ ზღვაში შეიძლება განთავსდეს კოალიციის საზღვაო-დამტყმელი დაჯგუფება, თუნდაც საქართველოს საზღვაო აკვატორიაში, სადაც სამხედრო ხომალდებზე და გემებზე (საკრეისერო, სანაღმოსნო და წყალქვეშა ნავების კლასის) განთავსებული ფრთოსანი ბალისტიკური რაკეტებს (მაგალითა, „თომაჰოუკის“ ტიპის) გააჩნიათ ერაყისა და სირიის ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთის ტერიტორიამდე წვდომა. შემთხვევით არ იყო 2016 წლის ივნისის-აგვისტოს თვეებში ნატოს და მისი ცალკეული წევრი-ქვეყნების საზღვაო დამრტყმელი ხომალდების შემოსვლა საქართველოს ტერიტორიულ წყლებში. საქართველო მიმზიდველია სამხედრო-საჰაერო ბაზების არსებობითაც, რომელთა წვდომის ოპერატიული სიღრმე მოიცავს ერაყისა და სირიის ტერიტორიებსაც და იგივე საქართველოსთვის უახლოს მომავალში მიყიდული შედარებით მოძველებული საბრძოლო ვერტმფრენების „შავი ქორების“ **(Black Hawk)** ფრენის დისტანცია, რომელთა ღირებულება შეადგენს ერთი ერთეული – 22 მილიონ ამერიკულ დოლარს, შეადგენს 560-1200 კმ-ს, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ საქართველოს ტერიტორიიდან განხორციელდეს საბრძოლო მფრინავების საევაკუაციო-სამაშველო ოპერაციები ან სადაზვერვო საჰაერო ტიპის ფრენები. ამასთან ერთად, საქართველოში შეიძლება განთავსდეს კოალიციის ცეტრალური მართვის პუნქტი და ა.შ. შემთხვევით არ იყო ნატოს უელსის სამიტის შემდეგ აშშ-ს თავდაცვის მინისტრის ჩაკ ხეიგლის ოფიციალური ვიზიტი, სადაც კოალიციაში საქართველოს მიერთების საკითხი აუცილებლად იქნებოდა განხილული და სწორედ ასეთი მაღალი პირის მთავარ მიზანს შეადგენდა აღნიშნული მისიის შესრულება. საქართველოს შემდეგ, აშშ-ს თავდაცვის მინისტრი ეწვია თურქეთს. ვფიქრობ რაიმე სხვა კომენტარის გაკეთება ზედმეტია.



*რუკა№1: ნატოს და აშშ-ს ეგიდით ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ანტი-ჯიჰადისტური სამხედრო კოალიციის სამხედრო დარტყმების სავარაუდო მიმართულებები*




ზოგადად რომ ვისაუბროთ, „ისლამური სახალიფოს“ საფრთხე არა მარტო გლობალურ, არამედ რეგიონალურ გეოპოლიტიკურ ჩარჩოებსაც მოიცავდა იმ პერიოდში. „დაიშის“ ეგიდით გაერთიანებული ჯიჰადისტების მხრიდან მთელი კავკასიის „გათავისუფლება“ (ეს არის სწორედ „დაიშის“ პოლიტიკური ხელმძღვნელობის ტერმინი) რეალურია და, სამწუხაროდ, ეს უცილობლად მოიცავდა აზერბაიჯანისა და საქართველოს ტერიტორიებსაც. აქ იყო საუბარი, რომ პოლიტიკურად „დაიშის“ სახელმწიფოს წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლა იქნებოდა აუცილებელი. ამიტომ, ჯიჰადისტებს არ აინტერესებდათ მთლიანად კავკასიის რეგიონის ქვეყნებში ვინ იქნებოდა მმართველი ძალა. „ისლამური სახალიფო“ გავლენიანი ძალა გახდა და მან ჩაანაცვლა „ალ-კაიდა“. ეს იყო გლობალური ჯიჰადის რეალური დამრტყმელი ძალა, ამის გამო ამერიკელებმა მას საჰაერო ომი გამოუცხადეს. ეს ერთ-

ერთი არეალია, სადაც რუსეთი და აშშ მჭიდროდ თანამშრომ-
ლობენ მათ გასანადგურებლად. ეს ანგარიშგასაწევი ძალა
2015 წლისთვის აკონტროლებდა სირიის ტერიტორიის 2/3-ს,
ერაყის 1/3-ს, კონტროლქვეშ აქვთ ლიბანის მთიანი ტერიტო-
რიის ზონა და თანდათანობით მათი დაჯგუფება – „ან ნუს-
რა“ 2015 წლისთვის უკვე უახლოვდებოდა ისრაელის ტერი-
ტორიას, მიდიოდა გაafთრებული ბრძოლები ჰოლანის სი-
მაღლეებზე გაეროს სამშვიდობოებთან. „ისლამურ სახალი-
ფოში“ 40% დამრტყმელ ძალას, პირობითად, შეადგენდნენ
ჩრდილო კავკასიიდან წასული მებრძოლები, დაახლოებით,
15%-ს – ბოსნიელი მუსლიმანები, ხოლო 10%-ს – ალბანელი
მებრძოლები. დანარჩენები – სხვა არაბული და მუსლიმანური
ქვეყნებიდან წასული მოხალისეები და ადგილობრივი მუსლი-
მანები იყვნენ. ეს სერიოზული ძალას წარმოადგენდა იმ დრო-
ისთვის. მათ შორის, 2000-დან 2500-მდე ადამიანი გამოსული
იყო კავკასიის ჩრდილოეთ და სამხრეთ რეგიონიდან, აზერბა-
იჯანის ვაჰაბიტების რაოდენობა 200-დან 300-მდეა, ქართული
წარმოშობის ისლამისტების რაოდენობა კი დაახლოებით 50-
ის ფარგლებში იყო[1]. ბოლოს და ბოლოს, არ უნდა დაგვავიწ-
ყდეს, რომ ხუთი საველე მეთაური ქართული წარმომავლობი-
სა იყო. ერთ-ერთს წარმოადგენდა გაერთიანებული სამხედ-
რო ძალების სარდალი – თარხან ბათირაშვილი (ამირ აბუ
ომარ ალ-შიშანი). მათ განცხადებებს არაბულ ორიგინალში
გაცნობის შედეგედად კი, მთიანი კავკასია, ანუ ჩრდილო კავ-
კასია და აზერბაიჯან-საქართველო ექცეოდა მათი დარტყმის
ქვეშ. იმავე პერიოდში, დიდი ალბათობა იყო, მათი მხრიდან
კონკრეტული ძალისხმევის განხორციელება ამ მიმართულე-
ბით. „კავკასიის ისლამური იმარატი“ ამ დაჯგუფების სავარა-
უდო მოკავშირედ მოაზრებოდა, ავღანელ „თალიბებთან“ ერ-

[1] გიორგი გიგაური „მედია აპოკალიპსის მოლოდინში“, 2017-06-19, ნახეთ: http://mediachecker.ge/blogs/detail/105/



თად. შესაბამისად, შეიქმნა ახალი ჯიჰადისტური ალიანსი, რაც აერთიანებს სამ გავლენიან ძალას – **„კავკასიის ისლამურ იმარატს“** (ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიას, ასევე, რუსეთის შიდა ტერიტორიებს – სტავროპოლის, ვოლგოგრადის, ასტრახანის მხარეს), **„ისლამურ სახალიფოს“** (რომელიც მოქმედებდა ახლო აღმოსავლეთში, მესოპოტამიაში და აპირებდა გაევრცელებინა გავლენა საუდის არაბეთსა და მაღრიბის ტერიტორიაზე) და **„თალიბანს“** (ცენტრალური აზია და შუა აღმოსავლეთი). გამორიცხული არ იყო, „დაიშის“ მხრიდან გავლენის გავრცელება აფრიკის კონტინენტზე მოქმედი ჯიჰადისტურ დაჯგუფებებზეც (მოგვიანებით ეს ვარაუდი სრულად დადასტურდა).

*ცხრილი№5: „ისლამური სახალიფოს“ შეიარაღებულ რაზმებში ძირითადი მებრძოლების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით*

| *ქვეყანა* | *გეოგრაფიული რეგიონი* | *ხალიფატის სამხედრო კომპონენტის რაოდენობა (2013-14 წლების მონაცემებით)* |
|---|---|---|
| რუსეთის ფედერაცია | კავკასია | 2 000-3 000 |
| საუდის არაბეთი | არაბეთის ნახევარკუნძული | 1200 |
| ტუნისიTunisia | მაღრიბი | 1800 |
| იორდანია | ახლო აღმოსავლეთი | 1000 |
| მაროკო | მაღრიბი | 900 |
| ლიბია | მაღრიბი | 800 |
| ლიბანი | ახლო აღმოსავლეთი | 800 |
| აზერბაიჯანი/საქართველო | კავკასია | 350 |
| ბოსნია-ჰერცოგოვინა /ალბანეთი | ბალკანეთი | 500 |

მოკლედ რომ ვთქვათ უელსის სამიტი წარმოადგენდა მართლაც ისტორიულ მოვლენას და რამდენად გაართმევს თავს ალიანსი შემდგომში მის წინაშე წარმოჩენილ სამხედრო საფრთხეებს და გამოწვევებს უახლოეს მომავალში გამოჩნდება, თუმცალა „ისლამური სახალიფოს“ დაძლევა იქნებოდა საკმაოდ შრომატევადი, ხანგრძლივი და საშიში პროცესი.

*ცხრილი№6: „ისლამური სახალიფოს-დაიშის“ საბრძოლო პოტენციალი (სავარაუდო მონაცემები 2014 წლისთვის)*

| „დაიშის“ სამხედრო კომპონენტი | რაოდენობა | შენიშვნა |
|---|---|---|
| *შეიარაღებული რაზმები* *(საარმიო ჯგუფი-ბრიგადა-ბატალიონი)* | 20-30 ათასი მებრძოლი (სამობილიზაციო პოტენციალი 60 ათასი) | ამ ე.წ. „რეგულარულ ფორმირებებში“ ძირითადი მასაა ადგილობრივი სუნიტი ტომების წარმომადგენლები |
| *საბრძოლო ტანკი* | 70 | *ზოგადად ხალიფატი ფლობს ერაყის არმიის 43 მილიარდიანი შეიარაღების სულ მცირე 15%-ს* |
| *საბრძოლო მანქანა/ჯავშანმანქანა* | 200 | *ამ რიცხვში შედის საბრძოლო ოპერაციების მართვის მანქანები „ჰამერები“ – ერაყის არმიისგან ნადავლი. აქვე სამობილო ჯგუფების მანქანებიც იგულისხმება.* |
| *საარტილერიო სისტემები (მათ შორის ზალპური)* | 50 | |
| *საბრძოლო ვერტფრენი* | 8 | |
| *საბრძოლო თვითმფრინავი* | 12 | აქ იგულისხმება ასადის რეჟიმის სამხედრო-საჰაერო ბაზის დაკავება რაკიში და თვითვმფრინავები არის ძველი საბჭოთა წარმოების მიგ-23 და სუ-25 ერთეული |



ზემოთმოყვანილი ფაქტებიდან უკვე ნათკად ჩანს, რომ 21-ე საუკუნის პერიოდში უკვე ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ მყიფე, მაგრამ სავსებით სტაბილური საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემა, სადაც მონაწილეობას ღებულობს ყველა სახის აქტორი: სახელმწიფოები, სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციები, საერთაშორისო ტერორისტული გაერთიანებები და ა.შ. ამავე დროს, სავარაუდოდ იკვეთება ის ტენდენციაც, რომ ასეთი სახის საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემა ყალიბდება და ვითარდება ე.წ. „თანამშრომლობითი უსაფრთხოები“ პრინციპის საფუძველზე და რიჩარდ კოენის ეს მოდელი დღეს უკვე გარკვეულ პრაქტიკული მნიშვნელობის გამოხატულების კონტურებს. უკვე აშშ-ს პრეზიდენტ ბილ ქლინთონის პრეზიდენტობის პერიოდში დაიწყო ამ სტარტეგიის განხორციელება, რომელიც წარმოადგენდა ლიბერალური მსოფლმხედველობის თვალსაჩინო ხედვას „დიდი სტრატეგიის“ ფარგლებში. აღნიშნული სტრატეგიას ჰქონდა და ამჟამადაც გააჩნია, ორი თეზისი. პირველი შედგება იმაში, რომ უკვე ჩამოყალიბდა საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა, სადაც უსაფრთხოების მრავალმხრივი ასპექტები წარმოჩენილია როგორც ურთიერთბმული და განუყოფელი ერთობა. მეორე თეზისი უკავშირდება პოსტულატს, რომლის თანახმადაც, თანამედროვე ლიბერალურ-დემოკრატიულ სახელმწიფოებს, რომლებიც ქმნიან ტერმინ „დასავლეთის“ სინონიმს, შეუძლიათ გადაწყვიტონ უსაფრთხოების პრობლემები ერთიანი ძალისხმევით, საერთაშორისო ინტიტუტებში აქტიური თანამშრომლობის მეშვეობით. ერთობლივი შეთანხმებული პოლიტიკა, საერთო მორალური ნორმები და ტრადიციები, ასევე საერთაშორისო სამართლის ფარგლებში გაფორმებული შეთანხმებები იძლევა საშუალებას ჩამოყალიბდეს უსაფრთხოების რეჟიმები[xvi], რომლებიც უკვე თამაშობენ დამოუკდებელ როლს საერთაშორისო ურ-

თიერთობების სტაბილურ და მშვიდობიან გარემოში მიმდინარეობის საქმეში[1]. შესაბამისად საერთაშორისო უსაფრთხოების მოდელი არის სტრატეგიული ბალანსირების ყველაზე მოქნილი ვარიანტი და ეს პროცესი ხორციელდება „დემოკრატიული მშვიდობის“ პრინციპის საფუძველზე.

[1] В.Н. Конышев, А.А. Сергунин «Современная военная стратегия», учебное пособие, «Аспект-Пресс», Москва, 2014ю стр.112



## მეორე თავი: საერთაშორისო უსაფრთხოების სამი განზომილება: პოლიტიკური, სამხედრო და საინფორმაციო ფორმატი – "რბილი ძალის" თეორიის შემთხვევის გარჩევა (SOFT POWER CASE-STUDY)

უსაფრთხოების კონცეფტუალურად და თეორიული კუთხით განხილვის შედეგად სასურველია განიხილებოდეს მისი პრაქტიკულ-გამოყენებითი მოდელები და ის მეთოდოლოგიური ბაზა, რომელიც საშუალებას იძლევა კონკრეტული ანალიტიკური მოდელირების პარამეტრების მეშვეობით განხორციელდეს საერთაშორისო, ეროვნული და ინდივიდუალური უსაფრთხოების დონეზე მიმდინარე პროცესების სწორ პროგნოზირებაზე გასვლა. ამგვარი მიდგომების თეორეტიზაციას გამოვლენა შესძლებელია საერთაშორისო ურთიერთობების ისეთი მიმდინარეობების ფორმატში: როგორიცაა „კოპენჰაგენის“ სკოლა. „კოპენჰაგენის“ სკოლის თეორეტიკოსების მიხედვით (ბარი ბუზანი, ელზბიეტა ტრომერი, ოლე ვაევერი და სხვები), საერთაშორისო სისტემის კონტექსტში, უსაფრთხოება არის ქვეყნების და საზოგადოებების უნარი შეინარჩუნონ საკუთარი იდენტურობის და ცხოვრების დამოუკიდებლობა. უსაფრთხოების დინამიკა კი წარმოიქმნება საფრთხეებისა და მოწყვლადობის ურთიერთგადაკვეთით, რომელიც თავის მხრივ ამ ამოცანებზე ახენს გავლენას. ძირი ასეთი პარადიგმის არის გადარჩენა, თუმცა უსაფრთხოება ასევე მოიცავს არსებობის მდგომარეობის შესახებ გამოწვევების მნიშვნელოვანი ნაწილის ფაქტორსაც. ამავე დროს, თვით ტერმინი „უსაფრთხოება“ ეხება სხვადასხვა სახის გაურკვევლობების არსებობას ყოველდღიური ცხოვრების ფონზე. ამ სკოლის ფარგლებში განიხილება ე.წ. „უსაფრთხოებიზაციის“ პროცესი (securitization process), რომლის იდეის თანახმადაც უსაფრთხოებას გააჩნია ძალა გადააქციოს უგულვებელყოფილი საკითხი პოლიტიკური დონის მთავარ თემად, სადაც ის შეიძ-

თიერთობების სტაბილურ და მშვიდობიან გარემოში მიმდინარეობის საქმეში[1]. შესაბამისად საერთაშორისო უსაფრთხოების მოდელი არის სტრატეგიული ბალანსირების ყველაზე მოქნილი ვარიანტი და ეს პროცესი ხორციელდება „დემოკრატიული მშვიდობის“ პრინციპის საფუძველზე.

¹ В.Н. Конышев, А.А. Сергунин «Современная военная стратегия», учебное пособие, «Аспект-Пресс», Москва, 2014ю стр.112



# მეორე თავი: საერთაშორისო უსაფრთხოების სამი განზომილება: პოლიტიკური, სამხედრო და საინფორმაციო ფორმატი – “რბილი ძალის“ თეორიის შემთხვევის გარჩევა (SOFT POWER CASE-STUDY)

უსაფრთხოების კონცეფტუალურად და თეორიული კუთხით განხილვის შედეგად სასურველია განიხილებოდეს მისი პრაქტიკულ-გამოყენებითი მოდელები და ის მეთოდოლოგიური ბაზა, რომელიც საშუალებას იძლევა კონკრეტული ანალიტიკური მოდელირების პარამეტრების მეშვეობით განხორციელდეს საერთაშორისო, ეროვნული და ინდივიდუალური უსაფრთხოების დონეზე მიმდინარე პროცესების სწორ პროგნოზირებაზე გასვლა. ამგვარი მიდგომების თეორეტიზაციას გამოვლენა შესძლებელია საერთაშორისო ურთიერთობების ისეთი მიმდინარეობების ფორმატში: როგორიცაა „კოპენჰაგენის“ სკოლა. „კოპენჰაგენის“ სკოლის თეორეტიკოსების მიხედვით (ბარი ბუზანი, ელზბიეტა ტრომერი, ოლე ვაევერი და სხვები), საერთაშორისო სისტემის კონტექსტში, უსაფრთხოება არის ქვეყნების და საზოგადოებების უნარი შეინარჩუნონ საკუთარი იდენტურობის და ცხოვრების დამოუკიდებლობა. უსაფრთხოების დინამიკა კი წარმოიქმნება საფრთხეებისა და მოწყვლადობის ურთიერთგადაკვეთით, რომელიც თავის მხრივ ამ ამოცანებზე ახენს გავლენას. ძირი ასეთი პარადიგმის არის გადარჩენა, თუმცა უსაფრთხოება ასევე მოიცავს არსებობის მდგომარეობის შესახებ გამოწვევების მნიშვნელოვანი ნაწილის ფაქტორსაც. ამავე დროს, თვით ტერმინი „უსაფრთხოება“ ეხება სხვადასხვა სახის გაურკვევლობების არსებობას ყოველდღიური ცხოვრების ფონზე. ამ სკოლის ფარგლებში განიხილება ე.წ. „უსაფრთხოებიზაციის“ პროცესი (securitization process), რომლის იდეის თანახმადაც უსაფრთხოებას გააჩნია ძალა გადააქციოს უგულვებელყოფილი საკითხი პოლიტიკური დონის მთავარ თემად, სადაც ის შეიძ-

ლება განიხილებოდეს სწრაფად, ყოველგვარი დემოკრატიუ-
ლი წესების და რეგულაციების გარეშე (ომის დაწყების სა-
კითხი, რომელიც იხილება ძირითადად ძალიან მოკლედ პერი-
ოდში, 24 საათის განმავლობაში და დემოკრატიული პროცე-
დურები გადაიწევა უკანა პლანზე)[1]. აღნიშნული „უსაფრთხო-
ებიზაციის“ პარადიგმისას ყურადღება ექცევა უსაფრთხოე-
ბის კვლევების უფრო მეტად არა-სამხედრო საფრთხეებს და
მათ მიერ გამოწვეულ შედეგებს[2]. უსაფრთხოება ძირითადად
უკვაშირდება ადამიანთა ჯგუფების ბედს. ეს ტენდენცია გა-
ნაპირობებს ადამიანთა ჯგუფის პერსონალურ უსაფრთხოე-
ბას. თანამედროვე საერთაშორისო სისტემის პირობებში,
უსაფრთხოების უშუალოდ სუბიექტებს წარმოადგენენ სუვე-
რენული ტერიტორიების მქონე სახელმწიფოები. ასეთი სა-
ხელწიფოების იდეალური ტიპებია ერი-ქვეყნები (nation-state),
სადაც ეთნიკური და კულტურული საზღვრები „მიბმულნი“
არიან პოლიტიკურ და ტერიტორიულ საზღვრებთან, მაგალი-
თად, იაპონია და დანია. მაგრამ ერები და ქვეყნები ბევრ შემ-
თხვევებში არ ერგებიან ამ პრინციპს, როგორც ეს იყო საბჭო-
თა კავშირის, იუგოსლავიის, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის,
ეთიოპიის და შრი-ლანკას შემთვევებში. ამგვარი პერიპეტიე-
ბის მიუხედავად, ერები წარმოადგენენ უსაფთხოების თეო-
რიის და უსაფრთხოების ანალიზის მნიშვნელოვან ერთეუ-
ლებს. ის გარემოება, რომ საერთშორისო სისტემა არის ანარ-
ქიული (საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერებაში
ანარქიულობა ნიშნავს ცენტრალური მთავრობის არ-არსებო-
ბას გლობალურ დონეზე, თუმცალა ეს არ ნიშნავს ქაოსს),
ამის მიუხედავად, მაინც ითვლება, რომ უსაფთხოების კვლე-

[1] R. Taureck “Positive and negative Securitisation – Bringing together securitization theory and normative Critical Security Studies”, Institutd’EtudesPolitiques de Paris, France, 2006
[2] B. Buzan, O.Waever and J. de Wilde “Security: A New Framework For Analysis”, Lynne Rienner Publishers, London, 1998



ვის ფოკუსში მაინც ხვდებიან: ქვეყნები და ერები. ამგვარად,
„ეროვნული უსაფრთხოება“ წარმოადგენს მთავარ თემას,
რომელიც ასოცირდება სახელმწიფოებს, მაგრამ ის ასევე მო-
იცავს ეთნო-კულტურულ ქვე-ეროვნულ ჯგუფებსაც (ამ შემ-
თხვევაში ეროვნული ატარებს ერი-სახელმწიფოს სინონიმს),
რომლებიც არსებობენ სახელმწიფოების შიგნით და მათ შო-
რის (მაგალითად, ვაინახური და სლავური ეთნოსების ფაქტო-
რი ერთიან სახელმწიფოს ფარგლებში). იმის გათვალისწინე-
ბით, რომ სამხედრო, ეკონომიკური და ეკოლოგიური საფ-
რთხეები გავლენას ახდენენ მთლიანი პლანეტის არსებობის
პირობებზე, ამიტომაც უსაფრთხოების თეორია და მის ფარ-
გლებში განხორციელებული კვლევები უკავშირდებიან კა-
ცობრიობის კოლექტიურობის ფენომენს, რომელსაც ზოგ-
ჯერ უწოდებენ საერთაშორისო საზოგადოებას (international
society)[1]. ამ სკოლის ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგე-
ნელმა ბარი ბუზანმა განიხილა უსაფრთხოების თეორიის
კვლევითი მეთოდოლოგია ორ-განზომილებიან მოდელს:

1) უნდა განიხილოს ის საკითხი, თუ როგორ უნდა გამოი-
ყენოს ეს მეთოდოლოგია ანალიზის სამივე დონეზე:
ინდივიდუალურ, ეროვნულ, საერთაშორისო დონეებს;
2) მან წამოაყენა წინადადება გაფართოვდეს უსაფ-
რთხოების გამოწვევათა სპექტრი და ის უფრო მეტად
უნდა გაფართოვდეს[2].

აქვე ბუზანმა გამოყო ხუთი მთავარი სექტორი, რომე-
ლიც დიდ გავლენას ახდენს გლობალიზაციის პირობებში კა-
ცობრიობის უსაფრთხოების პირობებს:

***სამხედრო უსაფრთხოება*** *– ეხება ორ-განზომილებიანი*

[1] Barry Buzan, Morten Kelstrup, Pierre Lemaitre, Elzbieta Tromer and Ole Waever “The European Security Order Recast: Scenarios for the Post-Cold War Era”, Centre for Peace and Conflict Research, Copenhagen, 1991, pp.2-5
[2] Michael Sheehan “International Security: An Analytical Survey”, Lynne Reinner Publishers, London, 2005, p.47

დონის ურთიერთკავშირს ქვეყნის შეიარაღებული ძალების თავდაცვითი და შემტევითი შესაძლებლობებსა და ქვეყნის ხელმძღვანელობის წარმოდგენებებს სხვა ქვეყნებთა ურთიერთობების განვითარების შორის. როგორც ჩანს ეს უფრო სამხედრო უსაფრთხოების ე.წ. „რბილ“ ფორმატს უფრო წარმოადგენს, ვიდრე „ ხისტს“;

**პოლიტიკური უსაფრთხოება** – ეხება ქვეყნების ანუ აქტორების, ორგანიზაციულ სტაბილურობას, მთავრობათა სისტემებს და იდეოლოგიებს, რომლებიც მათ აძლებენ ლეგიტიმაციის უფლებას. ამ კუთხით, ასეთი განმარტება უფრო უკავშირდება საერთაშორისო დონეზე გეოპოლიუტიკური წესრიგის არსებობასა და მის პალარულობის პირორბების რაობაზე;

**ეკონომიკური უსაფრთხოება** – ეხება ფინანსებთან, რესურსებთან და ბაზრებთან მიწვდობის შესაძლებლობა, რომელიც აუცილებელია კეთიდღეობისა და ქვეყნის ძლიერების განმტკიცებისთვის. ამ კონტექსტში საინტერესოა აღინიშნოს ეკონომიკური უსაფრთხოების ახალ ფენომენზე და ქვე-სექტორზე, რომელსაც ეწოდება ენერგოუსაფრთხოება, რომელიც განსაზღვრავს თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოების ეკონომიკური ზრდის ტემპების მოცულობას;

**საზოგადოებრივი უსაფრთხოება** – ეხება კაცობრიობის მდგრად განვითარებას, რაც მოიცავს ენის, კულტურის და რელიგიის და ასევე ეროვნული იდენტურობის და ტრადიციების მისაღები კუთხით ევოლუციურ განვითარებას;

**ეკოლოგიური უსაფრთხოება** – ეხება ლოკალურ და პლანეტარულ ბიოსფეროს შენარჩუნებას, როგორც კაცობრიობოს არსებობის მთავარი არსებობის გარემოს და მის შენარჩუნებას[1].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აუცილებელია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ დღევანდელი საერთაშორისო

[1] Bary Buzan “People, States and Fear”, second edition, Boulder: Lynne Rienner, London, 1991, pp.19-20



უსაფრთხოების პირობების და გლობალური უსაფრთხოების არსებობის რეალიების გათვალისწინებით, ამ ნაშრომის ავტორებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ, შემოტანილი და განხილული იქნას უსაფრთხოების მეექვსე სექტორი – **საინფორმაციო უსაფრთხოება (კიბერუსაფრთხოება)**. აღნიშნული ახალი სექტორის განმარტება კი შეიძლება შედეგნაირად ჩამოყალიბდეს:

**საინფორმაციო უსაფრთხოება (კიბერუსაფრთხოება)** – ეხება საერთაშორისო საზოგადოების დამოკიდებულებას ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ურთიერთკავშირის კომპლექსთან, რომელიც თავისთან მოიცავს ინტერნეტის გლობალურ ქსელს, კომპიუტერულ სისტემებს, ტელესაკომუნიკაციო ქსელებსა და პროცესორებს და რომლის მოწყვლადობა გლობალურ დონეზე იწვევს საერთაშორისო დონის კრიზისს (მაგალითად, ე.წ. „პეტიას“ ვირუსის ეფექტის გავლენა საერთაშორისო საზოგადოებაზე)[1].

ზემიაღნიშნული ახალი რეალიების გათვალისწინებით, უსაფრთხოების თეორიის უკვე არსებული სექტორული განაწილების ფონზე, გამოიყენება ისეთი ახალი კვლევითი მეთოდოლოგიური ელემენტები, რომლებიც უფრო დეტალურად ხსნიან საერთაშორისო უსაფრთხოების სპეციფიკურ მომენტებს და კიდევ უფრო ახორციელებენ მაღალი დონის კონცეფტუალიზაციას. ასეთ ერთ-ერთ „ინსტრუმენტს“ წარმოადგენს ე.წ. „რბილი ძალის“ (soft power) თეორია. ტერმინი „რბილ ძალა'' ახალი ტერმინია და მის, როგორც ჩამოყალიბებული კონცეფციის ავტორად მიჩნეულია ამერიკელი მეცნიერი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი – ჯოზეფ

[1] მირანდა მუსელიანი „საინფორმაციო უსაფრთხოების ფენომენი 21-ე საუკუნეში-კიბერუსაფრთხოება და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები (ამერიკა-საქართველო)“, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინტერდისციპლინარული მიმართულება, თბილისი, 2017 წელი, გვ.35-36

ნაი (Joseph Nye). ავტორს „რბილი ძალის'' კონცეფცია სრულად აქვს წარმოდგენილი და ახსნილი საერთაშორისო უსაფრთხოების რეალიებიდან გამომდინარე 2007 წელს დაწერილ თავის წიგნში – „საერთაშორისო კონფლიქტების გაგება"("Understanding International Conflicts)[1]. თუმცა მას სხვა წიგნებში კარგად აქვს განმარტებული ამ თეორიის არსი[2].

ადრე ურთიერთობები წარმოებდა სახელმწიფოს ლიდერებს შორის და ძალის გამოყენება ყოველთვის მოიაზრებოდა როგორც ერთ-ერთი საშუალება ქვეყნის ლიდერებს შორის წამოჭრილი კონფლიქტების გადასაჭრელად. უსაფრთხოების და თვითგადარჩენის „მაღალ პოლიტიკას" ჰქონდა უპირატესობა ეკონომიკის და სოციალური საკითხების „მცირე პოლიტიკასთან'' შედარებით. დღესდღეობით ქვეყნებს შორის ურთიერთობები არ არის მხოლოდ ურთიერთობები ქვეყნის ლიდერებს შორის, არამედ არსებობს ურთიერთობები ბევრ სხვადასხვა დონეზე ბევრი სხვადასხვა აქტორების და სამთავრობო განშტოების გავლით, მეტია კონფლიქტებში მესამე მხარის მშვიდობიანი ჩართულობა საერთაშორისო სასამართლოების, ორგანიზაციებისა თუ ქვეყნების საშუალებით, ასევე წარმოებს ხშირი ურთიერთობები ადამიანებს და ჯგუფებს შორის სახელმწიფოს ჩაურევლად. კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების პირობებში სამხედრო ძალა პოლიტიკის წარმოების ნაკლებად გამოყენებადი ინსტრუმენტია. ამ დამოკიდებულების შედეგია ის, რომ ხდება სხვადასხვა ჯგუფების ფორმირება ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ და ამ საკითხებს ახასიათებთ სხვადასხვა ხარისხის კონფლიქტურობა. ამ კონფლიქტების უმრავლესობისთვის სამხედრო ძალა შეუფერებელი ინსტრუმენტია, რაც იმაზე

[1] Joseph S. Nye, Jr. "Understanding International Conflicts", sixth edition, Pearson International Edition, New York, 2007

[2] Joseph Nye "Soft Power: The Means to Success in World Politics", Public Affairs, USA, 2004



მიუთითებს, რომ ამ ეპოქაში ძალას უფრო ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება და სხვა რესურსები უფრო ფასობს, მაგალითად, როგორიცაა მოლაპარაკების წარმოების უნარჩვევები (negotiating skills). სწორედ აქ არის რბილი ძალა დომინანტი[1]. ჯოზეფ ნაი ამ ამხრივა გამოყოფს სამი მტავარ რესურს:

1. *კულტურა*
2. *პოლიტიკური ღირებულებები*
3. *საერთაშორისო ურთიერთობები*

თითოეული ეს რესურსი შედგება სხვადასხვა ქვერესურსისგან, რომლებიც ჩართული არიან ერთი საერთო მიზნის მისაღწევად – ეს არის რაიმე დაპირისპირების გადაყვანა დაძაბული ფაზიდან რბილ, მშვიდობიან ფაზაში. რა თქმა უნდა ეს არ ნიშნავს იმას, რომ რბილი ძალა თავისი რესურსებით მხოლოდ კონფლიქტურ სიტუაციაში გამოიყენება. სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკური კონცეფციების, ინსტიტუციების, სხვადასხვა ჯგუფებისა თუ პიროვნებების დონეზეც კი რბილი ძალა შეიძლება ყოველგვარი კონფლიქტის გარეშე უბრალოდ მიმზიდველობის გაზრდას ემსახურებოდეს, თუმცა ხშირად კონფლიქტის სამშვიდობო კუთხით ტრანსფორმაციაში რბილ ძალას წამყვანი როლი ენიჭება, რადგან უშუალოდ მოგვარების, დიალოგის პროცესების უკან სწორედ რბილი ძალა დგას. ასევე ხშირად სამიზნეზე რბილი ძალა წინასწარ არის განხორციელებული ხისტ ძალამდე ან/და მას შემდეგ იმისათვის, რომ ხისტი ძალა გამართლდეს და ამან დამატებითი დანაკარგები არ გამოიწვიოს, ანუ ხისტი ძალით მიყენებული დაზიანება ლეგიტიმურად წარმოჩინდეს, მას მოწინააღმდეგე მხრიდან მხარდამჭერები ჰყავდეს. ამის მაგალითები მრავლად არის როგორც ძველ, ასევე თანამედროვე კონფლიქტების ფონზე. კულტურა იმ კონტექსტით არის განხილული, რომლითაც ქვეყანა სხვებისთვის მიმზიდ-

[1] დეტალურად იხილეთ:
http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=10377

ველად გამოიყურება, როგორც გარეთ მიმართული. კულტურა, როგორც სხვადასხვა ღირებულებებისა და წეს-ჩვეულებების ერთობლიობა, რომლებიც ქმნიან მნიშვნელობას საზოგადოებისათვის.ის სხვადასხვა გამოვლინებით ხასიათდება და მნიშვნელოვანია მისი გამიჯვნა ორ ნაწილად – მაღალ კულტურად (high culture) და პოპულარულ კულტურად (popular culture). მაღალი კულტურა მოიცავს ლიტერატურას, მხატვრობას, განათლებას, რომელიც აისახება ელიტებზე. პოპულარული კულტურა (შემდგომში პოპ-კულტურა) კი ფოკუსირებულია მასობრივ სანახაობებზე. როდესაც ქვეყნის კულტურა მნიშვნელოვანწილად ემყარება უნივერსალურ ღირებულებებს და მისი მიდგომები ასევე ემსახურებიან უცხოელებისთვის მისაღებ ღირებულებებს, ეს ხელს უწყობს სასურველი შედეგების მიღებას გამომდინარე შექმნილი მომხიბვლელობიდან და საპატიო განწყობიდან. ვიწრო ღირებულებები და ადგილობრივი კულტურები ნაკლებად უნარიანნი არიან რბილი ძალის წარმოებისათვის. მაგალითად აშშ სწორედ ამ უნივერსალური კულტურის მეშვეობით სარგებლობს. ჯოზეფ ნაის მიხედვით მკვლევარები ცდებიან, როდესაც რბილ ძალას კულტურულ რესურსებთან აიგივებენ. კულტურა, როგორც მნიშვნელოვანი რესურსი, კომპონენტის სახით ეხმარება რბილი ძალის წარმოებას. ასევე არ უნდა ჩავთვალოთ, რომ კულტურული რესურსები და მიმზიდველი ქცევა ერთი და იგივეა. სახელმწიფოთა საშინაო და საგარეო პოლიტიკას ჯოზეფ ნაი ასევე რბილი ძალის უმნიშნელოვანეს პოტენციურ რესურსებად განიხილავს. მიმზიდველობის პრეტენზიის მქონე საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური მიდგომები მიზნის მისაღწევად ცდილობენ შექმნან საკუთარი და უცხოელი მოქალაქეებისათვის მისაღები პირობები, სასარგებლო გარემო, ღია ურთიერთობები, საუკეთესო სოციალური პირობები, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი განათლება, ადამიანზე მორგებული უნივერსალური იდეების გარემო, შესაბამისი დიპლომატია. საშინაო და საგარეო



პოლიტიკა მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს და იმ შემთხვევაში, თუკი ერთ-ერთი მეორესგან პრინციპულად განსხვავდება, ამით ორივე კომპონენტი დიდი რისკის ქვეშ დგება და იწყება ცვლილებები.

ამიტომაც სწორედ „რბილი ძალის“ თეორიის ფორატში შეიძლება განვიხილოთ საერთაშორიო უსაფრთხოების სამი სექტორის შემთხვევა (პოლიტიკური, ეკონომიკური და საინფორმაციო), რომლებიც უკეთ ახსნიან თუ როგორ ვითარდება 21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკური პროცესები და როგორია ამ კუთხით უსაფრთხოების პრობლემატიკა.

## 2.1. მსოფლიო წესრიგის გეოპოლიტიკური მეტამორფოზები პოსტ-ბიპოლარულ პერიოდში: გლობალური უსაფრთხოების პოლიტიკური ასპექტები

მიმდინარე საერთაშორისო პოლიტიკური მოვლენების ფონზე, საქართველოში ყველაფერზე მსჯელობენ და არა იმ ძირითად ტენდენციებზე, რომლებმაც უკვე შეცვალა მსოფლიო წესრიგის მოწყობა და ის გახადა მულტიპოლარული, უნიპოლარულობის ანუ მონოპოლარულობის მაგივრად, სადაც აშშ-ს გეოპოლიტიკური ჰეგემონობა იყო უპირობო და მთავარი დომინანტური ფაქტორი ასეთი სახის მსოფლიო წესრიგის, რომელიც დაიწყო გეოპოლიტიკური ტრანზიციის შემდეგ, რომელის კლასიკური „ცივი ომის“ შემდეგ დაიწყო – 1991-1999 წლებში.უკვე 1999 წლიდან აშშ-მ შესძლო გლობალური მართვის სადავეების ხელში ჩაგდება, განსაკუთრებით ჯორჯ ბუშ-უმცროსის ადმინისტრაციის მიერ გამოცხადებული „ტერორიზმთან გლობალური ომის“ სტრატეგიის განხორციელებისთანავე. ასეთი მოდელი, ანუ აშშ-ს გლობალური ჰეგემონობა და მონოპოლარული მსოფლიოს წესრიგის მოდელი გაგრძელდა 2014 წლამდე, მას შემდეგ, რაც რუსეთიხ ფედერაციამ განახორციელა უკრაინის სუვერენული

ტერიტორიის ყირიმის ნახევრაკუნძულის ოკუპირება ე.წ. „ჰიბრიდული ომის“ მეშვეობით და საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმისა და პრინციპის უგულებელყოფით მოახდინა მისი ანექსია, რამაც, შემდეგ გამოავლინა საკუთარი ამბიცია უკვე მსოფლიო ჰეგემონობისკენ. რა თქმა უნდა, აშშ-ს და მთლიანად „დასავლეთის“ (ტერმინი „დასავლეთის“ გეოპოლიტიკური ფორმულა შეიძლება გამოიხატოს შემდეგნაირად: ნატო+ევროკავშირი+“დიდი შვიდეული“+ავსტრალია) მხრიდან სავსებით ლოგიკურად დაიწყო ეკონომიკური ბლოკადის განხორციელება რუსეთის წინააღმდეგ და პროცესებმა მიიღო „ახალი ცივი ომის“ პრეცედენტის სურათი (ტერმინი „ახალი ცივი ომი“ შემოიტანა პოლიტიკურ ლექსიკონში ცნობილმა ლიბერალმა ჟურნალისტმა ედუარდ ლუკასმა, მისი ერთსახელიანი წიგნის მიხედვით, რომელიც გამოვიდა 2015 წელს)[1]. სწორედ ამ დაპირისპირების ფონზე გაიზარდა ევროკავშირის, როგორც ცალკე მდგომი გეოპოლიტიკური გავლენის ცენტრის, ანუ მსოფლიო დომინანტი აქტორის როლი საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებში და ამ პროცესს ხელი არ შეუშლია ე.წ. „ბრექზიტის“ ანუ დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის პროცესზეც, რადგანაც, დიდი ბრიტანეთი კვლავ რჩება საერთო ევროპული და უსაფრთხოებს პოლიტიკის (ESDP – European Security and Defense Policy) პრინციპებთან და აქედან გამომდინარე, ევროკავშირმა კიდევ უფრო გააფართოვა თავისი გეოპოლიტიკური მიზნების განხორციელება და დაიწყო აქტიური საგარეო პოლიტიკური კურსის გატარება, რაც მოიცავდა საქართველოსთვის და უკრაინისთვის უვიზო რეჟიმის დაწესებას და მათთან ასოცირებული შეთანხმების გაფორმებას. ამავე დროს, ევროკავშირმა ასევე გააფართოვა თავისი საქმიანობა ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის მიმართულებით. აშშ-

[1] Eduard Lucas “The New Cold War – Putin’s Threat to Russia and the West”, Bloomsbury, Great Britain, 2014



ში ახალი ტრამპის ადმინისტრაციის მოსვლამ და მისმა ნეო-
იზოლაციონალისტურმა საგარეო პოლიტიკის ნიშნებმაც –
ტრანს-წყნარი ოკეანეთის ხელშეკრულებიდან გამოსვლა და
წყნარი ოკეანთის საერთაშორისო ფორუმის დაბლოკვა, ნაფ-
ტას გაერთიანებიდან გამოსვლა (აშშ-მექსიკა-კანადის თავი-
სუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება), ე.წ. „შერჩევითი ჩარე-
ვის“ პრინციპის შემოღება, აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ერთ-
ერთი მთავარი ინსტრუმენტის – საერთაშორისო დახმარებე-
ბის პროგრამის შეკვეცა სოლიდური მაჩვენებლით, „პრო-
ტექციონისტური“ ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაცია
და ა.შ. – თავისი წვლილი შეიტანეს ამერიკული მონოპოლა-
რული მსოფლიო წესრიგის რღვევაში. თუმცალა ტრამპის
ახალმა ადმინისტრაციამ თავი არ დაანება რუსეთის ეკონო-
მიკური ბლოკადის პოლიტიკას და რეგიონულ დონეზე საკუ-
თარი ეროვნულ ინტერესებზეც არ თქვა უარი – ამაზე მეტ-
ყველებს თუნდაც, საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი
კვირიკაშვილის წარმატებული ვიზიტი აშშ-ში და მისი შეხ-
ვედრა პრეზიდენტ დონალდ ტრამპთან და ვიცე-პრეზიდენტ
მაიკლ პენსისთან და მნიშვნელოვანი ორხმრივი შეთანხმების
გაფორმება უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხებში და
ასევე კონგრესისა და ადმინისტრაციის შესაბამისი საკანონ-
მდებლო და აღმასრულებელი აქტების დამტკიცება, რომე-
ლიც ითვალისწინებს ეკონომიკური სანქციების გამოცხადე-
ბას იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც გაბედავენ და შეუერ-
თდებიან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების
ოფიციალური აღიარების პოლიტიკას.

ცალკე კუთხით განსახილველია ***აშშ-ს ახალი ადმინის-***
***ტრაციის*** საგარეო-პოლიტიკური და გეოპოლიტიკური მიდ-
გომები და ამოცანები მიმდინარე მსოფლიო წესრიგის პირო-
ბებში. 2016 წლის 8 ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნები ნამ-
დვილად შევა თითქმის 200 წლიანი ისტორიის მანძილზე შევა
როგორც ყველაზე ოდიოზური, რთული და ურთიერთსაწინა-
აღმდეგო პოლიტიკურად მოვლენად. პირველად აშშ-ს პოლი-

ტიკური ისტორიის პერიოდში, ამ არჩევნებმა ნათლად აჩვე-
ნა ქვეყნის ურთულესი სოციალურ-ეკონომიკური „ქარტეხი-
ლის“ და ასევე საგარეო-პოლიტიკური კრიზისის პრობლემა-
ტიკის მთელი სპექტრი, რამაც „ვულკანური ლავის“ სახით
ამოხეთქა პოლიტიკურ ლანდშტაფტზე. სამი უმძიმესი ფი-
ნანსური კრიზისი – 2002-2003, 2008 და 2012 წლების მაგა-
ლითზე, 9/11 ტრაგიკულმა მოვლენმა, რომელმაც აჩვენა თუ
რამდენად გეოსტრატეგიულად მოწყვლადი აღმოჩნდა აშშ-ს,
თუნდაც არა-სახელმწიფოებრივი აქტორი-მტრის მხრიდან,
„პატრიოტის აქტის“ და სახელმწიფო უშიშროების მეგა-მონ-
სტრის – ეროვნული უშიშროების სამინისტროს შექმნა და
პირველად, ქვეყანაში სამოქალაქო თავისუფლებების შეზ-
ღუდვა და უმძიმესი საგარეო ვალი თითქმის 23 ტრილიონი
ამერიკული დოლარი და გეოპოლიტიკური გლობალური
სტატუს-კვოს გაქრობის რეალური სცენარი – ყველაფერმა
ამან თავი იჩინა ამ არჩევნების შედეგების სახით. აშშ-ში მა-
ღალ პოლიტიკური ხელისუფლების „ოლიმპზე“ მოვიდნენ
ნეო-ლიბერალები, დინალდ ტრამპის სახით (მისი შიდაპოლი-
ტიკური დაპირებანი ყველა დონის ბიზნესის გათავისუფლე-
ბა მძლავრი საგადასახადო წნეხისგან და თანაც საგრძნობ-
ლად, საშუალო შემოსავლებების კლასის წარმომადგენლებ-
ზე აქცენტის გაკეთება და ამით თითქმის 30 მილიონიანი
ელექტორატის მოყვანა საარჩევნო უბნებზე და აქცენტის
გაკეთება აშშ-ს ცენტრალური და სამხრეთ შტატების მოსახ-
ლეობის ინტერესების გათვალისწინებაზე), რომლებმაც
პირველად მიაღწიეს ასეთ მაღალი დონის წარმატებას. დო-
ნალდ ტრამპის სახით აშშ-ს მოსახლეობის უმრავლესობის
წარმომადგენლებმა, იმის მიუხედავად, რომ იგი აირჩია უმ-
ცირესობის მომხრე პოლიტიკური ინსტიტუტმა – საარჩევნო
კოლეჯმა, მხარი დაუჭირა ქვეყნის ეკონომიკური, სოციალუ-
რი და საგარეო-პოლიტიკური კურსის მკვეთრი რეფორმირე-
ბას და რადიკალური ცვლილებების შეტანას ამ მიმართულე-



ბით. ნეო-ლიბერალური პოლიტიკური დაჯგუფების ერთ-
ერთ მთავარ მიმართულებად შეიძლება იქცეს ნეო-იზოლა-
ციონალიზმის გეოპოლიტიკური კურსის არჩევა და პრაგმა-
ტული საგარეო-პოლიტიკური ამოცანების რეალიზაციაზე
გადასვლა. აშშ-ს ახალ საგარეო პოლიტიკური კურსის ძირი-
თად მიმართულებად არჩეული იქნება ჯოზეფ ნაის მიერ შე-
მუშავებული ე.წ. „რბილი ძალის“ კონცეფციის განხორციე-
ლება, ჯორჯ ბუშ-უმცროსი „ხისტი ძალის“ ან ბარაქა ობამის
„ჭკვიანი ძალის“ საპირისპიროდ და ასევე აშშ-ს მხრიდან
მულტიპოლარული გეოპოლიტიკური წესრიგის აღიარება,
როგორც შემდგარ ფაქტად. დონალდ ტრამპის ყველაზე
მძლავრ პოლიტიკურ პოტენციალად ითვლება მისი სრული
დამოუკიდებლობა და მისი დისტანცირება ყოველგვარი
მსხვილი-კორპორაციული დაჯგუფებებისა, მათ შორის სამ-
ხედრ-სამრეწველო კომპლექსის სახით, და დიდი პოლიტიკუ-
რი ლობისტური ჯგუფებისგან. აშშ-ს 45-ე პრეზიდენტი, რო-
მელიც გამორჩეოდა დიდი ოდიოზურობით და უდიდესი პი-
როვნული ხარიზმით, რამაც რევოლუციური გარდატეხა შეი-
ტანა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და დაანგრია ქვეყ-
ნის ჩვეული პოლიტიკური განვითარების ალგორითმი, რო-
გორ დაიწყებს და გადაშლის უკვე 21-ე საუკუნის აშშ-ს პო-
ლიტიკური სისტემის „ახალ ფურცელს“ აი ეს არის რეალური
თემა. ზოგად კონტექსტში უნდა აღინიშნოს ის გარემოება,
რომ აშშ-ს სახელმწიფოებრივი ისტორიული განვითარების
ეტაპებზე, განსაკუთრებით ასწლეულების დასაწყის პერიო-
დებში, ქვეყანა რადიკალურად იწყებდა თავის განვითარებას
– მე-19 საუკუნის დასაწყისში აშშ-ს „მონროს დოქტრინით“
აირჩია საკუთარ გავლენის გეოპოლიტიკური სივრცეში ჩა-
კეტვა (მხედველობაშია ამერიკის კონტინენტი), მე-20 საუ-
კუნის დასაწყისში კი თეოდორ რუზველტის დოქტრინით და-
იწყო სვლა მსოფლიო პოლიტიკაში, ხოლო 21-ე საუკუნის და-
საწყისში კი ქვეყანა ალბათ მოახდენს ერთგვარ „ჩაკეტვას“
ე.წ. „ნაფტას“ გაერთიანების ფარგლებში (აშშ+კანადა+მექ-

სიკა საერთო ეკონომიკური სივრცე, რაც შეიძლება, იყოს მაქსიმალური დონის ინტეგრაციული პროექტის რეალიზაცია). ასეთი ტრანსფორმაცია სავსებით მოსალოდნელია, რადგანაც ტრამპა სწორედ ასეთი წინასაარჩევნო კამპანიის ფორმატში მოახდინა წარმატებების მიღწევა, მიუხედავად იმისა, რომ იგი შეპირდა თავის ამომრჩეველს მექსიკასთან, ერთგვარი „ჩინური კედლის“ აღმართვას. როგორც აწი უკვე წაგებულმა კანდიდატმა ჰილარი ქლინთონმა განახცადა, თავის ბოლო სიტყვაში, როგორც საპრეზიდენტო კანდიდატისა, – „ჩვენ დავინახეთ, რომ ჩვენი ქვეყანა მაგრად გაიხლიჩა, მაგრამ მე მაინც მჯერა მისი“. დიახ პირველად, და რამდენჯერ უკვე მეორდება სიტყვა „პირველი“, აშშ-ს საზოგადოება, რომელიც ყოველთვის ითვლეობოდა პოლიტიკური „მონოლითიზმის“ სიმბოლოდ (1861-64 წლის სამოქალაქო ომის შემდეგ), გაიყო ორად და სამოქალაქო საზოგადოების შიგნით გაჩნდა „უხილავი ბზარი“, რომელიც თანდათანობით შეიძლება გახდეს „ხილული“. ამავე დროს, აშშ-ს ხელისუფლების სათავეში მოვიდა მძლავრი „ოლიგარქიული წრის“ წარმომადგენელი, რამაც დაარღვია ჩევული პოლიტიკური კანონზომიერება ეროვნულ დონეზე და როგორი იქნება ამერიკული „ოლიგარქიული რესპუბლიკა“ – უილიამ შექსპირის ყოფნა-არყოფნის დილემის არ იყოს – კითხვა აი ამაში ძევს. საერთო ჯამში, როგორც ჩანს პირველი ასეთი ეპოქის დაწყების დროს, დონალდ ტრამპი, რომელიც ნაკლებად მოსალოდნელია, რომ კარდინალურად შეცვლი თავის წინასაარჩევნო კამპანიის დანაპირებებზ, რადგანაც ოლიგარქიული წრის წარმომადგენლები უფრო მეტად არიან თავიანთი სიტყვის აღმსრულებლები და ასევე ნაკლებად უკან დამხევები, დაიწყეს ძირითადი ამოცანების შესრულებას და თანაც საკმაოდ მაღალ ტემპებში. სავარაუდოდ მისი საგარეო-პოლიტიკური ამოცანების კონტექსტში, შესაძლოა მისი პირველი ნაბიჯები იყოს შემდეგი:



- ✓ *ქვეყნის შიგნით რადიკალური სოციალური-ეკონომიკური რეფორმების გატარება და ორიენტაციის აღება სოციალური პოლიტიკის მიმართულებით და საგარეო-ეკონომიკური პრიორიტეტების გარკვეული სახის შეზღუდვებით, მათ შორის მკაცრი პროტექციონალისტური პოლიტიკის გატარებით;*
- ✓ *ჩრდილოატლანტიკური სოლიდარობის პასუხისმგებლობის გადანაწილებით მოკავშირეებზე და ამ მიმართულებით გაწეული ხარჯების თანდათანობით შეზღუდვა და მთლიანად თავდაცვითი ხარჯების ეტაპობრივი შემცირება;*
- ✓ *ტრანს-ატლანტიკური ეკონომიკური სოლიდარობის პრინციპის დროებით გადავადება, რომელიც მიზნად ისახავდა ევროკავშირთან უფრო მჭიდრო ეკონომიკურ ინტეგრაციას და სავარაუდო „ სავაჭრო ომების“ სცენარის განვითარებას;*
- ✓ *„ თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ პრინციპის ამოქმედება გეოპოლიტიკური კურსის განხორციელებისას, ანუ მსოფლიო პოლიტიკაში საერთაშორისო უსაფრთხოების მიღწევის საქმეში თანაბარი პასუხისმგებლობის აღება, სხვა გლობალური გავლენის ცენტრებთან ერთად;*
- ✓ *უფრო მეტად შერჩეული ე.წ. „ჩარევის“ (selective engagement) გეოსტრატეგიის მისიის აღსრულება, რომელიც უფრო მეტად განხილული იქნება ქვეყნის გეოეკონომიკური და არა გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე და პრაგმატული საგარეო პოლიტიკის გატარება.*

ზემოაღნიშნული მომენტები მხოლოდ და მხოლოდ არის ზოგადი ტიპის ანალიზი და შესაძლოა არ იქნეს სრულად რეალიზებული ისე როგორც აღნიშნული იყოს, მაგრამ ტენდენცია იქნება ამ მიმართულებით. ტრამპი სავსებით არაორდინარული პოლიტიკური ფიგურაა და მისი მოქმედების ალგო-

რითმი იქნება აბსოლუტურად განსხვავებული წინამორბედებისგან განსხვავებით.

აშშ-მ ასევე გაამკაცრა საკუთარი პოზიციები ახლო აღმოსავლეთისა და კორეის ნახევარკუნძულის რეგიონებში. ამიტომაც, **აშშ** და **ევროკავშირი** დარჩნენ მსოფლიო წესრიგის განსაზღვრელი ფიგურანტები და აქტორები, თუმცა მათი გეოპოლტიკური „პასიონარიზმი“ ერთგვარად გახდა შედარებით სუსტი.

თავის მხრივ, **რუსეთის ფედერაციამაც** დაიწყო საკუთარი გლობალისტური პროექტების განხორციელება – სირიაში და მთლიანად ახლო აღმოსავლეთში და შემდეგში განახორციელა ერთგვარი მცირე ექსპანსია უკვე მაღრიბი-აფრიკის მიმართულებითაც. სირიაში რუსეთმა დაიწყო ფართომასშტაბიანი სამხედრო ინტერვენცია და შეძლო ახალი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის შექმნა: მოსკოვი-თეირანი-ბაღდადი-დამასკი (ბაშარ ასადის რეჟიმი) ძირითადად „ისლამური სახალიფოს“ (ანუ „დაიშის“) წინააღმდეგ ე.წ. „წინსწრები თავდაცვის დოქტრინის“ ფარგლებში, მაგრამ ფარულად ეს იყო აშშ-ს საწინააღმდეგოდ. ამას გარდა, თავის 2016 წელს მიღებულ ახალ სამხედრო დოქტრინაში კრემლმა დააბრუნა „სტრატეგიული ბირთვული დარტყმის“ მიყენების პრინციპი და იმავე დოქტრინის ერთ-ერთ პარაგრაფში დააფიქსირა ეკონომიკური უსაფრთხოების მისაღწევად შეიარაღებული ძალების გამოყენების აუცილებლობაც.

ამას გარდა, რუსეთმა გაზარდა სამხედრო ხარჯები ახალი ტექნიკის და შეიარაღების ათვისების მიმართულებით დაახლოებით 40%-ით და გასულ წელს გავიდა მესამე ადგილზე მსოფლიოში სამხედრო ასიგნების მიხედვით. ამასთან ერთად, ამ ეტაპზე ეკონომიკური ბლოკადის მიუხედავად, რუსეთის ფედერაციის სტრატეგიული სავალუტო რეზერვებმა მიაღწია 402 მლრდ. ამერიკულ დოლარამდე. „ახა-



ლი ცივი ომის“ პირობებში რუსეთი გადავიდა აგრესიულ სამხედრო სტრატეგიაზე რაც, უქმნის პირდპაირ სამხედრო მუქარას ბალტიის ქვეყნებსა და პოლონეთს, რომლებიც, არიან ნატოს წევრი-ქვეყნები. ამის საპასუხოდ ნატომ 1988 წლის შემდეგ პირველად აამოქმედა ვაშინგტონის ხელშეკრულების მეხუთე მუხლი ანუ „კოლექტიური თავდაცვის“ პრინციპი, როდესაც მანამდე ჩრდილოატლანტიკური ალიანსი იყენებდა „არა-მეხუთე მუხლით“ გათვალისწინებულ ვალდებულებებს, რომლებიც მოიცავენ „კრიზისების მართვის“ ოპერაციებში ჩართულობას. რუსეთმა სამივე დონეზე აამოქმედა თავისი გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ინსტრუმენტები – გლობალურ დონეზე: დაპისრისპირება აშშ და ნატოსთან (მის ეროვნული უსაფრთხოების 2015 წლის ახალ ვარიანტში მე-16 და მე-17 პარაგრაფებში მთავარ მოწინაალმდეგებად მოიაზრებიან აშშ და ნატო, ხოლო მეშვიდე პარაგრაფში პირდაპირ არის დაფიქსირებული რუსეთის ფედერაციის როლის ამაღლება მსოფლიო წესრიგის მოწყობის საქმეში და მისი მულტიპარული მოდელის მიღწევა, რაც უკვე შესრულდა)[1]. რეგიონულ დონეზე – რუსეთი კვლავაც აგრძელებს თავის ჰეგემონისტულ პოლიტიკას კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში, მათ შორის ავღანეთშიც (რუსეთი უკვე არც მალავს იმ ფაქტს, რომ ის აწვდის შეიარაღებას „თალიბანის“ მოძრაობას და ამით აყენებს დარტყმას ნატოს და აშშ-ს გეოსტრატეგიულ ინტერესებს ამ ქვეყანაში და შემთხვევით არ არის ფაქტი, რომ აშშ-ს გენერალიტეტი ითხოვს სამხედრო კონტინგენტის გაზრდას ავღანეთში). ამავე დროს, ოფიციალურმა მოსკოვმა სწორედ „ჰიბრიდული ომის“ ელემენტების გამოყენებით შესძლო, სერიოზული დარტყმის მიყენება აშშ-სთვის, საპრეზიდენტო არჩევნების

[1] Указ Президента Россиской Федерации о Стратегии национальной безопасности Российской Федерации, №683, Москва, Кремль, 31 декабря, 2015 года, стр.3-8

დროს, შეიტანა პოლიტიკური არასტაბილურობის ნიშნები აშშ-ს მონოლითურ პოლიტიკურ სისტემაში, იმის მიუხედავად, რომ დონალდ ტარმპი რა თქმა უნდა არ არის კრემლის ფავორიტი და იგი წარმოადგენს საკუთარი ქვეყნის ეროვნული ინტერესების გამტარებელ პოლიტიკოსს. ესეც რუსეთის გლობალისტური ჰეგემონიისკენ გადადგმული ერთ-ერთი სერიოზული ნაბიჯი იყო, თუნდაც „ქვადროპოლარული" მსოფლიო წესრიგის დამყარების საქმისთვის. რუსეთი საკუთარი გლობალური გეოპოლიტიკური მიზნების და ამოცანების მისაღწევად აპირებს გამოიყენოს ისეთი მის ეგიდით დაარსებული გეოპოლიტიკური გაერთიანებები, როგორებიცაა: ევრაზიული კავშირი, კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია და ჩინურ-რუსული პროექტი „შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია".

კავკასიის რეგიონში კი მისთვის გარკვეული სასურველი გეოპოლიტიკური ფონის შეკვრით – თურქეთ-ირანი-რუსეთის სტრატეგიული თანამშრომლობის მიღწევითა და სამხედრო მზაობის უპრეცენდენტო გაზრდით, ცენტრალურ კავკასიაში გამოიწვია: ოკუპირებულ აფხაზეთის ტერირიაზე ახალი სამხედრო დაჯგუფების შექმნა და სომხურ-რუსული ახალი სამხედრო გაერთიანებული ჯგუფის ჩამოყალიბება – სომხური მეხუთე საარმიო კორპუსისა და რუსული 102-ე სამხედრო ბაზის საფუძველზე, ისევე როგორც ცხინვალის რეგიონში პირდაპირი სამხედრო ანექსიის განხორციელება და საქართველოსთვის ახალი საფრთხის – ირედენტიზმის თავსმოხვევა და ამით გეოსტრატეგიული სამკუთხედის შეკვრა: სოხუმი-ცხინვალი-გიუმრის სტრატეგიული და რაიონების „სამკუთხედის" ჩამოყალიბებით. ამავე დროს, კრემლმა თავის გეოპოლიტიკურ ლექსიკონში დააბრუნა ოფიციალური მოსკოვის მიერ საგარეო-პოლიტიკური მოხმარებისთვის განკუთვნილი ძველი ტერმინი „Закавказье" (იხილეთ 2016 წელს კრემლის მიერ მიღებული საგარეო პოლიტიკური კონცეფციის ახალი ვარიანტის 59-ე პარაგრაფი, რომელიც პირ-



დაპირ საქართველოს საკითხს ეხება და დაკავშირებულია შენდეგნაირად: „Россия заинтересована в нормализации отношении с Грузией в тех сферах, которых к этому готова Грущинская сторона, при учете политических реалий, сложившихся в Закавказье")[1]. ამას მოყვა უკვე „ჰიბრიდული ომის" ფორმატში განხორციელებული სამი კონკრეტული ინსტრუმენტის ამოქმედება საქართველოს წინააღმდეგ:

- რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის ცინიკური ვიზიტი ოკუპირებული აფხაზეთში და მისი „სიგნალური დიპლომატიის" ფარგლებში გაკეთებული განცხადება „აფხაზური რკინიგზის" ამოქმედების შესახებ, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს რუსეთის გეოსტრატეგიულ ამოცანებს არა მარტო ცენტრალურ კავკასიის, არამედ ახლო აღმოსავლეთში და კიდევ უფრო გააძლიერებს რუსული რეგიონული ბლოკის პოტენციალს (მოსკოვი-თეირანი-ბაღდადი-დამასკო) და ხელს შეუწყობს „დასავლეთის მხრიდან" ეკონომიკური ბლოკადის გარღვევას;
- რუსეთის ზომიერი ოპოზიციონერის და ოლიგარქის, მოსკოვის ყოფილი მერის იური ლუჟკოვის უცაბედი „არაოფიციალური" ვიზიტი საქართველოში, რომელმაც კიდევ უფრო გაახმოვანა ოფიციალური კრემლის მესიჯი საქართველოს მიმართულებით მისი საგარეო-პოლიტიკური კურსის შეცვლის პერსპექტივით და ამით ლუჟოვმა ჩაიწერა „ქულები" ვლდიმერ პუტინის მიმართულებით, რომელიც, ალბათ „შეიწყალებს" გაქცეულ ოლიგარქს სამშობლოში დაბრუნებისთვის;
- კრემლის კონკრეტული ინსტრუმენტის „ჰიბრიდული ომის" წარმოებისას (ე.წ. „მწვანე კაცუნებთან" ერთად) „ღამის მგლების" არაოფიციალური ვიზიტი საქართველოში,

[1]Указ Президента Россиской Федерации Об утверждении Концепции внешней политики Российкой Федерации, №640, Москва, Кремль, 30 ноября 2016 года, стр.23-26

რომლებიც სხვათაშორის, ახმეტის რაიონშიც კი დაფიქსირდნენ, პანკისის ხეობის სიახლოვეს სოფელ რუისპირში და რა თქმა უნდა არა ჩვეულებრივი „ტურისტული" მიზნებისთვის – * იხილეთ ამის დამადასტურებელი ფოტოებიც.*









ასეთ გეოპოლიტიკურ კონფიგურაციაშიც უკვე იკვეთება თანამედროვე მსოფლიო წესრიგის მეოთხე ფიგურანტი – **ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა.**

ჩინეთმა კარგად გამოიყენა ტრამპის ადმინისტრაციის მიერ წყნარი ოკეანეთის ფორუმიდან გასვლის ფაქტორი და უკვე რამოდენიმე დღის წინ, გამართა და განახორციელა ახალი ინიციატივა – საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმი „ერთი სარტყელი – ერთი გზა", რომელიც, არის ფაქტიური დიდი ევრაზიული სივრცის ათვისების და ე.წ. „აბრეშუმის გზის" სტრატეგიის განხორციელების პროექტი. ფაქტიურად ყალიბდება ჩინეთის პრეზიდენტის ხუ ძინტაოს მიერ წამოყენებული, ჩინური გეოეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება, სადაც ჩინეთი აპირებს დააბანდოს სულ მცირე 14 მლრდ. ამერიკული დოლარი და კიდევ უფრო გააფართოვოს „აბრეშუმის გზის ფონდის" აქტივები, რომელიც, უკვე მოიცავს 40 მლდრ. ამერიკულ დოლარს. ჩინეთი ამ გაერთიანებაში მოიაზრებს რუსეთის ფედერაციას, ინდოეთს და პაკისტანს, რომლებიც ასევე არიან გაერთიანებულნი „შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციაში", რომლებსაც შეიძლება შეურთდნენ

ირანის ისლამური რესპუბლიკა, ბელარუსი, აზერბაიჯანი, მონღოლეთი, სომხეთი და ა.შ. ამ პროექტის ფარგლებში, ახალი გაერთიანებაა მხედველობაში – „ერთი სარტყელი-ერთი გზა", მოიაზრება საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმებაც. ამავე დროს, ჩინეთის გეოსტრატეგიული აქტიურობა, განსაკუთრებით ჩრდილოეთ კორეის მიმართულებით და ეს სამხრეთ აზიაში კიდევ უფრო მაღლა წევს ჩინეთის გეოპოლიტიკურ სტატუ-ქვოს და მის როლს მიმდინარე ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების საქმეში. რ ათქმა უნდა მიმდინარე მსოფლიო წესრიგი იქნება „ოთხპულისიანი" ანუ ქვადროპოლარული და მისი აქტორები იქნებიან განსაზღვრული – ჩინეთი, რუსეთი, ევროკავშირი, აშშ. სავარაუდოდ, ასეთი წესრიგი იქნება საკმაოდ მყარი და გასტანს სულ მცირე ერთ დეკადას ანუ 10 წელიწადს მაინც. აი სწორედ აქ ისმის კითხვა – თუ სად იქნება ასეთი მსოფლიო წესრიგის პირობებში საქართველოს ადგილი.

## 2.2. ეკონომიკური უსაფრთხოების ენერგეტიკული ასპექტები: ენერგოგეოპოლიტიკა

მე-20 საუკუნეში ენერგოუსაფრთხოება მიჩნეულია გლობალური კეთილდღეობისა და უსაფრთხოების გარანტად. დღეს მსოფლიო უფრო მეტ ენერგორესურსებს მოიხმარს, ვიდრე ოდესმე. ერთის მხრივ, ის უზრუნველყოფს ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას, ხოლო მეორეს მხრივ კი საფრთხეს უქმნის ენერგომომხმარებელი ქვეყნების ეროვნულ უსაფრთხოებას. მნიშვნელოვანი არის ის, თუ როგორ მიეწოდება მთელს მსოფლიოს ენერგორესურსები. განსაკუთრებით გვაინტერესებს საქართველოს მაგალითი და ის, თუ რა საფრთხეებს გამოიწვევს მათი მიწოდების შეწყვეტა.



ბოლო წლებში, ენერგოუსაფრთხოება საერთაშორისო უსაფრთხოების დებატების ძირითად თემად გადაიქცა. რამდენიმე მოვლენის ანგარიში ამ თემაზე მდგომარეობს შემდეგში: ევროპის დამოუკიდებლობის ზრდა ნავთობსა და გაზზე; მზარდი ენერგეტიკული საჭიროებებით უფლებამოსილების ზრდა, (როგორც ჩინეთსა და ინდოეთში). დადგენილია, რომ ამ საუკუნის შუა პერიოდის შემდგომ მოსალოდნელია წარმოქმნილი წიაღისეულისა და საწვავის გამოლევა. აქტიურად მიმდინარეობს დებატები კლიმატის ცვლილებაზე და ასევე განახლებულია ინტერესი მშვიდობიანი ბირთვული ენერგიის შესახებ.

დამატებითი ფაქტორები მოიცავს ასიმეტრიულ საფრთხეებს ენერგომომარაგებისთვის. ისინი ენერგომწარმოებელი ქვეყანების უმეტესობაში არიან ტერაქტების, მეკობრეობის შეტევის ან პოლიტიკური არასტაბილურობის ზეგავლენის ქვეშ, რომელიც ასევე მოიცავს ზოგიერთი შტატის მცდელობას, გამოიყენონ ენერგიის წყაროები პოლიტიკურ იარაღად.

დღესდღეობით, ენერგოუსაფრთხოება და ენერგოპოლიტიკა წარმოადგენს უკიდურესად აქტუალურ და მწვავე თემებს მთელი მსოფლიოსათვის. სახელმწიფოების მხრიდან სულ უფრო აქტიურად იზრდება მოთხოვნა ნავთობსა და გაზზე და ხშირად იმ სახელმწიფოთა პოლიტიკური ლიდერები, რომლებსაც არ გააჩნიათ საკუთარი რესურსები, დგანან დიდი დილემის წინაშე. მათ ძირითად საზრუნავს ენერგო რესურსებზე წარმოადგენს სახელმწიფოს მოთხოვნილებების ხელსაყრელ ფასად მიღება და სასურველი პოლიტიკური ინტერესების შესაბამისად უზრუნველყოფა. ხოლო ისინი, ვინც ფლობს ენერგორესურსებს ან ხელი მიუწვდება მათ კონტროლზე, ცდილობს აქციოს ის საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტად.

ენერგოუსაფრთხოება ეს არის კომპლექსური მიდგომა, რომელიც მოიცავს შემდეგ დონეებს:

- ❑ *ეკონომიკური ენერგოუსაფრთხოება*
- ❑ *ტექნოგენური ენერგოუსაფრთხოება*
- ❑ *სამართლებრივი ენერგოუსაფრთხოება*
- ❑ *პოლიტიკური ენერგოუსაფრთხოება*

ბოლო დროს ენერგო რესურსებზე საკმაოდ იმატა ონკურენციამ. გაჩნდა მათი ამოწურვის საშიშროება და სწორედ ამან შექმნა ენერგოუსაფრთხოების მნიშვნელოვანი პრობლემა უმეტესად იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც დამოკიდებულნი არიან ნავთობისა და ბუნებრივი აირის იმპორტზე. მნიშვნელოვანია ენერგოსაკითხების რეგულირების განსაზღვრა საერთაშორისო-სამართლებრივი ასპექტების მხრივ. ასევე გასათვალისწინებელია თუ როგორ ხდება მოთხოვნა-მიწოდების დარეგულირება, მოლაპარაკების წარმოება, უფლება-მოვალეობების განსაზღვრა მიმწოდებელ, მომხმარებელ და სატრანზიტო ქვეყნებს შორის.

**ენერგოუსაფრთხოება** – უზრუნველყოფს იმ ენერგორესურსების ხელმისაწვდომობას, რომლებიც აუცილებელია შემდგომი ეროვნული განვითარებისათვის. მთელს მსოფლიოში არსებობს ენერგოუსაფრთხოების სხვადასხვა განმარტება. მიუხედავად იმისა, აშშ–ში, აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში შეშფოთებულნი არიან ენერგო უსაფრთხოების გონივრულ ფასსზე, ჩინეთი მისი მზარდი ეკონომიკის ფასის მიუხედავად ცდილობს უზრუნველყოს ენერგიის მიწოდება. ევროკავშირი უდიდეს ძალისხმევას ხარჯავს, რათა უფრო ეფექტურად არეგულიროს მოთხოვნა, ხოლო რუსეთისთვის ეს ასოცირდება საგარეო ბაზრებზე გასვლასთან. კერძო სექტორი მოითხოვს სამართლიან და გამჭვირვალე ენერგო ბაზარს.

გარემოს დაცვის ჯგუფები და პრო–გამწვანების ხელისუფლება თვლის, რომ ენერგოუსაფრთხოება ეს არის ეკოლოგიური ინტერესების შეთანხმებადი მხარე. ზოგიერთებმა, ენერგოუსაფრთხოება შეიძლება აღიქვას როგორც ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის ფიზიკური უსაფრთხოება.



ზოგიერთ ქვეყანას კი საერთოდ არ სურთ ჰქონდეთ ნავთობისა და გაზის რესურსი, რადგან მათი შემოსავალი ხშირად აძლიერებს ავტორიტარული მართვის რეჟიმებს, ასუსტებს დემოკრატიზაციის პერსპექტივებს და რაღაც დონეზე უზრუნველყოფს საზოგადოების მატერიალურ სარგებელს.

პირველი მსოფლიო ომის მიჯნაზე, პირველმა ლორდმა უინსტონ ჩერჩილმა მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება ქვანახშირის ნავთობით შეცვლის შესახებ, როგორც საწვავი ბრიტანული საზღვაო ფლოტისთვის. ამან კი გამოიწვია ბრიტანული ფლოტის დამოკიდებულება არა უელსის ნახშირზე, არამედ არასანდო ნავთობის მომწოდებელ სპარსეთზე. ამდენად, ენერგოუსაფრთხოება იქცა ეროვნული სტრატეგიის უმნიშვნელოვანეს საკითხად. ჩერჩილის გადაწყვეტილების შემდეგ, ენერგოუსაფრთხოების საკითხი წამოიწია როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც მუდმივად ექცევა ყურადღების ცენტრში.

*ცნება ენერგოუსაფრთხოება* არ არის სტატიკური და დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, თუმცა ამ ყველაფერს[1] სჭირდება გააზრება, რაც მოხდა ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში. მან მიიღო ძალიან შეზღუდული დახასიათება და საჭიროებს გაფართოებას, რათა მოიცვას მრავალი ახალი ფაქტორი. უნდა გვესმოდეს, რომ ენერგოუსაფრთხოება არ არის თავისთავად განმარტოებული ცნება. ის პირდაპირ კავშირშია სახელმწიფოთა შორის ფართო ურთიერთობებთან.

ბოლო დროს, სულ უფრო აქტუალური ხდება ენერგოუსაფრთხოების საკითხი, რომელიც დამოკიდებულია მსოფლიო ურთიერთობების ყველა სფეროსთან, მათ შორის – წარმოებასთან, ტრანსპორტირებასა და ენერგორესურსებთან, განსაკუთრებით კი – ნავთობისა და გაზის მოხმარებას-

---

[1]См.: Денчев К., Златев В. Нефть, газ и геополитика. София, 2000, გვ 33

თან. დღეს ენერგოსფერო იტოვებს მთელ რიგ უსაფრთხოების ასპექტებს. ფორსმაჟორულ შემთხვევად შეიძლება განიხილოს მსოფლიო ბაზარზე გასვლის შეზღუდვა, საზღვაო მარშუტებისა და სატრანზიტო მილსადენების დაბლოკვა ნავთობისა და გაზის მიმწოდებლებისათვის და მიწოდებიდან შემოსავლის მიღება. ეს ყველაფერი კი, სულ უფრო მეტად განსაზღვრავს ეკონომიკურ დონეს, სამხედრო უსაფრთხოებასა და დროებით პოლიტიკურ მოტივაციას ქვეყნებში. ენერგომომარაგების გაყიდვების შეწყვეტამ, 1974 წელს გამოიწვია „ენერგეტიკული შოკი“, რომელმაც მოიცვა სერიოზული ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო შედეგები უმსხვილესი მწარმოებლების, ენერგო მომხმარებლებისა და მთელი მსოფლიოს საქმიანობისათვის.

ნავთობს მიენიჭა არამარტო ეკონომიკური, არამედ გეოსტრატეგიული ფაქტორის მნიშვნელობაც. ჩერჩილმა კარგად იცოდა, თუ რა მნიშვნელოვან გაადწყვეტილებას იღებდა და აი უკვე 100 წლის განმავლობაში, ენერგორესურსის ფაქტორი წარმოადგენს ერთ–ერთ მთავარ ელემენტს, რომელიც გავლენას ახდენს საერთაშორისო ურთიერთობებზე. ფაქტია, რომ საერთაშორისო ურთიერთობები დაკავშირებულია ენერგოუსაფრთხოების პრობლემებთან. მსოფლიო პოლიტიკაში ენერგოუსაფრთხოების საკითხის წინწამოწევა იწვევს წამყვან ქვეყნებს შორის ფარულ და ღია დაპირისპირებას.

**„ნავთობისა და გაზის დიპლომატია“** მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მასში ჩართული ქვეყნების საგარეო პოლიტიკაზე. ნავთობისა და გაზის, როგორც ბიზნესის ყველაზე მომგებიანი წარმოება ეხება როგორც ცალკეულ კომპანიებს, ასევე სახელმწიფოს. ნავთობის რესურსების მფლობელებს შორის პირველი „ამბოხი“ დაიწყო 1960 წელს, როცა ბაღდადში ერაყის, ირანის, კუვეიტის, ვენესუელასა და საუდის არაბეთის წარმომადგენლებმა შექმნეს „ოპეკი“ (ნავთო-



ბის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია). მაშინ ეს 5 ქვეყანა ნავთობით ამარაგებდა მსოფლიოს დაახლოებით 80%–ს. IEA-ს განმარტებით – ენერგოუსაფრთხოება წარმოადგენს ენერგიის წყაროებთან ხელმისაწვდომ ფასად შეუფერხებელ წვდომას.

**ენერგოუსაფრთხოებას აქვს მრავალი ასპექტი:**

გრძელვადიანი ენერგოუსაფრთხოება ძირითადად ეხება ინვესტიციების დროულად მიწოდებას იმისთვის, რომ მიწოდებული ენერგია შეესაბამებოდეს ეკონომიკურ განვითარებასა და გარემოს დაცვის მოთხოვნებს;

მოკლევადიანი ენერგოუსაფრთხოება ფოკუსირდება ენერგეტიკული სისტემის უნარზე, რომ მოთხოვნა–მიწოდების ბალანსის მოულოდნელი ცვლილებების დროს მოახდინოს დროული რეაგირება.

IEA-ს სისტემის სარგებლობაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. ნავთობის მომარაგების განხორციელებისა და მისი ჩამოყალიბების მომენტიდან, მსოფლიო სტრუქტურების ცვლილებები საჭიროებს ენერგოუსაფრთხოების კონცეფციის გადახედვას. IEA პირველ რიგში ოპეკი–ს საწინააღმდეგოდ იყო შექმნილი, თუმცა 1974 წლიდან, ოპეკის ნავთობის მიწოდების წილი 54%–დან 40%–მდე დაეცა. IEA–ს შექმნის დროს, ნავთობის მოხმარების 70% ეთგო–ს ქვეყნებზე[1] მოდიოდა. მას შემდეგ, რაც ეთგო–ს შემადგენლობაში სამხრეთ კორეა შევიდა, მსოფლიო მოთხოვნის სტრუქტურაში მისი წილი 10%–ით შემცირდა, რაც გაიყვეს მსხვილმა მომხმარებლებმა: ჩინეთმა, ინდოეთმა და ბრაზილიამ.

---

[1]ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია დაარსდა 1961 წელს. იმ მიზნით, რომ ხელი შეეწყო მონაწილე ქვეყნების სწრაფი და სტაბილური ეკონომიკის ზრდისა და მსოფლიო ვაჭრობის გაფართოებისთვის.თავდაპირველად ეთგო–ს წევრები იყვნენ განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები. 90 – იან წლებში ის გაფართოვდა და მასში შევიდნენ განვითარებადი ქვეყნები.

ენერგოუსაფრთხოების ცნება გაფართოვდა და აღარ გულისხმობს მიწოდების გარანტიას. ენერგოუსაფრთხოება მოიცავს უსაფრთხოების პოლიტიკას, ეკოლოგიასა და ინფრასტრუქტურის სფეროს, ასევე ტერორიზმის პრობლემებსა და კლიმატურ ცვლილებებს[1]. ენერგოუსაფრთხოება ეფუძვნება ფაქტორს, რომ ენერგორესურსების მომხმარებელი ერთი ქვეყანა გამოდის როგორც ექსპორტიორი, ხოლო მეორე კი – იმპორტიორი. მიმწოდებელი პროდუქტის მიმართ დაინტერესებულია – მაღალი, მომხმარებელი – დაბალი ფასით, ხოლო ორივე კი – მიწოდების სანდოობით. სიტუაციას ართულებს ენერგოკომპანიების სამთავრობო და კორპორაციულ ინტერესებს შორის წინააღმდეგობა. ექსპორტიორი ქვეყნები ძირითადად ეყრდნობიან მათი ექსპორტის "სტაბილური მოთხოვნების" მხარდაჭერას, რომელიც ბოლოს და ბოლოს უზრუნველყოფს მათი სახელმწიფო შემოსავლის უმეტეს ნაწილს. განვითარებადი ქვეყნები შეშფოთებას გამოთქვამენ იმის შესახებ, თუ როგორ იმოქმედებს ფასების ცვლილება ენერგოგამტარებლებსა და მათ საგადასახადო ბალანსზე. ჩინეთისა და ინდოეთისთვის ენერგოუსაფრთხოება არის მსოფლიო ბაზარზე დამოკიდებულების სწრაფი შეგუების შესაძლებლობა, რაც თავის მხრივ ნიშნავს თვითუზრუნველყოფის სწრაფვაზე უარის თქმას. იაპონიისთვის კი, ეს არის შინაგანი რესურსების მწვავე კომპენსაცია – დივერსიფიკაციის, ვაჭრობისა და ინვესტიციების მეშვეობით. ევროპაში, დისკუსიის მთელი ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ როგორ მოახდინონ იმპორტირებული ბუნებრივი აირისა და ნავთობის უკეთესი დივერსიფიკაცია.

რუსეთის ამოცანაა, სტრატეგიულ რესურსებზე, უმთავრეს მილგაყვანილობებსა და გაყიდვების არხებზე სამთავრობო კონტროლის აღდგენა, ასევე იმ ტერიტორიის აღდგენა, საიდანაც მისი ნახშირწყალბადები მიეწოდება მსოფლიო ბაზარს.

ქვეყნები ენერგოუსაფრთხოების ქვეშ გულისხმობენ საზოგადოების მდგომარეობას, რომელიც შიდა და გარე საფრთხეების, დესტაბილიზირებულ- ეკონომიკური, სოციალურ–პოლიტიკური, ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის ფაქტორების შემთხვევაში მხარს უჭერენ ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების მნიშვნელოვან დონეს. **„რუსეთის 2020 წლის ენერგეტიკული სტრატეგიის“**[1] დოკუმენტში მოყვანილია შემდეგი ფორმულირება: ენერგოუსაფრთხოება – ეს არის ქვეყნის, მოქალაქეების, საზოგადოების, სახელმწიფოს უსაფრთხოების მდგომარეობა, ასევე ეკონომიკის დაცვა საფრთხეებისაგან საიმედო საწვავის ენერგომომარაგებაზე. ეს საფრთხეები განისაზღვრება, როგორც გარე ფაქტორებით (გეოპოლიტიკური, მაკროეკონომიკური, ოპორტუნისტური), ასევე ქვეყნის ენერგო სექტორის საერთო მდგომარეობითა და ფუნქციონირებით. აღნიშნული სექტორები, რომლებიც აფერხებენ სათბობ-ენერგო რესურსების განვითარებას, ასევე წარმოადგენენ რუსეთის ენერგოუსაფრთხოების მუქარის წყაროს. აკადემიკოსი ე.მ. პრიმაკოვი აღნიშნავს: „რა იგულისხმება ენერგოუსაფრთხოების ცნებაში? პირველ რიგში მიწოდების ცალმხრივი გარანტია, როგორც ამას ხელმძღვანელობს დასავლური წარმომადგენლების უმეტესობა. უსაფრთხოება უნდა იყოს უზრუნველყოფილი „სამმაგი“ გარანტიით: 1. მწარმოებელი ქვეყნების მხრიდან რესურსების მიწოდებით; 2. ტრანსპორტირებით იმ ტერიტორიაზე, სადაც იგი ხორციელდება; 3. ქვეყნების მომხმარებელთა მოთხოვნით. ყველა მათგანმა უნდა გაინაწილოს პასუხისმგებლობა და რისკები მსოფლიო ენერგიის ფუნქციონირების შეუფერხებელ მიწოდებაზე.

---

[1]ციტატა Скорлыгина Н. России нет места в парадигме. – Коммерсантъ business guide, 20.VI.2006, № 109, გვ.34.

[1] К. Денчев МИРОВАЯ ЭНЕРГЕТИЧЕСКАЯ БЕЗОПАСНОСТЬ: ИСТОРИЯ И ПЕРСПЕКТИВЫ 2010 г.გვ 22

ენერგოუსაფრთხოება განიხილება კომპლექსური მიდგომებით – პოლიტიკური, ეკონომიკური, ტექნოგენური და იურიდიული ასპექტების მხრივ.

ენერგოუსაფრთხოება მოიცავს პირობებს, რომელშიც მომხმარებელს აქვს მისთვის საჭირო საიმედო წვდომა ენერგიასთან, ხოლო მიმწოდებელს კი მომხმარებელთან. ამასთან, ენერგოუსაფრთხოების მისაღწევად მნიშვნელოვანია არა მარტო შეუფერხებელი მიწოდება, არამედ სტაბილური და მისაღები ფასები. სახელმწიფოების მიერ საჭიროა გარკვეული პოლიტიკის ჩამოყალიბება, ღონისძიებების გატარება და შენატანები ენერგოუსაფრთხოების ბაზარზე, თუმცა მხოლოდ ეს არ კმარა. ენერგოუსაფრთხოების მიღწევა მოითხოვს ერთიან ძალისხმევას ყველა რეგულირებული მექანიზმების გამოყენებით.

***ენერგოუსაფრთხოება*** *– ეს არის ყველა ოჯახის დაკმაყოფილება ბუნებრივი აირით, ენერგიის საკმარისი მოცულობითა და მისაღები ფასით – ასე ფიქრობს ევროპარლამენტის უფროსი ეზი ბეზეკი. ამასთან დამატებულია ენერგიის წყაროების უსაფრთხოება, მიწოდების გარანტია და ტრანზიტის სანდოობა, მილგაყვანილობის კონტროლი, ნავთობისა და გაზით შანტაჟზე უარის თქმა, სპეკულირებული ფასის დაშვება და ა.შ.*

***ენერგოუსაფრთხოება*** *არის შეუფერხებელი ენერგო რესურსების წვდომის უზრუნველყოფა მისაღებ ფასად, რომელიც არის ენერგოუსაფრთხოების ერთ–ერთი დეფინიცია და დღეს ერთ–ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ეკონომიკური და პოლიტიკური სახელმწიფოს შიდა და გარე პოლიტიკისათვის. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ საერთაშორისო ენერგო-საბჭოს ექსპერტთა მიერ შეთავაზებული განმარტება – გარკვეულ პერიოდში ადგილობრივი და იმპორტირებული რესურსებით ენერგიაზე ზრდადი მოთხოვნილების დაკმაყოფილების უნარი.*

ენერგოუსაფრთხოების ყოველი განმარტება დამოკიდე-



ბულია იმაზე, თუ რა მიმართულებით არის ის განხილული: ეკონომიკური თუ პოლიტიკური?

ენერგოუსაფრთხოების მნიშვნელობა თანამედროვე მსოფლიოში განისაზღვრება არა მხოლოდ ნახშირწყალბადის საწვავის მარაგის შემცირებით, არამედ ნავთობითა და ბუნებრივი აირით. ზოგიერთი ექსპორტიორი ქვეყანა პოლიტიკური მიზნების მისაღწევად დიდ გავლენას ახდენს იმპორტიორ ქვეყნებზე.

ენერგორესურსების ექსპორტიორი ქვეყნები ეყრდნობიან სტაბილურ მოთხოვნას, რომელიც საბოლოოდ უზრუნველყოფს სახელმწიფოს შემოსავალს. განვითარებადი ქვეყნები კი შეშფოთებულნი არიან იმაზე, თუ როგორ იმოქმედებს ფასების ცვლილება მათ ბალანსზე.

როგორც უკვე განვიხილეთ, არსებობს ენერგოუსაფრთხოების სხვადასხვა განმარტება და ავტორების მირე საბოლოოდ შეიძლება ჩამოვყალიბებული იქნას შემდეგი განმარტებები:

***ენერგოუსაფრთხოება*** *– არის ერთგვარი "ქოლგა", რომელიც მოიცავს რამოდენიმე გამომწვევ კომპონენტს, როგორიცაა: ენერგეტიკა, ეკონომიკური ზრდის ტემპი და პოლიტიკურ ძალაუფლება;*

***ენერგოუსაფრთხოება*** *– არის შესაძლებლობათა ერთობლიობა, რომელიც იძლევა ენერგორესურსების ფლობის საშუალებას, რაც უზრუნველყოფს ეროვნული ძლიერების პოტენციალის ამაღლებას;*

***ენერგოუსაფრთხოება*** *– ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე წარმოადგენს ეროვნული უსაფრთხოების ფაქტორებსა და ეროვნული რესურსების გამოყენებას შორის ურთიერთკავშირს ენერგომოხმარების მიზნით. იაფი ენერგიისადმი ხელმისაწვდომობა წარმოადგენს თანამედროვე ეკონომიკურ განვითარების მთავარ პოსტულატს. თუმცაღა, ენერგორესურსების არათანაბარი გადანაწილება ძირითად იწვევს ქვეყნებს შორის უთანხმოებების წარმოქმნას.*

ენერგოუსაფრთხოების გაგებაში ირთვება ტარიფები და ენერგორესურსების მარაგი, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს გადავჭრათ დასმული საკითხი. უბრალო ადამიანის ცნობიერებაში ენერგოუსაფრთხოება დაახლოებით წარმოადგენს ცხელ ნათურასა და ბატარეის სითბოს.

უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის მდგრად განვითარებასა და მწარმოებელი ქვეყნების სტაბილურობას ენერგიის სფეროში. ასეთმა მდგომარეობამ შეიძლება ამოიწვიოს მნიშვნელოვანი საფრთხე დაზვერვის წარმოების საჭიროებისა და ენერგორესურსების მოპოვების ურთულეს პირობებში, რაც შესაძლებელია მხოლოდ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, გარემოზე მიყენებული ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული სირთულეებით.

ენერგოუსაფრთხოება დამოკიდებულია სამრეწველო პოლიტიკაზე, რომელიც ხორციელდება ენერგიის მიმწოდებელ ქვეყნებში. დღეს წინააღმდეგობა მოდის სავაჭრო სტრატეგიაზე, როგორიცაა: თავისუფალი ვაჭრობის სტიმულირება, გახსნა, ენერგიის ბაზრის ლიბერალიზაცია და ენერგოუსაფრთხოების სტრატეგია. ენერგოუსაფრთხოება უპირველეს ყოვლისა არის პოლიტიკური პრობლემა. ბოლო წლებში ექსპერტების, პოლიტიკური და ბიზნეს საზოგაოების მიერ. ბევრი დაიწერა და ითქვა მსოფლიო პოლიტიკასა და ეკონომიკის სისტემის ტრანსფორმაციაზე.

ყურადღება გამახვილებულია მსოფლიო ეკონომიკის მიერთებაზე მსოფლიო პოლიტიკასთან. ეს არის გლობალიზაციის ერთ–ერთი შედეგი, თუმცა ეკონომიკური მიზნები მიიღწევა პოლიტიკური მეთოდებით.

ბოლო 20 წლის განმავლობაში გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოება მნიშვნელოვნად გაფართოვდა. საომარ ასპექტებთან ერთად (რომლის სიმძლავრე მნიშვნელოვნად შემცირდა), მნიშვნელობა მიენიჭა ეკონომიკურ საფრთხეებს (საკვები, ენერგეტიკა, მიგრაცია და ა.შ).



ყველაზე რთული და მნიშვნელოვანი მსოფლიო ეკონომიკისა და პოლიტიკის განვითარება მოხდა მე–20 და 21-ე საუკუნეების განმავლობაში. ენერგეტიკა და ენერგოუსაფრთხოება ზუსტად მსოფლიო მფლობელობის სტაბილურ ფუნქციონირებასა და კაცობრიობის არსებობაზე არის დამოკიდებული.

ენერგოუსაფრთხოება უდაოდ აქტუალურია არა მარტო მყიდველებისთვის, არამედ გამყიდველებისთვისაც. ამასთანავე, იმპორტიორები გულისხმობენ უწყვეტ და მდგრად მიწოდებას შესაბამის ფასებში, ხოლო ექსპორტიორები მდგრად მოთხოვნასა და სტაბილურ ფასებს. თუკი საკითხი ეხხება გლობალურ მასშტაბებს, უნდა გაითვალისწინონ ყველა პროცესის მონაწილე მხარის ინტერესები, მათ შორის – ტრანზიტული ქვეყნების მდგომარეობა. ენერგოუსაფრთხოებისთვის აუცილებელია მსოფლიო ეკონომიკის უზრუნველყოფა ზიანის არიდებით, შესაბამისი ფასებითა და ენერგიის მიწოდებით. შესაბამისად, ენერგოუსაფრთხოების შემდეგ, უპირატესობას ანიჭებან დეფინიციას – ენერგოუსაფრთხოებამ გადაჭარბებული ზიანის მიყენების გარეშე და შესაბამისი ფასებით სათანადოდ უნდა უზრუნველყოს ყველა სახის ენერგიის მიწოდება, რომელიც ასახავს ეკონომიკის ძირითად პრინციპებს[1].

ეჭვგარეშეა, რომ ჩრდილო–აღმოსავლეთ აზია თავისი გამორჩეული მახასიათებლებით (რომელიც არ არის დამახასიათებელი ნებისმიერი სხვა სივრცეებისა და ტერიტორიებისთვის), წარმოადგენს უნიკალურ სუბრეგიონს. პირველ მახასიათებელს წარმოადგენს არც თუ ისე დიდი რაოდენობა ქვეყნებისა, რომელთაც აქვთ პირდაპირი შეხება ჩრდილო–აღმოსავლეთ აზიასთან. ესენია: იაპონია, კორეის რესპუბლიკა, მონღოლეთი, ჩინეთი, კორეის სახალხო დემოკრატიუ-

---

[1] **Фортов В. Е., Макаров А. А., Митрова Т. А.** Глобальная энергетическая безопасность: проблемы и пути решения //Вестник Российской академии наук. 2007. Т. 77. № 2. С. 99.

ლი რესპუბლიკა და ტაივანი. რიგი მკვლევარებისა, სუბრეგიონსა და რუსეთის ფედერაციას აკუთვნებს შორეული აღმოსავლეთის მიმდებარე ტერიტორიებს. მეორე მახასიათებელია ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური უთანასწორობის მაღალი ხარისხი, რამდენიმე სახელმწიფოსა და რეგიონში. პოლიტიკური თვალსაძრისით გამოირჩევა შემდეგი ქვეყნები დემოკრატიული იაპონია და კორეის რესპუბლიკა, ტოტალიტარული ჩრდილო კორეა, ავტორიტარულ–კომუნისტური ჩინეთი, ავტორიტარულ–ოლიიგარქიული რუსეთი და ე.წ. დემოკრატიული გარდამავლობის ტიპის მონღოლეთი და ტაივანი. *ეკონომიკური თვალსაზრისით გამოირჩევიან* მსოფლიოში მეორე, ზოგიერთი მაჩვენებლებით კი პირველი – ჩინეთის ეკონომიკა, მეცნერებაზე და მაღალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული იაპონიის ეკონომიკა, კორეის „მწვანე“ ეკონომიკა, ინვესტიციისა და მომავალი ზრდის თვალსაზრისით ერთ–ერთი ყველაზე პერსპექტიული მოღოლეთის ეკონომიკა (ყოველდღიურად 17% – იანი ზრდის მაჩვენებელი მშპ–ში),[1] „აზიური ვეფხვებიდან“ ალბათ ყველაზე ძლიერი ტაივანი, ამასთანავე მსოფლიოს ყველაზე ჩამორჩენილი ეკონომიკის წარმომადგენელი კორეის სახალხო დემოკრატიის რესპუბლიკა (2012 წელს 106–ე ადგილი მშპ–ს მსყიველიანობითი შესაძლებლობის დონით), აუცილებელი ინმფრასტრუქტურის უქონლობით ჩამორჩენილი სირია[2], რუსეთის ეკონომიკა.

ეხლა გავაანალიზოთ **ჩრდილო–აღმოსავლეთ აზიის რეგიონის ენერგო რუკა.** განვიხილოთ, თუ რას წარმოადგენენ ენერგოუსაფრთხოებისა და ენერგიის საკითხებში ცალკეული

[1] Монгол улсын статистикийн эмхтгэл. Mongolian Statistical Yearbook. 2012. Улаанбаатар, 2013.

[2] The World Factbook. East & Southeast Asia: Korea, North [ელექტრონული წყარო]. URL: https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/geos/kn.html



ქვეყნები? ჩრდილო–აღმოსავლეთ აზიის თითქმის ყველა წევრი სახელმწიფო (რუსეთის გარდა) პრაქტიკულად წარმოადგენს მსოფლიო ენერგორესურსების წმინდა იმპორტიორსა და მიმღებს, რაც გარკვეულწილად ამყარებს მათ პოზიციებს.

**ჩინეთი** ენერგომოხმარებაში იკავებს მეორე ადგილს, ხოლო პირველს – ყოველდღიური ზრდის დინამიკაში. ჩინეთის ენერგეიის ძირითადი მახასიათებელია ქვანახშირის ტოტალური დომინირება ქვეყნის საწვავის ენერგეტიკის ბალანსში (70% –ზე მეტი)[1], რაც იწვევს სერიოზულ ეკოლოგიურ პრობლემებს როგორც ქვეყანაში, ასევე მთლიანად რეგიონში. ნახშირწყლების, ნავთობისა და ბუნებრივი აირის ყოველწლიური მოხმარების ფონზე და ენერგომოხმარების დონის ზრდის ხარჯზე – მათი კონკრეტული წონა არ იცვლება.

**იაპონია** განიცდის მწვავე დეფიციტს თითქმის ყველა სახის ბუნებრივ და ენერგორესურსებში. მრავალი წლის განმავლობაში, ეს სიტუაცია ნაწილობრივ კომპენსირებოდა ატომური ენერგო-განვითარებით, თუმცა ბირთვული ელექტროსადგურის – „ფუკუსიმა–ს“ ავარიის შემდეგ, დროებით იქნა შეჩერებული. [2] ქვეყანამ მნიშვნელოვნად გაზარდა ენერგორესურსების იმპორტი და გახდა ბუნებრივი აირის მთავარი მოხმარებელი მსოფლიოში. (მსოფლიოს თხევადი ბუნებრივი აირის საერთო მოცულობის 37% ზე მეტი)[3]. ასევე იზრდება ნავთობის იმპორტიც.

[1] Бергер Я. Энергетическая ориентация Китая [ელექტრონული წყარო]. URL: http://analyticsmz.ru/?p=319

[2] В Японии продолжают останавливать атомные реакторы [ელექტრონული წყარო]. URL: http://pronedra.ru/atom/2011/09/01/yaponcy-protiv-aes/

[3] BP Statistical Review of World Energy June 2015 [ელექტრონული წყარო]. URL: http://www.bp.com/content/dam/bp/pdf/energy-economics/statistical-review-2015/bp-statistical-review-of-world-energy-2015-natural-gas-section.pdf

კორეის რესპუბლიკა ბოლო 10 წლის განმავლობაში აშენებს **„მწვანე" ეკონომიკას** (იკავებს ერთ–ერთ წამყვან პოზიციას მსოფლიოში) **განახლებადი ენერგოწყაროების გამოყენებით** (ქარი, მზე).[1] მიუხედავად ამისა, ტრადიციული ნედლეულების მოხმარების დონე ჯერ ისევ მაღალია.

**ჩრდილოეთ კორეა** პერიოდულად აბალანსებს ენერგო დაშლის დონეს. ამას ნაწილობრივ უკავშირდება „ბირთვული შანტაჟი", რომელსაც დროდადრო იყენებენ ქვეყნის ლიდერები. მაღალი მოხმარებისა და დაბალი გადახდიანობის რეჟიმის დონეზე, გვიწევს მხოლოდ საგარეო პოლიტიკურ მანევრირებებზე დაყრდნობა.

ტაივანის ენერგო სექტორში ნედლეული, რომელიც სრულად იმპორტირებულია, ჭარბობს ნავთობის (49%) და ქვანახშირი (32,1%) რაოდენობა. რუსეთის ფედერაცია არის ერთადერთია რეგიონში, რომელიც არის წმინდა ექსპორტიორი. 2012 წელს, მთლიანი რუსეთის ექსპორტის 73% მოვიდა ენერგო ნედლეულზე.[2] გაზვიადების გარეშე, რუსეთის ფედერაციას შესაძლებელია ვუწოდოთ ნედლეულის ეკონომიკა. წარმატებული მდგომარეობა უშუალო კავშირშია ენერგოუსაფრთხოებასთან. ენერგო სფეროში სიახლოვე და ორმხრივი ინტერესი შეიძლება გახდეს რეგიონალური უსაფრთხოების საფუძველი, რომელიც დამოკიდებულია რუსეთის ფედერაციის რეგიონის ქვეყნებთან ჩრდილო–აღმოსავლეთ აზიის თანამშრომლობაზე.

ყირიმსა და უკრაინაში, საერთაშორისო (პოლიტიკური და ეკონომიკური) კრიზისით გამოწვეულმა მოვლენებმა დი-

[1] **«Зеленая» экономика Южной Кореи** [ელექტრონული წყარო]. URL: http://www.kommersant.ru/doc/1523721

[2] **Трубицын К. В., Степаненко Д. О.** Энергетическая безопасность Российской Федерации в контексте вступления в ВТО // Вестник Самарского государственного технического университета. Серия: Экономические науки. 2013. № 4 (10).გვ. 23.



დი დამაჯერებლობით აჩვენა მსოფლიო პოლიტიკის, ეკონომიკის ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება და ასევე ისიც, თუ რამდენად პოლიტიზირებულია ენერგო სფერო. რა გავლენა იქონია უკრაინის კრიზისმა ჩრდილო–აღმოსავლეთ აზიის ენერგო უსაფრთხოებაზე? და მთლიანობაში, როგორ განვითარდება სიტუაცია ამ რეგიონში?

ეს ტერიტორიები საკმაოდ შორსაა უკრაინიდან, თუმცა კრიზისი გავლენას ახდენს არა მხოლოდ რეგიონზე, არამედ გლობალურ სივრცეზე. კრიზისში რუსეთი პირდაპირ, ხოლო ჩინეთი ეკონომიკურად არის ჩართული. თუ კრიზისიდან რუსეთი გამოდის აშკარა პასიურობით, ჩინეთი ამ ყველაფრიდან ღებულობს ძალიან კარგ მოგებას, მათ შორის ენერგო სფეროშიც.

2014 წლის გაზაფხულზე, კრიზისის კულმინაციისა და დასავლეთის ქვეყნების **„სანქციების პოლიტიკის"** დაწყების პერიოდში, ყველაზე რთული აღმოჩნდა რუსეთის ფედერაციასთან ენერგო თანამშრომლობის საკითხი. 2014 წლის დასაწყისში, ევროპას ბუნებრივი აირის 40% რუსეთიდან მიეწოდა.[1] ყირიმის რეფერენდუმის დასრულებისთანავე, ევროკავშირში დაიწყეს რუსეთის გაზის შეცვლის რეალური ვარიანტების შემუშავება – «ფიქლური გაზი» აშშ–დან, მიწოდების გაზრდა ახლო აღმოსავლეთიდან და ნორვეგიიდან. ასევე განიხილებოდა ირანისთვის სანქციების ნაწილობრივი გაუქმება და ბუნებრივი აირის მიწოდების საკითხი. ამ გეგმების წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, რუსეთი კარგავდა ერთ–ერთ მთავარ ენერგო ბაზარს (სტაბილური მაღალი ფასებით), ეს კი, რუსეთი ფედერაციის (ევროკავშირის) ენერგიისა და ეროვნული უსაფრთხოებისათვის გამო-

[1] **Иноземцев В. Л.** Как Европе выжить без российского газа [ელექტრონული წყარო]. URL: http://daily.rbc.ru/opinions/economics/15/12/2014/548b02622ae5961787454bbc

ინვევდა უარყოფით შედეგებს. მიწოდების დივერსიფიკაციისთვის საჭირო იყო ახალი ბაზრებისა და მყიდველების სასწრაფოდ მოეძებნა. ლოგიკურია, რომ ევროპისთვის ალტერნატიულ მიმართულებას წარმოადგენდა ჩრდილო–აღმოსავლეთ აზია. 2014 წლის მაისში გაფორმდა ბუნებრივი აირის ხელშეკრულება ჩინეთთან, რომელიც მედიამ მონათლა, როგორც „საუკუნის შეთანხმება“.[1] ქვეყნებს შორის მოლაპარაკებები გრძელდებოდა 10 წელი. ძლიერ გარე პოლიტიკური კრიზისის პირობებში, ხელშეკრულებაზე ხელმოწერა მეტყველებს იმაზე, რომ შეთანხმებისას მოსკოვი ჩინეთთან სერიოზულ დათმობებზე წავიდა (უპირველეს ყოვლისა ფასით). შეთანხმების პირობები არ ქვეყნდება. თუმცალა, რიგი ექსპერტებისა და რამდენიმე ნიშნის მიხედვით, ჩინეთისთვის ბუნებრივი აირის ფასი ევროპისგან განსხვავებით 15 – 20% ნაკლები იქნება (არაუმეტეს 350 დოლარისა 1000 კუბამეტრზე).[2] შეთანხმების რეალიზირებისთვის საჭირო იქნება შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და მილგაყვანილობის მშენებლობა. დრო აჩვენებს იმას, თუ რამდენად პასუხობს მიღწეული შეთანხმება რუსეთის ფედერაციის ინტერესებსა და ეროვნულ უსაფრთხოებას. თუმცალა, ამ სიტუაციაში მოსკოვს სხვა გამოსავალი არ ქონდა. კონტრაქტი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო 2014 წლის გაზაფხულზე (ისევ პოლიტიკური მიზეზით). თუკი ენერგო საკითხში ევროკავშირთან თანამშრომლობა შეწყდება ან შემცირდება (მოვლენების ასეთი განვითარება კი სრულიად დასაშვებია), ჩინეთი აღმოჩნდება რუსეთის ბუნებრივი აირის ერთადერთი მსხვილი მყიდველი. ამასთანავე, ის (ძალიანაც წარმატებით) შეეცდება ბაზრის მაჩვენებლებთან შედარებით ფასის დაკლებას. რუსეთის ფედერაციას სჭირდება ახალი ბაზრებისა და ენერგო რესურსების ახალი მყიდველები (უპირველეს ყოვლისა კი ნახშირწყლების).

რუსეთის ბუნებრივი აირის ყველაზე კარგი იმპორტიორი შეიძლება გახდეს იაპონია, რომლის მოთხოვნებიც ყოველ წლიურად იზრდება. ამ ორ ქვეყანას შორის შესაძლო მოლაპარაკებებზე საუბარი ექსპერტთა კავშირსა და პრესაში 2014 წლის შემოდგომაზე დაიწყეს,[1] თუმცა ამ სფეროში არც ერთი რეალური ნაბიჯი არ გადადგმულა. ნათელია, რომ პროცესს ხელს უშლის წმინდა პოლიტიკური ხასიათის მატარებელი ორი ფაქტორი: 1. იაპონიის მხრიდან ტერიტორიური პრეტენზიები რუსეთის მიმართ სამხრეთ კურილის კუნძულებზე, 2. დასავლური პოლიტიკის ამომავალი მზის ქვეყნის მხარდაჭერა და ტოკიოს პირადი სანქციები რუსეთის წინააღმდეგ (რომლებიც ამავე დროს წმინდა დეკორატიულ და პოპულისტურ ხასიათს ატარებს). რუსეთის დიპლომატია, განსაკუთრებით ენერგეტიკის მიმართულებით, აუცილებელია ჩადოს თავისი ძალისხმევა ტოკიოსთან მოლაპარაკებების გააქტიურებაში, დაივიწყოს მხარეებს შორის უთანხმოება და ორიენტირებული იყოს ეკონომიკურ მოგებაზე. იაპონია უნდა გახდეს ჩინეთის მთავარი მოწინააღმდეგე და დააბალანსოს რუსეთის ენერგოუსაფრთხოების რისკები და საფრთხეები.

კრიზისის პირობებში, რუსეთისთვის ასევე მნიშვნელოვანია თანამშრომლობა კორეის რესპუბლიკასთან, რომლის საფუძველიცაა 2014 წლის იანვრიდან ვიზების ორივე მხრის მიერ ვიზების უარყოფა. აუცილებელია განახლდეს მოლაპა-

[1] Сделка века. Россия и Китай заключили газовый контракт на 30 лет [ელექტრონული წყარო]. URL: http://smartnews.ru/business/companies/17802.html

[2] Россия и Китай заключили контракт на поставку газа [ელექტრონული წყარო]. URL: http://oko-planet.su/finances/financesday/242982-rossiya-i-kitay-zaklyuchili-kontrakt-na-postavku-gaza.html



[1] Перед Путиным открылись японские перспективы [ელექტრონული წყარო]. URL: http://www.gazeta.ru/politics/2014/09/22_a_6231029.shtml

რაკებები გაზსადენის მშენებლობაზე კორეის სახალხო დემოკრატიის რესპუბლიკის ტერიტორიის გავლით.[1] ამ პროექტის განხორციელება შექმნის კოლოსალურ გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ უპირატესობებს:

1. ენერგორესურსების მიწოდების დივერსიფიკაციის საშუალებას (პირველ რიგში ნახშირწყლების) და ჩინეთზე ცალმხრივი დამოკიდებულების თავიდან აცილებას;

2. ხელს შეუწყობს რეგიონში ეკონომიკური მდგრადობის გაძლიერებას, ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობების გაზრდას ჩინეთთნ (არა მხოლოდ ენერგეტიკა), თანამშრომლობის აღდგენას კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკასთან;

3. გაზრდის პოლიტიკურ წონას და რუსეთის ფედერაციის გავლენას კორეის ნახევარკუნძულზე და ასევე ნაწილობრივ „კორეის საკითხში". მილსადენის მშენებლობის გარდა, აღსანიშნავია მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მშენებლობა (ჩრდილოეთ კორეის გავლით). გარდა ამისა, ძალიან პერსპექტიული შეიძლება აღმოჩნდეს ენერგო განახლების სფეროში თანამშრომლობა. კერძოდ, სამხრეთ კორეული ტექნოლოგიების და ინვესტიციების ჩართვა რუსეთის მომავალი ტერიტორიების განვითარების მიზნით და ადგილობრივი პირობების – ქარისა და მზის ენერგიის გამოყენება მშენებლობაში.

რუსეთის ფედერაციის ენერგო ურთიერთქმედებამ მონღოლეთთან, შესაძლოა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ზრდა. ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და ზოგიერთი ექსპერტის დასკვნით, მისი ეკონომიკა ყველაზე პერსპექტიულია ინვესტიციებისათვის. აუცილებელია მოლაპარაკებების წარმოება ნავთობის მიწოდებაზე (ამჟამად რუსეთიდან 95% –ზე მეტი ნავთობი მიეწოდება ამ ქვეყანას) და ურთიერთქმედების ინ-

[1] Россия готовит строительство газопровода через КНДР [ელექტრონული წყარო]. URL: http://newsland.com/news/detail/id/834110/



ტენსიფიკაციის შესაძლებლობა სხვა ენერგო რესურსების სფეროში (ბუნებრივი აირი, ელექტრო ენერგია, ელექტრო სადგურები).

ჩრდილო–აღმოსავლეთ აზიაში მიწოდების დივერსიფიკაცია და მომხმარებელი ქვეყნების მოცულობისა და რაოდენოს ზრდა წარმოადგენს რუსეთის ძირითად ინტერესსა და ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის პირობას. გაცილებით უფრო რთულია მეორე საფრთხეზე (მსოფლიო ფასების დონე) რეაგირება. 2014 წელს, ნავთობის ფასმა საგრძნობლად იკლო[1] და 2015 წელს ისევ რჩება ნეგატიური მდგომარეობა. ამ ფენომენს, გარდა ეკონომიკური კომპონენტების გარდა აქვს პოლიტიკური მიზეზებიც – შემოსავლის დონის შემცირებით საუდის არაბეთის სწრაფვა მისი მტრის – ირანის დასუსტებისკენ.

უკრაინის კრიზისი ჩინეთს აძლევს წინსვლის შესაძლებლობას საკუთარი ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხში. 2014 წლის მოვლენების წყალობით, ჩინეთმა ბუნებრივი აირის საკითხში შეთანხმება დაამყარა რუსეთთან მისთვის ხელსაყრელი პირობებით. არ არის გამორიცხული, რომ მომავალში ჩინეთის ჩრდილო–აღმოსავლეთ ნაწილში, რუსი სპეციალისტების დახმარებით დაიდოს ახალი კონტრაქტები ბუნებრივი აირის, ელექტრო ენერგიის და ასევე ბირთვული ელექტრო სადგურის მშენებლობის საკითხებში. ჩინეთის კორპორაციები, დიდი ალბათობით, მიიღებენ მონაწილეობას რუსეთის ნავთობისა და გაზის წარმოქმნის ადგილის დამუშავებაში. ეს ყველაფერი გამოიწვევს რუსეთ–ჩინეთის თანამშრომლობას. ჩინეთი შეძლებს ქვანახშირის მოცულობის შემცირებას საკუთარ ენერგეტიკაში (რაც აისახება ამ ქვეყნისა და სუბრეგიონის ეკოლოგიაზე), ასევე არ იქნე-

[1] Цены на нефть упали до уровня 2008 года: Brent – $57,6, WTI – $53,27 [ელექტრონული წყარო].
URL:http://censor.net.ua/news/318586/tseny_na_neft_upali_do_urovnya_2008_goda_brent_576_wti_5327

ბა დამოკიდებული ახლო–აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის მოწოდებაზე. გარდა ამისა, ჩინეთი იმყოფება ატომური ენერგიის განვითარების სტადიაზე და ძალიან მნიშვნელოვანია ჩრდილო მეზობელთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნება. პეკინს არ ავიწყდება განახლებადი ენერგიის წყაროებიც, თუმცა ამ კომპონენტში ჩინელებს არ აქვთ საკმარისი მაღალტექნოლოგიური საშვალებები. აქედან გამომდინარე, ყველაზე პერპექტიულია კორეასა და იაპონიასთან თანამშრომლობა.

უკრაინის კრიზისში იაპონიის ჩაურთველობამ გამოწვია ტოკიოსა და მოსკოვს შორის მოლაპარაკებების გართულება. ამომავალი მზის ქვეყანაში, სადაც ბუნებრივი აირის საჭიროებები მუდმივად იზრდება, აუცილებელია დამატებითი გარე რესურსის პოვნა, რადგანაც ახლო–აღმოსავლეთი არის არასტაბილური რეგიონი და წარუმატებლობის შემთხვევაში აღმოჩნდება ძალიან რთულ სიტუაციაში. რუსეთი, როგორც დონორი, წარმოადგენს საუკეთესო კანდიდატურას იაპონიის ენერგეტიკაში.

მწვანე ეკონომიკის სფეროში წარმატებების მიუხედავად, კორეის რესპუბლიკა მაინც საჭიროებს ენერგორესირსების დიდ რაოდენობას. ენერგომომხმარებლების ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად აჭარბებს განახლებადი ენერგიის თანამედროვე შესაძლებლობებს. უკრაინული კრიზისი სეულასთვის წარმოადგენს უნიკალური შესაძლებლობას, რუსეთთან თანამშრომლობით გადაჭრას თავისი პრობლემები და უზრუნველყოს ენერგოუსაფრთხოება. სახელმწიფოებს არ აქვთ არანაირი ტერიტორიული ორმხრივი პრეტენზიები და „სანქციურ ომში" კორეა არ არის ჩართული. რუსეთის რთული ეკონომიკური და საგარეოპოლიტიკური სიტუაცია იძლევა შესაძლებლობას, რომ ბუნებრივი აირის შესაძლო კონტრაქტში შეევაჭროს, მიიღოს შემცირებული ფასები და სხვა ბონუსები.

ჩრდილოეთ კორეა განიცდის მუდმივ ენერგო რესურსე-



ბის ნაკლებობას, რომლის მოგვარებაშიც ნაწილობრივ ჩართულია როგორც პეკინი, ასევე მოსკოვი.

რუსეთის ფედერაციასთან ეკონომიკური ურთიერთობის განვითარება (ამასთანავე ენერგეტიკულ სფეროში), მონღოლეთისთვის პირველ რიგში წარმოადგენს ჩინეთთან ეკონომიკური დამოკიდებულების შემცირებასა და მთელი რიგი ეკონომიკური გამოწვევების გადაწყვეტას. შესაძლოა, მონღოლეთში რუსეთის ფედერაციიდან გაიზარდოს ნავთობის, ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის მიწოდების რაოდენობა.

შეჯამებისას შეიძლება ითქვას, რომ ჩრდილო–აღმოსავლეთ აზიის ენერგოუსაფრთხოება დამოკიდებულია რეგიონულ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებაზე – უპირველეს ყოვლისა აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების რუსეთთან ურთიერთქმედებით. ეს კი ძალიან მნიშვნელივანი და მომგებიანია რეგიონის ყველა ქვეყნისათვის. უკრაინის კრიზისი იძლევა საკუთარი პოზიციების გადახედვის, ამბიციების მოთოკვის და მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდომის შესაძლებლობას. *სწორედ ახლო–აღმოსავლეთ აზია შესაძლოა გახდეს მთელი რიგი გლობალური ტენდენციების „აკვანი":*

1) ბუნებრივი აირი პლანეტის გლობალურ ენერგორესურსად გარდაქმნა;

2) ჩინეთში, ტაივანსა და სხვა ქვეყნების ენერგო სექტორში ქვანახშირის რაოდენობის შემცირება.

სწორედ ახლო–აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები და უპირველეს ყოვლისა, იაპონია და კორეის რესპუბლიკა შესაძლოა იქცნენ, რუსეთისა და დასავლეთის ქვეყნებს შორის დიალოგის ხიდად, ეკონომიკური თანამშრომლობისა და სტრატეგიული ურთიერთობების განახლებისთვის.

## 2.3. საინფორმაციო უსაფრთხოება (კიბერუსაფრთხოება) და საინფორმაციო ომი: 21-ე საუკუნის გეოპოლიტიკის ფუტუროლოგია (შემთხვევის გარჩევა: უკრაინა-რუსეთის საინფორმაციო ომი)

კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე ინფორმაციის გავრცელებას სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭებოდა. თუმცა თანამედროვე მსოფლიოში საინფორმაციო საშუალებებმა და ინფორმაციის გავრცელების წყაროებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. სახელმწიფოთა შორის დაპირისპირებებისას ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ზემოქმედების საშუალება სწორედ ინფორმაციაა და როგორც წესი გამარჯვებულიც ის არის ვინც ამ იარაღს ფლობს[1].

21-ე საუკუნეში პროგრესს განაპირობებს ის თუ რამდენად ძლიერია სახელმწიფო ტეგნოლოგიური კუთხით, ქვეყნები კი რომლებიც ამას ვერ ახერხებენ მოწინავე პოზიციებს ვერასდროს დაიკავებენ. საინფორმაციო ომში დამარცხებული მხარე საბოლოო ომშიც ადვილად მარცხდება. ინფორმაციის მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია ეკონომიკური და სოციალური პროგრესისათვისაც. ინფორმაციული აგრესიის გასაჩაღებელი საშუალებები ძალზე მრავალფეროვანი და მრავალმხრივია. თანამედროვე მსოფლიოში ომები თავისი სტრუქტურით და ხასიათით მრავალგვარი და ყოვლისმომცველია. თუ განვიხილავთ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს, ნათლად დავინახავთ, რომ საომარ მოქმედებებში საომარ აღჭურვილობასთან ერთად ბრძოლის ისეთი ახალი მეთოდები გამოიყენება, როგორიც კიბერშეტევები და საინფორმაციო ომებია. რუსეთს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ტანკების შეყვანამდე და მის პარალელურად საინფორმაციო ომი ჰქონდა გაჩაღებული. სა-

[1] „Shaken and stirred" article in special report "Espionage", "The Economist", November 12th 2016, pp.3-5



ქართველოს საინფორმაციო სისტემების მწყობრიდან გამოსაყვანად გამოყენებული იქნა როგორც კიბერშეტევები, ასევე საჰაერო დარტყმები.

ვირტუალურ სამყაროში, კიბერ სივრცეში საომარი მოქმედებების დაწყება ხდება შემდეგნაირად: დაინფიცირებული კომპიუტერისგან შემდგარი ქსელი ერთდროულად იწყებს შეტევას რომელიმე სერვერზე. შეტევა ხდება ინფორმაციის პაკეტების თანამიმდევრული გაგზავნით, სერვერის გადატვირთვისა და გათიშვის მიზნით. კომპიუტერების ინფიცირების ყველაზე გავრცელებული საშუალებაა ვირუსები, სახელწოდებით – ტროას ცხენები (ტროიანები). ამ ვირუსის მთავარი ფუნქციაა შეაღწიოს კომპიუტერულ სისტემაში და მართოს თქვენი კომპიუტერი. ასეთი ფსიქოლოგიური ომი ბევრად უფრო დახვეწილია და იგი შუმჩნევლად ცდილობს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებით გაატაროს საკუთარი ინტერესები[1].

საინფორმაციო ომები ხორციელდება კარგად ორგანიზებული ჯგუფებისგან, რომლების დაკომპლექტებულები არიან მწერლებისგან, პოლიტიკოსებისგან, ჟურნალისტებისგან, კომპიუტერის სპეციალისტებისგან, ხელოვნებისა თუ სპორტის წარმომადგენლებისგან. ისინი მიზანმიმართულად მოქმედებენი და წინასწარ განსაზღვრული მოქმედების გეგმით ავრცელებენ ისეთი სახის ინფორმაციას, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება გეოპოლიტიკურ დაპირისპირებებში.

საინფორმაციო ომის ძირითადი მიზანია მართვადი ქაოსის შექმნა, საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით. საბოლოო შედეგი მოწინააღმდეგის სრული დემორალიზებაა. სახელმწიფო რომელიც ხდება საინფორმაციო ომის მიზანი, აქ პირველ რიგში გამოყოფენ დასაყრდენ ჯგუფებს, რომელ-

[1] ბაშალეიშვილი ნ. 18 დეკემბ.2015. ''რუსეთის საინფორმაციო ომი– სტრატეგიები და მიზნები''. http://damoukidebloba.com/

თა მეშვეობითაც უფრო მარტივი გახდება დეზინფორმირება, მათი გამოყენებით მარტივი ხდება პროვოკაციების მოწყობა. ასეთი მდგომარეობა სიტუაციის შერყევას, ეს ყველაფერი კი საბოლოოდ შეიძლებელია სასურველი პოლიტიკური ძალის ხელისუფლებაში მოყვანით დასრულდეს. თანამედროვე მსოფლიოში "საინფორმაციო ომმა" პრაქტიკულად შეცვალა შეიარაღებული ომები; საინფორმაციო ომში საბრძოლო იარაღია სამეცნიერო დებულებები; პატარა, მაგრამ გეოპოლიტიკურად სტრატეგიული ქვეყნისთვის – საქართველოსთვის – არსებითი მნიშვნელობა აქვს ზუსტ სამეცნიერო დასკვნებსა და აკადემიური ინფორმაციების ფართოდ გავრცელებას. ინფორმაცია სხვადასხვა საშუაკელებებით და ფორმით ვრცელდება[1].

საინფორმაციო ომის წარმოებისას გარდა ტექნიკურ-მატერიალური აღჭურვილობისა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადამიანურ რესურსებს , რომლის მეშვეობითაც კონკრეტული შეტყობინებების მიტანა მოხერხდება სამიზნე აუდიტორიასთან. ამ ფუნქციის განსახორციელებლად შერჩეული პიროვნებები, რა თქმა უნდა, გარკვეულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდნენ იმისთვის, რომ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე მოახდინონ გავლენა: მათ უნდა იცნობდნენ, უნდა ჰქონდეთ აუდიტორიასთან ურთიერთობის საბაზისო უნარ-ჩვევები და გამოცდილება, მათ მიმართ უნდა იყოს პოზიტიური განწყობა. ამიტომაც მოულოდნელი არ იქნება, თუ აღვნიშნავთ, რომ ეს ადამიანები ძირითადად არიან ე.წ. ინტელიგენციის (ელიტის) წარმომადგენლები _ მსახიობები, რეჟისორები, მომღერლები და სხვები, ინფორმაციული ომი, მჭიდრო კავშირშია ფსიქოლოგიურ ომთან. საინფორმაციო ომის მეთოდებს მიეკუთვნება:

[1] ა. რაცზი ''რუსეთის ჰიბრიდული ომი უკრაინაში''. 2015. ჰელსინკი. ფინეთის საგარეო ურთიერთობათა ინსტიტუტი, გვ.63.



- *ტელევიზიისა და რადიოგადაცემების ჩახშობა*
- *დეზინფორმაციის გავრცელება*
- *ლოჯისტიკური ქსელების დაბლოკვა*
- *მოწინააღმდეგის საკომუნიკაციო საშუალებების მწყობრიდან გამოყვანა*

საინფორმაციო ომის პერიოდში მობილიზებული ადამიანური რესურსები აერთიანებს: ისტორიკოსებს, ეთნოლოგებს, რელიგიის სპეციალისტებს, ანალიტიკოსებს, სოციოლოგებს, ფსიქოლოგებს ტელეოპერატორებს, ვიდეო მემონტაჟეებს, მსახიობებს, სცენარისტებს ყველა იმ სპეციალობის ადამიანს, ვისაც შეუძლია შექმნას საინფორმაციო პროდუქცია: წიგნი, ბროშურა, პლაკატი, მხატვრული, დოკუმენტური თუ ნახატი ფილმი; მათვე ევალებათ საზოგადოებრივი აზრის მართვა სოციალურ ქსელებში; ეს უკანასკნელი დღეს მეტად აქტუალურია. შემთხვევით არ ქმნიან ე.წ. სახელოვან "ბლოგერებს"[1]. როცა საქმე ეხება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით საინფორმაციო ზეგავლენის მოხდენას გათვალისწინებული უნდა იყოს სამი ძირითადი საფეხური

1. *სტრატეგიული ანალიზი*
2. *ინფორმაციული ზეგავლენა*
3. *საინფორმაციო უკუქმედება*

საინფორმაციო და ფსიქოლოგიური ომების (პირველად ტერმინი „ფსიქოლოგიურ ომი" გამოიყენა ბრიტანელმა ისტორიკოსმა ჯონ ფულერმა 1920 წელს[2]) საწარმოებლად აქტიურად გამოიყენება სოციალური მედია.

***სოციალური მედია*** *– არის კიბერსივრცეში მიღწევადი კავშირისა და კომუნიკაციის საშუალება, რომელიც ოპერატიულად ფუნქციონირებს ტექნოლოგიური მოწყობილობე-*

[1] ბელქანია თ. 4 ივლისი,2012. ''საინფორმაციო ომი''. http://expertclub.ge/

[2] Г.Г. Почепцов «Психологические Войны», 4-е издание, «Рефл-бук», Москва, 2008. Ст.59

*ბის ბაზაზე (ინტერნეტი, მობილური ტელეფონები, კომპიუტერები და სხვა) და გააჩნია პროგრამული უზრუნველყოფის (Facebook, Twitter, MySpace, LinkedIn, YouTube, etc.) პლატფორმა.*[1]

სოციალურ მედიას გააჩნია როგორც დადებითი ისე უარყოფითი მხარეები. მისი არასწორი მიმართულებით გამოყენებამ შეიძლება ცუდი გავლენა იქონიოს ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებაზე. თუმცა ამავე დროს სოციალურ მედიას შეუძლია დადებითი ეფექტის მოტანა ქვეყნისთვის, მისი საშუალებით შესაძლებელია სტრატეგიული თუ ტაქტიკური მიზნების მიღწევა, საფრთხეებზე მუშაობა და მათი დროული პრევენცია. სოციალური მედია ძალზედ სწრაფად ვითარდება, და აუცილებელია მისი საშუალებით გეო – პოლიტიკურ, გეო – ეკონომიკურ, თუ სხვა სახის პროცესებზე მუდმივი მონიტორინგი სახელმწიფოს მხრიდან. მთლიანობაში, კომპლექსურად ეს პროცესი საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ საგარეო საფრთხეები და მათი გავლენა საშინაო მოვლენებზე. შეიძლება ითქვას, რომ სოციალურ მედიას საკმაოდ წარმატებით იყენებენ საერთაშორისო დამნაშავე ჯგუფები, მათ შორის ტერორისტული ორგანიზაციები. თავისი მიზნების მისაღწევად, სოციალურ მედიას თავის ინტერესებში გამოყენებას არ ერიდებიან აგრეთვე პოტენციურად ერთმანეთის მოწინააღმდეგე ქვეყნები და ალიანსები.

სოციალური მედია შეიძლება გამოყენებული ქნას ადგილობრივი და საერთაშორისო დამნაშავე ჯგუფების მიერ, რომელიც პირდაპირ უქმნიან საფრთხეს ეროვნულ უსაფრთხოებას. ასეთ ჯგუფებად მოიაზრებიან:

- ეროვნული დივერსიულიჯგუფები (მარქსისტულ – ლენინური დაჯგუფებები, ანარქისტები);

[1] Jane Cordy (Canada) "The Social Media Revolution: Political and Security Implications" – draft report-NATO Parliamnetry Assembly, Committee on the Civil Dimensio of Security, 064 CDSDG 17 E, 13 April, 2007, p.1



- ეროვნული და ტრანსნაციონალური დამნაშავე ჯგუფები (მაფია, იაკუძა, ტრიადა, კამორა);
- ტერორისტული ორგანიზაციები (*თუ როგორ მოქმედებენ საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციები ვირტუალურ გარემოში და იყენებენ სოციალურ მედიას იხილეთ დეტალირად* ***დანართ№3-ში: „დაიში და სოციალური მედია“***);
- კომპანიები საგარეო კაპიტალით;
- რელიგიური სექტები;
- ჰაკერთა დაჯგუფებები;
- სხვა სახელმწიფოსი და ეროვნული სამხედრო – პოლიტიკური, აგრეთვე ფინანსური გაერთიანებები;
- არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები;

საჭიროა მუდმივი მონიტორინგი სოციალურ მედიაზე, თუმცა არ უნდა დაირღვეს პიროვნების უფლებები და უნდა ეტეოდეს კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში, სამართლიანობისა და კანონიერების ჩარჩოებში. სწორედ ამ კონტექსტში, იმისთვის რომ სრულად წარმოჩიდნეს თუ როგორ მიმდინარეობს საინფორმაციო ომი ორ აქტორებს შორის (მართალია არათანაბარ პირობებში) მიმდინარე საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში უპრიანია განხილულ იქნას მცირე *შემთხვევის გარჩევის (case-study)* მეთოდის მეშვეობით – საინფორმაციო ომის მაგალითი, რომელსაც რუსეთის ფედერაცია ახორციელებს სუვერენული უკრაინის წინააღმდეგ.

***<u>მოკლედ შემთხვევის გარჩევა: რუსეთ-უკრაინის საინფორმაციო ომის გეოპოლიტიკური ასპექტები</u>*** (*აღნიშნული მასალა აღებულია ახალი წიგნიდან, რომლის ავტორებიც არიან გუგული მაღრაძე და სალომე გაბლიანი)*[1]

[1] გუგული მაღრაძე და სალომე გაბლიანი „რუსეთ-უკრაინის სამხედრო დაპირისპირების წინაპირობები საინფორმაციო ომის

მას შემდეგ, რაც 2014 წლის თებერვალში უკრაინაში მმართველი ძალა შეიცვალა, რუსეთმა დაიწყო ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, რომლებიც მიმართული იყო ყირიმის ნახევარკუნძულის ოკუპაციისა და ანექსიისკენ.დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებში ღიად გამოჩნდნენ ფიზიკურად კარგად მომზადებული, იარაღით აღჭურვილი ძალები, რომელთაც დაიწყეს დემონსტრაციების ორგანიზება უკრაინაში არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ, დაიკავეს ადმინისტრაციული შენობები და პოლიციის განყოფილებები იმ საბაბით, რომ ისინი იყვნენ ადგილობრივი სეპარატისტები, რომლებიც სრულ უნდობლობას უცხადებდნენ კიევში მყოფი მთავრობის წარმომადგენლებს. დონბასში პირველივე მაღალი რანგის შენობის დაკავებას სეპარატისტული ძალების მიერ მაშინვე მოყვა დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების არაღიარებულ რესპუბლიკებად გამოცხადება. ყველა ამ მოვლენას ფონად ახლდა ეფექტური, ინტენსიური და კოორდინირებული პროპაგანდა უკრაინაში. კარგად ორგანიზებულმა სეპარატისტულმა ძალებმა მოახერხეს, რომ ცენტრალური მთავრობის მოქმედების არე ყირიმში გაეუქმებინათ და ნახევარკუნძულის ოკუპაცია სულ მალე რუსეთმა მოახდინა ყოველგვარი სამხედრო დაპირისპირების გარეშე. ამ მოვლენამ პანიკაში ჩააგდო უკრაინის ახლადარჩეული ხელისუფლება. ექსპერტები რუსული საჯარისო ნაწილების, რუსული მედიისა და სეპარატისტული ძალების ქმედებებს მიიჩნევენ ჰიბრიდულ ომად, რისი წინააღმდეგობის გაწევის უნარიც უკრაინულ მმართველ ძალას არ აღმოაჩნდა და ნახევარკუნძულზე ანექსიის დაწყებული პროცესიც ვერ შეაჩერა. თუმცა, როდესაც ყირიმის კრიზისმა პიკს მიაღწია, კიევის მმართველობამ გადაწყვიტა ნახევრაკუნძულზე კონტროლის დაბრუნება, რომელიც დონბასელი სეპარატისტბების მიზეზით სა-

ჭრილში 2013-2015 წლებში“, გამომცემლობა „პარნასი“, თბილისი, 2016 წელი



ბოლოოდ ჰქონდა დაკარგული, მაგრამ ამ თავდასხმას არ უწოდებდა საპასუხო ქმედებას ანექსიაზე, არ გადაჰყავდა ომის კონდიციაში, არამედ უწოდებდაა ანტიტერორისტულ ოპერაციას. მართალია, რუსეთს არ ულიარებია, რომ ის კონფლიქტში ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენდა, მაგრამ სეპარატისტებს ამარაგებდა იარაღით, საკვებით და რაც მთავარია, ფულით, ამიტომ დიდი მნიშვნელობა არა აქვს, პირველად რუსეთი გაისვრიდა თუ სეპარატისტი, რუსული იარაღით. ბევრი ინდიკატორია იმისა, რომ რუსეთი არის ომში ჩართული მხარე, მაგალითად NATO-ს სატელიტური გამოსახულება, რომელიც ადასტურებს რუსული ჯარების ჩართულობას შეიარაღებულ კონფლიქტში, დაღუპული რუსი მებრძოლები და ა.შ.[1]

2013 წლიდან რუსეთის მიერ უკრაინაში „ჰიბრიდული ომის“ (ომში კონვენციური და არაკონვენციური საშუალებების გამოყენება) წარმოება მოექცა მკვლევარებისა და ექსპერტების ყურადღების ცენტრში. უკრაინაში დაწყებული ომი მხოლოდ ნაწილობრივ იმართება ტრადიციული იარაღით – ტყვიამფრქვევებით, ტანკებითა და ქვემეხებით. საბრძოლო მოქმედებების სცენის მიღმა რჩება რუსეთის ინფორმაციული ომი. უკრაინული ვებ-გვერდი „ინფორმაციულიწინააღმდეგობა“ (Информационное Сопротивление) შეეცადა გამოეთვალა, თუ რამდენს ხარჯავს რუსეთი ინფორმაციულ ომზე.

კვლევის მთავარი მიზანი იყო რუსეთის ინფორმაციული ომის ზოგადი სურათის დანახვა, რომელიც მიმდინარეობს დონბასის ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ასევე ევროპის სხვა ქვეყნებში. კრემლის მიერ კონტროლირებული მედია ყირიმში შეჭრის გასამართლებლად ფართომასშტაბიან საინფორმაციო ომსა წარმოებს. საკუთარი მოკავშირის, უკრაი-

[1]რაცზი ა. ''რუსეთის ჰიბრიდული ომი უკრაინაში''. 2015. ჰელსინკი. ფინეთის საგარეო ურთიერთობათა ინსტიტუტი.

ნის ექს-პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩის- განდევნისთანავე, რუსი ჯარისკაცები ყირიმში შეიჭრნენ. ამ ფაქტს რუსეთის მხრიდან ძალზე აგრესიული საინფორმაციო ომის წარმოება ახლდა თან. მოსკოვის პროპაგანდა დღესაც მაქსიმალურად ცდილობს, უკრაინულ ნახევარკუნძულზე რუსული ინტერვენცია გაამართლოს. რუსული მედიის მტკიცებით, არმიის დამატებითი ნაწილები კრემლმა იქ ადგილობრივი რუსი მოქალაქეების დასაცავად გადაისროლა, რადგან მათ უკრაინელი ე.წ." ნეონაცისტები" და ექსტრემისტები საფრთხეს უქმნიდნენ.

რუსეთი უკრაინაში ჰიბრიდულ ომს მიმართავს 2013 წლიდან, თავად რუსეთი ამ ნაბიჯს რეფლექსურ კონტროლს უწოდებს. თუკი ლოგიკური მსჯელობის კონტექსტად ავიღებთ რუსეთის საინფორმაციო გავლენას მის სამეზობლოზე, პრობლემად უნდა დავაყენოთ ის, თუ რამდენად ემთხვევა ამ, შედარებით მსხვილი სახელმწიფოს მსოფლმხედველობა და ინტერესები ერთმანეთს. საინფორმაციო გავლენის მოხდენის ეფექტურ ბერკეტად **NATO STRATCOM COE** (*ნატოს სტრატეგიული კომუნიკაციების ცენტრი*) მიიჩნევს რუსული საინფორმაციო საშუალებებისა და მედიის ექსპანსიას საზღარგარეთ. საინფორმაციო ომის ნარატიული საკითხები უკრაინაში:

- *ევროატლანტიკური სტრუქტურების არასარგებლიანობა ან უფრო მეტი, საფრთხის შემცველობა;*
- *ანტიამერიკული და ანტიევროპული ნარატივები;*
- *მეზობელი სახელმწიფოების დამოუკიდებლობა, როგორც ისტორიის შეცდომა.*
- *ბალტიისპირეთის ქვეყნების, საქართველოს, უკრაინის და ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრი ქვეყნების წარმოჩენა, როგორც რუსეთის ისტორიული მიწები და მისი შემადგენელი ტერიტორიები;*
- *რუსულენოვანი უმცირესობების დისკრიმინაციის ნა-*



*რატივი უკრაინასა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში*

რუსეთის პროპაგანდისტული ინსტიტუტები იყენებენ ე.წ. „შავი პიარის" ტექნოლოგიებსაც, რათა უკრაინის როლის დაკნინება საერთაშორისო არენაზე. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ უკრაინის იარაღით ვაჭრობის არეალი და მასში რუსეთის მიერ ჩარევის მეთოდები. უკრაინა იარაღის უმსხვილესი ექსპორტიორია. 2013 წლის ოქტომბერში ბი-ბი-სი-მ გაავრცელა მასალა იმის შესახებ, რომ სირიელი მეამბოხეების ბაზაში საუდის არაბეთის იარაღია ნაპოვნი. ტექსტის თანახმად, ერ-რიადი სირიელმა მეამბოხეებს უჭერს მხარს, სირიაში მიწოდებული იარაღი კი უკრაინაშია დამზადებული (იარაღის მწარმოებელ სახელმწიფოს ბი-ბი-სი-ს ჟურნალისტები მასალის ბოლოს წმინდა ინფორმაციულ სტილში იხსენებენ). პუბლიკაციიდან ერთ საათში, ბი-ბი-ს-ის რუსულმა რედაქციამ თემა აიტაცა მასალაში, სახელწოდებით – „სირია: მებრძოლები უკრაინულ იარაღს საუდის არაბეთიდან იღებენ", სადაც ყურადღება მიმართულია ქვეყნისკენ, სადაც დამზადებულია იარაღი. მალე, როგორც იქნა ბი-ბი-სი-ს რუსული რედაქციის მასალა გვერდიდან მოხსნეს – სავარაუდოდ, როგორც ზედაპირული, რომელიც სარედაქციო პოლიტიკას არ შეესაბამება. მიუხედავად ამისა, რუსულმა საინფორმაციო პორტალებმა, ამ მასალაზე დაყრდნობით, მოასწრეს პუბლიკაციების გამოქვეყნება უფრო მეტად მყვირალა სათაურებით, როგორიც იყო „უკრაინული იარაღი სირიელი ამბოხებულების ხელშია", ან საგაზეთო მასალა „სირიაში მეამბოხეები უკრაინულ იარაღს იყენებენ ლუგანსკიდან"[1]. რუსებმა დიდი რეკლამა გაუკეთეს მითს „უკრაინული მილების გამოშრობისა და კოროზიის" შეუქცევადობის შესახებ. რუსი პოლიტიკოსებისა და მას-მედიის აზრით, მნიშვნელოვანი ტრანზაქციების პოზიციების შესა-

[1] პ. კრსტი „კრემლის პროპაგანდა, ანუ როგორ იტყუებიან უკრაინის შესახებ" თბილისი, 11 აპრილი, 2013 წელი.

ნარჩუნებლად კიევის ერთადერთი შანსი „გაზპრომთან“ კონსორციუმი და უკრაინული გაზის სატრანსპორტო სისტემის რუსი გიგანტისათვის გადაცემაა.

მოსკოვი უკვე ხშირად იმუქრება რუსული გაზის იმპორტის დეფიციტით – კრემლი რეგულარულად იმეორებს, რომ „მალე კიევს გაუსწორდება“ (თუმცა უკვე გაუსწორდა). სიახლე იყო „გაზპრომის“ შეფის მხრიდან ევროკავშირის გაზის კონცერნის გაფრთხილება უკრაინული გაზის საწყობების გამოყენებასთან დაკავშირებით. ბოლო ორი წლის მანძილზე უკრაინისთვის მისი მთავრობის უპრეცედენტო დივერსიფიკაციული ღონისძიებების აქტიურობების ფონზე, კიევის კონკრეტული პროექტები გახდა სამიზნე. სამხრეთ ოდესის გაზის სატრანსპორტო კომპანიის ტერმინალზე შეტევები, პოლონეთიდან, უნგრეთიდან და სლოვაკეთიდან გაზის „თაღლითური“ მოწოდება[1].

ბევრი მსგავსი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ამაში კი ყველაზე საგულისხმო და სამწუხარო ფაქტი ისაა, რომ პროპაგანდა ეფექტურად მოქმედებს და მოქმედებს არა მხოლოდ საერთაშორისო არენაზე, არამედ – თვითონ უკრაინის შიგნით. მაგალითად, 2014 წლის დასაწყისითვის, როცა შეიარაღებული შეტაკებები ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული, რუსული პროპაგანდის გავლენა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე ნათლად გამოიკვეთა *(ვიზუალიზაცია, იხ. სქემა№4)*.

[1] იქვე იხილეთ



*სქემა№4: რუსეთ-უკრაინის საინფორმაციო ომის ვიზუალიზაცია*




ასე ამგვარად შეიძლება მოკლედ დავახასიათოთ, თუ როგორ ებრძვის რუსეთის ფედერაცია თავისი არა მარტო „რბილი ძალის“, არამედ „ხისტი ძალის“ ინსტრუმენტების გამოყენებით სუვერენული და დამოუკიდებელი უკრაინის წინააღმდეგ და ამით სურს განავრცის თავისი გეოპოლიტიკური ჰეგემონია მთელ ევრაზიის სივრცეზე და როგორც ჩანს, მთელ მსოფლიოზეც.

# დასკვნა

დინამიურობით სავსე თანამედროვე სამყაროში, როდესაც გლობალური პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარება პროგრესული ტემპებით მიმდინარეობს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ პროცესის შესწავლასა და გააზრებას, რომელიც „გლობალიზაციის" სახელითაა ცნობილი.

XXI საუკუნეში გლობალიზაცია უკვე მსოფლიო სისტემის განუყოფელი ნაწილი გახდა, რაც ცალსახად, განსაზღვრავს ქვეყნების ერთმანეთზე დამოკიდებულების დონეს, ცვლის მათი „შერწყმის" პარამეტრებს, ხელს უწყობს ნაციონალური ეკონომიკის ინტერნაციონალურ სტრუქტურებში შესვლას. გლობალიზაციის დახმარებით ნადგურდება ყველა ის ბარიერი, რომლებიც წინ ეღობება კაპიტალის მოძრაობას, ტექნოლოგიებს, ინტელექტუალურ მიღწევებს, ინფორმაციასა და კვალიფიცირებულ სამუშაო ძალას. საერთაშორისო მასშტაბებით ეს საშუალებას იძლევა ყველა ინტერნაციონალური სტრუქტურის კონცენტრაციისა პერსპექტიული მიმართულებებით.

მსგავს პირობებში წინა ფლანგზე გამოდის ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: ტექნოლოგიური და სოციალური ინფორმაციის ათვისება, მუდმივად ცვალებად ტრანსნაციონალურ გარემოში სწრაფად მოქმედების შესაძლებლობა, საზოგადოების ინფორმაციის მასშტაბები და აგრეთვე ინტელექტუალური და პოლიტიკური თავისუფლება– როგორც თანამედროვე საზოგადოების საფუძვლები.

გლობალიზაციის ფარგლებში ძალას კარგავს ისეთი ცნება, როგორიცაა ნაციონალური სუვერენიტეტი, იმის საპირისპიროდ, რაც იყო მანამდე, როდესაც საერთაშორისო ურთიერთობათა პრაქტიკასთან მიმართებაში მთავარ მოქმედ პირებად გვევლინებოდნენ სახელმწიფოები. ამჟამად, ფორმირების სტადიაში იმყოფება ახალი, უფრო რთული მსოფლიო სისტემა. მასში ნაციონალურ სახელმწიფოებთან ერ-



თად უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავიათ საერთაშორისო ინსტიტუტებს და ტრანსნაციონალურ სუბიექტებს. დგინდება ახალი მსოფლიო წესრიგი, სადაც ნაციონალურ ინტერესებზე დომინირებენ საერთაშორისო ვალდებულებები და ნორმები. გლობალიზაციაში ჩართვა აგრეთვე ნიშნავს ღირებულებების ისეთი ლიბერალური სისტემების აღიარებას, რომლებიც ჰქმნიან ისეთ კულტურულ და სამართლებრივ გარემოს, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკურ აღმავლობას.

ჰიბრიდული ომი წარმოადგენს ახალ ფენომენს და მისი რაობა უფრო ფართო წარმოჩინდა 21-ე საუკუნის საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში. მისი განზომილების სამხედრო ასპექტები უტოლდება მეოთხე თაობის ომების კონცეფციას, სადაც პრიორიტეტული მიმართულებები ენიჭება ბრძოლის წარმოება ასიმეტრიული სამხედრო საფრთხეების ნეიტრალიზაციისთვის და მოწინააღმდეგის ნების დამარცხება და არა თვით მოწინააღმდეგის ფიზიკური განადგურება. ჰიბრიდული ომის კონკრეტულ გამოვლენად ამ ეპოქაში ითვლება რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინის სუვერენული ტერიტორიის ყირიმის ნახევარკუნძულის ოკუპაცია, რომელიც განხორციელდა სწრაფი რეაგირირების სარდლობის ნაწილების მიერ და შემდეგ მისი ანექსია 2014 წელს. ამას გარდა ჰიბრიდული ომის პირობებში წარმოებული საომარი მოქმედებები შეინიშნება სირიის რეგიონულ ომში. კიბერსივრეცში განხორციელებული ვირტუალური ომის წარმოება ასევე წარმოადგენს ჰიბრიდული ომის ნაირსახეობას, რომელსაც ეწოდება "კიბერომი". საერთო ჯამში, ჰიბრიდული ომის სამხედრო სტრატეგიული პარამეტრების ზოგადი მიმართულებები შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგი სახით: – მოწინააღდეგის არა ფიზიკური, არამედ მორალური და პოლიტიკური დამარცხება – კომბინირებული საომარი ტაქტიკური ელემენტების გამოყენება – საინფორმაციოპროპაგანდისტური ბრძოლის წარმოება – კიბერომი – კულტურული ექსპანსია – პარტიზანული ტიპის საომარი-კამპა-

ნიის წარმოება ამიტომაც ასეთი ტიპის ომის წარმოებისას უნდა ვივარაუდოთ რომ მისი შედეგები არ იქნება ისეთი დამაგრეველი როგორც ეს ხდებოდა წინა თაობების პერიოდში, მაგრამ იქნება უფრო სერიოზული შედეგი მსოფლიო საზოგადოებისთვის. ამიტომაც დღეევანდელ დღეს აქტუალური შექიმნა იმის გარკვევა თუ რას წარმოადგენს ჰიბრიდული ომი. ამ კუთხით არ არსებობს ერთიანი დეფინოციოლოგიური გამოხატულების მიდგომა და ჯერაც არ არის გარკვეული მისი რეალური იდენტიფიკაცია. ისევ უკრაინელმა პოლიტოლოგმა ევგენმა მაგდამ შეიმუშავა ჰიბრიდული ომის დეფინიცია, რომელიც ეფუძნება რუსეთ-უკრაინის სამხედრო დაპირისპირებას დონბასის რეგიონის და ასევე ყირიმის ანექსიის გამო. მისი თქმით: ***ჰიბრიდული ომი*** *– ერთი სახელმწიფოს მცდელობა თავს მოახვიოს მეორე სახელმწიფოს (ან სახელმწიფოებს) თავისი პოლიტიკურინ ნება, პოლიტიკური, ეკონომიკური, საინფორმაციო კომპლექსური საშუალებებისა და ღონისძიებების მეშვეობით, კონვენციური ომის გამოცხადების გარეშე, რომელიც ხორციელდება საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად*[1].

21-ე საუკუნის მსოფლიოს ცხოვრებამ თავისი განვითარებით უკვე დიდი ხანია გადალახა ყველა შესაძლო განზომილების ბარიერები. გლობალიზაციის პირობებში დედამიწის ყველა კუთხე და სფერო უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან, ხოლო ამის შესაძლებლობა ინტერნეტსა და კიბერსივრცის ტექნოლოგიების განვითარების უდიდესმა ზრდამ მოგვიტანა. მსოფლიოს ცნობილი პირველი კომპიუტერის[2] შექმნის დღიდან, უსწრაფვესი უკაბელო

---

[1] Евгений Магда «Гибридная Война», Vivat Publishing, Харьков, 2015, стр.4

[2] მსოფლიოს პირველი კომპიუტერი, IBM Technology, Harvard University 1944 წლის 7 აგვისტო. <u>*http://antonkozlov.ru/istoriya/samyj-pervyj-v-mire-kompyuter.html*</u> – *უკ. გადამოწმებული – 5.05.2015*



ინტერნეტის „wi-fi"-ის ტექნოლოგიამდე დღეს, მეცნიერებამ გადაიტანა უზარმაზარი ცვლილებები და ერთ საუკუნეზე მცირე დროის განმავლობაში უდიდესი ტექნოლოგიური ნახტომი განიცადა. ინტერნეტის შექმნის იდეაში ჩადებულმა აზრებმა და მოლოდინებმა ასევე გადააჭარბეს უწინარ მიზნებს და თუ გლობალური ქსელი თავდაპირველად ფოსტის გადაგზავნის სისწრაფესა და სხვადასხვა სპეცსამსახურების ინფორმაციის სწრაფი გაცვლის მეთოდად მოიაზრებოდა, დღეს ინტერნეტი მოიცავს მსოფლიოს რიგითი მოქალაქის ყოველდღიური ცხოვრების ყველა საჭირო ინფორმაციას, მას-მედიას, საბანკო და სახელწიფო სამართალდამცავი ორგანოების სისტემებს, სახელმწიფოთაშორისო მიწერ-მოწერას, მომხმარებლისა და მწარმოებლის შორის ყველანაირ ურთიერთობას და ბევრ სხვას. 2012 წლის მონაცემების მიხედვით, გლობალურ ქსელთან 2,4 მილიარდი მოსახლეობა არის შეერთებული, რაც დედამიწის მესამედ ნაწილს წარმოადგენს. როგორც არის ცნობილი, დიდ პროგრესსა და დიდ განვითარებას ყოველთვის მოჰყვება მისთვის შესაბამისი პრობლემები და კიბერსივრცის განვითარებისას ჩნდება უდიდესი პრობლემა, რომელიც „კიბერუსაფრთხოების" ტერმინით აღინიშნება და რომლის გამანადგურებელ პოტენციალზე საუბარი ძალიან შორს მიგვიყვანს. ამ სადიპლომო ნაშრომის ჩარჩოებში ავტორი შეეცდება კიბერუსაფრხოებისა და კიბერტერორიზმის დეფინიციების ახსნას, რომელიც დღეს „რბილი ძალის" გამოყენების კონტექსტში მოიაზრება. ამისთვის კი საჭირო არის ზუსტი ცოდნა იმისა, თუ რას წარმოედგენს კიბერუსაფრთხოება, როგორი შედეგები შეიძლება მოიტანოს კიბერუსაფრთხოების განვითარების ნაკლებობას და როგორი არის ვირტუალური ომის პარამეტრები მსოფლიოში და საქართველოში, ზუსტად ამაზე იქნება საუბარი ამ თავში და მის ქვეთავებში.

კიბერცივრცე[1] – ახალი პარალელური სამყარო, რომლიც მხარდაჭერა და არსებობა უზრუნველყოფილია კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და კავშირების ხაზების მიერ. კიბერსივრცე შეიცავს კომუნიკაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ყველა საფეხურს, ავტომატიზირებული ორგანიზმის სახით. მასში განლაგებულია ვირტუალური ცხოვრება, რომელიც არასდროს არსებობდა მატერიალური სხეულით დედამიწის ზურგზე და ეს სივრცე ყოველდღე იზრდება და ადამიანური ცხოვრების განუყრელ ნაწილად იქცევა[2]. დღევანდელ დღეს, ჩვენ ვხედავთ, რომ კიბერსივრცე არის მსოფლიოს სრულიად ახალი და სხვა განზომილება, რომელშიც არ არსებობს არც ფიზიკური და არც კი კონსტიტუციური კანონები. კიბერსივრცე არსებობს ყველგან სადაც კი არის კომპიუტერი, სატელიტური მოწყობილობა ან ჩვეულებრივი კაბელი, რომელიც შეერთებული არის რომელიმე ზემოაღნიშნულ ობიექტთან. კიბერსივცე არის რეალობა და როგორც უკვე იყო აღნიშნული ის ადამიანს როგორც სიკეთის, ასევე უდიდესი ზიანის მიყენება შეუძლია. ამ ქვეთავში საუბარი იქნება კიბერშეტევებზე და მათ ზოგად კლასიფიკაციებზე, გარდა ამისა ავტორი შეეცდება მსოფლიოს კიბერშეტევების ყველაზე მკაფიო მაგალითების მოყვანა და იმის თვალსაჩინოდ ჩვენება, რომ კიბერომი და კიბერმეომრები გადაიქცნენ გლობალური უსაფრთხოების ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად, რომელიც ისაჭიროებს მოქმედებებს როგორც ფიზიკურ, ასევე კიბერ-ძალებით.

[1] „კიბერსივრცე“ – პირველად გამოყენებული ტერმინი უილიამ გიბსონის ტრილოგიაში, 1980-იანი წლების დასაწყისში. *Wikipedia, free encyclopedia:* *https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%93%D0%B8%D0%B1%D1%81%D0%BE%D0%BD,_%D0%A3%D0%B8%D0%BB%D1%8C%D1%8F%D0%BC* *– უკ. გადამოწმებული – 5.05.2015*

[2] Michael Benedict, *Introduction to Cyberspace: First Steps,* MIT Press, 1991. p.1



ყოველი წუთსა და წამში ინტერნეტ-კომუნიკაცია დამოკიდებული არის კონფედენციალურ, ადვილადმისაწვდომსა და აუტენტური ინფორმაციის გაცვლაზე. თუ ამგვარი ინფორმაცია რაიმე სახის დაზინანებას მიიღებს ეს მავნედ აირეკლება მთლიან სისტემასა და ნებისმიერი სერვისის სანდო და უსაფრთხო მუშაობაზე. ამ პირობებში კი ინფორმაციის ექსპლუატაცია ზოგადად შეუძლია ცუდი გავლენის მოხდენა თანამედროვე საზოგადეობაზე და საზოგადოების იმ ფენებზეც კი, რომლებიც ნაკლებად სარგებლობენ თანამედროვე საკომუნიკაციო სისტემებით. ქსელური და ტექნოლოგიური საზოგადოების ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა დღეს არის ის, რომ საერთაშორისო კონვენციებსა და ხელშეკრულებებს არ შეუძლიათ მსოფლიოს უსაფრთხოების პრობლემების სათანადოდ დარეგულირება  იმ არასტაბილურობისაგან, რომელსაც კიბერშეტევების ბუნება ბადებს.[1]

კიბერუსაფრთხოების ცნების ისტორია იწყება 1960-იან წლებში. ამ პერიოდში გაჩნდა პირველი დღევანდელი კომპიუტერის ანალოგი, რომელის ელექტრონული მონაცემთა ბაზები საფონდო ბირჟის სტატისტიკაზე იყო აგებული. ამ დროს „კომპიუტერი“ ერქვა ადამიანს, რომელიც ამ მექანიზმის მიერ გამოთვლას ახორციელებდა, ხოლო სიტყვა „კიბერ“-ს მხოლოდ სამეცნიერო-ფანტასტიური დატვირთვა ჰქონდა. მაშინ კომპიუტერები და მექანიზმები დაცული იყო ფიზიკური ძალების, კერძოდ დაცვის სამსახურის მუშაკების მიერ, რომლებიც ახორციელბდნენ კომპიუტერული ოთახის კონტროლს და რწმუნდებოდნენ, რომ იმ ოთახში სადაც განლაგებული იყო კომპიუტერი(მაშინ ეს ძალიან დიდი ოთახის

[1] Консорциум «Партнёрство ради мира» военных академий и институтов по изучению вопросов безопасности, *Connections, The Quarterly Journal, Джозеф Бюссинг, «Степени применения силы в боевом Киберпространстве». 2013 წლის შემოდგომა, წინასიტყვაობა, გვ. №1*

ზომის დანადგარი იყო), შესულიყო მხოლოდ სანქციონირებული პერსონალი, რომელსაც სათანადო უფლებები გააჩნდა.[1] დღევანდელ დღეს, კიბერუსაფრთხოება მსოფლიოს უსაფრთხოების სისტემების ერთ-ერთ უმთავრეს ადგილს იკავებს და ამგვარი ქცევა სწორიც არის. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კიბერსივრცის საფრთხეების გათვლა და სტრატეგიის წინასწარი გამოკვლევა არის ძალიან რთული, რადგან კიბერსივრცის მეომრეების უდიდესი ნაწილი ანონიმური პროფილებით და სხვადასხვა დამალული ქსელებით და პროგრამებით სარგებლობენ. ამის საფუძველზე, დამნაშავის მონახვა ურთულეს პროცესს წარმოადგენს და ამ პროცესებისა და რიგი სხვა ფიზიკურსა და ტექნოლოგიური ოპერაციების ერთობლიობა არის დღევანდელი კიბერუსაფრთხოება, რომელიც უკვე იდგა უდიდესი გამოწვევების წინაშე. მათ შორის სახელმწიფოს საწინააღმდეგოდ ჩადენილ კიბერ-შეტევების წინ, რომლებმაც უდიდესი მატერიალური ზიანი მოიტანეს თითოეული ობიექტისათვის.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ასეთი დიდი დინამიური გლობალიზებული პროცესების მიმდინარეობის ფონზე, პირდაპირ უნდა აღინიშნოს, რომ 21-ე საუკუნეში ჩამოყალიბდა საკმაოდ დამოუკიდებელი საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემა და დაარსდა სათანადო სახის გლობალურ მასშტაბის უსაფრთხოების რეჟიმი, რომლის იდეოლოგიურ ფუნდამენტს წარმოადგენს „დემოკრატიული მშვიდობის“ თეორია. საფრთხეების ახალი სახეობების გაჩენამ ამ სისტემის ფარგლებში გამოიწვია უფრო მოქნილი და ელასტიური რეაგირების ფორმების გამონახვა, რომლებსაც უფრო მეტად ენიჭება არა-სამხედრო განზომილება და რომელსაც გააჩნია ოთხი კონკრეტული სივრცული არეალი: ხმელეთი-ზღვა-ჰაერი-კოსმოსი. მათ ემატებათ ასევე კიდევ დამატებითი სივრცული ერთეული – ვირტუალური სივრცე. ტექნოლოგიების განვითარების წყალობით უსაფრთხოება კვლავ გარდაიქმნება გლობალიზებული კაცობრიობის საერთო „თავშესაფრად“ და გეოპოლიტიკური ქოლგად.

[1]Jennifer L. Bayuk, Jason Healey *"Cyber Security Guidebook", (Wiley Publications) 2012, New Jersey, USA.*
*2. Cyber Security Evolution, 2.1 Productivity, გვ. №15*

## დანართი №1: თანამედროვე გეოპოლიტიკური მიმდიმარეობების ინტერესები კავკასიის რეგიონისადმი

ამ ბოლო პერიოდში ნათლად გამოიკვეთა კავკასიის რეგიონისადმი დიდი დაინტერესება, რომლესაც გააჩნია არა მარტო წმინდა პოლიტიკური, არამედ გეოპოლიტიკური პარამეტრები. ამ ეტაპზე ყველაზე დიდი “პოლიტიკური მოთამაშეები”, რომლებსაც გააჩნიათ კონკრეტული დაინტერესება რეგიონისადმი წარმოადგენენ: **აშშ, რუსეთის ფედერაცია, ევროკავშირი და ისლამური ორიენტაციის ინტეგრისტული ძალები.** ამიტომაც მათი ინტერსების ფოკუსირებით შესაძლოა დაფიქსირდეს კავკასიის მნიშვნელობა მომავალი საუკუნის გეოპოლიტიკისათვის.

### აშშ-ს გეოპოლიტიკური ინტერესები

აშშ-ს გეოპოლიტიკური ინტერსები ძირითადად გამოიკვეთება კლასიკური ამერიკული გეოპოლიტიკური სკოლისა და ნეოკლასიკური – “ნეოატლანტიკური” პროექტების იდეების საფუძველზე. მას გააჩნია აშკარა ტალასოკრატიული მიმართულება თუმცაღა, ნეოკლასიკურის ფარგლებში ჩამოყალიბდა კონტინენტალიზმის პარამეტრებიც. ნეოატლანტისტების “მამა-დამფუძნებლის” სამუელ ჰანტინგტონის მოსაზრებით ჰანტინგტონის მიხედვით “ცივილიზაციათა შორის რღვევის ხაზს წარმოადგენს მომავალ შეჯახებათა ფრონტების ხაზები”. სწორედ ასეთი “რღვევის ხაზს” შეადგენს კავკასიის რეგიონი, რომელიც უკვე კულტუროლოგიური პარადიგმების მიხედვით წარმოადგენს ისლამური და მართლმადიდებლურ-სლავური ცივილიზაციათა დაპირისპირების ზონას. ნეოატლანტისტები, რომლებიც მიიჩნევენ გეოსტრატეგიულ არეალებად (კოენის ფორმულის მიხედვით) შემდეგ გეოსოციალურ სივრცის “სამკუთხედს”, განიხილავენ საქართველოს და სომხეთს, როგორც მართლმადიდებლურ-სლავური ცივილიზაციის განუწყოფელ ნაწილს (ძირითადში რე-



ლიგიური და ისტორიული ფაქტორების გათვალისწინებით: ერთიანი რწმენის პრინციპები, საუკუნეთა განმავლობაში ერთიან მძლავრ იმპერიაში ცხოვრება, ფრანკა-ლინგუას აღიარება და ა.შ), ხოლო აზერბიაჯანი კი შედის ისლამური ცივილიზაციის შემადგენლობაში – განსაკუთრებით დესეკულარიზაციის ფაქტორის გათვალისწინებით. ამით კავკასია ერთგვარად “იხლიჩება” შუაზე და მომავალი გეოპოლიტიკური წესრიგის კონტურებში არ არის ერთიანი ინტეგრირებული სივრცე. თუმცაღა ნეოატლანტისტებისათვის კავკასიას უკავია მნიშვნელოვანი ადგილი, თუნდაც ორი ცივილიზაციის შეჯახების ფრონტის დაფიქსირების გათვალისწინებით. თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ 2001 წლის 11 სექტემბერს, ნეოატლანტისტების მოდელის მიხედვით, მოხდა ისლამური ცივილიზაციის თავდასხმა დასავლურ ცივილიზაციაზე და მანამდე ისლამისტებმა თავს მოახვიეს მართლმადიდებლურ ცივილიზაციას “საღვთო ომი – ჯიჰადი, მაშინ კავკასიის რეგიონი ატარებს ძალზე მნიშვნელოვან ფუნქციებს. საერთაშორისო ანტიტერორისტული კოალიციის ჩამოყალიბებით, რეალურად შედგა დასავლური და მართლმადიდებლური ცივილიზაციათა გაერთიანება ისლამური ცივილიზაციის წინააღმდეგ და დაიწყო გეოსოციალური შეჯახების ხანგრძლივი ფაზა, რაც კიდევაც არის დაფიქსირებული ცნობილი ფრანგი წინასწარმეტყველის და ფილოსოფოსის მიშელ ნოსტრადამუსის მიერ 1555 წელს. კავკასიის რეგიონის მეშვეობით გეოსოციალური (ანტიტერორისტული) კოალიცია ცდილობს შეაღწიოს ისლამურ ცივილიზაციის “სამკუთხედში” შემდეგი ვექტორული ხაზებით და გამოიწვიოს მისი დაქსასვა:

ამისთვის ხორციელდება ათასგვარი კომბინაციები და ტექნოლოგიები, კერძოდ: რუსეთ-ნატოს პარტნიორობის საბჭოს შექმნა, საქართველო-აშშ-ს შორის სპეციალური შეთანხმების SOFA-ს გაფორმება, კასპიის სანავთობო პროექტების განხორციელება და ენერგორესურსების გადაქაჩვა დასავლეთის **(BTC, BTE)** და სლავური **(KTK)** სივრცეებისა-

კენ და ა.შ. ამ ეტაპზე ნეოატლანტისტური პროექტის მიხედვით, კავკასიას ენიჭება სწორედ ასეთი სახის ფუნქციები, თანაც კიდევ ერთხელ ხაზგასასმელია, ძალიან მნიშვნელოვანი და სერიოზული.

## რუსეთის ფედერაციის გეოპოლიტიკური ინტერესები (კავკასიის სივრცის მიმართ)

რუსული გეოპოლიტიკური ინტერესები ეფუძნება ეროვნული ნეოკლასიკური სკოლისა და პროექტის ნეოევრაზიულობის მიმართულების პოსტულატებს. ნეოევრაზიულობას გააჩნია განსაკუთრებული დამოკიდებულება კავკასიის (განსაკუთრებით სამხრეთ კავკასიის) მიმართ, რაც განპირობებულია მისი გეოპოლიტიკური მდებარეობით და ნეოევრაზიელების სანუკვარ ოცნების რეალიზაციის საშუალებით – მხედველობაშია მუდმივი გასვლა ე.წ. “თბილი ზღვებისაკენ”. განსაკუთრებით საინტერესოა ისიც, რომ სამხრეთ კავკასიას ნეოავრეზიელები მიიჩნევენ “რუსეთის შიდა გეოპოლიტიკის” ზონად. კერძოდ, ნეოევრაზიელთა ლიდერის ა. დუგინის მოსაზრებით: “კავკასია ყველაზე სუსტი წერტილია რუსულ გეოპლიტიკურ სივრცეში და შემთხვევით არ არის, რომ სწორედ ეს ტერიტორია იქცა დაუნდობელი საომარი მოქმედებების არენად “ჰართლენდსა” და “რიმლენდს” შორის. კავკასიის კონტროლი გზას ხსნის “თბილი ზღვებისაკენ” და ამიტომ ყოველი (თუნდაც უმნიშვნელო) საზღვრის სამხრეთით (ან ჩრდილოეთით) გადაწევა არსებით მოგებას (ან წაგებას) ნიშნავს კონტინენტური ძალის, ტელუროკრატიისათვის”. კავკასიაში გამოიყოფა ოთხი ჰორიზონტალური ზონა. კავკასიის მიმდებარე რუსეთის სამხრეთი, ჩრდილოეთკავკასიური მთიანეთი, საკუთრივ კავკასია სამი ქვეყნით – საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი, დაბოლოს, კავკასიასთან გეოგრაფიულად მიბმული ირანისა და თურქეთის ჩრდილოეთი პროვინციები. აღნიშნული რეგიონების განლაგება ჰორიზონტალზე მრავალმხრივ განპირობებულია კავკასიის რე-



ლიეფით. კავკასიის მთიანი ნაწილიც ხომ, ძირითადად, ჰორიზონტალურად არის გაშლილი. ქვეყნების ლანდშაფტის შესატყვისი, ბუნებრივი განლაგების სანაცვლოდ, კავკასიის ნეოევრაზიული პროექტი გულისხმობს რეგიონის მნიშვნელოვან რესტრუქტურიაზაციას, რომელიც აშკარად ვერტიკალურ კავშირებს უნდა დაეყრდნოს. ამ მიზნით, ჯერ რუსეთის სამხრეთ ნაწილში დაიძებნება სამი საყრდენი წერტილი – დონის როსტოვი, ვოლგოგრადი და სტრახანი – რომლებიც შეადგენენ ე.წ “ხაზრულ სამკუთხედს”. კავკასიური გეოპოლიტიკა სემდგომ ამ “სამკუთხედზე” აიგება, თუმცა იგი მკვეთრად იცვლის სახეს და ჰორიზონტალური დარაიონებიდან ვერტკალურზე გადადის.

“ხაზარული სამკუთხედის’ გამოსვლის შემდეგ, რომელიც თავისთავად მჭიდროდაა დაკავშირებული ცენტრთან, მოსკოვთან, ინტეგრაციის ვექტორი რადიკალურად იცვლის მიმართულებას. მთელი ჩრდილოეთი კავკასია და ყველაფერი, რაც მის სამხრეთითაა, ამიერიდან მხოლოდ მერიდიანულ ორიენტაციას უნდა დაექვემდებაროს. “ხაზარული სამკუთხედის” სტრატეგიული ცენტრები დამოუკიდებელ პოლიტიკურ ჯაჭვებს გაშლის მკაცრად სამხრეთისაკენ. როსტოვიდან კრასნოდარის და მაიკოპის გავლით სოხუმისა და ბათუმისაკენ; სტავროპოლის, კისლოვოდსკის, ნალჩიკის და ვლადიკავკაზის გავლით, ცხინვალსა და თბილისისაკენ; ხოლო ასტრახანიდან – მახაჩკალისაკენ. ამ ვერტკალური დარაიონების დროს ზირითადი მოთხოვნაა ყოველგვარი ჰორიზონტალური კავშირების აღკვეთა. მაგალითად, ჩეჩნებსა დაღესტანს ან იგივე ჩეჩნეთსა და ინგუშეთს შორის. მას შემდეგ, რაც ჩეჩნეთს საიმედოდ დაეხშობა გასასვლელი კასპიისკენ, მას შეუძლია ისარგებლოს ვერტიკალური კავშირებით. ნეოევრაზილიების მოსაზრებით: “თუ ჩეჩნეთს მხოლოდ მის სამხრეთით მდებარე საქართველოს დავუტოვებთ, იგი გეოპოლიტიკურად კონტროლირებადი იქნება ყველა მხრიდან და მისი მართვა შესაძლებელი გახდება მართლამადიდებელი საქართველოდან. საქართველოსვე უნდა მიებას ნაწილობრივ დაღესტანი და ინგუშეთი, რამაც შეიძლება მიგვიყ-

ვანოს ჩრდილოკავკასიური ზონის შექმნამდე, რომელიც, მართალია, ეკონომიკურად კარგად იქნებოდა განვითარებული, მაგრამ სტრატეგიულად სრულიად დაექვემდებარებოდა მოსკოვის კონტროლს". იგივე რეგიონი, ამასთანავე, ორიენტირებული იქნებოდა ევრაზიულად. ყველა ეს ნაბიჯი, ნეოევრაზიულობა, გულისხმობს, უარის თქმას კავკასიაში დღემდე არსებული ეროვნული წარმონაქმნები "ერი-სახელმწიფო" მოდელზე და ასევე მკაცრად ფიქსირებული ადმინისტრაციულ წარმონაქმნებზე მუდმივი საზღვრებით და სახელისუფლებო სტრუქტურებით. "კავკასიის ახალი გეოპოლიტიკური წესრიგი", ნეოევრაზიულობის მოსაზრებით, არსებული პოლიტიკური რეალობების სრულ კავშირის მოდელიდან უნდა მოხდეს გადასვლა ცენტრი-პერიფერიის სიტემაზე, თანაც ისე რომ, პერიფერიის სტრუქტურა უნდა განისაზღვრებოდეს არა პოლიტიკურად, არამედ ეთნო-კულტურულად. ამ გეგმის განხორციელება შესაძლებელია "კავკასიის ფედერაციის" შექმნით, რომელიც თავის თავში მოიცავს როგორც სამხრეთ კავკაისაში არსებული წარმონაქმნებს, ასევე შიდარუსული ავტონომიურ გაერთიანებებსაც (ამ მხრივ საინტერესოა ჯერ კიდევ 1996 წელს სამხრეთ რუსეთის ქალაქების და ოლქების ასოციაციის ჩამოყალიბება, სადაც შეყვანილი იყვნენ ქალაქები სოხუმი და ცხინვალი). განსაკუთრებულ გეოპოლიტიკურ როლს კავკასიაში ასრულებდა სომხეთი, რომელიც რუსეთის ტრადიციული ერთგული მოკავშირეა. უაღრესად მნიშვნელოვანია სამხელეთო კორიდორის შექმნა, რომელიც გადაჭრიდა მთელი კავკასიის პრობლემებს და საიმედოდ დააკავშირებდა სომხეთს "ხაზარულ სამკუთხედთან".

## ევროკავშირის გეოპოლიტიკური ინტერესები (კავკასიის გეოსტრატის მიმართ)

ევროკავშირის გეოპოლიტიკური ინტერესები გამოიხატება ნეომონდიალისტური (ევროპული მიმდინარეობის) პროექტის ფარგლებში,. ევროკავშირის ინტერესები კავკასი-



ის მიმართ გამოიხატება შემდეგნაირად – კავკასია მოიაზრება როგორც ევრაზიული სივრცის განუყოფელი ნაწილი. ევრაზიის გეოპოლიტიკური სივრცე კი მოიაზრება, როგორც სამ უმძლავრეს გეოეკონომიკურ ცენტრებს შორის დამაკავშირებელი სამ შტოდ დანაწევრებული: "ჩრდილოეთი", "ცენტრალური" და "სამხერთი" ხაზების მატარებელი არეალი, რომელსაც ამავე დროს ენიჭება სანედლეულე და სარესურსო ცენტრების ფუქნციები. სწორედ რომ "სამხერთით" მდებარე მნიშვნელოვან საკომუნიკაციო არტერიაში იმყოფება კავკასიის (უფრო სწორად სამხერთ კავკასიის) რეგიონი, სადაც კავკასიონის მთიან სისტემა და ჩრდილოეთ კავკასია ასრულებენ ბუნებრივ ბუფერული ზონების ფუნქციებს "ცენტრალურ" და "სამხერთის" შტოებს შორის. ამიტომაც ბზეჯინსკი ორ ქვერეგიონს – კავკასიასა და ცენტრალურ აზიას ანიჭებს გეოსტრატეგიული მნიშვნელობის მქონე სტატუსს. ამ კონტექსტში გამოსაყოფია ე.წ **TRACECA**-ს სტრატეგიის იმპლემენტაცია ევროკავშირის მიერ 1993 წელს, სადაც TviT **TRACECA**-ს დასახელება იშიფრება როგორც – კავკასია-ცენტალური აზია. აღნიშნული სტრატეგიის სრულფასოვანი ამოქმედება, რომელიც მძლავრი კონკურენტუნარიან გარემოში ხორციელდება "ჩრდილოეთის" და "ცენტრალურ" შტოებთან მიმართებაში (აქ ევრაზიის კონტინენტალისტებს გააჩნიათ მონოპოლია, ეს კი ხელს არ აწყობთ ნეომონდიალისტებს), სწორედაც წარმოადგენს პროექტის შესრულების ყველაზე მნიშვნელოვან ერთ-ერთ სანუკვარ მიზანს – ევროპული ბაზრის პირდაპირი დაკავშირება აზიურთან.

ამიტომაც არის აღსანიშნავი, რომ ამ სივრცეებში ასე ინტენსიურად მიმდინარეობს ისეთ სტრატეგიული მნიშვნელობის გეგმების რეალიზება, როგორებიცაა: **BSECO, GUUAM, INOGATE, VIRTUAL SILKROAD, Caucasus Stability Pact.** სხვათაშორის აღნიშნული გეგმების შემუსავების და განვითარების ინიციატორად გამოდიოდა საფრანგეთი, სადაც ჟაკ ატალი წარმოადგენდა ჯერ ქვეყნის პრეზიდენტ ფრანსუა მიტერანის მრჩეველს ეკონომიკურ საკით-

ხებში და შემდეგ გახდა EBRD-ის დირექტორი, რომელიც აფინანსებდა ძირითადში აღნიშნული ინიციატივების უმრავლესობას.
ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკმაოდ ნათლად ჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა გააჩნია კავკასიის რეგიონს ნეომონდიალისტების პროექტში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ცენტრალური.

## ისლამური ინტეგრიზმის გეოპოლიტიკური ინტერესები (კავკასიის გეოსტრატის მიმართ)

ისლამური ინტეგრისტების დაინტერესება კავკასიის მიმართ ძლიან დიდია, რაც ძირითადად გამოიხატება გეოსტრატეგიული პარამეტრებით. ისლამური ფუნდამენტალიზმიც ავტომატურად ვაჰაბისტებთან გაიგივდა, რადგან ისინი ამ რეგიონებისათვის დამახასიათებელი ტრადიციული და ადგილობრივი წეს-ჩვეულებებით და ადათებით უხვად გაჯერებული ისლამის წინააღმდეგ გამოვიდნენ და ხელისუფლებასთან ერთად უკვე არსებულ სასულიერო სამმართველოებს დაუპირისპირდნენ. პირველი მცდელობა კავკასიის სივრცეში, კონკრეტულად კი, ჩრდილოეთ კავკასიაში ჩეჩნეთ-დაღესტნის ტერიტორიაზე შექმნილიყო ისლამური ხალიფატი ინტეგრისტების მხრიდან დაფიქსირდა 1998-99 წელბში, როდესაც ჩეჩნეთის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით კი მის სამხრეთ ნაწილში წარმოიქმნა ადგილობრივი "თალიბანის" მაგვარი მოძრაობა, რასაც მოჰყვა "ჩეჩნური თალიბანიზმის" გავრცელება დასავლეთის მიმართულებით. დღესაც ისლამისტი ინტეგრისტები აღიქვამენ კავკასიის რეგიონს ე.წ "მწვანე ინტერნაციონალის" (ჰასან ალ-ტურაბის დოქტრინა) შემადგენელ ნაწილად და ამ შემთხვევაში, არა მხოლოდ მის ჩრდილოეთ ნაწილს, არამედ სამხრეთ არეალსაც.

აქედან გამომდინარე, გასაგებია თუ რაოდენ უდიდეს მნისვნელობას ანიჭებენ ისლამური "მონდიალიზმის" მომხრე ძალები კავკასიის რეგიონს, რომელიც უკვე გადაიქცა



მათი "იარაღის" გამოცდის ერთგვარ პოლიგონად. 21-ე საუკუნეში მის მიმართ ინტერესი კიდევ უფრო გაორმაგდება. საინტერესოა ისიც, რომ ნეოატლანტისტებიც კი იძულებულნი შეიქმნენ ყურადღება მიეპყროთ კავკასიის რეგიონზე, სწორედაც რომ ინტეგრისტების გააქტიურების გამო ამ სივრცეში (გავიხსენოთ თუნდაც ამერიკული სამხედრო "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის განხორციელება საქართველოში). ინტერგრისტების დაინტერესება კავკასიის რეგიონით იმტომაც არის მნიშვნელოვანი, რომ რეგიონის წარმნოადგენს ისლამური ხალიფატის ერთ-ერთ საკვანძო არეალს შემდეგ გეოპოლიტიკურ ღერძის ფარგლებში:

**სამხრეთ აზია – შუა აღმოსავლეთი – ცენტრალური აზია – კავკასია – ახლო აღმოსავლეთი – მაღრიბი**

დაახლოებით ასეთნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ მთლიანობაში გეოპოლიტიკური მიმდინარეობების ძირითადი ინტერესები კავკასიის რეგიონისადმი. როგორ ჩანს 21-ე საუკუნეში გეოპოლიტიკური კონფიგურაცია მომავალი მსოფლიო წესრიგისა სწორედ მოცემული სუბ-რეგიონულ ფარგლებში განვითარდება.

## *დანართი№2:* საქართველოს პრემიერ-მინისტრთან *(ან სახელმწიფო კანცელარიასთან)* არსებული საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული კვლევების, ანალიზისა და დაგეგმარების ცენტრი *(სამუშაო პროექტი)*

### 1.1. პრეამბულა

მსოფლიო პოლიტიკურ სისტემაში მშვიდობისა და სტაბილურობის მიღწევის მიზნით, რომელშიც აქტიურ როლს თამაშოს საქართველო, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთო გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ (გეოპოლიტიკური პროცესების შეფასება სამხედრო-პოლიტიკური ანალიზის კონტექსტში) პროცესების წარმართვის ტენდეციებს. ამ პროცესებში ღირსეული ადგილის დამკვიდრებისთვის საჭიროა შესაბამისი სტრატეგიული მიდგომების შემუშავება და განვითარების მოვლენების განჭვრეტა საქართველოს ეროვნული ინტერესების (სასიცოცხლო, მნიშვნელოვანი, მთავარი და პერიფერიული) გამომდინარე. ამის პარალელურად უნდა დაიწყოს არსებული საკითხების მოგვარება, რომელთა გადაწყვეტაც დღესვეა შესაძლებელი. აღნიშნული კუთხით უპრიანია განიხილოს პრობლემები, რომელთა გადაჭრაც უახლოესი მომავლის ამოცანას წარმოადგენს, გამოიკვეთოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის და გეოპოლიტიკური განვითარების სტრატეგიული მიმართულებები. ამის შესაბამისად შემუშავდეს პრობლემათა მოგვარების ეტაპობრივი გეგმა, დაიწყოს საქმიანობა მისი პრაქტიკული განხორციელებისთვის, რისთვისაც უნდა ამოქმედდეს სახელმწიფოს და საზოგადოების განკარგულებაში არსებული ყველა მექანიზმი. ამისთვის კი აუცილებელია დაფუძნდეს ისეთი სახის სტრატეგიული მიმართულების ინსტიტუტი, რომელიც იზრუნებს ზემოთმოყვანილი საკითხების შესწავლას და ანალიზს, სათანადო რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, სამეცნიერო-ინტელექტუალურ ბაზისზე და რომელიც დაეყრდნობა დასავლეთში უკვე კარგად აპ-



რობირებულ მეთოდოლოგიასა და გამოცდილებას (კერძოდ, „RAND Corporation"-ის და „Science Application International Corporation – SAIC" მუშაობის პრინციპებს).

### 2.1. მიზნები და ამოცანები

ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიზნები და ამოცანებია:

1) საერთაშორისო ურთიერთობათა პრობლემატიკის შესწავლა და განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება იმ მოვლენებზე, რომლებიც უშუალოდ ახდენენ გავლენას საქართველოსთვის ისეთ გეოსტრატეგიული არეალებში, როგორებიცაა მაგალითად: კავკასია და კასპიისპირეთი და ასევე საშინაო პოლიტიკურ პროცესებზე, შესაბამისი რეკომენდაციების და ანალიტიკური მოხსენების მიწოდება საზოგადოების დაინტერესებულ და პირველ რიგში, სახელმწიფო ოფიციალურ წარმომადგენლებს წინამდებარე კვლევათა (როგორც ოპერატიული, ისე სტრატეგიული) საფუძველზე;
2) ქვეყნის სტრატეგიული პოლიტიკური კურსის გატარების განვითარებაში ხელშეწყობა, საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის კვლევა და ანალიზი, საქართველოს სტრატეგიულ სივრცეებში მიმდინარე მოვლენათა მიმოხილვა, ანალიზი, სათანადო სტრატეგიული საპროგრამო დებულებისა და რეკომენდაციების შემუშავება;
3) სტრატეგიული კვლევათა და პროექტების მომზადება და მათი წარდგენა ცენტრის საექსპერტო საბჭოსა და კოლეგიისთვის;
4) საქართველოს სასიცოცხლო არეალში მოქმედი საექსპორტო მილსადენების ან სხვა სახის გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო პროექტების, საქართველოს ტერიტორიის გავლით ამოქმედებისა და ხელშეწყობის მიზნით (მათ შორის საერთაშორისო

დონეზე სათანადო ლობირების საშუალებითაც) კვლევების, ანალიზის და რეკომენდაციების მომზადება;

5) საქართველოსთვის მნიშვნელოვანი რეგიონებში (მაგალითად, კავკასია) და მის მიმდებარე სივრცეებში (მაგალითად, ახლო აღმოსავლეთი/ცენტრალური აზია) არსებული კონფლიქტების მოწესრიგების ხელშეწყობა და აქ მოქმედ აქტორებსა და მათ შორის მონაწილე მხარეებს შორის ტრადიციული ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული ურთიერთობათა კვლევის საფუძველზე საქართველოს რეგიონული პოლიტიკის ელემენტების შემუშავება;

6) ცენტრის თავის მიზნების განხორციელების მიზნით მოღვაწეობს შემდეგი კონკრეტული სამეცნიერო-პრაქტიკული სახის მიმართულებებით:

➢ *გეოსტრატეგიული კვლევები (სამხედრო ტიპის ანალიზი და კვლევები)*
➢ *გეოპოლიტიკური კვლევები და ანალიზი*
➢ *კონფლიქტების დარეგულირების და მოგვარების შესწავლა – კონფლიქტოლოგია*
➢ *გეოეკონომიკური კვლევები და ანალიზი*
➢ *ტრანსრეგიონული პრობლემატიკა (მაგალითად, სატრანზიტო სტრატეგიული კომუნიკაციები და პროექტები)*
➢ *ეკოპოლიტიკა და გლობალიზმი*
➢ *თანამედროვე პოლიტიკური ტექნოლოგიები და პოლიტიკური პიარი*

### 3.1. სტრუქტურა

ცენტრის საერთო ხელმძღვანელობა ცენტრის კოლეგია, რომლის პრეროგატივას შეადგენს:

✓ ცენტრის დირექტორის დანიშვნა და გათავისუფლება;



✓ ცენტრის სამუშაო ორგანოებისა და ხელმძღვანელობისთვის ფუნქციების განაწილება, ცენტრის დირექტორის საშუალებით სამუშაო ჯგუფების საქმიანობის წარმართვა და კონტროლი, ცენტრის სამოქმედო სტრატეგიის ძირითადი მიმართულებების შემუშავება;
✓ ცენტრის ბიუჯეტის და დაფინანსების სხვა წყაროების დამტკიცება;
✓ ცენტრის საშტატო განრიგის დამტკიცება;
✓ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილების განხორციელება

ცენტრის საქმიანობას წარმართავს და მის სამოქმედო სტრატეგიას შეიმუშავებს ცენტრის კოლეგია, რომელიც წარმოადგენს ცენტრის ხელმძღვანელ ორგანოს. კოლეგიას ხელმძღვანელობს საქართველოს პრემიერ-მინისტრი (ან მის მიერ დელეგირებული პირი). ცენტრის კონცეპტუალურ და თეორიულ საქმიანობებს ახორციელებს ცენტრის ექსპერტთა-საკონსულტაციო საბჭო, რომელიც შედგება დამოუკიდებელი ექსპერტებისა და მასში წარდგენილი სახელმწიფო სტრუქტურების მოხელეებისაგან (ცენტრის დირექტორის ჩათვლით), საექსპერტო საბჭოს წევრების შერჩევა ხორციელდება ცენტრის კოლეგიის წევრებსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის (ან მის მიერ დელეგირებული პირის) დამტკიცებით. კოლეგია იკრიბება სამ თვეში ერთხელ. საქართველოს პრემიერ-მინისტრი (ან მის მიერ დელეგირებული პირი) უფლებამოსილია მოიწვიოს რიგგარეშე სხდომა.

ცენტრის უშუალო ხელმძღვანელია ცენტრის დირექტორი, რომელსაც ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი (ან მის მიერ დელეგირებული პირი). დირექტორი წარმართავს და კოორდინაციას უწევს ცენტრის საქმიანობას, ნიშნავს ცენტრის თანამშრომლებს, პასუხისმგებელია ცენტრის მთლიან საქმიანობასა და მართვაზე. დირექტორი უშუალოდ აკონტროლებს ჯგუფების საქმიანობას ცენტრის საფინანსო საქმიანობის მართვას.

სამუშაო ჯგუფების შექმნისა და გაუქმების საკითხს წყვეტს საქართველოს პრემიერ-მინისტრი (ან მის მიერ დელეგირებული პირი) კოლეგიასთან შეთანხმებით. ცენტრის სამუშაო ჯგუფები საქართველოს პრემიერ-მინისტრს (ან მის მიერ დელეგირებული პირის) ან მისი თანხმობით სხვა სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლებს, უშუალოდ აწვდიან მათ სფეროში არსებულ მნიშვნელოვან მოვლენათა შესახებ ანალიტიკურ მოხსენებს და ასრულებენ საქართველოს პრემიერ-მინისტრის (ან მის მიერ დელეგირებული პირის) კონკრეტულ დავალებებს. თითოეული ჯგუფი გარკვეული პერიოდისთვის ადგენს სამუშაო პროგრამებს და წარუდგინეს მათ ცენტრის ხელმძღვანელობას (თითოეულ ჯგუფში შედის 3-4 ადამიანი). ცენტრის თანამშრომელთა სტატუსი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით. ცენტრის თანამშრომლებს გააჩნიათ განსხვავებული აზრის გამოთქმისა და კოლეგიის წინაშე საკითხების წარდგენის უფლება. ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი ახორციელებს ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური პირობებით უზრუნველყოფას. რეფერენტ-მრჩევლების ახორციელებენ სამუშაო ჯგუფების კოორდინირებას, კონსულტირებას და სამუშაოების დაგეგმარებას.

### 4.1. ცენტრის ლიკვიდაცია

ცენტრის ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს პრემიერ-მინისტრის (ან მის მიერ დელეგირებული პირის) გადაწყვეტილების საფუძველზე ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების საფუძველზე.



## *დანართი№3:* <u>„ისლამური სახალიფოს“ საინფორმაციო-პროპაგანდისტული/კიბერ-ვირტუალური ომის სპეციფიკა – „რბილი ძალის“ თეორია</u>

„ისლამური სახალიფო-დაეში“, ასევე როგორც „ალ-კაიდა“ წარმოადგენს ტერორისტულ ორგანიზაციებს, რომლებიც ახლო აღმოსავლეთში ერთიანი ისლამური სახალიფოს შექმნის იდეებით არიან შთაგონებულნი. თუმცა რეგიონში განვითარებულ მოვლენებთან ერთად მას-მედიისა და გლობალური საინფორმაციო ქსელების გამოყენებით, ისლამური ექსტრიმისტული და რადიკალური იდეები და ამ იდეების განხორციელება უშუალო საბრძოლო მოედნის ფარგლები დიდი ხანია დატოვა. ამის მიღწევა შესაძლო გახდა ტერორისტების მიერ ინტერნეტ რესურსების ფართო გამოყენებით და მათი იდეებით ინტერნეტისთვის შესაბამისი სწრაფი გავრცელებით.

### *„ისლამური სახალიფოს“ საინფორმაციო პროპაგანდა*

აფრიკის კონტინენტზე მოქმედი „ალ-შააბაბისა“ და ახლო-აღმოსავლეთ-ცენტრალურ აზიაში მოქმედი „ალ-კაიდას“ მაგალითებზე, „ისლამური სახალიფო-დაეში“ აქტიურად იყენებს სოციალურ მედიას არა მხოლოდ საკუთარი იდეებისა და იდეოლოგიის გავრცელებისა და საერთაშორისო რეკრუტიზაციისთვის, არამედ საკუთარი მხარდამჭერების პროცესში ეფექტური ინტეგრაციისთვისაც მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ამგვარი მეთოდები საკმაოდ კარგად მუშაობენ, რადგან ჩვენ ვხედავთ იმ ადამიანების რაოდენობას, რომლებიც დასავლური ქვეყნებიდან „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში იბრძვიან. დღევანდელი მდგომარეობით „ისლამურ სახელმწიფოში“ დაახლოვებით 12-150000-მდე ‑უცხოური ბოევიკი მოქმედებს, ხოლო ამ რიცხვიდან 100-ზე მეტი არის ამერიკის შეერთებული შტატების მოქა-

ლაქე და ეს რიცხვი დღეთი დღე იზრდება(ნახ.№1). აქედან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ტერორისტების მიერ ინფორმაციის გავცელება, რომელიც უმეტეს წილად დასავლეთზე არის ორიენტირებული, საკმაოდ წარმატებულ დონეს მიაღწია.

როგორც წესი, ურთიერთქმედება სათავეს თანამოაზროვნეების ყურადღების მიღებიდან იღებს და ამის მიღწევა პროპაგანდისა და შესაძლო დეზინფორმაციის გავრცელებით, მესამე პირებისა და ორგანიზაციის მიმართ სიმპატიების გამომხატველი საზოგადოების მიერ ხორციელდება. მსოფლიოს გლობალური ქსელი ისლამისტებისა და მათი მხარდამჭერების გამოყენებაში უკვე დიდი ხანია არის. ინტერნეტში არსებობს ასობით სხვადასხვა ისლამისტური და ჯიჰადისტური ვებ-გვერდი, რომლებიც ძირითადად ახალ ამბებზე, რიტორიკაზე, თეოლოგიასა და სამხედრო საქმეებზე არიან ორიენტირებულნი. მეტად „ოფიციალური" ბევრი საიტები აქვეყნებენ ექსტრიმისტების ვერსიებსა და შეხედულებებს ახლო აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენების შესახებ და ასევე ფუნდამენტალურ რელიგიურ ლიდერებთა კომენტარებსა და მიმართვებს. საიტების უმეტესობა არაბულ ენაზე არის წარმოდგენილი, თუმცა არსებობს ვებგვერდები ინგლისურ და სხვა უცხოურ ენაზეც(ნახ.№2). აღსანიშნავია ის, რომ არაბულ-ენოვანი საიტები იშვიათად სთავაზობენ ინგლისურ თარგმანს, ხოლო თუ თარგმანი შემოთავაზებულია, ის ინგლისურ ენაზე უმეტეს წილად სხვა შინაარსობრივ სტატიებს შეიცავს, რომლებიც უფრო ზოგადი და ფილოსოფიური იდეებით არიან აღსავსე.

ყველაზე გავრცელებული და აქტიურად გამოყენებადი საიტებია:

http://www.kataebalaqsa.org – პალესტინური „წამებულების" ბრიგადის ვებ-გვერდი

http://www.alneda.com – „ალ-ქაიდას" ძირითადი ვერ-გვერდი, რომელიც ამერიკული ჰაკერების მიერ იყო გატეხილი.



http://www.palestine-info.com – „ჰამასის" მულტი-ენოვანი ვებ-გვერდი

http://www.jihadunspun.com – ჯიჰადისტური წრეების ვებგვერდი

*სოციალური ქსელები*

ბოლო 20 წლის განმავლობაში, „ალ-კაიდა" ასევე როგორც სხვა ჯიჰადისტური ტერორისტული ორგანიზაცები აქტიურად ინვესტირებდა ჯიჰადის კიბერ-შესაძლებლობების განვითარების პერსპექტივებში. აბუ უბაიდა ალ-ქურაში, რომელიც უსამა ბენ ლადენის მარჯვენა იყო 2002 წელს აშშ-ს ღიად გამოუცხადა, რომ ინტერნეტ-ჯიჰადი იმ დღიდან აშშ-სა და მთელი მსოფლიოს მომავალი „საშინელება" გახდებოდა. ყატარის ტელეკომპანია „ალ-ჯაზირა", ღიად თუ ფარულად დაიწყო ინფორმაციის მიღება ინტერნეტ-ჯიჰადისტების ახალი თაობისაგან (სწორედ ამ საბაბით ყატარს სპარსეთის ყურის ქვეყნებმა- საუდის არაბეთის თაოსნობით ბრალი წაუყენეს ყატარის ხელმძღვანელობას რადიკალური ექსტრემისტული იდეოლოგიის გავრცელებასა და ასეთი სახის ორგანიზაციების მხარდაჭერაში). ამ პროცესის პირველ ეტაპებზე ინტერნეტ-ჯიჰადის სფერო იფარგლებოდა მხოლოდ რამოდენიმე ვებ-გვერდით, ფორუმებისა და სადისკუსიო ჯგუფებით, ხოლო დღევანდელი დღისთვის, კიბერ-ტერორისტები სოციალური მედიის აქტიურ მომხმარებლებს წარმოადგენენ.

2010 წლიდან სხვადასხვა ტერორისტულმა დაჯგუფებამ საკუთარი „აკაუნტები" Twitter-ში შექმნეს. მაშინ ეს იყო კომუნიკაციის გაუმჯობესების მეორეხარისხოვანი მეთოდი და ამას ტერორისტები ძირითადად პროპაგანდისა, ექსტრიმისტული ფორუმებისა და სხვადასხვა გადმოსაწერ მასალას შეიცავდა, უმეტეს წილად, ბროშურების, გაზეთებისა და ვიდეო-რგოლებს. „ისლამური სახალიფო" (დაეში) კი Twitter-ის

მიერ ინფორმაციის გაცვლის ერთ-ერთ უმთავრესს საშუალებას ასახელებს, რომელიც ბევრად უფრო სწრაფ და ეფექტურ ხერხს წარმოადგენს. გარდა ამისა, Twitter-ში, სხვა სოციალური ქსელებისგან განსხვავებით, საკუთარი ვინაობის დამალვა ბევრად უფრო ადვილია, ასევე თუკი „აკაუნტი"-ს მფლობელის ვინაობა და გამოქვეყნებული „კონტენტი" ადმინისტრაციის მიერ დახურული იქნა, ახალი გვერდის შექმნა გაცილებით უფრო ადვილი და სწრაფი არის. ორგანიზაციამ შექმნა საკუთარი მას-მედიის ალ-ჰაიატისთვის რამოდენიმე ოფიციალური Twitter-აკაუნტი, რომელიც სტატიებს და ორგანიზაციის მოქმედებების შესახებ ინფორმაციას განსაკუთრებული შემოწმებების შემდეგ ინგლისურ და არაბულ ენებზე აქვეყნებს (ნახ.№3). გარდა ამისა, „ისლამური სახელმწიფო" აქტიურად იყენებს ისეთ ინტერნეტ-რესურს, როგორიც არის "Youtube"-ი. ამ სოციალური ქსელის მომხმარებელთა რაოდენობა გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე "Twitter"-სა და „Facebook"-ს კი. ამ საიტის მეშვეობით, სადაც ტერორისტებს ასევე საკუთარი „აკაუნტები" და ე.წ. არხები აქვთ შექმნილი, ისინი აქტიურად აქვეყნებენ საკუთარ ვიდეო-მასალებს, რომელიც გადაღებული არის, როგორც ჩვეულებრივი სატელეფონა კამერებზე, ასევე პროფესიონალური ვიდეო-კამერების მეშვეობით. უკანასკნელი გადაღებული არის წინასწარ შექმნილი სცენარით და სპეციალური ეფექტების ფართო გამოყენებით და ასეთი ვიდეოს მაგალითი არის ამერიკული ჟურნალისტის, ჯეიმს ფოლის საჯარო თავის მოკვეთა. ამ ვიდეო-რგოლის დასაწყისში ჩასმული არის ბარაქ ობამას მიერ საჯაროდ გამოცხადებული „ისლამურ სახელმწიფოსთან" ბრძოლის აუცილებლობა და გამოთქმული არის ამერიკის სტრატეგია დაჯგუფებასთან ბრძოლის შესახებ. შემგომ კადრებში ჯეიმს ფოლი ჩნდება, სადაც ის, რა თქმა უნდა ტერორისტების იძულებით, საკუთარ მკვლელობაში ამერიკულ ხელისუფლებას, კერძოდ კი, ბარაქ ობამას



ადანაშაულებს. ვიდეო მთავრდება ჯეიმს ფოლის სიკვდილით (ნახ№4). ამგვარი ვიდეოები "Youtube"-ში ძალიან პოპულარული არის, და მათი დათვალიერების რაოდენობა ოთი ათასობით არის.

აღსანიშნავი არის ის, რომ კიბერ-ჯიჰადის წარმომადგენლები ინტერნეტ რესურსებს არა მხოლოდ ინფორმაციის მიწოდების, პროპაგანდისა და რეკრუტიზაციის პროცესების გაუმჯობესების მიზნებით იყენებენ. ისინი აქტიურად იქირავებენ აქტივისტებს, რომლებიც ინტერნეტისა და კომპიუტერის კარგი ცოდნით გამოირჩევიან და რომლესაც ტერორისტები აქტიურად იყენებენ სახელმწიფოებრივი ინსტიტუტებისა, ბანკების, მტრული სამხედრო, განსაკუთრებით საჰაერო ძალების ვებ-გვერდების და ინტერნეტ-არხების გატეხვის მიზნით.

### *სხვა რესურსები*

- 2014 წლის 2 ოქტომბერს, ჯიჰადისტური მედია პლატფორმის „user"-მა გამოაქვეყნეს ინფორმაცია იმაზე, რომ „ისლამური სახელმწიფო" იწყებს ტრეინინგების კურსს სამხედრო ელექტრონიკასთან დაკავშირებით. ამ კურსის ხელმძღვანელი უნდა ყოფილიყო აბუ ომარ ალ-შიშანი(თარხან ბათირაშვილი, ა.ც. „ჩეჩენი"). ალ-შიშანიმ გამოთქვა იმედი, რომ მისი გამოცდილება ამ სფეროში დაეხმარება მას ამ კურსს პროდუქტიულს შექმნის კიბერ-ჯიჰადისტებისთვის „ალაჰისა და მოჰამედის მტრებთან" ბრძოლაში. მან ასევე თქვა, რომ „ისლამური სახელმწიფოს" ნებისმიერ წევრს, რომელმაც რამოდენიმე ინგლისური ტერმინი იცის, შეუძლია ამ სფეროში მიაღწიოს წარმატებას.
- „ისლამური სახელმწიფოს" კიბერ-სპეციალისტებმა შეეცადეს საკუთარი სოციალური ქსელის „ჰელაფაბუკის"

შექმნა (ნახ.№5). დაჯგუფების მხარდამჭერებმა ვებ-საიტის დაწინაურება, როგორც ჯიჰადისტური დაჯგუფების უდიდესი პლატფორმა. საიტი გამოიყურება ისევე, როგორც ყველასთვის ცნობილი „Facebook"-ი, მაგრამ ჯერ-ჯერობით დაუსრულებელია და რეგისტრაცია საიტზე შეიძლებელი არის. როგორც ამბობენ დაჯგუფების წარმომადგენლები, საიტის შექმნა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ "Facebook"-ისა "Twitter"-ის ადმინისტრაციამ ტერორისტების „აკაუნტების" აქტიური დაბლოკვა დაიწყეს.

- პროპაგანდის ერთ-ერთი ტექნოლოგია ასევე არის სმატფონებისთვის სხვადასხვა აპლოკაციების შექმნა, რომელიც, განსაკუთრებულად ბოლო პერიოდში დიდი პოპულარობა დაიმსახურა. ამგვარ აპლიკაციას წარმოადგენს „ფაჯრ ალ-ბაშერ"(კარგი ამბების აღორძინება), საერთაშორისო კიბერ-სპეციალისტების შეფასებით, აპლიკაცია გარკვეულ წილად ვირუსული ტიპის პროგრამას წარმოადგენს, რადგან გადმოწერისა და ტელეფონზე დადგმის შემდეგ ითხოვს მფლობელის პერსონალური ინფორმაციის შევსებას და მფლობელის სმარტფონზე ტვირთავს დაჯგუფების შესახებ ახალ ამბებს და სირიისა და ერაყში საომარი მოქმედებების ვიდეო-მასალას და ინფორმაციას. აპლიკაციას უკვე ჰყავს 1000-ზე მეტი მომხმარებელი და მისი გადმოწერა "Android"-ის „Google Play store"-ის მეშვეობით შეიძლება(ნახ.№6).
- ამ ბოლო დროს, შეიმჩნევა ჯიჰადისტური ქსელის „დაეშის" და „ალ-კაიდას" ხელმძღვანელობით გააქტიურება სოციალური მედიის სისტემებში, არა მხოლოდ საინფორმაციო და პროპაგანდისტური მიზნებისთვის, არამედ უკვე ახალი თაობის ჯიჰადისტების მოძიებისთვის და მათი გააქტიურებისთვის სავარაუდო გარე-ფრონტების მიმართულებით ე.წ. „მეორე" და „მესამე" თაობის ჯიჰა-



დისტური ქსელების შესაქმნელად, რომლებმაც უნდა იმოქმედდონ „მტრის ზურგში" ანუ თავისივე ეროვნული სახელმწიფოებში. დღევანდელ დღეს კიბერსირცევში მოქმედებს 10 ათასზე მეტი ვებ-საიტი, რომლის მეშვეობითაც ვრცელდება ჯიჰადისტური იდეოლოგია და ტერორიზმის პრაქტიკა. აღნიშნული ეხება ისეთ გავლენიან და პოპულარულ მესენჯერულ სისტემებს, როგორებიცაა WhatsApp, Viber, Skype, Messenger, Telegram და ა.შ. ამ ქსელებში ვრცელდება ისეთი სახის ინფორმაციები, როგორებიცაა ბომბების დამზადების ტექნოლოგია, კონტრსადაზვრევო ღონისძიებების აღწერა, მათ შორისი ვირტუალურ სივრცეებში. თუმცაღა მთავარი აქცენტი სოციალურ ქსელებში კეთდება ახალი „ინსიგმანების" ანუ შაჰიდი-ჯაშუშების გადმობირების და მათთან ინდივიდუალურ საუბრების, კერძო ჩეთების, განხორციელებას. სწორედ ინტერნეტ-სივრცეში დღეს მოქმედებს 10 ათასზე მეტი ასეთი ექსტრემისტული პლატფორმები, რომელთაგან მხოლოდ 2-3 ათასი არის არაბულ ენაზე. სწორედ WhatsApp-სისტემის მეშვეობით ჯიჰადისტებმა შესძლეს გადმოებირებინათ რუსი სტუდენტი-გოგო ბარბარე კარაულოვა, მართლმადიდებელი, რომელიც იქამდე მიიყვანეს რომ იგი გაეგმზავრა სირიაში. ანალოგიური ვირტუალური „დამუშავების" მსხვერპლნი იყვნენ მანჩესტერის და ლონდონის საშინელი ტერაქტების ჩამდენნი.

## „დაეშის" საინფორმაციო პროპაგანდისტური სტრატეგია და საქართველო

აქვე გამოსაყოფია ანალოგიური პოლიტიკური მიდგომის განხორციელება უკვე საქართველოს მიმართ და „ისლამური სახელმწიფოს" დაინტერესება ამ მიმართულებით. ასევე აღსანიშნავია საქართველოს მოქალაქეთა ჩართულობა. საქარ-

თველოს 70-მდე მოქალაქე მონაწილეობს ჯიჰადში. სირიაში მოკლული 10 ჯიჰადისტი იდენტიფიცირებულია, როგორც საქართველოს მოქალაქე. ჯიჰადისტთა შორის გამორჩეულად „ცნობადი“ სახელებია: აბუ ომარ აშ-შიშანი (თარხან ბათირაშვილი – „სახალიფოს“ ერთ-ერთი სამხედრო ლიდერი და უკანასკნელი ცნობით- მთავარი შტაბის უფროსი), მუსლიმ აშ-შიშანი (მუსლიმ მარგოშვილი – ფორმირება“ჯუნდ აშ-შამის“ ლიდერი), ახმედ ჩატაევი (ახმედ-შიშანი), თამაზ (ახმედ) ჭილალაიძ, და ა .შ.




(სურათზე – fb-ის ქართულენოვანი გვერდის “მე მიყვარს ისლამი“ ე.წ თავფურცელი მარცხენა კუთხეში ჯიჰადის დროშით და წარწერით – „ჯუნდ აშ-შამ“. ორგანიზაცია აერთიანებს ჩეჩენ და დაღესტნელ ჯიჰადისტებს.)(ქვემოთ – ჯიჰადისტური მოწოდება ასევე ქართულენოვან გვერდზე „საქართველოს ისლამური გამოღვიძების მოძრაობა“)






ასეთი სპეციფიკური ემბლემა, რომლის ეპიცენტრშიც არის ე.წ. „თაკფირიტსული“ მოწოდება, ანუ ჯიჰადისტური საომარი ნიშანი, ცერა თითის მაღლა აწევა, რაც ნიშანია იმისა, რომ ჯიჰადისტი მხოლოდ და მხოლოდ ალაჰს ეკუთვნის და მას ემორჩილება. ჯიჰადისტები ჯიჰადს მიიჩნევენ თვით ისლამის გავრცელების საუკეთესო საშუალებად. საყურადღებოა, რომ „ისლამური სახალიფოს“ გამოცხადების შემდეგ ჯიჰადისტები ღიად მიუთითებენ სამომავლო სამიზნეებზე: იორდანია, ლიბანი, პალესტინა, რუსეთი, აზერბაიჯანი ... და ა.შ. ამის ფონზე, კიდევ უფრო გაიზარდა „ისლამური ხალიფატის“ „რბილი ძალის“ კონცეფტი – შემთხვევით არ არის ის გარემოება, რომ ოფიციალური ენებად ხალიფატში წარმოადგენს – არაბული, თურქული და რუსული ენები. საქმე ეხებ იმ გარემობეას, რომ ფსიქოლოგიური ომის კლასიკური კანონე-

ბის თანახმად, სახალიფოს მესვეურები – საინფორმაციო პროპაგანდის სამინისტროს სახით უშვებენ რუსულენოვან საინფორმაციო-ანალიტიკურ ჟურნალს „ИСТОК“, საკმაოდ მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე, რომელიც არის მისაწვდომი როგორც ბეჭდურ, ისე ელექტრონულ ვერსიების დონეზე









სამწუხაროდ, ამ ბოლო ხანს საქართველოშიც შეიმჩნევა ჯიჰადისტური იატაკქვეშა დაჯგუფებების გააქტიურება, თუმცაღა ეს პროცესი მხოლოდ და მხოლოდ ვირტუალურ ანუ კიბერ-სივრცეში ხორციელდეაბ. ამ მხრივ საინტერესოა უკვე კონკრეტული პოლიტიკური პიარ-ტექნოლგიების გამოყენება, როგორიც არის მაგალითად: “აჭარის ისლამური სახელმწიფო“ შექმნის იდეის ინიციირება. აღნიშნული პროექტის დემონსტრირება წარმოადგენს ახალ ვარიანტს – ფსიქოლოგიური ომის დაწყებისა სავარაუდო მოწინააღდეგის წინააღმდეგ. თუმცაღა ფსიქლოგიური ომიდან, „დაეშის“ მესვეურები უკვე გადავიდნენ საინფორმაციო ომის წარმოებაზე, რასაც მოწმობს ამა წლის მაისის თვეში საქართველოში ერთ-ერთი პოპულარული და გავლენიან საინფორმაციო-ანალიტიკურ პორტალზე „for.ge”-ზე კიბერ-ტერორრისტული თავდასხმა, რაც განხორციელდა ჰაკერული შეტევის საფუძველზე და აღნიშნული არის პირველი სერიოზული და შემაშფოთებელი ტერორისტული კიბერ-თავდასხმა საქართველოზე. ქვემოთ მოყვანილია, ის სურათი რომელიც ჰაკერულ-ტერორისტული შეტევის შედეგად იყო დადებული ქართული სააგენტოს საიტზე და რომლის პარალიზება მოხდა დაახლოებით 10 საათის განმავლობაში.






## დასკვნა:

ზემოაღნიშნული წარმოადგენს „ისლამური სახელმწიფოს“ და სხვა ტერორისტული ორგანიზაციების ინტერნეტ და კიბერ-აქტივობის ყველაზე მნიშვნელოვან და ამასთან ერთად ყველაზე მცირე ნაწილს. ისლამური ფუნდამენტალიზმი ახლო აღმოსავლეთის მოწინავე, რთულ და გეოპოლიტიკის სხვადასხვა დონეებზე განლაგებულ კონფლიქტს წარმოადგენს, ხოლო კონფლიქტის მეოთხე თაობის ომში გადასვლა მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში ახალ საფრთხეს წარმოადგენს, სადაც ერთ ადამიანს, რომელიც კომპიუტერთან ზის, შეუძლია ერთი მთლიანი ქვეყნის სისტემების დაშლა. მსოფლიო დღევანდელ დღეს უნდა იყოს მზად ტერორისტული აქტივისტების მიერ კიბერ-დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისთვის, ამისთვის კი არის აუცილებელი თანამედროვე ტექნოლოგიებში არსებული რესურსების ტერორისტების მიერ გამოყენების სრული და სწორი შეფასებების გაკეთება. უმთავრესი ამ შემთხვევაში არის ის, რომ ამგვარი პან-რეგიონალური ტექნოლოგიების გამოყენება აძლევს საშუალებას ტერორისტებს, რომ მოახდინონ საკუთარი იდეოლოგიური და ჯიჰადისტური აზრების გავრცელება და ამით უფრო მეტი მხარდამჭერის შეძენა და მთელი მსოფლიოს მასშტაბით ახალი ბოევიკების ფართომასშტაბიანი რეკრუტიზაციის ჩატარება.

## საერთაშორისო უსაფრთხოების ლექსიკონი

(მოკლე ვარიანტი)

***შეიარაღების რბოლა*** – შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების ფაქტორების გაძლიერება ორი ან მეტი ქვეყნების მიერ, რომლებიც საფრთეს უქმნიან ერთმანეთს იმ მიზნით, რომ ურთიერთკონკურენციის პირობებში მიაღწიონ მაქსიმალურ უპირატესობას ერთმანეთის მიმართ საკუთარი უსაფრთხოების განმტკიცებისთვის (მაგალითად, კლასიკური „ცივი ომის" შემთხვევა).

***შეიარაღებაზე კონტროლი*** – მრავალმხრივი ან ორმხმრივი შეთანხმებანი, რომელთა მიზანია შეაჩეროს შეიარაღების რბოლა და დააწესოს ლიმიტი საბრძოლო იარაღის ტიპის და რაოდენობაზე, რომლებიც ქვეყნებს დაეწესებათ

***განიარაღება*** – შეიარაღების შემცირება ან ლიკვიდაცია ცალმმხრივი გადაწყვეტილების ან შეთანხმების მიღწევის მეშვეობით, რომელიც ხორციელდება დაპირისპირებულ ქვეყნებს შორის

***აქტორი*** – ინდივიდი, ჯგუფი, ქვეყანა ან ორგანიზაცია, რომელიც თამაშობს განსაკუთრებულ როლს მსოფლიო პოლიტიკაში

***„ტერორის ბალანსი"*** – კონცეფცია, რომელიც გამოიყენება იმ სიტუაციის ასახსნელად, რაც უკავშირდება ერთობლივი ბირთვული შეკავების (nuclear deterrence) პრობლემას.

***პოლიტიკის ანალიზის დონე*** -საერთაშორისო პოლიტიკის განხილვა და ანალიზი გარკვეული დონის პერსპექტივის ფარგლებში (ინდივიდუალური, ეროვნული ან სისტემური)

***სამხედრო ბლოკი*** – ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს გაერთიანება პოლიტიკური მიზნების მისაღწევად სამხედრო საშუალებებით

***ცივი ომი*** – დაპირისპირება აშშ-ს და სსრკ-ს შორის რომელიც დაიწყო მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე და გაგრძელდა 1989 წლამდე ბერლინის კედლის დანგრევის დღემდე.

***ნეოლიბერტარიანიზმი*** – ლიბერალური ულტრა-რადიკალური და ლიბერტარიანული უკიდურესი იდეოლოგიური მიმდინარეობა, რომელიც ავითარებს ადამიანის უფლებების მაქსიმალურ თავისუფლების და ზეეროვნულ პოლიტიკურ ბიჰევიორიზმს და აყენებს მათ სოციუმის და სახელმწიფოს უფლებებზე მაღლა, რითაც ხორციელდება ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა და კლეპტოკარტიული ჯგუფის მხრიდან ძალაუფლების უზურპაციისკენ სწრაფვა. აღნიშნული იდეოლოგიის საფუძველს წარმოადგენს **ტროცკიზმის** პოლიტიკური დოქტრინა. იდეოლოგია წარმოადგენს ტოტალიტარული წარმომავლობის პოლიტიკურ მიმართულებას და ერთ დონეზე დგას ისეთ იდეოლოგიებთან, როგორებიცაა: ნაციზმი, ფაშიზმი, პოლპოტიზმი და ა.შ.

***ალიანსი*** – კოალიციის განსაკუთრებული ფორმა, როდესაც ორი ან ორზე მეტი სახელმწიფო აერთიანებს საკუთარ სამხედრო შესაძლებლობებს და პირობას დებს მოახდინოს თავდაცვის პოლიტიკის კოორდინაცია საერთო უსაფრთხოების მიღწევის მიზნით.

***სამხედრო სტრატეგია*** – საქმიანობის სფერო ეროვნულ დონეზე, მიმართული საგარეო და საშინაო სამხედრო საფრთხეების ანალიზზე, სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციის სტრატეგიული მიზნების განსაზღვრაზე, რაც მოიცავს შეიარაღებული ძალების მშენებლობა, დაგეგმვა, ოპერატიული განთავსება და გამოყენება მშვიდობიანობისა და ომიანობის პერიოდებში

***სამხედრო პოლიტიკა*** – ქვეყნის უნარი გამოიყენოს ეროვნული სამხედრო პოტენციალი და უნარი სამხედრო საფრთეების თავიდან აცილების მიზნით და სამხედრო შესაძლებლობათა სწორად დაგეგმვა და იმპლემენტაცია. მას გააჩნია ორი კომპონენტი: სამხედრო სტრატეგია და შეიარაღებული ძალების სტრუქტურა (ორგანიზაცია, შეიარაღება, ეფექტურობის გაზრდა და ა.შ.)

***არშემდგარი ქვეყანა (failed state)*** – ქვეყანა, რომლის მთავრობას არ გააჩნია უნარი მართოს პოლიტიკური სისტემა, რომელიც ჩამოყალიბდა ამ ქვეყნის ფარგლებში, მოსახლეობის მხრიდან გამოხატული უნდობლობის ფონზე, რომლებიც იმყოფებიან ამბოხის ზღვარზე და ცდილობენ შექმნან დამოუკუდებელი საკუთარი სახელმწიფო

***სუპერ-სახელმწიფო (super power)*** – სახელმწიფო, რომელსაც დომინანტური პოზიციები გააჩნია საერთაშორისო არენაზე, რაც გამოიხატება ექსტენსიური შესაძლებლობი განახორციელოს გავლენა ან ძალის დემონსტრირება გლობალურ დონეზე. პირობითად ასეთი შესძლებლობების გაზომვის ერთეულებად მიჩნეულია: ბირთვული შეიარაღების „მთლიანი სპექტრით" ფლობა (ქობინები და მათი გადამტანი საშუალებები), პრივილიგირებული პოზიციები საერ-

*თაშორისო სახელმწიფოთაშორის ორგანიზაციებში (მაგალითად ვეტოს ფლობის უფლება გაეროს სისტემაში), სამხედრო შორეული ექსპედიციების ან ინტერვენციების განხორციელება, ძლიერი ენერგოგეოპოლიტიკური მდგომარეობა , გეოეკონომიკური ლიდერობისკენ სწრაფვა და ა.შ. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ აშშ.*

***კოლექტიური თავდაცვა*** *– წარმოადგენს სპეციალურ ღონისძიებას, რომელსაც ენიჭება ფორმალიზირებული იერსახე ხელშეკრულების და ორგანიზაციის სახით, სადაც მონაწილე ქვეყნები თავდაცვის დახმარებას აღუთქვამენ ერთმანეთს, თუკი რომელიმეზე განხორციელდება თავდასხმა სხვა ქვეყნის მხრიდან, რომელიც არ არის ამ ორგანიზაციის წევრი (მაგალითებია: ნატო, ანტანტა და ა.შ)*

***საერთაშორისო რეჟიმი*** *– წესების, ნორმების და გადაწყვეტილებების პროცედურების აღსრულების ერთობა, რომელიც კოორდაინაციას უწევს სახელმწიფოს (ან სახელმწიფოების) ქმედებას კონკრეტული სფეროების ფარგლებში*



# ბიბლიოგრაფია


1. *Art and Robert Jervis,eighth edition, Pearson International Edition, New York, 2007, p.459*
2. *Arnold Wolfers "The Balance of Power in Theory and Practice", in Collaboration: "Essays on International Politics", Md, Baltimore, 1962, pp. 122-124*
3. *"A National Security Strategy For A New Century" – The White House, December 1999, pp.1-3*
4. *Barry Buzan "Regional Security Complex Theory in the Post-Cold War World" in International Political Economic Book Series of "Theories of New Regionalism", Palgrave Macmillan UK, 2003, p.141*
5. *Barry Buzzan, Morten Kelstrup, Pierre Lemaitre, Elzbieta Tromer and Ole Waever "The European Security Order Recast: Scenarios for the Post-Cold War Era", Centre for Peace and Conflict Research, , London, 1991, p.3*
6. *B. Buzan, O.Waever and J. de Wilde "Security: A New Framework For Analysis", Lynne Rienner Publishers, London, 1998*
7. *Barry Buzan, Morten Kelstrup, Pierre Lemaitre, Elzbieta Tromer and Ole Waever "The European Security Order Recast: Scenarios for the Post-Cold War Era", Centre for Peace and Conflict Research, Copenhagen, 1991, pp.2-5*
8. *Bary Buzan "People, States and Fear", second edition, Boulder: Lynne Rienner, London, 1991, pp.19-20*
9. */Colin S. Gray and Eliot Cohen "Strategy in the Contemporary World", Second Edition, Oxford University Press, New York, 2007, p.9*
10. *Colin S. Gray "War, Peace and International Relations: An Introduction to Strategic History", second edition, Taylor and Francis Group, New York, 2012, pp.1-2*
11. *Chaim Kaufmann "Possible and Impossible Solutions to Ethnic Civil Wars" at "International Politics" ed. Robert J.Art and Robert Jervis, eighth edition, Pearson International Edition, New York, 2007, გვ.460*
12. *Cahrles W. Kegley and Eugene R. Wittfopf "World Politics: Trend and Transforation", eighth edition, Bedforrd/St. Martin's, Boston-New York, 2001*
13. *Donald M. Snow "National Security For A New Era: Globalization and Geopolitics", Pearson Longman Education, USA, 2004, pp.52-53*
14. *Ernst M. Felberbaure, Frederic Labarre and George Niculescu (Eds.)*

"Apprehending Shifts in Status over Time" The Quest for Strategic Patience in the South Caucasus", Band 22/2015, 11th Workshop of the PfP Consortium Study Group "Regional Stability in the South Caucasus", Vienna, May 2015, p.77
15. Eduard Lucas "The New Cold War – Putin's Threat to Russia and the West", Bloomsbury, Great Britain, 201416.Frencis Fukuyama "The End of History and The Last Man", The Free Press, New York, 199217.F.S. Dunn "The Scope of International Relations", World Politics, 1 October, 1948, p.142
18. Immanuel Kant "Perpetual Peace", in The Enligthment", ed. Peter Gay, Simon and Schuster, New York, 1974, pp.790-792
19. Joseph Nye "Soft Power: The Means to Success in World Politics", Public Affairs, USA, 2004
20. Jane Cordy (Canada) "The Social Media Revolution: Political and Security Implications" – draft report-NATO Parliamnetry Assembly, Committee on the Civil Dimensio of Security, 064 CDSDG 17 E, 13 April, 2007, p.1
21. Jennifer L. Bayuk, Jason Healey "Cyber Security Guidebook", (Wiley Publications) 2012, New Jersey, USA
22. 2. Cyber Security Evolution, 2.1 Productivity, გვ. №15
23. J. Lasicova "Bezpecnost-Bezpecnosta agenda sucasnosti", Banska Bystrica, Univerzita Mateja Bela, 2006
24. Joseph S. Nye, Jr. "Understanding International Conflicts", sixth edition, Pearson International Edition, New York, 2007
25. Henry Kissinger "World Order", Penguian Books, UK, 2015, pp.24-25
26. O. Kreijci "Mezinarodni politika", EKOPRESS, Praha, Czech Republic, 2007
27. Karl Deutsch "Political Community and the North Atlantic Area", Princeton University Press, USA, 1957, p.5
28. K.N. Waltz "Man, the State and War", Columbia University Press, New York, 1959, p.238
29. K. Krokosaova "Problematika kolektivnej bezpecnosti: teoria a realizovatel'nost" in "Bezpecnostne forum 2014", Banska Bystrica, Univerzita Mateja Bela, 2014, pp.257-265
30. Karl Deutsch "The Analysis of International Relations", Englewood Cliffs, N.J.: Princeton University, USA, 1968, ix
31. Mikica Babic quoted in Chris Hedges "War Turns Sarajevo Away from Europe", New York Times (July 28, 1995)



32. Michael Sheehan "International Security: An Analytical Survey", Lynne Reinner Publishers, USA, 2005, p.5
33. Michael Sheehan "International Security: An Analytical Survey", Lynne Reinner Publishers, USA, 2005, p.34
34. H. Morgenthau "Politics Among Nations: The Struggle for Peace and Power", N.Y.4th Edition, 1948, pp.106-144
35. Michael Benedict, Introduction to Cyberspace: First Steps, MIT Press, 1991. p.1
36. Michael Sheehan "International Security: An Analytical Survey", Lynne Reinner Publishers, USA, 2005, p.32
37. K. McKenzie "The Revenge of the Melians: Asymmetric Threats and the next QDR", McNair Paper62. Washington Institute for National Strategic Studies, 2000, p.2
38. NATO Press Release: "Commitment to Enhance Resilience – Issued by the Head of State and Governme participating in the meeting of the North Atlantic Council in Warsaw, 8-9 July 2016", 8 July 2016, paragraph№5
39. Neta Crawford "Once and Future Security Studies", Security Studies№1, 1991, p.292
40. "New Challenges, New Tools for Defense Decisionmaking" Johnson S., Libicki M, Treverton G, editors, RAND, 2003, p.33
41. R.J. Barnet and J. Cavangh "Global Dreams: Imperial Corporations and the New World Order", Simon and Schuster, New York, 1994, pp.50-51
42. Robert Ondrejcsak "Introduction to Security Studies",, Centre for European and North Atlantic Affairs (CENAA), Bratislava, 2014, p.24
43. Richard Cohen and Michael Mihalka "Cooperative Security: New Horizons for International Order" in The Marshall Center Papers, No.3, Germany, April, 2001, p.1
44. Special Report "Beyond the Partnership for Peace: An Action Plan for the NATO, Prague, and Moscow Summits", The Heritage Foundation, 7 January 1994, see: http://www.heritage.org/europe/report/beyond-the-partnership-peace-action-plan-the-natoprague-and-moscow-summits
45. Shaken and stirred" article in special report "Espionage", "The Economist", November 12th 2016, pp.3-5
46. R. Taureck "Positive and negative Securitisation – Bringing together securitization theory and normative Critical Security Studies",

*Institutd'EtudesPolitiques de Paris, France, 2006*

47. *W. Scott Thompson "The Communist International System", Orbis№20, No.4, 1977*
48. *The World Factbook. East & Southeast Asia: Korea, North [ელექ-ტრონული წყარო]. URL: https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/geos/kn.html*
49. *Tom Valentine "How Many People Died in the Vietnam War", April 11, 2014 – see at: http://thevietnamwar.info/how-many-people-died-in-the-vietnam-war/*
50. *Q. Wright "The Study of International Relations", New-York, Appleton Century-Crofts, 1955*
51. *Winston Churchill "The Second War", vol.№1: "The Gathering Storm", Boston, 1948, pp.207-208*
52. *Wales Summit Declaration, issued on 5 September 2016, updated 26 September, 2016 – see: http://www.nato.int/cps/ic/natohq/official_texts_112964.htm*
53. *Денчев К., Златев В. Нефть, газ и геополитика. София, 2000, გვ 33*
54. *К. Денчев МИРОВАЯ ЭНЕРГЕТИЧЕСКАЯ БЕЗОПАСНОСТЬ: ИСТОРИЯ И ПЕРСПЕКТИВЫ 2010 г.გვ 22*
55. *О. Иванов «Военная сила в глобальной стратегии США», монография, «Восток-Запад», М., 2008 год, с.27*
56. *В.Н. Конышев, А.А. Сергунин «Современная военная стратегия», учебное пособие, «Аспект-Пресс», Москва, 2014ю стр.112*
56. *А. Кокошин «О стратегическом планировании в политике», М.: КомКнига, 2007, с.29*
57. *Консорциум «Партнёрство ради мира» военных академий и институтов по изучению вопросов безопасности, Connections,. The Quarterly Journal, Джозеф Бюссинг, «Степени применения силы в боевом Киберпространстве». 2013 წლის შემოდგომა, ნინასიტ-ყვაობა, გვ. №1*
58. *М.М. Лебедева «Мировая Политика», учебник, третье издание, КНОРУС, Москва, 2014, стр.46*
59. *Фортов В. Е., Макаров А. А., Митрова Т. А. Глобальная энергетическая безопасность: проблемы и пути решения //Вестник Российской академии наук. 2007. Т. 77. № 2. С. 99.*



60. *Евгений Магда «Гибридная Война», Vivat Publishing, Харьков, 2015, стр.4 Монгол улсын статистикийн эмхтгэл. Mongolian Statistical Yearbook. 2012. Улаанбаатар, 2013.*
61. *М.Мейгз «Эпоха стратегической асимметричности»/ »Независимая газета», 18 октября, 2002 год,*
62. *Скорлыгина Н. России нет места в парадигме. – Коммерсантъ business guide, 20.VI.2006, № 109, გვ.34.*
63. *Трубицын К. В., Степаненко Д. О. Энергетическая безопасность Российской Федерации в контексте вступления в ВТО // Вестник Самарского государственного технического университета. Серия: Экономические науки. 2013. № 4 (10).გვ. 23.*
64. *В Японии продолжают останавливать атомные реакторы [ელექტრონული წყარო]. URL: http://pronedra.ru/atom/2011/09/01/yaponcy-protiv-aes/*
64. *Указ Президента Россиской Федерации о Стратегии национальной безопасности Российской Федерации, №683, Москва, Кремль, 31 декабря, 2015 года, стр.3-8*
65. *Указ Президента Россиской Федерации Об утверждении Концепции внешней политики Россисйкой Федерации, №640, Москва, Кремль, 30 ноября 2016 года, стр.23-26*
66. *«Зеленая» экономика Южной Кореи [ელექტრონული წყარო]. URL: http://www.kommersant.ru/doc/1523721*
67. *Иноземцев В. Л. Как Европе выжить без российского газа [ელექ-ტრონული წყარო]. URL: http://daily.rbc.ru/opinions/economics/15/12/2014/548b02622ae5961787454bbc*
68. *Сделка века. Россия и Китай заключили газовый контракт на 30 лет [ელექტრონული წყარო]. URL: http://smartnews.ru/business/companies/17802.html*
69. *Россия и Китай заключили контракт на поставку газа [ელექ-ტრონული წყარო]. URL: http://oko-planet.su/finances/ financesday/242982-rossiya-i-kitay-zaklyuchili-kontrakt-na-postavku-gaza.html*
70. *Перед Путиным открылись японские перспективы [ელექტრონუ-ლი წყარო]. URL: http://www.gazeta.ru/politics/2014/09/22_a_6231029.shtml*
71. *Россия готовит строительство газопровода через КНДР [ელექ-ტრონული წყარო]. URL:*

http://newsland.com/news/detail/id/834110/

72. Цены на нефть упали до уровня 2008 года: Brent – $57,6, WTI – $53,27 [ელექტრონული წყარო]. URL:http://censor.net.ua/news/318586/tseny_na_neft_upali_do_urovnya_2008_goda_brent_576_wti_5327
73. ზურაბ აბაშიძე „ცივი ომი: წარსული თუ დღევანდელობა", თბილისი, 2009, გვ.7
74. ბესიკ ალადაშვილი „ეკონომიკური უსაფრთხოება: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა", სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოების ცოდნა", თბილისი, 2011 წელი, გვ.50
75. ბაშალეიშვილი ნ. 18 დეკემბ.2015. ''რუსეთის საინფორმაციო ომი– სტრატეგიები და მიზნები''. http://damoukidebloba.com/
76. ბელქანია თ. 4 ივლისი,2012. ''საინფორმაციო ომი''. http://expertclub.ge/
77. გიორგი გოგაშვილი „ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის ფორმულირების დასავლური გამოცდილება და ქართული რეალობა", გამოქვეყნებული „სტრატეგიულ კვლევებში"№2, აიბი ევრო-კავკასიური უნივერსიტეტი, თბილისი, 2009, გვ.88
78. გიორგი გიგაური „მედია აპოკალიპსის მოლოდინში", 2017-06-19, ნახეთ: http://mediachecker.ge/blogs/detail/105/
79. პ. კოსტი „კრემლის პროპაგანდა, ანუ როგორ იტყუებიან უკრაინის შესახებ" თბილისი, 11 აპრილი, 2013 წელი.
80. გუგული მაღრაძე და სალომე გაბლიანი „რუსეთ-უკრაინის სამხედრო დაპირისპირების წინაპირობები საინფორმაციო ომის ჭრილში 2013-2015 წლებში", გამომცემლობა „პარნასი", თბილისი, 2016 წელი
81. მირანდა მუსელიანი „საინფორმაციო უსაფრთხოების ფენომენი 21-ე საუკუნეში-კიბერუსაფრთხოება და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები (ამერიკა-საქართველო)", სამაგისტრო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თსუ-ს სოციალურ_ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინტერდისციპლინარული მიმართულება, თბილისი, 2017 წელი, გვ.35-36
82. მ. მაცაბერიძე „ეროვნული უსაფრთხოება: ცნება და შინაარსი", პოლიტოლოგიის საკითხები№1, თბილისი, 1992 წელი, გვ.17-29



83. ვახტანგ მაისაია „საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები და დეტერმინანტები „ცივი ომის" შემდეგ (1991-2004)", სახელმძღვანელო, სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი, თბილისი, 2013, გვ.150-151
84. ალექსანდრე რონდელი „„საერთაშორისო ურთიერთობები", მესამე განახლებული გამოცემა, გამომცემლობა „ნეკერი", თბილისი, 2006 წელი, გვ.136
85. ალექსანდრე რონდელი „საერთაშორისო ურთიერთობები", მესამე განახლებული გამოცემა, გამომცემლობა „ნეკერი", თბილისი, 2006 წელი, გვ.9
86. ალექსანდრე რონდელი, „საერთაშორისო ურთიერთობები", გვ.113
87. ალექსანდრე რონდელი „საერთაშორისო ურთიერთობები", გვ.144-145
88. რაცზი ა. ''რუსეთის ჰიბრიდული ომი უკრაინაში''. 2015. ჰელსინკი. ფინეთის საგარეო ურთიერთობათა ინსტიტუტი.
89. ჯ.სტიგლიცი, „როგორ ვამუშაოთ გლობალიზაცია", „რადარამი", თბილისი, 2013 წელი, გვ,738
90. სტივენ უოლტი „ალიანსები: დაბალანსება და მიტმასნება", არტი ჯერვისის რედაქტორობით გამოსულ წიგნში „საერთაშორისო პოლიტიკა", ქართულ ენაზე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2001 წელი, გვ.131-132
91. სალომე ქარელი „მასობრივი განადგურების იარაღი და ეროვნული უსაფრთხოების საკითხები: ბიოლოგიური იარაღის გავრცელების რისკი საქართველოში" (სამაგისტრო ნაშრომი), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინტერდისციპლინარული მიმართულება, თბილისი, 2017 წელი, გვ.19-24
92. ნიკა ჩიტაძე „პოლიტილოგია", შ.პ.ს. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, დეკემბერი, 2016, გვ.436
93. ნიკა ჩიტაძე „ნატო ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი", საქართველო-საერთაშორისო და უსაფრთხოების საკითხების კვლევის ცენტრი, 2006 წელი, გვ.21
94. ალექსანდრე წურწუმია „გეოპოლიტიკური ცვლილებები დრო-

სა და სივრცეში", მეორე გამოცემა, გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი, 2016 წელი, გვ.26

95. რევაზ ჯორბენაძე „პოლიტიკური კონფლიქტების მართვა", სალექციო კურსი, სოციალურ მეცნიერებათა სერია, „ფონდი ღია საზოგადოება-საქართველო", გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 2001, გვ.6-8

96. თათია ჯოლოხავა „ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობები თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენების ფონზე" (სამაგისტრო ნაშრომი), კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საერთაშრისო ურთიერთობების და საერთშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა, თბილისი, 2017 წელი,.გვ.64-65

97. არტი ჯერვისი „საერთაშორისო პოლიტიკა: მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები", ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსი გამომცემლობა, თბილისი, 2011 წელი, გვ.3

98. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია დაარსდა 1961 წელს. იმ მიზნით, რომ ხელი შეეწყო მონაწილე ქვეყნების სწრაფი და სტაბილური ეკონომიკის ზრდისა და მსოფლიო ვაჭრობის გაფართოებისთვის. თავდაპირველად ეთგო–ს წევრები იყვნენ განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები. 90 – იან წლებში ის გაფართოვდა და მასში შევიდნენ განვითარებადი ქვეყნები.

99. „ნატოს უელსის სამიტი – საფრთხეების გამოვლენა და ახალი გეოსტრატეგიის შემუშავება – ომი გლობალურ ჯიჰადს", საინფორმაციო პორტალი კვირა, 15.09.2014, ნახეთ: http://kvira.ge/89448

100. ნახეთ ნატოს უელსის სამიტის დეკლარაცია: http://www.nato.int/cps/ic/natohq/official_texts_112964.htm

101 „სტრატეგიული კვლევები"№1, 1999, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, სამხედრო პოლიტიკის და სტრატეგიული კვლევების მთავარი სამმართველოს დოქტრინებისა და სტრატეგიული კვლევების სამმართველო, რედაქტორები: დავით თევზაძე და კახა კაციტაძე, თბილისი, გვ.74-75

102. მსოფლიოს პირველი კომპიუტერი, IBM Technology, Harvard University 1944 წლის 7 აგვისტო.



http://antonkozlov.ru/istoriya/samyj-pervyj-v-mire-kompyuter.html – უკ. გადამოწმებული – 5.05.2015

103. „კიბერსივრცე" – პირველად გამოყენებული ტერმინი უილიამ გიბსონის ტრილოგიაში, 1980-იანი წლების დასაწყისში. Wikipedia, free encyclopedia: https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%93%D0%B8%D0%B1%D1%81%D0%BE%D0%BD,_%D0%A3%D0%B8%D0%BB%D1%8C%D1%8F%D0%BC – უკ. გადამოწმებული – 5.05.2015

104. „სტრატეგიული კვლევები"№1, 1999, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, სამხედრო პოლიტიკის და სტრატეგიული კვლევების მთავარი სამმართველოს დოქტრინებისა და სტრატეგიული კვლევების სამმართველო, რედაქტორები: დავით თევზაძე და კახა კაციტაძე, თბილისი, გვ.38

## გუგული მაღრაძე



ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, კონფლიქტების ანალიზის და მართვის ინსტიტუტის დირექტორი.

დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის, დასავლეთ ევროპის ენების და ლიტერატურის, და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტები. არის 100- მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მათ შორის სამი სახელმძღვანელო და შვიდი მონოგრაფია, მათ შორის ერთი გამოცემულია აშშ-ში.

სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში, სამართლის ინსტიტუტში, საქართველოს დავით აღმაშენებლის უნივერსიტეტში პრორექტორად, თბილისის საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა ინსტიტუტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის გამგედ ,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური ფსიქოლოგიის კათედრის გამგედ.

2000- 2001 წლებში სამეცნიერო კვლევით და პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა აშშ ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტში.

მიღებული აქვს უზნაძის სტიპენდია, ფულბრაიტის სტიპენდია, , ნატოს, უმაღლესი განათლების მხარდამჭერი პროგრამის, კარნეგის ფორდის, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და სხვა გრანტები სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის.

არის საქართველოს ფსიქოლოგთა ასოციაციის, მსოფლიო ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა ასოციაციის, კონფლიქტის პრევენციის და მოგვარების საერთაშორისო ასოციაციის, პოლიტიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო ასოციაციის წევრი, ფულბრაიტის პროგრამის მკვლევარი.

საქართველოს პარლამენტის სამი მოწვევის წევრი (2004-2008, 2012-2016, 2016-2020).



## ვახტანგ მაისაია



პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სახელმწიფო მართვის მეცნიერების მაგისტრი. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი და ასოცირებული პროფესორი. ევრო-რეგიონული სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ხელმძღვანელი. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის შავი ზღვის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე. მოწვეული პროფესორი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინტერდისციპლინარული მიმართულება).

მან დაამთავრა ჯორჯ მარშალის სახელობის უსაფრთხოების კვლევების ევროპული კოლეჯი (2000 წელს გაიარა სპეციალური სასწავლო კურსი ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში). გაიარა სპეციალური სასწავლო კურსი ნატოს თავდაცვის კოლეჯში რომში. 1998 წელს დაამთავრა დოქტორანტურა და სადოქტორო მინიმუმი ჩააბარა აშშ-ს სამხედრო-საჰაერო ძალების აკადემიის ეროვნული უსაფრთხოების კვლევების ინსტიტუტში ეროვნული უსაფრთხოების სპეციალობით, კომენიუსის სახელობის ბრატისლავას უნივერსიტეტის სოციალური და ეკონომიკური მეცნიერების ფაკულტეტის დოქტორანტი ენერგოუსაფრთხოების საკითხებში; არის ნატოს „პარტნიორობა მშვიდობისთვის" კონსორციუმის ტერორიზმთან ბრძოლისა და სამხრეთ კავკასიის საკითხთა სამუშაო ჯგუფების წევრი და ექსპერტი. იგი არის პოლონეთის პოლიტიკურ მეცნიერებათა ასოციაციის წევრი და ცენტრალური ევროპის სტრატეგიული ანალიზისა და კვლევების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი და ბლოგერი (პოლონეთის რესპუბლიკა). კითხულობს ლექციებს ვარშავის, ამსტერდამის და ლოძის უნივერსიტეტებში.

მას სხვადასხვა დროს ეკავა თანამდებობები როგორც საქართველოს პარლამენტში, პრეზიდენტის აპარატში, უშიშროების, საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებში, საქართველოს დიპლომატიურ მისიაში ნატოს შტაბ-ბინაში (ბრიუსელი) და ეუთოს მისიებში საქართველოში.

იგი არის 6 მონოგრაფიის (მათ შორის ორი ინგლისურ ენაზე) და 100-ზე მეტი სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის ავტორი.